

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გულქან ჟორჯოლიანი

საქართველო
XVII საუკუნის 30—50-იან წლებში
(ქართლ-კახეთი)



„მეცნიერება“
თბილისი
1987

წიგნში შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების ძირითადი საკითხები XVII საუკუნის 30—50-იან წლებში. მოცემულია ქართლის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათება და მისი პერიოდში ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით ირანთან ურთიერთობის ფონზე.

ავტორის დასკვნები დამყარებულია ქართული, დასავლეთ-ევროპული, აღმოსავლური წყაროებისა და სპეციალური უახლესი ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზზე.

ნაშრომი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და ღიათო მკითხველისათვის.

ტორი ისტ. მეცნ. დოქტორი ო. სოსელია

ენტები — ისტ. მეცნ. დოქტორი გ. აკოფაშვილი,
ისტ. მეცნ. დოქტორი ედ. ხოშტარია,
ისტ. მეცნ. კანდიდატი ა. ბოგვერაძე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წარმოდგენილი ნაშრომი XVII საუკუნის 30—50-იანი წლების საქართველოს (ქართლ-კახეთის) მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. ნაშრომში თავმოყრილი შეჯერებული და კრიტიკულად განხილულია საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ქართული, რუსული, სომხური, სპარსული, თურქული და დასავლეთ-ევროპული (ფრანგული, იტალიური, ესპანური) წერილობითი წყაროები. ჩვენ მიერ გამოყენებული წერილობითი პირველწყაროების ერთი ნაწილი საქართველოს XVII საუკუნის 30—50-იანი წლების ისტორიის წარმოსაჩენად და შესასწავლად პირველადაა მოხმობილი (ასე, მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad, Hd, Qd, Rd, Sd ფონდები; საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის 1448—1451 ფონდები, თ. უორდანიას მიერ გამოცემული „ქრონიკები“ და ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული „საქართველოს სიძველენი“), წყაროების მეორე ნაწილი — (როსტომ მეფის 1648 წლის სიგელი, ფარსადან გორგიჯანიძის, არჩილის, ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბატონიშვილის, დონ პეტრო ავიტაბილეს, არქანჯელო ლამბერტის, ჯულიჩე მილანელის, ჟან შარდენის, ჰასან რუმლუს ისქანდერ მუნშის, მუსტაფა სელიანიქის, მუსტაფა ნაიმას და სხვათა თხზულებებში დაცული ცნობები) — ახლებურადაა ინტერპრეტირებული ან დაზუსტებული.

საკვლევი პრობლემა კომპლექსურადაა შესწავლილი. თხრობით წერილობით წყაროებთან ერთად ფართოდაა გამოყენებული კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივისა და სსრკ უძველესი აჭტების ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდებში დაცული ქართული და რუსული დოკუმენტური მასალა.

მონოგრაფიაში შეძლებისდაგვარად სრულადაა გათვალისწინებული და კრიტიკულადაა შეფასებული XVII საუკუნის 30—50-იანი წლების საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს წინამორბედ მკვლევართა — ივ. ჯავახიშვილის, მ. თაყაიშვილის, მარი ბროსეს, ნ. ბერძენიშვილის, გ. მელიქიშვილის, ვ. გაბა-

შვილის მ. პოლიევექტოვის, ი. ცინცაძის, შ. მესხიას, დ. გვრიტიშვილის, ვ. გუჩუას, ო. სოსელიას, მ. სვანიძის, დ. კაციტაძის, რ. კიკნაძის, თ. ბოცვაძის, ი. პ. პეტრუშევსკის, ა. პ. ნოვოსელცევის, დ. ლანგის, ლ. ტარდის და სხვათა მიერ გამოთქმული თვალსაზრისები და ვარაუდები.

საკვლევ პრობლემებთან დაკავშირებით, სადღეისოდ არსებული მასალის კრიტიკული ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, განხილული და დაზუსტებულია XVII საუკუნის 30—50-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის ბოლო დრომდე ბუნდოვნად მიჩნეული ან ნაკლებად იდენტიფიცირებული ფაქტები და მოვლენები.

მონოგრაფია მიზნად ისახავს წარმოადგინოს საკითხთა ნიშანდობლივი წრე, რომელიც ორგანულად უკავშირდება საკვლევ ეპოქის აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს: საქართველო XVII საუკუნის 20-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე; ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა 1629—1631 წლებში; განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობა; ქართლის სამეფოს პოლიტიკური დამოკიდებულება მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან (იმერეთის სამეფო. ოდიშის სამთავრო): როსტომის შინაპოლიტიკური ღონისძიებები XVII საუკუნის 30—50-იან წლებში; რუსეთში როსტომის 1652 წლის ელჩობა; ქართლის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობა XVII საუკუნის 30—50-იან წლებში.

ჩვენს ძირითად ამოცანას ზემოჩამოთვლილი საკითხების კონკრეტულ-ისტორიული და კომპლექსური კვლევა-ძიება შეადგენს. მონოგრაფიაში, პირველწყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, შემოთავაზებულია მთელი რიგი ფაქტისა და მოვლენის ავტორისეული გააზრება: კერძოდ, მოცემულია ახალი თვალსაზრისი როსტომ მეფის დაბადების თარიღისა და ადგილის, აგრეთვე ირანში და ოსმალეთში მისი გამგზავრების თარიღების საკითხების შესახებ; დაზუსტებულია სიმონ II-ის მკვლელობის თარიღისა და ამ აქციის მონაწილეთა საკითხი; გამოთქმულია ვარაუდები განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობის მიზეზების, შედეგების და მნიშვნელობის, აგრეთვე, რუსეთში როსტომის 1652 წლის ელჩობისა და დღემდე საკამათო საკითხებთან დაკავშირებით; ახალი კუთხითაა დანახული, ირანის კომპრომისული პოლიტიკის პირობები, როსტომ მეფის შინაპოლიტიკური ღონისძიებებისა და კერძოდ, რელიგიისადმი მისი დამოკიდებულების საკითხები, შემოთავაზებულია როსტომის პოლიტიკისათვის დამახასიათებელი, ე. წ. „ლმობიერებისა“, და „ყოვლისმიმტევებლობის“ ფენომენის ახსნის ცდა. ნაშრომში

მოცემულია XVII საუკუნის 30—50-იანი წლების ქართლ-კახეთის ეკონომიკური ცხოვრების მეტნაკლებად სრული სურათი.

რამდენად სწორია ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და ვარაუდები, რამდენად დამაჯერებელია მათ სასარგებლოდ მოტანილი არგუმენტაცია, ამას XVII საუკუნის 30—50-იანი წლების საქართველოს (ქართლ-კახეთის) ისტორიის შემდეგი კვლევა-ძიება წარმოაჩენს.

საქართველო XVII საუკუნის 20-იან წლებში
საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე

XVII საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: 1. ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და პოლანდიის კოლონიურ-სავაჭრო მეტოქეობის პრობლემა, 2. ბალტიის ზღვაზე გაბატონებისათვის ბრძოლის პრობლემა და 3. აღმოსავლეთის პრობლემა. აღნიშნული პერიოდის ევროპაში თითქმის ყველა კონფლიქტისა და ომის წყაროს ეს პრობლემები წარმოადგენდნენ, რომლებიც მეტნაკლებად ურთიერთდაკავშირებულნი იყვნენ, რაც განსაკუთრებით ოცდაათწლიანი (1618—1648 წწ.) ომის დროს გამოვლინდა, რომელშიც ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო იყო ჩაბმული¹.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაში ოთხი საკითხი იყო ძირითადი: 1. ირან-ოსმალეთის ბრძოლა ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის, 2. „პოლონეთის საკითხი“, 3. ყირიმელ თათართა და დონელ კაზაკთა საკითხი და 4. თერჯის საკითხი². ამ ორ სახელმწიფოს შორის ჩამოვარდნილი მტრობის მიუხედავად, ვერც ერთი მხარე ვერ ბედავდა ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედებას. ოსმალეთი დაკავებული იყო ირანთან ხანგრძლივი ომებით, შეუწყვეტელი ბრძოლებით ბალკანეთის ნ/კ-ზე და პოლონეთზე გაუთავებული თავდასხმებით. საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით, რუსეთიც გაურბოდა ოსმალეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომების მიღებას.

ამავე ხანაში, ისე როგორც წინა პერიოდში, ირან-ოსმალეთის მთავარ მიზანს ამიერკავკასიის დაპყრობა და მასზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზებისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების ხელში ჩაგდება შეადგენდა.

ირან-ოსმალეთის ინტერესები, განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოს დაუფლების საკითხში, ეჭახებოდნენ ერთმანეთს. სამცხის დაპყრობით ოსმალეთს გზა ეხსნებოდა ქართლ-კახეთსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შესაჭრელად. ამიერკავკასიის დაპყრობა-დამორჩილება ოსმალეთს ჩრდილოეთ კავკასიაში შეჭრისა და ირანისათვის ჩრდი-

ლოეთის მხრიდან ზურგში დარტყმის შესაძლებლობას აძლევდა. ასე რომ, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა უდიდეს სტრატეგიულ უპირატესობას უქმნიდა თურქ აგრესორებს საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის დამორჩილების საქმეში.

დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილის დაპყრობა, შავი ზღვის სანაპიროზე გასვლა, ხოლო იქედან უმოკლესი გზით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დაკავშირება, ირანის მნიშვნელოვან საზღუნავს წარმოადგენდა³. XVII საუკუნის 20-იან წლებში ირანისა და ოსმალეთის აგრესიული ზრახვები სამცხე-საათაბაგოსადმი განსაკუთრებით გამძაფრდა⁴. საქართველოს ეს კუთხე ამ ორი დამპყრობლის ხელიდან ხელში გადადიოდა.

ოსმალეთს კავკასიის დაპყრობის შემთხვევაში, ყირიმ-აზოვ-ტამან-ყაბარდო-დაღესტანსა და საქართველო-შაქ-შირვან-ბაქო-დარუბანდის გზით, საშუალება ეძლეოდა კასპიის ზღვის სანაპიროსა და ვოლგის მაგისტრალზე გასულიყო. რითაც იგი რუსეთს გზას შეუკრავდა სამხრეთით — შავი და კასპიის ზღვებისაკენ და აღმოსავლეთით — შუა აზიისაკენ. ყოველივე ეს ოსმალეთს საშუალებას მისცემდა თავისუფლად შეჭრილიყო ირანსა და შუა აზიაში⁵.

ირანი ცდილობდა კასპიის ზღვაზე გაბატონებას და რუსეთთან აქტიური პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას.

აღნიშნულ ხანაში რუსეთიც ენერგიულად იღწვოდა კავკასიაში პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად, შავ და კასპიის ზღვებზე გასასვლელად, ნ. ბერძენიშვილის თანახმად: „ყაზან-ასტრახანის დაპყრობა და მდ. თერგზე ციხის ჩადგმა მოწმობდა რუსეთის ხელმწიფის რეალურ ინტერესებს კავკასიაში⁶. ასტრახანის საშუალებით რუსეთი აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას ცდილობდა. ამავე დროს რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ყაბარდო-საქართველო თავის ქვეშევრდომობაში მოექცია, რითაც კავკასიაში გაბატონების პრობლემას დადებითად გადაწყვეტდა.

როგორც ვხედავთ, სამი დიდი სახელმწიფოს — ირანის, ოსმალეთის და რუსეთის მიზნები კავკასიაში მთლიანად გამორიცხავდა დიპლომატიური შეთანხმების მიღწევას მათ შორის.

ორ დამპყრობელს — ირანსა და ოსმალეთს შორის მოქცეული საქართველო ლავირების პოლიტიკას მიმართავდა. უმთავრესად იგი ირანის მპყრობელობის ქვეშ ყოფნას ამჯობინებდა, რადგან საქართველო ირანს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირედ სჭირდებოდა⁷. ამიტომ იგი საქართველოს მთლიან ინკორპორაციას ერიდებოდა და ირანისადმი საქართველოს ვასალური დამოკიდებულებით კმაყოფილდებოდა⁸.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში დამპყრობელი მაჰმადიანური (ირანი და ოსმალეთი) სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად ამწვავებ-

დნენ ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის არსებულ შინაპოლიტიკურ განხეთქილებას, ცდილობდნენ ფეოდალური დაქსაქსულობის შენარჩუნებას⁹.

ირან-ოსმალეთის გახანგრძლივებული ომები ხელსაყრელი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის¹⁰. ამ სიტუაციაში ოსმალეთის მთელი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ (ირანი, კავკასია) იყო მიმართული. ბუნებრივია, რომ ევროპის ქვეყნებისათვის ამიერ თუ იმიერკავკასიაში ოსმალეთის პოზიციების განმტკიცება სასურველი არ იყო (აღმოსავლეთში გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთს შესაძლებლობა ექნებოდა ევროპაში გადაეტანა ბრძოლის ასპარეზი). მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ირანსა და საქართველოში ანტიოსმალური კოალიციის არაერთი პროექტი შემუშავდა¹¹.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ირანის სამეფო კარის ინტერესები ამ საკითხში ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ოსმალეთის დამარცხება ორივე მხარეს აწყობდა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები შაჰს დაპირებებით ავსებდნენ, მაგრამ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაბმას არ აპირებდნენ. აბრეშუმით ვაჭრობის საქმით დაინტერესებული შაჰი კი ევროპასთან კავშირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა¹², მაგრამ ანტიოსმალური კოალიციის გეგმები განუხორციელებელი დარჩა. ნ. ნაკაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დასავლეთ ევროპაში ამგვარი კოალიციების შექმნა უფრო თეორიულ ხასიათს ატარებდა, რადგან თურქეთის საკვთხში ევროპის წამყვან სახელმწიფოთა შორის აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა არსებობდა“¹³.

ქართველი პოლიტიკოსები მუსლიმანობისაგან თავის დაღწევას ევროპის ქვეყნების დახმარებით ცდილობდნენ. მაგრამ ქართველ დიპლომატთა ცდები ევროპასთან კავშირის დამყარებისა უშედეგო აღმოჩნდა.

პოლიტიკურად დაშლილი საგარეო და შინაფეოდალური ომებით მოქანცულ ქართველ ხალხს დახმარების იმედი არსაიდან უჩანდა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების (საფრანგეთი, ვენეცია, ინგლისი), საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ირან-ოსმალეთის დასუსტება და დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალის სფეროში მოქცევა შეადგენდა და არა საქართველოს განთავისუფლება¹⁴. საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებიც ან კათოლიციზმის გაძლიერებას ისახავდნენ მიზნად, ანდა ანტიოსმალური კოალიციის მონაწილე რომელიმე ქვეყნის ინტერესებს იცავდნენ¹⁵.

ირანსა და ოსმალეთს შორის განაწილებული საქართველოს გამოსხნა-განთავისუფლება საკუთარი ძალებით შეუძლებელი ჩანდა-

არც ირან-ოსმალეთს შორის არსებული წინააღმდეგობის გამოყენება უქმნიდა მას განთავისუფლების პერსპექტივებს. საყრდენ ძალას მისთვის არც ევროპის ქვეყნები წარმოადგენდნენ. ერთადერთი მშველელი შეიძლება რუსეთი ყოფილიყო¹⁶. მაგრამ ამ ეტაპზე ხსნის ეს გზაც გამორიცხული აღმოჩნდა. ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები დაქუცმაცებული ტომების — ყუმუხების მტრული მოქმედება გადაულახავ ბარიერს ქმნიდა რუსეთ-საქართველოს დაკავშირებისათვის¹⁷.

ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის დახმარებითა და მფარველობით იმედოვნებდნენ საქართველოს გაერთიანებას, მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევასა და ლეკთა გაუთავებელი თავდასხმების თავიდან აცილებას. ყოველივე აღნიშნული საშუალებას მისცემდა საქართველოს განვითარებულიყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად და კულტურულად. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება რუსეთისათვისაც ხელსაყრელი იყო. ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთთან მეტოქეობისათვის მას ძლიერი დასაყრდენი ესაჭიროებოდა¹⁸.

რუსეთის აქტიურობა კავკასიაში ირანისათვის საკმოდ საშიში იყო: „რუსეთი ერანს ეცილებოდა საშამხლო-დაღესტანს, შირვანს და საქართველოს. მაგრამ კავკასიაში საერთო ძლიერი მტრის — ოსმალეთის ბატონობა რუსეთ-ერანის მეტოქეობას შესამჩნევად ანელებდა“¹⁹. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე მტრულ მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი საქართველო და კერძოდ, კახთა მეფე (თეიმურაზ I) რუსეთს დახმარებას შესთხოვდა (სხვათა შორის იმასაც აუწყებდა, რომ მისი ორი ვაჟი და დედა ქეთევან დედოფალი 1614 წლიდან შაჰის ტყვეობაში იმყოფებოდნენ), რუსეთი დუმებდა ამჯობინებდა. იგი ირანთან ურთიერთობის დაძაბვას თავს არიდებდა²⁰.

1618 წელს სერაფის ველზე (აზერბაიჯანი), ირან-ოსმალეთს შორის დადებული ზავის შემდეგ, აღმოსავლეთში ირანისათვის ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა.

შექმნილ ხელსაყრელ სიტუაციაში ირანს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის აუცილებელი საკითხები უნდა მოეგვარებინა. ასეთთა რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო გზების საკითხი განეკუთვნებოდა²¹, კერძოდ კი, გზა, რომელსაც ამიერიდან სამხრეთ ირანზე უნდა გაევიღო²². ეკონომიკურ ღონისძიებებს პოლიტიკური მოპყვეა:

1623 წელს შაჰმა ოზბეგები დაამარცხა და ყანდაარი დაიპყრო. იმავე წლის 28 ნოემბერს მან ბაღდადიც აიღო. 1624 წელს ირანის ხელში მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი აღმოჩნდა²³. ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, შაჰის ბრძანებით ამირგუენე-ხანმა სამცხეზე გაილაშქრა და ახალციხე ოსმალებს წაართვა. დაპყრობითმა აქციებმა ირანის სამფლობელოები მნიშვნელოვნად გაზარდა. შაჰმა თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია²⁴. დადგა ეამი „გურჯისტანის საკითხის“ გადაწყვეტისა. საქართველოში ამ დროს ანტიირანული განწყობილება

სუფევდა. მწიფდებოდა საერთო სახალხო აჯანყება. 1619 წელს ბაგრატი-ხანის გარდაცვალების შემდეგ, შაჰმა ქართლის მეფობა მის მკერეწლოვან შვილს — გამაჰმადიანებულ სიმონ II-ს — უბოძა. ვეჭილად (მცველად) გიორგი სააკაძე დაუნიშნა, რომელიც ქართლის ფაქტიური გამგებელი გახდა²⁵. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობით, შაჰის მოხელე ფეიქარ-ხანი შაჰ აბას I-ს ატყობინებდა, რომ „ქართველები ისევ მომრავლდნენ, აჯანყება მოსალოდნელია, ახლა ათიათას ხმალს ითვლიანა“²⁶. ირანის სამეფო კარის ისტორიკოსი ისქანდერ მუნშიცი იგივე ინფორმაციას გვაწვდის²⁷.

შაჰის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. 1625 წლის დასაწყისში მთავარსარდალ ყარაჩილა-ხანის მეთაურობით მან დიდი ლაშქარი დაძრა საქართველოს წინააღმდეგ. ამჯერად საფრთხე კახეთსაც ელოდა და ქართლსაც. მაგრამ ქართველები ერთსულოვნად დაირაზმნენ საერთო შტრის შესახვედრად²⁸. გიორგი სააკაძე, რომელიც „დროებისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს“²⁹ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა. 1625 წლის 25 მარტს (ახალი სტილით 7 აპრილს) მარტყოფის ველზე ქართველებმა სისხლისმღვრელ ბრძოლაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს. მუსტაფა ნაიმას ცნობით, 30000 ყიზილბაშთაგან მხოლოდ 3000 გადარჩა³⁰. თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის თანახმად კი, „ორმოცი წლის განმავლობაში შაჰს ასეთი მძიმე დანაკლისი არ ჰქონია“³¹. ზაქარია ქანაქერცი გვამცნობს, რომ აჯანყებულთათვის დიდი თანაგრძნობა და სოლიდარობა გაუწევია განჯის ბეგლარ-ბეგ დაუდ-ხან-უნდილაძეს³². აჯანყებულებმა, გიორგი სააკაძის მეთაურობით, ქართლ-კახეთი ყიზილბაშთაგან გაწმინდეს, თეიმურაზ I დასაველეთ საქართველოდან ჩამოიყვანეს და გააბატონეს მცხეთის ზედათ ქართლსა და კახეთს“³³.

ყიზილბაშთა უზარმაზარი არმიის ერთიანად გაწყვეტით პრესტიჟ-შელახულმა შაჰ აბას I-მა საქართველოში დიდი დამსჯელი ექსპედიცია გამოგზავნა ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით³⁴. გადამწყვეტი ბრძოლა მარაბდასთან მოხდა 1625 წლის 1 ივლისს. ამჟამად სპარსელებმა სძლიეს ქართველებს, თუმცა ამ ბრძოლის შედეგები შაჰისათვისაც სავალალო აღმოჩნდა. ბრძოლის ველზე სპარსელებმა 60000-მდე მეომარი დაკარგეს³⁵ (რაც ირანის არმიის ნახევარს შეადგენდა³⁶). შაჰ აბასი ფაქტიურად დამარცხდა და იძულებული გახდა ხელი აეღო საქართველოს მიმართ თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებაზე.

მარტყოფთან და მარაბდასთან თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით ყიზილბაშთა ჯარის განადგურებამ შეარყია შაჰ აბასის გავლენა და ავტორიტეტი მახლობელ აღმოსავლეთში. შექმნილი გარემოებით ოსმალეთმა ისარგებლა და ერაყი დაიბრუნა. 1625 წლის ნოემბერში ირანს ქურთისტანი აუჯანყდა. იმავე წელს ოსმა-

ლეთმა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთის ნაწილი (ახალციხითურთ) დაიკავა და იგი ახალციხის საფაშოდ გადააქცია³⁷ და ა. შ.

შექმნილ სიტუაციაში „უძლეველმა“ შაჰმა თეიმურაზთან შერიგება გადაწყვიტა. ოსმალეთის სულთანთან საომარ მოქმედებაში მყოფი ირანის მბრძანებელი თეიმურაზის თანადგომას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

1626 წელს შაჰ აბას I-მა განჯის ბეგლარბეგისა და თბილისის ციხისთავის დავით უნდილაძის შუამდგომლობით თეიმურაზს წყალობა და შერიგება შესთავაზა³⁸. ამ შეთანხმების ძალით შაჰი ქრისტიან თეიმურაზს ქართლ-კახეთის მეფედ სცნობდა. ამასთანავე, თბილისისა და სომხით-საბარათიანოს მეფედ შაჰმადიან სიმონ II-ს (სიმონ-ხანს) ტოვებდა. ქართლის ტახტზე შექმნილი ამგვარი „ორიანობით“ შაჰი თეიმურაზისა და სიმონ II-ის მკვეთრ დაპირისპირებას ცდილობდა³⁹.

შაჰისა და თეიმურაზის ეს შეთანხმება გიორგი სააკაძის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, რადგან ცნობილია, რომ ენერგიული დიდი მოურავი ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანებაზე ოცნებობდა. ოსმალეთის სულთანი მას „ქართლის მპყრობელ „მოურავ-ხანს“ უწოდებდა და ელჩებსაც მას უგზავნიდა⁴⁰.

ამგვარად, ერთი მხრით თეიმურაზ I და ირანის შაჰი. ხოლო მეორე მხრით გიორგი სააკაძე და ოსმალეთის სულთანი. საქართველოში მოქმედ ორ ერთიმეორის საწინააღმდეგო ორიენტაციას ასახეობდნენ⁴¹. ეს ვითარება განსაკუთრებით თვალნათლივ 1626 წლის შემოდგომაზე, ბაზალეთის ტბასთან მომხდარ შინაფეოდალური ომის დროს გამოჩნდა, რომელიც გიორგი სააკაძისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ვ. გაბაშვილის აზრით, ამ ომში ფაქტიურად ირანისა და ოსმალეთის მომხრე ფეოდალური დაჯგუფებები მონაწილეობდნენ⁴². ხოლო ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ოსმალეთი და სპარსეთი ერთმანეთს ებრძოდნენ სააკაძის და თეიმურაზის სახით“⁴³.

ასეთია ძალზე სქემატურად ის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური ძირითადი მომენტები, რომლებიც XVII საუკუნის 20-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII
საუკუნის 30—50-იან წლებში

§ 1. ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა 1629—1631 წლებში

ბაზალეთის ომის შემდეგ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ძლიერ დაიძაბა. შაჰის მიერ ქრისტიანი თეიმურაზ მეფისა და მამქადიანი სიმონ II-ის (სიმონ-ხანის) მკვეთრმა დაპირისპირებამ, ქართლის სამეფო კარზე შექმნილმა „ორიანობამ“, თავისი შედეგი გამოიღო. ქართლის განდიდებული ფეოდალები თავიანთი უფლებების გაფართოებას შეეცადნენ. განსაკუთრებით გაძლიერდა ზურაბ არაგვის ერისთავი. თეიმურაზ მეფის სიძე. კონფლიქტი თეიმურაზსა და ზურაბ ერისთავს შორის სამუხრანბატონოს გამო მოხდა. ზურაბს სამუხრანბატონოზე ეკირა თვალი, რომელიც თეიმურაზმა თავის შვილს დათუნას უბოძა¹. უკმაყოფილო ზურაბმა თეიმურაზს სიმონ II დაუპირისპირა, რომელსაც ქართლის სამეფო ტახტზე მეტი უფლებები ჰქონდა, როგორც ქართლის ბაგრატიონთა კანონიერ მემკვიდრეს. შაჰ აბას I-ის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, „ზურაბმა ცბიერებით და თვალთმაქცობით სიმონ მეფესთან დაახლოება მოახერხა, მისი ვეჭილი და მნიშვნელოვან საქმეთა მომწესრიგებელი გახდა“². არაგვის ერისთავმა ქართლში სიმონ II-ის გაბატონება შეძლო. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, სიმონი: „მამასა ეძახდა ზურაბსა და იყო მისი მორჩილი და არას იქმოდა მის გარდაუალსა“³, ვახუშტის თანახმად კი, ზურაბს „სწადდა, რათა იყოს თეიმურაზ კახბატონად და სიმონ ქართლისად და ორნივე იყვნენ მავედრენი მისნი“⁴. თეიმურაზი მოერიდა სიმონ II-თან პირდაპირ შებმას, ქართლი უომრად დაანება და კახეთში ჩავიდა⁵. თეიმურაზ მეფე, დამოუკიდებლობისა და უფლებებისმოყვარე პიროვნება, ადვილად ვერ ურიგდებოდა ქართლის სამეფო ტახტზე მამქადიანი სიმონ II-ის დამკვიდრებას. ქრისტიანი მეფე ხელსაყრელ მომენტს ელოდა გზიდან ორივე მოწინააღმდეგის (სიმონ II-ის და ზურაბ ერისთავის) ჩამოსაცილებლად. ეს მომენტიც მალე დადგა.

1629 წლის 19 იანვარს საქართველოს დაუძინებელი მტერი შაჰ აბას I გარდაიცვალა. ირანის სამეფო კარი ტახტისათვის ბრძოლით იყო დაკავებული. ამას ისიც დაემატა, რომ ოსმალეთმა ირანს შეუტია⁶. თეიმურაზმა შექმნილი ვითარება მარჯვედ გამოიყენა. მან გადამწყვეტ ზომებს მიმართა: კახეთიდან აიყარა, ირანისაკენ მიმავალ გზას დაადგა და ახალი შაჰის ძალის გამოყენებით შეეცადა ქართლის დაბრუნებას. უფადარს მისულმა თეიმურაზმა ხერხი იხმარა, ზურაბ ერისთავს წერილი გაუგზავნა. ბერი ეგნატაშვილი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „და რა ნახა ბატონმა თეიმურაზ საქმე და განდგომილება ერისთავის ზურაბისა, მოკლებულ იქნა ძალისაგან და არა სადა ქონდა მისალტოლველი. მაშინ წინა აღრჩევით განიგულა წარსვლა ყაენთანა, განემზადა და წარვიდა და შთავიდა უფადარს, მუნითგან აღწერა ქართლსა ზედა წარმომთქმელმან ესრეთ: „არა ჯერ არს განწირვა სიძისა მიერ სიმამრისა, ვინათგან შვილი ხართ და სიძე ჩემი. და აწ მე წარვსრულვარ ყაენთან, ამიერთგან ვიხილო ერთობა თქუენი და მეფის სიმონისა“⁷. ვახუშტიც თითქმის იგივეს იმეორებს: „... ხოლო სიმონ მეფე უხმოდა ზურაბს მამასა, და ამისა მხილველი და უღონო-ქმნილი ბატონი თეიმურაზ წარვიდა წინაშე ყაენისა და უფადარიდამ მოსწერა ზურაბს: „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმამრისა, გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი და სვიმონისა“⁸.

კახთ ბატონის წერილმა შეაფიქრიანა ზურაბ ერისთავი. როგორც ჩანს, იგი ახალგაზრდა შაჰის მოსალოდნელ რისხვას შეუშინდა. ბერი ეგნატაშვილი გვამცნობს: „აღდგა მკვლელად მეფისა სვიმონისა; და მძინარე სარეცელსა ზედა ღალატად მოკლა იგი, წარკუეთა თავი და წარსცა ბატონს თეიმურაზს“⁹. ვახუშტის ცნობითაც. „ამისათვის აწ განიზრახა ბოროტი, მოვიდა ღამე ცხვილოსს მდგომის სვიმონის მეფის თანა, შევიდა და მოკლა იგი ქ(რონი)კ(ონ)ს ჩქეთ ქარ ტნიზ (1629 წ. — გ. ე.) და წარუვლინა თავი თეიმურაზს“¹⁰.

არჩილის მიხედვით, თეიმურაზი უფადარში იმყოფებოდა, როდესაც მას ზურაბ ერისთავის მიერ გამოგზავნილი სიმონ მეფის მოკვეთილი თავი მოუვიდა. იმავე ავტორის თანახმად, ზურაბ ერისთავი თეიმურაზს ქართლში დაბრუნებას ურჩევდა. არჩილი ამბობს:

„თავი უფადარს მამწივა ყაენთან წასვლის მდგომელსა, ვით გავიშვებდი ხელითჱ ვით გხედავ სულსა-მდგომელსა, ყაენთან წასვლას ესე სჯობს ქართლიდან შემომწყრომელსა ბოლო არ გაუთავდების ბატონის სისხლში მკდომელსა“.

და უფრო ქვემოთ:

„აღარ წაველ ყაენთანა ისრევ ქართლსავ მოუბრუნდი, აწ სრულ ერთპირ დავიქირე სომხითიან არ დაეკმუნდი“¹¹.

როგორც ვხედავთ, არჩილი საკმაოდ დეტალურად იცნობს საქმის ვითარებას. მიუხედავად ამისა, პოეტი სდუმს სიმონ II-ის მკვლელობაში თეიმურაზ I-ის მონაწილეობის შესახებ.

როსტომ მეფე (1648 წლის სიგელში) და ფარსადან გორგიჯანიძე-სიმონ II-ის სიკვდილში პირდაპირ თეიმურაზს სდებენ ბრალს. როსტომ მეფის სიგელის მოწმობით, ქართლის დაკარგვის შემდეგ „იმავე წელიწადს ამდონი ისაჯა კახმა ბატონმა თეიმურაზ, რომ თავისი ქალი და მისივე ყმა ჩერქეზი გიორგი შოლალატედ შეუყენა... ბატონი სვიმონ დააკვლევინა, ქართლს გაბატონდა“¹². სიმონ II-ის მკვლელობის ამბის ფარსადან გორგიჯანისეული ვერსიით კი: კახეთში მყოფი თეიმურაზი ქართლის ტახტის დაბრუნებას ყოველმხრივ ცდილობდა. სიმონის თავიდან მოშორების მიზნით. მან ერთ ჩერქეზს, სახელად გიორგის, არაგვის ერისთავის სიძეს „იორის პირს მამული მისცა“ და ზურაბთან შეამავლობა დააკისრა. თეიმურაზი ზურაბ ერისთავს „ქალის მიცემას და თიანეთის სამამულეთ მიცემას“ პირდებოდა „მეფის სვიმონის მოკვლისათვის“. ხერხმა გაკრა: ცხვილოსს ამილახორის მამულში თავისი მემკვიდრე ბატონი მეფე სიმონ მიხედობილი ზურაბ ერისთავმან მძინარე მოკლა“¹³.

ამგვარად. როსტომ მეფე და ფარსადან გორგიჯანიძე არა მხოლოდ აღნიშნავენ თეიმურაზის აქტიურ როლს სიმონ II-ის მკვლელობის საქმეში, არამედ ახალი საყურადღებო ინფორმაციით ავსებენ ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტისა და არჩილის ზემომოტანილ მასალას.

აღნიშნულთან ერთად შემდეგაცაა გასათვალისწინებელი: თეათინელ-მისიონერთა ცნობაზე დაყრდნობით. მ. თამარაშვილი მიუთითებს, რომ სამეგრელოდან მოსულმა ზებედე ბერმა „ცხარედ ამხილა ზურაბ. ერისთავი ქრისტიანი მეფის ადგილას გამაჰმადიანებული სიმონ-ხანის. დაყენებისათვის, ზურაბმა შეინანა თავისი ცოდვა, სიმონი ღალატით მოაკვლევინა, შეურჩიდა თეიმურაზს და დაუბრუნა ჩამორთმეული ადგილები“¹⁴.

ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ ზებედე ბერის მიერ არაგვის ერისთავის მხილება თეიმურაზის გავლენითაც მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით ისაა საყურადღებო, რომ ზებედე მღვდელ-მონაზონი თეიმურაზ I-ის უახლოესი პირი იყო. მოღვაწეობდა რა ალავერდის მონასტერში, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში¹⁵.

როგორც ირკვევა, თეიმურაზის აქციები სიმონ II-ის მკვლელობით არ შემოიფარგლა. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, შაჰის რისხვის თავიდან აცილების მიზნით, თეიმურაზმა და სასახლის დიდებულებმა გადაწყვეტილება მიიღეს: „ზურაბ მოვკლათო და თავი ყაენს გაუგზავნათო და მეფის სიმონის სიკვდილი იმას დაეაბრალოთო და

ქართლის მეფის სისხლი და ერანის კელმწიფის რისხვა ამით ავიციდნო-
თო¹⁶. ისქანდერ მუნშიც თავის „ვაგარძელებაში“ აღნიშნავს: „თეიმურა-
ზმა შაჰს შეუთვალა, რომ ზურაბი სახელმწიფო ღალატისა და სიმონის-
მოკვლის გამო მოაკვლევინა“. და იქვე: „თეიმურაზმა სინამდვილე ტან-
ტის ზღერბლზე არასწორად მოახსენა“¹⁷ (სპარსელი ისტორიკოსი საქ-
მეში ღრმად ჩახედული კაცი იყო. ალბათ, ამიტომაც ფიქრობდა, რომ
თეიმურაზმა შაჰს სინამდვილე დაუმალა).

ოსმალეთთან გართულებული ურთიერთობის გამო, ირანის მბრძა-
ნებელმა თეიმურაზის ვერსია სიმონ II-ისა და ზურაზ ერისთავის
მკვლელობებთან დაკავშირებით შეუმოწმებლად მიიღო. თეიმურაზი
გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა (შაჰის ოფიციალური
დასტური ამის შესახებ თეიმურაზმა 1631 წლის 14 მაისს მიიღო), ხო-
ლო როსტომი, ირანის სამეფო კარის პირველი მოხელე, რომელიც
ქართლის მეფედ დამტკიცებას ელოდა, ბალდადის დასაცავად წარ-
გზავნა¹⁸.

ამგვარად, ზემოგანხილული წერილობითი წყაროები სავსებით
ადასტურებენ ქართველი ისტორიკოსების (ნ. ბერძენიშვილის, დ. გვრი-
ტიშვილის, ვ. ვახაშვილის, გ. ჯამბურას, ნ. ნაკაშიძის და სხვათა)¹⁹
მიერ გამოთქმულ ვარაუდებს სიმონ II-ის მკვლელობაში თეიმურაზ I-
ის მონაწილეობის შესახებ (ქართველი ავტორები, ძირითადად, ფარ-
სადან გორგიჯანიძეს და როსტომ მეფის 1648 წლის სიგელს ეყრდნო-
ბიან).

სიმონის მკვლელობის თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა
გამოთქმული: ი. ჯავახიშვილი სიმონის სიკვდილის თარიღად 1629—
1630 წლებს მიიჩნევს²⁰; ნ. ბერძენიშვილი — 1630 წელს²¹, გ. ჯამბუ-
რია — 1631 წელს²², ჯ. ოდიშელი — 1632 წელს²³. „ქართულ საბჭო-
თა ენციკლოპედიაში“ ქართლის მეფეთა ნუსხაში, სიმონ II-ის გარ-
დაცვალების თარიღად, 1631 წელია შემოთავაზებული²⁴.

სიმონ II-ის მკვლელობის თარიღის შესახებ ერთიანი თვალსაზ-
რისი არც წერილობით წყაროებში არსებობს. ფარსადან გორგიჯანიძე
სიმონ II-ის აღსასრულის თარიღს პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ თუ
იმას გაეითვალისწინებთ, რომ ზურაბის მიერ სიმონის მკვლელობისა
და მისი მეუღლის, დედოფალ ჯაჰან ბანუ ბეგუმის აწიოების ეპიზო-
დებს ისტორიკოსი ქართლისა და ირანის სამეფოებში მომხდარ ამ-
ბებთან (შაჰ აბას I-ის გარდაცვალება, შაჰ სეფის გახელმწიფება, მის
მიერ ისახან ყორჩიბაშისა და მისი შვილების დახოცვა) ერთად გა-
ნიხილავს, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ჩვენთვის საინტერესო თა-
რიღად 1629 წელს თვლის²⁵. ვახუშტი ბაგრატიონი კი, სიმონ მეფის
მკვლელობას სრულიად გარკვევით 1629 წლით ათარიღებს²⁶.

ჩვენთვის საინტერესო თარიღის დადგენაში ერთგვარი გარკვე-
ულობა შეაქვთ სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თხზუ-

ლებასა და ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში დაცულ ცნობებს. ისევე როგორც ფარსადან გორგიჯანიძე, ისქანდერ მუნშიც სიმონის მოკვლის თარიღს პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ „... გაგრძელებაში“ დაცული ცნობების ანალიზიდან ჩანს, რომ სიმონი ბაღდადზე ოსმალთა სარდლის ხუსრევ-ფაშას გალაშქრებამდე უნდა მოეკლათ²⁷. (ცნობილია, რომ ოსმალთა შეტევა ბაღდადზე 1630 წლის 9 ნოემბერს დაიწყო. ოსმალებმა ბაღდადის აღება ვერ შეძლეს და იმავე წელს უკან დაიხიეს)²⁸.

ფარსადან გორგიჯანიძის მოწმობითაც, ხუსრევ-ფაშა ირანისაკენ დაიძრა. როსტომმა „სეიმონის სისხლი აღარ ახსენა“ და შაჰ სეფის ბრძანებით „ბაღდადის ციხის მისაშველებლად წავიდნენ“²⁹. დონ პიეტრო ავიტაბილეს 1633 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული ჩანაწერიდან კი ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ირანის შაჰი თეიმურაზის დასჯას 1631 წელს აპირებდა³⁰.

ამგვარად, წერილობითი წყაროები სიმონ II-ის მკვლელობის თარიღად ასახელებენ 1629, 1630 და 1631 წლებს (1632 წელი არცერთ ძველ ავტორთან არ დასტურდება). 1629 წელი — როგორც სიმონ II-ის ზიკვდილის თარიღი — თავიდანვე უნდა გამოირიცხოს, რადგან მის მიერ გაცემული, დღეისათვის ცნობილი უკანასკნელი საბუთი 1630 წლის 2 აგვისტოთია დათარიღებული. აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ქართლში ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთების გაცემაში ჭერჭერობით ლაყუნა არსებობს: 1630 წლის 2 აგვისტოს ქართულ-სპარსული დოკუმენტების გაცემა წყდება და მხოლოდ ქართლის ტახტზე როსტომის დამტკიცების შემდეგ ახლდება 1633 წლის 26 მარტიდან³¹. აქედან გამომდინარე, და ზემომოტანილი წყაროების (ისქანდერ მუნშისა და ფარსადან გორგიჯანიძის) მონაცემების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიმონ II 1630 წლის 2 აგვისტოსა და 1630 წლის 9 ნოემბერს შორის უნდა მოეკლათ.

აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგიც უნდა ითქვას: ირკვევა, რომ თეიმურაზმა თავისი ასული დარეჯანი, ზურაბ ერისთავის ქვრივი, იმერეთის ბატონიშვილ ალექსანდრე გიორგის ძეზე დააქორწინა და ამ აქტით დასავლეთ საქართველო მოკავშირედ გაიხადა. ავიტაბილეს თანახმად, ქორწინება 1631 წლის 14 მაისს მომხდარა, გორიდან ერთი დღის სავალ გზაზე — საპორწულში³². ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, შაჰის მიერ ქართლის მეფედ დამტკიცება თეიმურაზ I-ს თავისი ქალიშვილის ქორწილში მიუღია³³ (ე. ი. 1631 წლის 14 მაისს). ბოღბის სიგელის მოწმობით, თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ 1631 წელს დაუმტკიცებიათ³⁴. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც

თეიმურაზის ქართლ-კახეთის მეფედ კვლავ აღიარების თარიღად 1631 წელს თვლიან³⁵.

ამგვარად, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ორი საყურადღებო დასკვნის გამოტანა შეიძლება:

1. 1631 წლის 14 მაისისათვის სიმონ II-ც გარდაცვლილია და ზურაბ ერისთავიც (ცნობა ზურაბის ქვრივის დაქორწინების შესახებ) და

2. ქართლის მეფედ თეიმურაზის ოფიციალური დამტკიცება ბაღდადის ოპერაციამდე (1630 წლის 9 ნოემბრამდე) კი არ მომხდარა, არამედ 1631 წლის გაზაფხულზე.

ქვენ მეორე დასკვნასთან დაკავშირებით, შეიძლება კითხვა დაგვებდოს, ცნობა 1631 წლის გაზაფხულზე შაჰის მიერ ქართლის მეფედ თეიმურაზ I-ის დამტკიცების შესახებ იმის მანიშნებელი ხომ არ არის, რომ სიმონ II-ისა და ზურაბის მკვლელობაც 1631 წლის მომხდარ ამბებს წარმოადგენდეს? ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე დადებითი პასუხისათვის საფუძველი არ არსებობს. ამ თვალსაზრისით, ზემომოტანილ იმ ცნობებთან ერთად, რომელთა თანახმად ბაღდადისათვის ბრძოლის წინ (1630 წლის 9 ნოემბერს) სიმონისა და ზურაბის მკვლელობა უკვე მომხდარ ფაქტს წარმოადგენდა, ისიცაა საგულისხმო, რომ ავითაბილეს ჩანაწერის თანახმად, თეიმურაზის დასჯის მიზნით (დასჯის მიზეზზე ავტორი, სამწუხაროდ არაფერს გვეუბნება) შაჰი ქართლში ლაშქრის გამოგზავნას აპირებდა, მაგრამ შემდეგ ამ განზრახვის აღსრულება ერთი წლით გადასდო³⁶, რაც იმის კონსტატაცია უნდა იყოს, რომ შაჰის მიერ ქართლის მეფედ თეიმურაზის აღიარებასა და სიმონ II-სა და ზურაბ ერისთავის მკვლელობებს შორის მართლაც დროის გარკვეული ინტერვალი (6 თვე) არსებობდა.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნული მხარს უჭერს იმ ავტორების მოსაზრებას, რომლებიც სიმონ II-ის მკვლელობას 1630 წლით ათარიღებენ. ამასთანავე, მოხმობილი წყაროები ახალი არგუმენტებით ამ თარიღის შემაგრებისა და მნიშვნელოვნად დაზუსტების საშუალებას გვაძლევენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ სიმონ II-ის მკვლელობის საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVII საუკუნის 30—50-იანი წლების ქართლის სამეფოს პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად. რადგან როსტომსა და თეიმურაზს შორის გაუთავებელი უთანხმოებისა და ძმათა სისხლისღვრის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ამ ფაქტიდან მომდინარეობს.

ქართლ-კახეთის გაერთიანება და მის სათავეში ქრისტიანი მეფის მოქცევა თავისთავად პროგრესული მოვლენა იყო ქვეყანას შაჰაბასის გამანადგურებელი შემოსევებით მიყენებული ჰრილობების მოშუშება, დაქცეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენა-მოშენება ესა-

ქიროებოდა. იტალიელი ბართლომეო ფეროს ცნობით, „ამერიიდან საქართველოში მშვიდობა დამყარდა და თეიმურაზის ბრძნული პოლიტიკის წყალობით ქვეშევრდომები მამად მიიჩნევდნენ თავიანთ მეფეს“³⁷. ისქანდერ მუნშის მოწმობითაც, შაჰის წყალობით თეიმურაზის სამეფო ბადად იქცა, სადაც ქართველთა მეფე სრულუფლებიანი და ღირსეული გამგებელი იყო³⁸.

სინამდვილეში საქმის ვითარება სხვაგვარად წარმართა. თეიმურაზ I სუსტი პოლიტიკური მოღვაწე აღმოჩნდა. ი. ჯავახიშვილის სიტყვებით, თეიმურაზ I-ის „... უგუნური და ბეცი ყოფაქცევისა და მდიდური პოლიტიკის წყალობით... ქართველთ გული გააუებოდა... გზასა და ღონეს რასმე ეძებდნენ ორსავე ტახტის გამაერთებლის საწინააღმდეგოდ“³⁹.

თეიმურაზ I-ის „პოლიტიკური სიბეცე“, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება. რომ კახეთი ქართლს დაუპირისპირა. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, „კახნი ქართველზედ ამაყობდეს და ხმლით დაქირულს ესახდეს და უპატიოთაც ეპყრობოდეს“⁴⁰.

ქართლ-კახეთის დაპირისპირება, უპირველეს ყოვლისა, ქართლის სამეფო კარის სამოხელეო აპარატს შეეცყო: ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები კახელ მოხელეთა ხელში გადავიდა. არანაკლები დამაპირისპირებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო საადგილმამულო ურთიერთობაში მომხდარი ძვრები, კერძოდ. ირანს ნებით თუ იძულებით წასულ ქართლელ ფეოდალთა მამულების კონფისკაცია და კახელ მოხელეთათვის მათი გადაცემა⁴¹.

ქართლში თეიმურაზის გავლენა და ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. თეიმურაზის საწინააღმდეგო განწყობილება კიდევ უფრო მეტად გამძაფრდა განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობის შემდეგ, რომლის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ (იხ. ამავე თავის § 2). შექმნილ ვითარებაში ქართველებმა კახთ ბატონის თავიდან მოშორება განიზრახეს, როგორც ქართლის „არამკვიდრი მეფისა“ და „დროებით გამგებლისა“⁴².

ამ დამძულ სიტუაციაში ქართლის ფეოდალთა ერთმა ნაწილმა ქართლის სამეფო ტახტზე ასაყვანად მისი კანონიერი პრეტენდენტის, ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის ძის, დავით XI-ის (დაუთხანის) ვაჟის, ხოსრო-მირზა ბაგრატიონის (შემდგომში როსტომის) კანდიდატურა წამოაყენეს, რომელიც ამ დროს ირანის შაჰის კარზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა⁴³. ამ გზით თეიმურაზს ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე დაუპირისპირდა.

ხოსრო-მირზა ბაგრატიონი (როსტომ მეფე) ჩვენთვის საინტერესო საკვლევი პერიოდის (XVII საუკუნის 30—50-იანი წლების) საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ბოლო დრომდე ამ მეფის პიროვნების ფენომენი და აქედან გამომდინარე მისი მოღვაწეობაც ობიექტურად შეფასებული არ არის. როსტომ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უბრალო თვალის გადავხედვის დროსაც კი, უნებლიედ იზადება კითხვა, როგორ შესძლო გამაჰმადიანებულმა ქართველმა ბატონიშვილმა ჯერ სეფიანთა ირანის კარზე, ხოლო შემდეგ წინააღმდეგობებით აღსავსე საქართველოში ასე მტკიცედ ფეხის მოკიდება. ჩვენი აზრით, ამ და როსტომ მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სხვა არაერთ კითხვაზე პასუხი სწორად ამოხსნილმა მისმა ბიოგრაფიამ უნდა გასცეს. ამ თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი დაბადების თარიღისა და განსაკუთრებით, დაბადების ადგილის დადგენას. იმ სიტუაციის წარმოდგენას, რომელშიც მომავალი მეფის პიროვნება ჩამოყალიბდა.

ისტორიკოსთა უმრავლესობის აზრით, როსტომი ირანში დაიბადა 1565 წელს, იქვე აღიზარდა და გამაჰმადიანდა⁴⁴. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ხოსრო-მირზა დაუთხანის უკანონო შვილი იყო, შექმნილი წავეციელი გლეხის ქალისაგან, რომელიც დაუთხანს შაჰ თამაზის კარზე ყოფნისას თან ახლდა („და ვითარცა მიდგომილ იქნა დედაკაცი იგი დავითის მიერ, იქვე ირანში... შვა ძე და უწოდა სახელად ხოსრო-მირზა“). ამავე ისტორიკოსის გადმოცემით, დაუთხანი ქართლის მეფედ შაჰისაგან ბოძებული რაყამით დამტკიცებული უკან დაბრუნებულა საქართველოში. დედა-შვილი ქართველთ აშალას არ გამოჰყოლია. ისინი ირანში დარჩენილან და „სჯულითა მაჰმადიანნი“ დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან. ფარსადან გორგიჯანიძე არაფერს ამბობს ირანში ხოსრო-მირზას დაბადებისა და იქ აღზრდის შესახებ. ნაშრომის იმ ადგილას, სადაც ისტორიკოსი შაჰ თამაზის კარზე დავით (დაუთხანის) ლუარსაბის ძის ჩასვლას ეხება არც „ხარკა წავეციელ გლეხ ქალს“ იხსენიებს და არც ირანში როსტომის დაბადების შესახებ გვამცნობს რაიმეს⁴⁵. არჩილი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: „როსტომ მეფეა ძე მხეველის და არა აზნაურის“⁴⁶. ვახუშტი ბატონიშვილი კი გვამცნობს: „... ესე ხოსრო-მირზა იყო ძე დაუთხანისა, ნაშობი ხარკისაგან ისპაჰანს ყოფასა შინა და მიერითგან იყო უპატიოდ და უპოვარ ფრიად“. და იქვე: „... როსტომ მეფე იყო მაჰმადიანი და მუნ აღზრდილი, რამეთუ მოვიდა მეფედ 5-ზ (67) წლისა იყო საქმით ზუნჯიანი სოფლის, ფრიად ქეუანი. მოკმულ მდიდარი“⁴⁷.

როგორც ვხედავთ, ფარსადან გორგიჯანიძისა და არჩილისაგან განსხვავებით, ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი, ხოსრო-მირზას ირან-

ში დაბადებულად, და იქვე აღზრდილად და გამაჰმადიანებულად მიიჩნევენ. გამეფებამდე ქართლში როსტომის ყოფნაზე ისინი არაფერს ამბობენ. სხვა რაიმე პირდაპირი მითითება როსტომ მეფის დაბადების თარიღისა და ადგილის შესახებ ჭეგრავრობით არ მოგვეპოვება. ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შაჰ თამაზის კარზე ძმის სიმონ I-ის მიერ განაწყენებული დავით XI-ის (შემდგომში დაუთხანი) ჩასვლისა, გამაჰმადიანებისა, მეფედ დამტკიცებისა და ქართლში როსტომის გამეფების ვახუშტისეული თარიღების შეჯერების შედეგს.

XVI საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ ცხრაას სა-მოცდაცხრა (ე. ი. 1561/2) წელს მოხდარ ამბებზე საუბრისას გვამცნობს: „იმ წელს, რაბი ოს-სანის თვის ჩვიდმეტს, დავით-ბეგი, ლუარსაბის შვილი, რამდენიმე აზნაურით საქართველოდან ყაზვინს მოვიდა და მუსლიმანი გახდა. რჯულის საფარველმა შაჰმა თბილისის გამგებლობა მას უწყალობა“⁴⁸. ჰასან რუმლუს ამ ცნობის კომენტარში რ. კიკნაძე აღნიშნავს: „ამრიგად, დავითი ყაზვენს მისულა 1561 წლის 25 დეკემბერს. ჰიჯრის 969 წელი 1561 წლის 11 სექტემბერს იწყება და 1562 წლის 30 აგვისტოს მთავრდება. რაკი ჰასან რუმლუ ამავე 969 წლის ამბებში აღნიშნავს, რომ „რჯულის საფარველმა შაჰმა თბილისის გამგებლობა მას უწყალობა“, ეს ნიშნავს, რომ დავითი თბილისში ჰიჯრის 969 წელსვე, ე. ი. 1562 წლის 30 აგვისტომდე დაბრუნებულა“⁴⁹.

ამგვარად, როსტომის მამა დავით XI (დაუთხანი) ირანის შაჰის კარზე ჩასვლიდან (1561 წლის 20 დეკემბერი) არა უგვიანეს რვა თვისა ქართლის მეფედ დამტკიცებული საქართველოში მობრუნებულა (1562 წლის 30 აგვისტომდე). ამ თარიღს (1562 წ.) სხვა წყაროც ადასტურებს.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, დაუთხანი 1562 წელს უკვე თბილისისა და ქვემო ქართლის მეფეა, რომელსაც მისი ძმა სიმონი ტახტიდან გადასაყენებლად ებრძვის⁵⁰. აქვე შევნიშნავთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართლში დაუთხანის გამეფების თარიღად ერთხმადაა აღიარებული 1562 წელი (ვ. გაბაშვილი, დ. კაციტაძე, ვ. გუჩუა, რ. კიკნაძე)⁵¹.

ცნობილია, რომ ქართული, ევროპული და აღმოსავლური წერილობითი წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, ქართლში როსტომის გამეფება 1633 წლის ზამთრით, უფრო ზუსტად, 1633 წლის 18 თებერვლით თარიღდება⁵².

ვახუშტის ცნობით, ქართლში როსტომი 67 წლის ასაკში გამეფდა, 1634 წელს⁵³. აქედან გამომდინარე, როსტომი 1566 წელს, ან 1567 წლის დასაწყისში (იანვარში) უნდა დაბადებულიყო⁵⁴.

ახლა, თუ ირანში დაუთხანის წასვლისა და საქართველოში დაბრუნების თარიღს (1561—1562 წწ.) კვლავ გავიხსენებთ და როსტომის გამეფების ყველა მკვლევრის მიერ გაზიარებულ თარიღს შევუდარებთ, დავინახავთ, რომ ერთადერთი სწორი შეიძლება იყოს ვარაუდი, რომლის თანახმადაც როსტომი 1566—1567 წლებში დაიბადა საქართველოში და არა ირანში. თუ მაინცდამაინც დავუშვებთ, რომ იგი ირანში დაიბადა 1561—1562 წლებში (მისი მამის დავითის იქ ყოფნის დროს), მაშინ ეკვი უნდა შევიტანოთ ყველა იმ ცნობის სანდოობაში, რომელიც ქართლში როსტომის გამეფებას 1633 წლის 18 თებერვლით ათარიღებს, აგრეთვე ვახუშტის იმ ცნობაშიც, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს, რომ როსტომი 67 წლის ასაკში გამეფდა 1634 წელს. ამგვარი ეჭვებისათვის ჭერჭერობით არავითარი სერიოზული საფუძველი არ გავვაჩნია. !

როსტომის ბიოგრაფიის სწორი ინტერპრეტაციისათვის ისიც უნდა გაირკვეს, თუ როდის წავიდა მისი მამა დავით XI ოსმალეთში. ამ საკითხთან ორგანულადაა დაკავშირებული საქართველოში დაბადებული ბატონიშვილის (როსტომის) ირანში წასვლის თარიღის დადგენა. ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობების თანახმად, 1578 წელს ირან-ოსმალეთს შორის ომის განახლებისთანავე ოსმალეთის ჯარი მუსტაფა ლალა ფაშას სარდლობით ქართლში შემოიჭრა. ირანის მთავრობამ ოსმალეთის შემოტევას და ქართლის მეფის დაუთხანის მმართველობას მოხერხებულად დაუპირისპირა ქართველ მეომართა ძალა და შაჰის ტყვეობიდან ამ დროისათვის განთავისუფლებული მისი ძმა სიმონ I ირანის ლაშქრის თანხლებით. ყიზილბაშთაგან ზურგმუქცეულმა დავით XI-მ თბილისი გადაწვა, ქართლის ციხეები ოსმალებს გადასცა და სტამბოლს ხონქართან შეაფარა თავი⁵⁵. იგივეს გვაუწყებს ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ამასთანავე აღნიშნავს: „დავით მეფის შვილები მამას არ გაჰყვნენ, ბაგრატი და ხოსროვ კახის ბატონის სახლში მივიდნენ და უკანის დროს ორნივე ქართლში გამეფდნენ“⁵⁶. ამ ახალ ინფორმაციას თითქმის სიტყვისიტყვით იმეორებს „პარიზის ქრონიკა“: „დაუთხანის სტამბოლს წასვლის შემდეგ, მისი ორივე შვილი ბაგრატი და ხოსრო მამას არ გაჰყვნენ სტამბოლში. კახი ბატონის სიძე იყო ბატონი ბაგრატი, სიმამრისას დადგა და უმცროსი ძმა ხოსროვ მირზა ისიც ძმასთან დადგა და ბოლოს ყაენის კარზე ჩავიდნენ“⁵⁷. „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“ იგივეს გვაუწყებს⁵⁸.

ამგვარად, მოტანილ ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ სულთანთან დავით XI-ის წასვლის მიზეზს ირანის შაჰის ახალი მტრული აქციები წარმოადგენდნენ. დავითი სულთანთან 1578 წელს გაიქცა. სტამბოლში გახიზნულ დაუთხანს ვაჟები — ბაგრატი და ხოსრო-მირზა თან არ ახლდნენ.

მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, განხილულ ცნობებში ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია უნდა იყოს შემონახული. ამის გამო, ამ ცნობების საფუძველზე ზემოთ გამოტანილი დასკვნებიც უმართებულოდაა მისაჩნევი.

ქართული, ევროპული და აღმოსავლური წყაროების მონაცემების საფუძველზე მ. სვანიძემ⁵⁹ დამაჯერებლად უჩვენა, რომ ოსმალეთის სულთანთან დაუთხანის წასვლა საქართველოში სარდალ ლალა ფაშას შემოსევის დროს, ე. ი. 1578 წელს არ მომხდარა. მართლაც, ისქანდერ მუნშის ცნობების შუქზე ირკვევა, რომ 1578—1579 წლებში დაუთხანი ირანის ლაშქართან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძვის შირვანისა და დარუბანდის მიდამოებში. უფრო მეტიც, 1581 წელს დავით მეფე, ჯერ კიდევ საქართველოშია კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის კარზე (ვფიქრობთ, შეილებთან ერთად) თავშეფარებული⁶⁰.

ოსმალური წყაროების მოწმობით, სიმონ I-საგან და სპარსელებისაგან შევიწროებული დაუთხანი 1581 წლის ოქტომბრიდან უკვე ოსმალეთთანაა დაკავშირებული და მათი დახმარებით ცდილობს ქართლში თავისი უფლებების აღდგენას⁶¹. იმავე წყაროების თანახმად, ოსმალეთის მხარეზე დაუთხანის გადასვლა საქართველოში ოსმალთა სარდლის ფერჰად ფაშას ლაშქრობის დროს (1582—1585 წწ.) მოხდა (დაუთხანი ამ სარდლის დახმარებით ცდილობდა ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნებას)⁶².

სადღეისოდ ისიცაა ცნობილი, რომ ფერჰად ფაშას დავალებით, ანატოლიის ბეგლარბეგს, რიდვან ფაშას, ალექსანდრე კახთა მეფესთან თავშეფარებული დაუთხანი კახეთიდან ლორეში უნდა მიეყვანა⁶³.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის თურქი ისტორიკოსი მუსტაფა სელიანიჩი. ამ ცნობების მიხედვით დაუთხანი თავისი ხუთი ბეგისა და ერთი „მამაცი შვილის“ თანხლებით, 1584 წელს ფერჰად ფაშასთან გამოცხადდა, შემდეგ ამ უკანასკნელის დახმარებით სტამბოლს მივიდა, ხონთქრის კარზე⁶⁴.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი: XVI საუკუნის ანონიმი ესპანელი ავტორი გვამცნობს, რომ სტამბოლში დაუთხანი 1585 წლის 20 იანვარს ჩავიდა, ვაჟიშვილთან და ოცამდე თანმხლებ პირთან ერთად⁶⁵. ამ თარიღს (1585 წ.) თვით დავით XI-ც (დაუთხანიც) ადასტურებს საქართველოსა და ოსმალეთში დაწერილ თავის თხზულებაში — „იადიგარ დაუდში“⁶¹.

ამგვარად, საკმაოდ მყარი საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ სტამბოლში დაუთხანი, მისი ვაჟიშვილი და თანმხლები პირები 1585 წლის იანვარში ჩავიდნენ და არა 1578 წელს, როგორც ამას ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბაგრატიონი ფიქრობდნენ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მესტაფა სელიანიჩი და XVI საუკუნის ანონიმი ესპანელი ავტორი (რომელიც, თვითმხილველი იყო ოსმალეთის სულთნის კარზე მომხდარი ამბებისა) ერთხმად მიუთითებენ, რომ დაუთხანს სტამბოლში ჩასვლისას ვაჟიშვილი ახლდა თან. ყველა მონაცემებით, ამ ვაჟიშვილში ხოსრო (როსტომი) უნდა იგულისხმებოდეს.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს მესტაფა სელიანიჩის მიერ დაუთხანის შვილის დასახასიათებლად გამოყენებული ტერმინი „მამაცი“, რადგან. როგორც წესი, ქართულ. ევროპულ და აღმოსავლურ წყაროებში (ფარსადან გორგიჯანიძის. დონ პიეტრო ავიტაბილეს, ჟან შარდენის, ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტის და სხვათა თხზულებებში) ამ ეპითეტით მაინცდამაინც როსტომს ამკობენ.

ხოსროსთან (როსტომთან) მესტაფა სელიანიჩისეული „მამაცი შვილის“ იდენტიფიცირებას შემდეგი უკერძო მხარს: დაუქორწინებელ ხოსროს (როსტომს), დაქორწინებული ბაგრატიანგან განსხვავებით, საქართველოში საიმედო თავშესაფარი არ გააჩნდა (ზემოთ, წყაროების მოშველიებით. ნაჩვენებია, რომ დაუთხანის ვაჟი — ბაგრატი — კახეთის მეფის სიძე იყო, თან დედით „კახთ ბატონის ალექსანდრესი ახლო“, რომ ქართლიდან გამოქცეული იგი სიმამრის კარზე ცხოვრობდა). ამასთანავე როსტომს, როგორც დაუთხანის უკანონო შვილს გაცილებით უფრო დიდი საფრთხე ელოდა საქართველოში, ვიდრე კანონიერ ბაგრატს. და ბოლოს, სტამბოლში დაუთხანის ჩასვლის მთავარ მიზანს სულთნის დახმარებით ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნება წარმოადგენდა. წყაროებიდან ვგებულობთ, რომ დახმარების სანაცვლოდ სულთანს დაუთხანი არა მხოლოდ მორჩილებას, არამედ მძევლად საკუთარი ვაჟიშვილის დატოვებას აღუთქვამდა. ბუნებრივია, რომ მძევლობის კანდიდატი მეფის უკანონო, უმცროსი და დაუქორწინებელი შვილი — ხოსრო იქნებოდა და არა კანონიერი, წლოვანებით უფროსი, თანაც კახეთის მეფის სიძე — ბაგრატი.

ამგვარად, დაუთხანის ამაღლაში ხოსრო ბატონიშვილის ყოფნას, რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, დამაჯერებელი არგუმენტები ეძებნება.

„იადიგარ დაუდის“ მოწმობით. დაუთხანმა და მისმა ამაღლამ სტამბოლში ორი წელი დაჰყო. დაუთხანი ამბობს. ჩუენ მეჟუთ მეფის, ბატონისა ლუარსაბის ძე საწყალი დაუთხან ჩუენსა საქმეზედა ისტამბულს. სულთან მურად ხელმწიფესთან მოვედით სასაქმოდ, და აქა ისტამბულს ორსა წელიწადსა ვიყავით...“⁶⁷ მოტანილი ამონაწერი მანიშნებელია, რომ საქართველოში დაუთხანის დაბრუნება 1587 წლით უნდა დავათარილოთ. იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის, განსაკუთრებით კი, სულთანთან დაუთხანის ურთიერთობის შედეგების

გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში დაუთხანთან ერთად მისი ვაჟი ხოსროც (როსტომი) ჩამოვიდა.

ქართული წყაროებიდან ვგებულობთ, რომ დაუთხანს სიცოცხლის ბოლო წლები საქართველოში გაუტარებია, აქვე აღუსრულებია თავისი მრავალტანჯული არსებობა⁶⁸. (არაპირდაპირი მითითებით, იგი 1600 წელზე ადრე, სულთნის მიერ სიმონ I-ის დატყვევებამდე, არ უნდა გარდაცვლილიყო)⁶⁹.

ზემომოტანილი მსჯელობა კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: ირანში როსტომის გამგზავრება⁷⁰ არაუადრეს 1587—1600 წლებისა უნდა მომხდარიყო, როდესაც იგი 21—22 ან გაცილებით უფრო მეტი ხნისა იყო.

ამგვარად, ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: 1. როსტომი 1565—1567 წლებში ქართლში დაიბადა და არა ირანში; 2. 1566—1567 წლებიდან 1587—1600 წლებამდე (1585—1587 წლების გამოკლებით, როდესაც იგი დაუთხანს ახლდა სტამბოლში) საქართველოში იმყოფებოდა; 3. 1587 წლამდე (და შესაძლოა 1600 წლამდეც) ქრისტიანი იყო; 4. სწავლა-განათლება⁷¹, პოლიტიკური და სამხედრო წრთობა საქართველოში მიიღო (17—18 წლის კაბუკს — როსტომს, უკვე „მამაკს“ უწოდებდნენ); 5. ირანის კარზე როსტომი არაუადრეს 1587 წლისა უნდა ჩასულიყო. ამავე პერიოდში მიიღო მან მამადიანობა. ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე როსტომის გამოჩენა 1618 წლით თარიღდება, როდესაც შაჰ აბას I-მა მას ისფაჰანის ტარულას (მოურავის) თანამდებობა უბოძა⁷².

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიაზრებთ ზოგიერთ ისტორიულ წყაროში და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც როსტომი დაიბადა ირანში, დაბადებიდანვე გამამადიანდა, აქვე აღიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც პიროვნება.

§ 2. განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობა

ზემოთ აღინიშნა, რომ XVII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს, თეიმურაზ მეფის მიერ ქართლ-კახეთის სამეფო გვირგვინის დაკარგვისა და შაჰის მიერ გამამადიანებული როსტომის ქართლის მეფედ გამოგზავნის ერთ-ერთ ხელშემწყობ და დამაჩქარებელ ფაქტორს განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობა წარმოადგენდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ განჯა-ყარაბაღის ლაშქრობის საკითხი არაერთგზის ყოფილა მკვლევარების შესწავლის საგანი, ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით მას.

XVII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს, შაჰ აბას I-ის გარდაცვალებისთანავე (1629 წელს), ირანის შაჰის კარზე ორი, ურთოდესობისპირებული მხარე გამოიკვეთა¹. ერთ მხარეს — შაჰის ტახტზე ახლადასული, შაჰ აბას I-ის ახალგაზრდა შვილიშვილი — სემი-მირზა (შემდეგ შაჰ-სეფად წოდებული) — წარმოდგენდა, რომელსაც ხოსრო-მირზა ბაგრატიონი ედგა მხარში, მეორეს — გამაჰმადიანებული ქართველების უნდილაძეების ძლიერი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები. ამ ორი მხარის დაპირისპირებას, ბუნებრივია, თავისი მიზეზები ჰქონდა. ამ მიზეზების წარმოსაჩენად კი, შემდეგია გასათვალისწინებელი.

ცნობილია, რომ დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთის მანძილზე (XVI საუკუნიდან მოყოლებული), უნდილაძეების სახლის წარმომადგენლები (ალავერდი-ხანი, იმამყული-ხანი, დაუდ-ხანი) აქტიურ როლს თამაშობდნენ სეფიანთა ირანის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში². საქართველოდან ტყვედ წაყვანილი ალავერდი-ხანი XVI საუკუნის მიწურულიდან დაწინაურდა და აქტიურად მონაწილეობდა ირანის სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. ალავერდი-ხანი, ირანის ჯარის პირველი ქართველი ყულარალასი და ირანის უმნიშვნელოვანესი ოლქის — ფარსის ბეგლარ-ბეგი იყო. სამხედრო რეფორმა შაჰ აბას I-მა, მისი ენერგიული მონაწილეობითა და რჩევით განახორციელა³. ალავერდი-ხანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი, იმამყული-ხანი დაწინაურდა, რომელმაც ფარსის ამირობას, ქუჰგილუეს ბეგლარბეგობას, ლარის ჯერუსიას, ბაჰრეინის, პორმუზის, გულფაიგანის და თუისერგანის მბრძანებლობას მიაღწია⁴ (XVII საუკუნის ევროპულ წყაროებში იგი სამხრეთ ირანის „ვიცე კოროლის“ ტიტულითაა წარმოდგენილი)⁵. იმამყული-ხანის უმცროსი ძმა დაუდ-ხან უნდილაძე ჯერ ფარსის საბეგლარბეგოს ერთ-ერთი ხანი იყო, ხოლო 1625 წლიდან — განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი, ყაჯართა ელისა და ოიმახის წინამძღოლი⁶. და ბოლოს, იმამყული-ხანის ვაჟი, სეფიყული-ხანი — ლარის საბეგლარბეგოს ედგა სათავეში¹. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უნდილაძეების ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი ყულარალასობისა და ბეგლარბეგობისა, საქართველოს წინააღმდეგ ყიზილბაშთა მიერ მოწყობილ ლაშქრობებში პირადად მონაწილეობა არასოდეს მიუღიათ⁸.

ირანის შაჰის კარზე XVI საუკუნის მიწურულიდან დაწინაურებული ამ ძლიერი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს 1618 წლიდან ქართველი ბატონიშვილი ხოსრო-მირზა ბაგრატიონი დაუპირისპირდა, რომელმაც შაჰ აბას I-ის კარზე მოხვედრილმა, გონიერებითა და სიმამაცით შაჰის მოწონება დაიმსახურა, დაწინაურდა, მალე შაჰის ჯარების ყულარალასობა (მხედართმთავრობა) მიიღო და „ისფა-

ჰანის მოვრაობაც აქუნდა⁹. ხოსრო-მირზასვე სიტყვებით: „...ჩ¹ნს ბედნიერს შაჰ აბას ყაენს მახლეს... ვითა მართებდა ჩუშნთა უკართა მეფეთა ნათესავსა. რა გაჟაჟყავდით და მოვაწონეთ თავი სამსახურითა, უყვარდით და უღირდით შვილურად; გვიბოძა ყულარადასობა. მაშინ იყო ყულთ ჭარი ქაოოუშლიშვილი ბედნიერის ყაენის მასახელე-ბელი, სადაც გუასარდრის და ვაგუგზავნის გამარჯებულნი და პირნათელნი მოვიდით. მრავალი სახელი და გამარჯუება გვინახის, ასე ეწადა რომე სამსახურისა ჩუენისა სამუქმოდ ბევრი ექნა და უფრო სიდიდე მოემატნა¹⁰. ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის ცნობითაც, 1625 წელს საქართველოში, არშის ციხესთან წარმატებით ჩატარებული ბრძოლის შემდეგ შაჰ აბას I-მა ხოსრო-მირზას ყულარადასობა უბოძა¹⁰.

მაგრამ განუზომლად განმტკიცდა ხოსრო-მირზას პოზიციები მას შემდეგ, რაც 1629 წელს შაჰ აბას I გარდაიცვალა და ქართველმა ბატონიშვილმა შაჰის კარი მოსალოდნელ დინასტიურ სისხლისღერას ააცდინა. „ყულის ჭარის“ დახმარებით, მან შაჰ აბას I-ის ახალგაზრდა შვილიშვილი სემი-მირზა ირანის შაჰის „ტახტზე დასვა“¹¹. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებით: „... ისფაჰანს როსტომ მეფის ცდით შაჰ სეფი ყაენი გახემწიფდა..., ქართველთ დრო დაიცეს და უპატრონობა თქვეს და ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“¹². ისქანდერ მუნშის თანახმადაც, ტახტზე სემი-მირზას აყვანით, ხოსრო-მირზამ „მაღალი მდგომარეობა მოიპოვა“ და „უმალლეს ხარისხამდე ამაღლდა“¹³, ხოლო კარმელიტების „ქრონიკის“ მოწმობით, ახალი შაჰის ყველაზე მახლობელ პირთა შორის, ისფაჰანის ყოფილი ტარულა, ხოსრო-მირზა იყო¹⁴.

შაჰის კარზე ხოსრო-მირზას ეგოდენ დიდ აღზევებას არ შეეძლო უნდილაძეთა დიდი სახლის წარმომადგენელთა გალიზიანება და შემფოთება არ გამოეწვია. მაგრამ, ერთი მხრით შაჰისა და ხოსრო-მირზას, ხოლო, მეორე მხრით, უნდილაძეთა ურთიერთდაპირისპირებას არა იმდენად ხოსრო-მირზას გავლენისა და ავტორიტეტის ზრდა აპირობებდა, არამედ ის, რომ თვით შაჰს აღარ აწყობდა თავის ქვეყანაში უნდილაძეთა სახლის შემდგომი წინსვლა¹⁵ და გაძლიერება. გარდა ამისა, უნდილაძეების მთელი სიმპათიები ქრისტიანი თეიმურაზის მხარეზე იყო (ხომ ცნობილია, რომ 1626 წელს თეიმურაზმა ქართლ-კახეთის სამეფო გვირგვინი სწორედ დაუდ-ხანის დახმარებით დაიბრუნა)¹⁶, ხოლო შაჰი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ასაყვანად ქართლის სამეფო გვირგვინის კანონიერ მემკვიდრეს, თავის ერთგულ კაცს, გამაჰმადიანებულ ხოსრო-მირზა ბაგრატიონს ამზადებდა. აკი, ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს კიდევ, რომ შაჰს როსტომი (ხოსრო-მირზა) „ჰყავდა მეტოქედ ქართლისა ბატონისა“. ბერი ეგნატაშვილის ამ თვალსაზრისს სხვა კონტექსტში ვახუშტი იმეორებს, რომლის თანახმადაც,

ისფაჰანში მყოფი ხოსრო-მირზა „იყო უპატიოდ და უპოვარ ფრიად“. დაოპაზობაზე მისულ ქართველ ბატონიშვილს გიორგი სააკაძე დაეხმარა და შაჰ აბასმა „მისცა ნიჭნი და მოურაობა ისფაჰანისა“. შაჰის კარზე აღზევებულმა დიდმა მოურავმა ეს არა ჰყო სიყვარულითა პატრონისათა“, არამედ რათა აღუდგინოს ლუარსაბ მეფესა მეტოქე“¹⁷.

უნდილაძეთა სახლის წარმომადგენელთა მიმართ ირანის შაჰის ნეგატიური დამოკიდებულების ამსახველ ერთ-ერთ ცნობილ ეპიზოდს, მეჯლისიდან დაუდ-ხან უნდილაძის გაძევება წარმოადგენს.

შაჰის მიერ მიღებული ამ მკაცრი გადაწყვეტილების საბაბის შესახებ წერილობით წყაროებში სხვადასხვა მოსაზრებას ვხვდებით. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად: „როსტომ მეფემ ხოსროვ ფაშაზედ გაიმარჯვა და ურუმის ლაშქარი დაბრუნდა და ყაენი ბაღდადს მობრძანდა და იმამყული-ხანის ძმა დაუდ-ხან ყარაბაღის ბეგლარბეგი უკუყო და ამაყი კაცი იყო და ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის მეჯლისიდან გაეგდებინა“¹⁸. თითქმის იგივე დასტურდება ისქანდერ მუნშის ერთ-ერთ თხზულებაში, იმ განსხვავებით, რომ იგი მეჯლისიდან განჯის ბეგლარბეგის გაძევებას ამ უკანასკნელის მისამართით ყაჯარ დიდებულთა მიერ გამოგზავნილ საჩივარს უკავშირებს¹⁹.

1633 წლის 14 მარტით დათარიღებულ ცნობაში, რომელიც კაპიტან ვედელის ეკუთვნის, ახალ, საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით. ამ ცნობის თანახმად, დაუდ-ხანი არა მხოლოდ გააძევეს მეჯლისიდან, არამედ „წესისამებრ დასაჯეს“ კიდევ (ე. ი. „გაჯოხეს“). იგივეს გვაშეცნობს კარმელიტების „ქრონიკაც“²⁰.

თუ მოტანილ პირველწყაროებს ურთიერთს შევუდარებთ. დაინახავთ, რომ მათთვის მხოლოდ ის ცნობაა საერთო, რომლის თანახმადაც, დაუდ-ხან უნდილაძე მეჯლისიდან შაჰის მიერ იქნა გაძევებული. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდთან დაკავშირებით. ხოსრო-მირზას მხოლოდ ფარსადან გორგიჯანიძე ასახელებს. ხოლო ყაჯარ დიდებულებს — ისქანდერ მუნში. ამ ავტორებისაგან განსხვავებით, ვედელი და კარმელიტების „ქრონიკის“ ავტორი გვაშეცნობენ, რომ უნდილაძე არა მხოლოდ გაძევებულ იქნა მეჯლისიდან, არამედ „წესისამებრ დასაჯილიც“. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეჯლისიდან დაუდ-ხანის გაძევების ინციდენტი სრულიად უცნობი დარჩა დანარჩენი ქართველი ავტორებისათვის (ვახუშტი ან ბერი ეგნატაშვილი)²¹.

იმავე ისქანდერ მუნშის ცნობით. დაუდ-ხანი მისი „მაჰისა და ძმის დიდი დამსახურების გამო შაჰმა მეტად აღარ დასაჯა“, ამაყი მოხელე ბაღდადიდან ყარაბაღს უნებართვოდ გაემართა და შემდეგ საქართველოში გადავიდა“²². როგორც ჩანს, შაჰისათვისაც კი არც ისე იოლ საქმეს წარმოადგენდა ირანის სამეფოში დაწინაურებული და გავ-

ლენინი დაუდ-ხანის უფრო მკაცრად დასჯა. ამიტომ იყო, რომ შაჰმა ხერხი იხმარა: უნებართვოდ²³ საქართველოში უნდილაძის გამგზავრება, მისი პატივმოყვარეობით „ახსნა“, თანაც მას ასალი თანამდებობა — თბილისის ციხის უფროსობა უბოძა²⁴ (ცნობილია, რომ უნდილაძეთა სახლის ჯერ იზოლაცია. ხოლო შემდეგ საბოლოო ფიზიკური განადგურება მოკლე დროში განხორციელდა)²⁵.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, ითამაშეს თუ არა, ხოსრო-მირზამ და ყაჯართა დიდებულებმა, მეჭლისიდან დაუდ-ხან უნდილაძის შაჰის მიერ გაძევებაში რაიმე გადამწყვეტი როლი²⁶, ფაქტი ფაქტად რჩება: დაუდ-ხანი, ერთ დროს შაჰის კარზე ძლიერი მოხელე და გავლენიანი პირი, ჩამოაშორეს ირანის მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეებს, განაწყენებული და შეურაცხყოფილი თბილისის ციხეში სამოლვანოდ გაამწყესეს.

საფიქრებელია, რომ საქართველოში დაბრუნებული დაუდ-ხანი, უპირველეს ყოვლისა, ქართლ-კახეთის მეფეს — თეიმურაზს — დაუკავშირდა. შაჰის საწინააღმდეგო აჯანყების იდეა გააცნო და ქართლ-კახეთის მეფე ერთობლივ მოქმედებაზე დაითანხმა.

როგორც ჩანს, თეიმურაზ I-სა და დაუდ-ხანის ერთობლივი გეგმა განჯა-ყარაბაღის დარბევასთან ერთად, ტახტიდან შაჰ-სეფის ჩამოგდებასა და მის ადგილზე შირაზის სასახლეში იმამყული-ხანთან აღზრდილი შაჰაბას I-ის შვილის აყვანას ისახავდა მიზნად²⁷.

განსხვავებულია ამ საკითხში თეიმურაზის ვერსია. რომელიც მან 1635 წელს მოსკოვის ხელმწიფის კარზე გაგზავნილ სიგელში წარმოადგინა. თეიმურაზი ირანის პროვინციების — განჯა-ყარაბაღის — დარბევისა და შაჰთან უთანხმოების მთავარ მიზეზად თავისი ასულის — თინათინის — შაჰისათვის საცოლედ გაგზავნაზე უარის თქმას ასახელებს²⁸. ამ სიგელში თეიმურაზი აცხადებს: „სისხლის ღვრა ჯობია, ურჯულოთა ხელში ქალიშვილის ჩაგდებასო“²⁹. ამავე დოკუმენტში თეიმურაზი აღნიშნავს, რომ მან თავისი მხედრობა შეეკრიბა, „განჯა დალაშქრა, დაანგრია, გადაწვა და მოაოხრა იქაურობა. განჯის ხანიც მას მიემხრო“³⁰. აქვე ისიცაა ნათქვამი, რომ თეიმურაზმა „არეზი გადაწვა, შაჰის პროვინციები დაარბია და 13 ათასი სპარსელი გაწყვიტა“³¹.

ამგვარად, თეიმურაზს სურდა რუსთ ხელმწიფე იმაში დაერწმუნებინა, რომ განჯა-ყარაბაღის ლაშქრობის დამწყები, მოთავე და სულისჩამდგმელი თვით იყო, დაუდ-ხანი კი, მისი მოკავშირე და თანამებრძოლი. თეიმურაზი იმასაც ხაზგასმით ამცნობდა რუსეთის მეფეს; რომ კონფლიქტი შაჰთან მას სარწმუნოებრივი შეუთავსებლობის ნიადაგზე მოუვიდა, რომ იგი ქრისტიანობის თავდადებული დამცველია. (შაჰისათვის ქალიშვილი არა მყავს, რადგან მე ქრისტიანი ვარ, შაჰი

კი — ურჯულო. თანაც ჩვენი კანონებით ამგვარი ქორწინება აკრძალულია. აქ ივერთა ქვეყანაში არავის ეს არ გაუკეთებია... და მეც ამის ჩამდენი არა ვარ)³².

არსებობს კიდევ ერთი ვერსია ამ ანტიირანული აჯანყების იდეის ავტორის შესახებ, ზემოთ მრავალჯერ დამოწმებული ისქანდერ მუნშის თვალსაზრისის თანახმად, „...დაუდ-ხანმა ძმის (ე. ი. იმამყული-ხანის — გ. ე.) დავალებით წამოიწყო ეს საქმე (განჯა-ყარაბაღის დარბევა) და უფლისწულს ტახტზე აიყვანდნენ“³³. იმავე ისქანდერ მუნშის მოწმობით. „უფლისწული (შაჰ აბას I-ის შვილი — გ. ე.) შაჰის შთამომავლობიდან იმამყული-ხანთან, ფარსში იმყოფებოდა. შირაზის გამგებელმა მას სახელი შეუცვალა. თავისი ვაჟის სახელი დაარქვა და იგი მის შვილად ითვლებოდა“³⁴. არქანჯელო ლამბერტიც შენიშნავს, რომ: უფროსი ვაჟი შირაზის ხანისა სინამდვილეში შაჰ აბასის ღვიძლი შვილი იყო“³⁵. თითქმის იგივეს იმეორებს ერთი რუსული დოკუმენტიც³⁶, ხოლო ავიტაბილეს ცნობით, იმამყული-ხანის კარზე იზრდებოდა შაჰ აბას I-ის შვილი, რომელიც სერალიდან იყო წამოყვანილი³⁷.

ამგვარად, მოტანილი ცნობებიდან გამომდინარე, იმამყული-ხანის სამფლობელოში, ირანელი უფლისწულის ყოფნა საკმაოდ სარწმუნო უნდა იყოს, რაც შეეხება აჯანყებაში იმამყული-ხანის მონაწილეობას, შემდეგი შეიძლება ითქვას:

ვ. გაბაშვილი ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით, არ გამორიცხავდა თეიმურაზისა და დაუდ-ხანის ანტიირანულ აჯანყებაში იმამყული-ხანის მონაწილეობას³⁸. თ. ნატროშვილის აზრითაც: „ძნელი დასაჯერებელია, რომ თეიმურაზ მეფისა და დაუდ-ხანის აჯანყებაში პასიური მეთვალყურის როლი ეთამაშა სახელგანთქმულ შირაზის ხანს“³⁹.

ჩვენც ვფიქრობთ, რომ იმამყული-ხანი, შაჰის კარის ძლევაშემოსილი მოხელე, არ შეიძლებოდა გულგრილი დარჩენილიყო ამ ანტიირანული მოძრაობისადმი, მით უმეტეს, რომ მის სახლში, მისივე ნაშვილები, შაჰის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იზრდებოდა. მიუხედავად ამისა, თუ იმავე დონ პიეტრო ავიტაბილესა და ისქანდერ მუნშის ცნობებს გავითვალისწინებთ⁴⁰, დავინახავთ, რომ იმამყული-ხანი ამ აჯანყების სათავეში, რასაკვირველია, არ იდგა და არც ამ სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციის აქტიური მონაწილე იყო. ირკვევა, რომ მის ამგვარ პოზიციას გამართლება ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ჰორმუზის გადაცემის სანაცვლოდ ჰორტუგალიელებისაგან სამხედრო დახმარების მიღების იმამყულისეული გეგმა უშედეგოდ დამთავრდა⁴¹. ირანშიც აჯანყებისათვის შესაფერისი სიტუაცია არ იყო (ცნობილია, რომ 1630 წელს განახლებული ირან-ოსმალეთის ომი 1632 წელსაც ირანის უპირატესობით მიმდინარეობდა: აჯანყების დაწყების მომენტში სამცხე-საათაბაგოს და ბაღდადს ირანი ფლობდა).

რაც შეეხება თვით აჯანყებას, შემდეგი უნდა ითქვას: პირველ რიგში, დაუდ-ხანმა განჯაში მყოფი ზოგიერთი უოჩი ყაჯარი მოიშორა: თავიდან⁴². შემდეგ 700 ყაჯარის თანხლებით საქართველოში გადმოვიდა და თეიმურაზთან შეთანხმებით, მდ. იორის სანაპიროზე დაბანაკდა. აქვე კახელებმა შეიდასივე ყაჯარს „თავი მოჰკვეთეს“⁴³, ხოლო მოკლულების აღჭურვილობა და ქონება ხელთ იგდეს⁴⁴.

700 ყაჯარის განადგურების შემდეგ დაუდ-ხანის და თეიმურაზის მთავარ მიზანს აზერბაიჯანის დაპყრობა წარმოადგენს. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: „შეიფიცნეს და ადრებეიანის დაქვერვა მოინდომეს“⁴⁵. ამ ოპერაციის განსახორციელებლად თეიმურაზს წინასწარი სამზადისი ჩაუტარებია. რაკი საკუთარი სამხედრო ძალით შაჰის სამხრეთი პროვინციების დალაშქრა უიმედო ჩანდა, მან საქართველოს სამივე სამეფოს ლაშქარი ამ საქმის თანამონაწილედ გაიხიზა. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, „და ქართველთა, იმერელთა და კახთა“, „განჯა, ბარდა და ყარაბაღი“ დაარბიეს⁴⁶. ისქანდერ მუნშის მოწმობით, დაუდ-ხანმა თეიმურაზი „ურიცხვი სიმდიდრის ხელში ჩაგდებით მოხიბლა და აიძულა მასთან ერთად განჯაზე გაელაშქრა“⁴⁷. იმავე ისტორიკოსის გადმოცემით, „თეიმურაზმა ქართველი მეომრებით განჯისკენ გასწია“⁴⁸. ქართველები რამდენიმე დღის განმავლობაში არბევდნენ ამ მხარეს და ღიღი ზიანიც მიაყენეს მას⁴⁹. ავიტაბილეს ცნობითაც, აჯანყებულთა პირველი დარტყმა განჯას ერგო, „ქართველებმა მოახერხეს და დაწვეს იქაურობა, ვინც ხელში ჩაიგდეს, დახოცეს“⁵⁰.

თეიმურაზს კარგად ესმოდა, რომ განჯის საბოლოო განადგურებისათვის მას საკმარისი რაოდენობისა და სიძლიერის ლაშქარი არ ჰყავდა. მალე იგი დიდი ნადავლით ხელდამშვენიებული საქართველოში დაბრუნდა და ახალი ლაშქრის შეგროვებას შეუდგა⁵¹.

ეს იყო განჯა-ყარაბაღის პირველი დარბევა. ავიტაბილეს ცნობების საფუძველზე ეს ამბავი 1632 წლის ოქტომბერ-ნოემბრით თარიღდება⁵².

თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მიერ განხორციელებულ ამ სამხედრო ოპერაციას „სწავლულ კაცთა“ შემდეგი სიტყვებით შევაფასებთ: „ბატონი თეიმურაზ ამისთვის ლაშქრობდა, ვინათგან ჰყვა სპათა სიმრავლე, მით მძლავრობდა ყოველთა წინააღმდეგომთა თვისთა და იძია შური პირველი მტერთაგან მისთა“⁵³.

ზოგი მკვლევარი ამართლებს ყიზილბაშებისადმი შურისძიების ამ ფორმით (განჯა-ყარაბაღის დარბევის ფორმით) გამომქვადუნებას⁵⁴. ჩვენი აზრით, იმ კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში, როდესაც 1626 წელს შაჰთან მიღწეული შეთანხმების პირობებში, ქვეყანა ცდილობდა მტრისაგან მიყენებული კრილობების მოშუშებას, თანაც ირანი სამხედრო და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდიდა, ამგვარ ანტიირა-

ნულ ოპერაციაში თეიმურაზის აქტიური მონაწილეობა გაუმართლებელი იყო.

რაც შეეხება განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობის მეორე ეტაპს, შემდეგი უნდა ითქვას: განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობის მეორე ეტაპის გადამწყვეტი ბრძოლისათვის თეიმურაზი უკეთ მოემზადა. ამჯერად მის მხარეზე მთელი საქართველოს ლაშქარი გამოვიდა. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, თეიმურაზის გაერთიანებულ ლაშქარში შედიოდნენ: „ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე (უკეთ გიორგი — გ. ე.)⁵⁵ იმერთა ლაშქრით“, „მესხთ თავადნი და აზნაურნი“⁵⁶, „ქართველნი და კახნი“⁵⁷.

განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობის გადამწყვეტი ბრძოლები შობის წინა დღეებით თარიღდება. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, თეიმურაზის დიდი ლაშქრობის მონაწილეებმა „განჯა-ყარაბაღი არეზამდისინ დაარბიეს და ააოხრეს“. შაჰის კუთვნილი ამ პროვინციების დარბევებზე სხვა ავტორებიც (კერძოდ, არჩილი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი, ავიტაბილე, ისქანდერ მუნში) მიუთითებენ⁵⁸. მსგავს ინფორმაციას შეიცავს რუსული დოკუმენტური მასალაც⁵⁹.

განჯა-ყარაბაღის ლაშქრობაზე საუბრისას მკვლევრები უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევენ ამ სამხედრო ოპერაციაში ქართველის გვერდით სომეხების მონაწილეობასაც.

იმავე ფარსადან გორგიჯანიძის⁶⁰ მონათხრობის თანახმად, ბარდაში მყოფ თეიმურაზს განძასარის სომეხთა კათალიკოსი „დიდი ჭარითა და ფეშქაშით“ ეახლა, ირანის ტერიტორიაზე ღრმად შეჭრის ფართო მასშტაბის სამხედრო გეგმა შესთავაზა და აქტიური პოლიტიკური მოქმედებისაკენ წააქეზა. ფარსადან გორგიჯანიძე გვამცნობს: სომეხთა კათალიკოსი „ბატონს თეიმურაზს მოუვიდა და ასრე მოახსენა: „ხონთქარი და ყაენი აშლით არიანო, დრო ამის უკეთესი აღარ იქნებისო. შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გახლავსო, ორმოცს ათას მეთოფეს მე მოვისხამო, ამავე ფეხსზედ თავრიზს მიბრძანდიო და შვიდს დღეს თავრიზი დაარბეინეთო და შვიდის წლის ჯამაგირში ლაშქართ უანგარიშეთო და სიღამდისინ ყაენი ლაშქარს შეყრიდესო, ადრებეყანის ბატონები გამოსცვალეთო, ყველგან თქვენი ყმანი დასხითო და მე ხონთქართან გამგზავნეთო, იმისგან ლაშქარს მოგაშველებო... გაქცევის ფიქრი არვის ექნებისო... და გამარჯვება თქვენ დაგრჩებისო და მთავარ ხელმწიფეთ გაკურთხებთო და საქრისტიანო შენით დაიხსნებისო და გაძრილდებიანო“⁶¹.

ამჯერად თეიმურაზმა სავსებით სწორად შეათვას არსებული პოლიტიკური სიტუაცია და კათალიკოსის მიერ შემოთავაზებული გეგმა განუხორციელებლად მიიჩნია. ფარსადან გორგიჯანიძე დიპლომის შემ-

დღე ნაწყვეტს თეიმურაზსა და სომეხთა კათალიკოსს შორის ასე წარმოგვიდგენს: თეიმურაზმა კათალიკოსს მოახსენა: „ჩერ ყარაბაღი დამიჭირავს და შირვანს ჩემის ყმის შვილი ბატონობსო, ამ ზამთარ ქართლს მივალო, ხონთქარს ფეშქაშს გაუგზავნიო, ჯარს შეევასვენებო და გაზაფხულსაო უფრო დიდის ლაშქრით ჩამოვალო“⁶². თეიმურაზ I-ის პასუხიდან ირკვევა, რომ მოცემულ ეტაპზე მას ყარაბაღის შენარჩუნების საშუალებაც კი არ ჰქონდა და მხოლოდ მისი დარბევით კმაყოფილდებოდა⁶³. ამ პასუხით განაწყენებულ კათალიკოსს მეფემ დაუდ-ხანთან ერთად გორში წაყვანა და მათი საშოვრით ავსება აღუთქვა, მაგრამ უკმაყოფილო სომეხთ მღვდელთმთავარმა, თეიმურაზს საყვედურით შენიშნა: ძროხა-ცხვრისათვის დადიანი და იმერელი მეფე არ წამოგესხაო, ქართლსა და კახეთშიაც იშოვნიდიო. და ერანის ხელმწიფე აგდენს როდის გაცლისო, რომ შენ მეორეთ კიდევ ამრიგი ლაშქარი შეიყარო. დღეს ხელობით ლაშქარს მოგინდუნებენო და ცხვრისა და ძროხის მაგიერად ტყვეს წასხმენო“. კათალიკოსისთვის თეიმურაზის მიერ უარის თქმას ფარსადან გორგიჯანიძე ამგვარ კომენტარს ურთავს: „არ იქნა ბერს, არ დაუჯერა რა“. როგორც ჩანს, ამ სტრიქონის ავტორს კათალიკოსის მიერ შემოთავაზებული საბრძოლო გეგმა საქრისტიანოს გამოხსნის საოცნებო გზად ესახებოდა⁶⁴.

ამგვარად, ზემომოტანილი ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს სომეხების დიდი სურვილი გაერთიანებული ქართულ-სომხური ძალებით, ყიზილბაშთა ძლევისა. ისიც ირკვევა, რომ საქართველოს სახით სომეხი ხალხი თავის ქომავს ხედავდა. უფრო მეტიც, გ. მაისურაძის მართებული შენიშვნით, „თეიმურაზ I-ის ქართველთა და სომეხთა მეფედ კურთხევის ინიციატივა თვით სომეხთაგან მოდიოდა“⁶⁵. ამასვე ადასტურებს არაერთი მკვლევრის მიერ გამოყენებული ერთი დოკუმენტი, მ. თამარაშვილის პირადმა არქივმა რომ შემოგვიწახა. ამ დოკუმენტში, რომელიც 1630 წლის 5 ოქტომბრითაა დათარიღებული, ნათქვამია: „თეიმურაზ-ხანს მზადა ჰყავს ოცი ათასზე მეტი მხედარი, რათა დაეპატრონოს საქართველოს და მის მეზობელ მხარეებს. იგი (თეიმურაზი) მოელაპარაკა სომეხთა პატრიარქს — მოვსეს კათალიკოსს, რათა აეკრთხონ საქართველოსა და სომეხეთის მეფედ, და სომეხთ წარჩინებულთ განუზრახავთ დაემორჩილონ ხსენებულ თეიმურაზ-ხანს“⁶⁶.

თეიმურაზისა და განძასარის კათალიკოსის საუბარი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ არაორაზროვნად მიუთითებს ირანთან ბრძოლის ამ ეტაპზე თეიმურაზის მიზანზე. ირკვევა, რომ ამჯერად თეიმურაზის მიზანი განჯა-ყარაბაღის დარბევა იყო და არა ირანის სამხრეთ პროვინციებზე გაბატონება⁶⁷.

იმავე ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ყარაბაღის დარბევით დაკმაყოფილებული ქართველები უკან დაბრუნდნენ და „დაუდ-ხანი ცოლ-შვილითა და ქონებით, სომეხთ კათალიკოსიც თავისი საყდრის მორთულობით, თეიმურაზმა გორს მოასხა... დადიანი და მეფე ალექსანდრე (უკეთ, გიორგი — გ. ე.) და მესხთ თავადნი... აღზინა და ვარიანის ქალა და გორის ნეფის წყარო ანადირა... ყველას მრავალი საჩუქარი მიართვა და გაისტუმრა“⁶⁸.

შემდეგ მოვლენები ასე წარიმართა:

შაჰ სეფიმ შვიტყო თუ არა განჯა-ყარაბაღის აოხრებისა და საქართველოში დაუდ-ხანის წასვლის ამბავი, ყაზვინისაკენ დაიძრა. აქ შაჰს თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მიერ ამირებისადმი გაგზავნილი წერილების შინაარსი გააცნეს (ცნობილია, რომ ამ წერილებში, შეთქმულები შაჰ სეფის უპირისპირებდნენ, შაჰ აბას I-ის შვილს, იმამყული-ხანის შვილობილს. რომელიც ამ უკანასკნელთან, შირაზში იზრდებოდა). ამგვარად, შაჰს განდიდებული მოხელის, იმამყული-ხანის თავიდან მოშორების შესანიშნავი საბაბი გაუჩნდა, მითუმეტეს, რომ საქართველოდან თეიმურაზის მოწინააღმდეგე დასის წარმომადგენლები, საიდუმლოდ გამოგზავნილ წერილში, საგანგებოდ აფრთხილებდნენ: „თუ საქართველოს გინდათ დაეპატრონოთ, შირაზელი იმამყული-ხანი უნდა მოიშოროთ, რადგან მთელი ქართველი ხალხის თვალები მისკენაა მიპყრობილი“⁶⁹. ივ. ჯავახიშვილის მართებული თვალსაზრისით: „შაჰის საქმეს თავისივე ხელით ქართველები აკეთებდნენ“⁷⁰. ასეთ ვითარებაში, ირანის ხელმწიფისათვის დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა არც იმამყული-ხანის თავიდან მოშორება, არც სამეფო ტახტიდან თეიმურაზის გადაყენება და არც ქართლის სამეფო გვირგვინის ხოსრო-მირზა ბაგრატიონისათვის გადაცემა.

შაჰმაც არ დააყოვნა: ყაზვინის მოედანზე იმამყული-ხანისა და მისი შვილების სიკვდილით დასჯა ბრძანა. ბრძანება სისრულეში მოიყვანეს: იმამყული-ხანი და მისი სამი ვაჟი⁷¹ — სეფიყული-ხანი, ფათალი-ბეგი და ალიყული-ხანი სიცოცხლეს გამოასალმეს. იმამყული-ხანის მოკვლა შაჰმა ქალბალი-ბეგ ეშიყალას ყაჯარს დაავალა⁷², რაც ვ. გაბაშვილის აზრით, სისხლის აღების ყიზილბაშურ წესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული⁷³. განრისხებულ შაჰს დაუდ-ხანის შეპყრობაც სურდა, მაგრამ თეიმურაზმა „ხმალზე შეფიცულის მიცემაზე (შაჰს) მტკიცე უარი შეუთვალა“⁷⁴.

და დადგა უკვე ხოსრო-მირზა ბაგრატიონის დიდი ხნის ნატერის აღსრულებისა: „შაჰ სეფიმ მას „ხანის“ ტიტული მიანიჭა და „როსტომ-ხანის“ სახელით ქართლის მეფედ დაამტკიცა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით: „... ხოსრო-მირზას მისცა ყაენმან ქართლი და უწოდა როსტომ-ხან“⁷⁵. ვახუშტის თანახმადაც, წარმოაგლინა ხოსრო-

მირზა მეფედ ქართლისად და უწოდა როსტომ⁷⁶. ამ საკითხთან დაკავშირებით იგივე ინფორმაციას გვაწვდიან ევროპული და აღმოსავლური წყაროები⁷⁷.

განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობის მიზნების. შედეგებისა და მნიშვნელობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული. ი. ჭავჭავაძის თეიმურაზის მიერ განჯა-ყარაბაღის დარბევას თავისთავად გაბედულ და ამასთანავე წინდაუხედავ ნაბიჯად მიიჩნევდა⁷⁸. გ. ჯამბურის თვალსაზრისის თანახმად, „ასეთ მძიმე ვითარებაში საჭირო იყო დინჯი და აუჩქარებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება. თეიმურაზი იმის მაგივრად, რომ თავი ირანის ერთგულ ვასალად მოეჩვენებინა და ქვეყნის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებაზე ეზრუნა, საკმაოდ მოუშვადებელი, ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა... თეიმურაზმა ამ ლაშქრობით უარი თქვა ირანის ვასალობაზე, მხარი დაუჭირა შაჰის აჯანყებულ მოხელეს, დაარბია ირანის ტერიტორია (ასე განიხილავდა მას შაჰი) და ირანთან ომი დაიწყო⁷⁹. აქვე მკვლევარი, ი. ჭავჭავაძის ზემომითითებულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, შემდეგსაც აღნიშნავს: „დიდი მსხვერპლის ფასად მოპოვებული მშვიდობა ერთბაშად გაქრა. საქართველო ირანელთა ახალი შემოსევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. აღნიშნულ ლაშქრობაში მნიშვნელოვანი მხოლოდის იყო, რომ თეიმურაზის ლაშქრობაში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის გამოსული მეომრები მონაწილეობდნენ“⁸⁰. ვ. გაბაშვილის თვალსაზრისით, თეიმურაზ I-ის აჯანყება ირანის პოლიტიკური ბატონობისაგან ქართველების განთავისუფლებას ისახავდა მიზნად⁸¹. ამავე ავტორის თანახმად, 1632 წელს ფაქტიურად ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა აჯანყებას ირანის ბატონობის წინააღმდეგ⁸². ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენთვის საინტერესო აჯანყებას თ. ნატროშვილი⁸³ და გ. მაისურაძე⁸⁴. ნ. ნაკაშიძის აზრით, განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობის მიზანი მეზობელი ყიზილბაშური სახანოების დასჯა, ნადავლის შოვნა და ამ გზით აღმოსავლეთ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება იყო⁸⁵. ამ ლაშქრობის მნიშვნელობის შეფასებისას, ნ. ნაკაშიძე არათანმიმდევრობას ამჟღავნებს. ჯერ მკვლევარი, ი. ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, აღნიშნავს, რომ თეიმურაზის ლაშქრობა წინდახედულ, წინასწარ გააზრებულ ღონისძიებას წარმოადგენდა. ხოლო შემდეგ იქვე დასძენს: „მეფე ირანის წინააღმდეგ არც აჯანყებას აპირებდა და მითუმეტეს ომს. ამისათვის ყოველად შეუფერებელი მომენტი იყო“⁸⁶.

ჩვენი აზრით, განჯა-ყარაბაღის აჯანყება იყო გაგრძელება შაჰის კარზე ზემოაღნიშნულ ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის დაწყებული

ბრძოლისა. ხელისუფლებისათვის ბრძოლა ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც ირანის სამეფო კარზე, ისე ქართლის სამეფოში.

თავდაპირველად, თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მიზანს, როგორც ჩანს, არა იმდენად განჯა-ყარაბაღის დარბევა და ნადავლის შოვნა შეადგენდა, არამედ შაჰ სეფის ადგილზე იმამყული-ხანის შვილობილის, შაჰ აბას I-ის შვილის დასმა. ამ გზით თეიმურაზს შესაძლებლობა ეძლეოდა ქართლ-კახეთის ტახტზე თავისი პოზიციები მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა. ამ ტახტის კანონიერი მემკვიდრე და პრეტენდენტი, შაჰ სეფის მიერ „მამად“ წოდებული ხოსრო-მირზა ბაგრატიონი საბოლოოდ ჩამოეშორებინა. დაუდ-ხან უნდილაძისათვის ეს აჯანყება შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის დაკმაყოფილებასა და ყოფილი ძლიერების დანგრეულობასაც ნიშნავდა. იმ ფაქტმა, რომ შაჰის საწინააღმდეგო ეს აჯანყება ვერც თეიმურაზმა და ვერც დაუდ-ხანმა სათანადოდ ვერ მოამზადეს, და რაც მთავარია, ვერც იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია შეაფასეს (მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების მეორე ეტაპზე მან საერთოკავკასიური ინტერესი გამოიწვია, როგორც პირველ, ასევე მეორე ეტაპზე, განჯა-ყარაბაღის დარბევითა და ნადავლის შოვნით შემოიფარგლა), თეიმურაზს ქართლ-კახეთის სამეფო გვირგვინი დააკარგვინა და უნდილაძეების ფეოდალური სახლის ყველაზე მეტად დაწინაურებული იმამყული-ხანისა და მისი სამი ვაჟის სიცოცხლე შეიწირა. აქედან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ ნ. ნაკაშიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას თითქოს თეიმურაზის შიერ ქართლ-კახეთის ტახტის დაკარგვა „როსტომის დიპლომატიური ინტრიგების ნაყოფი“ ყოფილიყოს. წერილობითი წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ თეიმურაზმა ამ აჯანყების მოთავეობითა და მის მთელ მსვლელობაში აქტიურობით (განსაკუთრებით, ამ აქციის მეორე ეტაპზე), თავის თავს განაჩენი თვითვე გამოუტანა⁸⁷, სამეფო გვირგვინი დაკარგა და ქართლის სამეფო ტახტისაკენ გზა გაუხსნა ამ გვირგვინის კანონიერ პრეტენდენტს, გამაჰმადიანებულ, 67 წლის ხოსრო-მირზა ბაგრატიონს.

ამასთანავე ჩვენ სავსებით ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ იმ თვალსაზრისსაც, რომ 1632 წლის აჯანყების მეორე ეტაპზე ამ ღონისძიებამ ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის საერთოქართული და უფრო მეტიც, საერთოკავკასიური ხასიათი მიიღო.

ქართლის მეფედ როსტომის დამტკიცებისთანავე, შაჰის ხელისუფლებამ ქართლში ვასალური დამოკიდებულების კომპრომისული ფორმა აღადგინა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, კომპრომისული პოლიტიკა ამგვარი შინაარსისა იყო: ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკო-

ნომიკურ წყობას: სამეფო ტახტი, გამაჰმადიანების პირობით, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა ხელში რჩებოდა; სამეფო ხელისუფლებას მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა: ქართლის მეფე „ვალის“ ტიტულით აღინიშნებოდა; საქართველოს ვალის ირანისათვის ხარკი და საჩუქრები უნდა გაეგზავნა⁸⁸.

6. ნაკაშიძის აზრით, ირანსა და ქართლს შორის დამკვიდრებულ ურთიერთობის ეს ფორმა (კომპრომისი), მისი არსებობის პირველ ეტაპზე, „არ გულისხმობდა ბაგრატიონთა აუცილებელ მაჰმადიანობას, რაც დადასტურდა 1626 წელს შაჰ აბასის, ხოლო 1629 და 1631 წლებში შაჰ სეფის მიერ თეიმურაზის ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ აღიარებაში. კომპრომისული დამოკიდებულების ძირითადი შინაარსი (მათ შორის ბაგრატიონთა გამაჰმადიანება) განსაზღვრა და დააკანონა როსტომმა საკუთარი ინიციატივით“ და სხვაგან: „გამაჰმადიანების აუცილებელი პირობა შექმნა როსტომმა“⁸⁹.

ჩვენი აზრით, ქართლისადმი ირანის კომპრომისული პოლიტიკის ის ფორმა, რომელზედაც ზემოთ მოხსენიებული მკვლევარი მიუთითებს, არც როსტომის „საკუთარ ინიციატივას“ წარმოადგენდა და არც მის მიერ იყო „დაკანონებული“. როგორც ე. შარდენის ქვემომოტანილი, ძალზე საყურადღებო ცნობიდან ირკვევა⁹⁰, ირან-ქართლის ურთიერთობაში კომპრომისის ის ფორმა, რომლის ძირითად პირობას ბაგრატიონთა დინასტიიდან გამოსულ მეფეთა გამაჰმადიანება წარმოადგენდა, ქართლში როსტომის გამეფებამდე 20 წლით ადრე, 1614 წელს დააკანონა შაჰ აბას I-მა, ქართლის ტახტზე ბაგრატიონის (როსტომ მეფის უფროსი ძმის) მეფედ დამტკიცებისთანავე. ამ ფაქტთან დაკავშირებით ე. შარდენი გვამცნობს: „... შაჰმა ფიცით განმტკიცებული შეთანხმება დადო ქართველებთან, რომელიც მას და მის მემკვიდრეებს უნდა შეესრულებინათ: მათ ქვეყანას სრულებით არ უნდა დაკისრებოდა გადასახადი; არ უნდა შეეცლილიყო სარწმუნოება, ეკლესიები არ უნდა დანგრეულიყო და მეჩეთები არ უნდა აშენებულიყო. მათი მეფის ნაცვალს მუდამ ქართველი იქნებოდა მათივე სამეფო გვარიდან, მაგრამ სარწმუნოებით მაჰმადიანი; მისი (ქართველი მეფის) ერთ-ერთი ვაჟიშვილი, რომელსაც სურვილი ექნებოდა სარწმუნოება შეეცვალა, მმართველისა და მთავარმოსამართლის თანამდებობას მიიღებდა ისფაჰანში იმ დრომდე, ვიდრე მამისაგან მემკვიდრეობა არ გადაეცემოდა“⁹¹.

მოტანილი ამონაწერი იმაშიც გვარწმუნებს, რომ ქართლის მეფედ როსტომის დამტკიცების დროს ადგილი ჰქონდა ირან-ქართლს შორის ჯერ კიდევ 1614 წელს დადებული შეთანხმების განახლებას.

აქვე შემდეგიც უნდა ითქვას: თუ გამაჰმადიანების პირობით ქართლის ტახტზე როსტომის ასელას მის „პირად ინიციატივას“ და „მის-

სავე ნება-სურვილს“ მივაწერთ და არა ირანის ოფიციალურ პოლიტიკას, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ როსტომის შემდგომი მეფეები — ვახტანგ V, არჩილი, გიორგი XI, ერეკლე I, ვახტანგ VI და სხვები ასევე „პირადი ინიციატივითა“ და საკუთარი „ნება-სურვილით“ გამაჰმადიანდნენ, რადგან ცნობილია, რომ შაჰის მიერ ქართლის სამეფო ტახტზე მათი დამტკიცება მხოლოდ გამაჰმადიანების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

გასათვალისწინებელია შემდეგიც: ქართლის მიმართ ირანის კომპრომისულ პოლიტიკას არც ქართლ-კახეთში თეიმურაზის მეფობის დროს შეუწყვეტია თავისი ფუნქციონირება. ირანის მიერ ქართლის ტახტზე თეიმურაზის დამტკიცება 1626, 1629, 1631 წლებში, რასაკვირველია, ამ პოლიტიკის საფუძველზე განხორციელდა, მაგრამ საკუთარი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მსხვერპლად შეწირვის ფასად, შეუპოვარი და შეურიგებელი ბრძოლის მეოხებით, თეიმურაზმა კომპრომისული პოლიტიკის პირობებშიც შეძლო ბოლომდე ქრისტიანი დარჩენილიყო. თეიმურაზისაგან განსხვავებით, ისტორიული ბედუკუდმართობის შედეგად, სამშობლოდან გადახვეწილ ხოსრო ბაგრატიონს (როსტომს) შაჰის კარზე სამსახურითა და საკუთარი სარწმუნოების დათმობის ფასად დაუჯდა სამეფო გვირგვინი. ამიერიდან ირანის შაჰს საშუალება ეძლეოდა კომპრომისული პოლიტიკა კვლავ იმ შინაარსით აღედგინა, როგორითაც იგი თავდაპირველად (1614 წელს) იყო ჩაფიქრებული შაჰ აბას I-ის მიერ.

§ 3. ქართლის სამეფოს დამოკიდებულება მეზობელ კოლიტიკურ ერთეულებთან

(იმერეთის სამეფო, ოდიშის სამთავრო)

წინდაუხედავად გადადგმული ნაბიჯის გამო ქრისტიანმა თეიმურაზ I-მა შაჰის რისხვა დამოსახურა და სისხლის ფასად მიღებული ქართლ-კახეთის სამეფო გვირგვინი ერთბაშად დაკარგა. ამით მან მნიშვნელოვნად დააჩქარა შაჰის მიერ როსტომ-ხანის საქართველოში გამოსტუმრება და ქართლის ტახტზე მეფედ მისი დამტკიცება.

1633 წლის დასაწყისში ირანის მბრძანებელმა სასწრაფოდ შეკყარა 120000-იანი არმია თავრიზის ბეგლარბეგ როსტომ-ხან სააკაძის მთავარსარდლობით, რომელსაც თეიმურაზისათვის ქართლი უნდა ჩამოერთმია და როსტომ-ხან ბაგრატიონისათვის ებოძებია. ამასთანავე კახეთი ყიზილბაშ სელიმ ხანისათვის გადაეცა.

შაჰის ნებართვით, როსტომს თან მოჰყვებოდა ირანის კარზე მყოფ ერთგულ ქართველ ფეოდალთა მრავალრიცხოვანი ჯმაღა. ესენი იყვნენ: „ამილახორი ბეჟან, ქსნის ერისთავი ზაალ, თვალდამწვრის შვი-

ლი დაეთ თავისის შვილებითა. ფანველისშვილი ბახუტა და როინ
ჯაგლაგი, მარაბელი თამაზა, ციციშვილი პაპუნა, თურმანბეგ თურმანი-
ძე, იმერეთის ბოქაულთუხუცესი ჩხეიძე თეიმურაზ, ბარათაშვილი
ქასანბეგ თავისის ძმებითა. კახი ანდრონიკაშვილი ოტია, კახაბერი,
ელიზბარ სვიმონისშვილი“³.

ირანის ჯარს საქართველო ისე სწრაფად და საიდუმლოდ უნდა ჩა-
ეგდო ხელში, რომ თეიმურაზი ვერაფერს მიმხვდარიყო⁴.

საქართველოს საზღვრებთან შაჰის ჯარის მოულოდნელად მოახ-
ლოებამ თეიმურაზ მეფე დიდი საშიშროების წინაშე დააყენა⁵, მაგრამ
ამ ამბავმა თეიმურაზს გული მაინც ვერ გაუტეხა. მას ქართველ მე-
ომართა სიმამაცისა და ერთგულებისა სჯეროდა. სამწუხაროდ, თე-
იმურაზის იმედები არ გამართლდა. ქვემოთ დავინახავთ: როგორც კი
კახელებმა გაიგეს რომ მეფედ როსტომი მოდიოდა, საომრად გამოსვ-
ლა აღარ ისურვეს. თეიმურაზის თხოვნა და მუქარა ამაო იყო⁶.

ქართლის მეფედ დამტკიცებული როსტომი მეტად რთული ამო-
ცანის წინაშე აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა მას თეიმურაზის ოპო-
ზიცია უნდა გაეტეხა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, კახთ მეფესა
და მის მომხრე ერთგულ ფეოდალებს შორის განხეთქილების ჩამოგ-
დების მიზნით, ყარაბაღში შემოსულმა როსტომ მეფემ და მისმა მომ-
ხრეებმა სომხეთის მელიქის საქართველოს თავადებთან მიწერილი
წერილები როინ ფავლენიშვილს გამოატანეს და დილომში⁷ მდგარ
თეიმურაზს საგანგებოდ ხელში ჩაუგდეს. წერილების შინაარსი ასეთი
იყო: „... თქვენი საქ(ვ)ეწარი არზა ბედნიერს ყაენს მივართვი, იამა და
შეგიწირა და თქვენსაგ მემკვიდრეს ბატონს თავის ყულარალასს მე-
ფეს როსტომს მიგცა და თავრიზის ბეგლარ-ბეგი როსტომ-ხან სპარსა-
ლარი ერანის ლაშქრით თან გამოატანა და საშემოდგომოდ ჩვენც მო-
სულნი ვართ“⁸.

ჩვენი აზრით, ფარსადან გორგიჯანიძე მოტანილ ცნობაში უზუს-
ტობას უშვებს, რადგან ევროპული და აღმოსავლური ისტორიული
წყაროებიდან ირკვევა, რომ როსტომ მეფე ყარაბაღში „საშემოდგო-
მოდ“ ვერ მივიდოდა. ისქანდერ მუნშის თანახმად, შაჰის მიერ ქარ-
თლის მეფედ დამტკიცებული როსტომ ბაგრატიონი, ირანის სპასალარ
როსტომ-ხან სააკაძესთან ერთად, ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ჯა-
რით ისფაჰანიდან ჯომადი ულ ავევალის თვის თერაპეუტში⁹, ე. ი. 1632
წლის 1 დეკემბერს გამოვიდა¹⁰. შაჰის ბრძანებით, ირანის მთავარსარ-
დლობის წარმომადგენლები როსტომ მეფესთან ერთად ისფაჰანის
ქართან რამდენიმე დღეს შეჩერდნენ. შემდეგ სვენებ-სვენებით სამეფო
ქალაქ ყაზვინს მიადგნენ (ამ დროს შაჰიც იქ იმყოფებოდა)¹¹. აქედან
გამომდინარე, ახლად დამტკიცებული ქართლის მეფე ყარაბაღში ზამ-
თარში მივიდოდა, უფრო ზუსტად კი, იმამყული-ხანისა და მისი შვი-

ლების ქალაქ ყაზვინში სიკვდილით დასჯის შემდეგ (1633 წლის იანვარი)¹². ამ თარიღს შემდეგაც ადასტურებს:

ქართული ისტორიული დოკუმენტიდან, რომელიც პირველად შემოგვაქვს მეცნიერულ მიმოქცევაში, ირკვევა, რომ ყაფლან ბარათაშვილის სახელზე როსტომ მეფის მიერ გამოგზავნილ ბრძანებაში ქართლს ატყობინებდნენ: ლეთისა შეწევით ჩვენცა ამ ცოტას ხანში ყარაბალისავენ წამოვალთ და ზამთარს იქ ვიზამთრებთო¹³.

ზემოაღნიშნულთან ერთად ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ნოემბერსა და დეკემბერში თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მიერ განჯაყარაბალის დარბევა კვლავ გრძელდებოდა: ღონ პიეტრო ავიტაბილეს მოწმობით, ყარაბალის მეორედ დარბევა შობის წინა ღამეს, ე. ი. 24 დეკემბერს მოხდა¹⁴.

ამგვარად, საკმაო საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ როსტომ მეფე ყარაბალში 1633 წლის ზამთარში (იანვარში) მოვიდა და არა 1632 წლის შემოდგომაზე.

როსტომის მცდელობით თეიმურაზთან მოხვედრილი წერილები შინაარსი ქართლ-კახეთის თავადებმაც შეიტყვეს. მაშინ „ქართველნი დაფრთხნენ და თეიმურაზთან არავინ მივიდა იოთამ ამილახორის მეტი“¹⁵. ვახუშტის მონათხრობითაც, „... ვახტანგ, ძე თეიმურაზისა, მუხრანის ბატონი, პირველივე მიეგება როსტომს ნათესაობისათვის“¹⁶. ბარათაშვილებმაც „ესე ჰყვეს“, კახთ მეფეს ზურგი უჩვენეს. თეიმურაზ მეფის მიერ მუხრანს დატყვევებული „დაუტევენეს ცოლნი თვისნი“¹⁷ და როსტომ მეფესთან ხუნანს მივიდნენ¹⁸. იგივეს გვაუწყებს არჩილიც¹⁹.

ქართლის თავად-აზნაურთაგან ზურგმშექცეული და საფრთხეში ჩავარდნილი თეიმურაზი დიღომიდან აიყარა და გორთან დაბანაკდა²⁰. მაგრამ თეიმურაზს ქართლის „ლაშქარი აღარც იქ შემოეყარა“²¹. თეიმურაზი იმერეთიდან ელოდა მებრძოლთა მოშველიებას. მაგრამ „იმერთ მეფეს დადიანი ჩამოსდგომოდა“ და „ველარც ისინი მოეშველნეს“²². მოვლენები სწრაფად განვითარდა. ისქანდერ მუნშის თანახმად, „ქართლის თავკაცები, დიდებულები და აზნაურები როსტომ-ხანს მიემხრნენ, მის შესახვედრად გაემართნენ და მორჩილება-ერთგულება აღუთქვეს“²³. იტალიელი მისიონერის ავიტაბილეს მოწმობით, საქმე იქამდე მივიდა, რომ „ყველა ქართველი დიდბატონი ახალ მეფეს შეეგება“ და უფრო მეტიც, „თეიმურაზის ხელთ გდება“ და როსტომისათვის მისი გადაცემაც კი დააპირეს²⁴.

არქანჯელო ლამბერტის ცნობებითაც, თეიმურაზს არც ქსნისა და არაგვის ერთისთავეები დაეხმარნენ და არც ფარსადან ციციშვილი, რომელიც, „წმინდა კოლხეთის“ ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერიისთავთა ტოლი იყო“. თეიმურაზისადმი თავისი დამოკიდებულება ქარ-

თლის თავადებმა იმით ახსნეს, რომ განჯა-ყარაბადის ლაშქრობა უნებართვოდ, დივანთან (დარბაზთან) შეუთანხმებლად ჩატარდა²⁵.

ულაშქროდ, დარჩენილი, ტყვედ ჩაყარდნის საფრთხის წინაშე მდგომი თეიმურაზი გორს გაეცალა და იმერეთის საზღვართან ქვიშხეთს მივიდა²⁶. ამავე დროს, ირანის ლაშქართან და სარდალ სააკაძესთან ერთად როსტომ ბაგრატიონი „მეფური ძლიერებით“ თბილისის ციხეში შევიდა და სამეფო ტახტი დაიკავა.

ქართლის სამეფო ტახტზე ასულ როსტომს თეიმურაზ მეფის სავალალო მდგომარეობის შესახებ მოახსენეს. მაშინ ქართლის მეფემ 2000 რჩეული მხედარი როსტომ-ხან სააკაძის სარდლობით თეიმურაზზე თავდასასხმელად გაგზავნა. ამ სამხედრო ოპერაციამ შედეგი ვერ გამოიღო, კახთ მეფე თავისი ჯალაბითა და აშალით „იმერეთს გარდვიდა და ქართლი ყილიზბაშით აივსო“²⁷. თვით როსტომ მეფე ამ ამბებთან დაკავშირებით აღნიშნავს: კახ ბატონს გაუწყრა (ყაენი). მოვედით, კახ ბატონი გავაგდეთ და ჩ(ვე)ნი საბატონო დავიჭირეთ, ბატონი თეიმურაზი იმერეთს შეიხიზნა“²⁸.

1633 წლის 18 თებერვალს როსტომი ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა. ქართლის „მკვიდრი მეფის“ 67 წლის როსტომ ბაგრატიონის დიდი ხნის ოცნება ზინამდვილედ იქცა.

შაჰმა ქართლის მეფედ როსტომის დამტკიცებისას, მას ვალის ტიტული უბოძა²⁹. უფრო ადრე ამ ტიტულს ბაგრატ-ხანი და სიმონ-ხანი ატარებდნენ. როგორც ცნობილია, როსტომ მეფიდან მოყოლებული თითქმის XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე ქართლს „ვალის“ ტიტულით მაჰმადიანი მეფეები მართავენ.

ვ. გაბაშვილისა და დ. კაციტაძის ნაშრომებში, რომელთაც „ვალის ინსტიტუტი“ სპეციალური კვლევის საგნად გაიხადეს; ნაჩვენებია მისი არსი, მისი თავისებურებები ირანსა და საქართველოში.

სპარსულ წყაროებში ტერმინი „ვალი“ „შაჰის ყმა ხელდებულს“, „მოადგილეს“ ან „მოხელეს“ ნიშნავს.

ირანული დასტურლამალის თანახმად, „ვალი“ დიდი მოხელეა (XVII ს-ის ირანში სულ ოთხი ვალი იყო: არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანისა და ქურთისტანის)³⁰. სეფიანთა ირანში თითოეული ვალი ადგილობრივ მემკვიდრეობით დინასტიას ეკუთვნოდა და ბეგლარბეგთან, ხანებთან და ირანის სხვა მოხელეებთან შედარებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა³¹. ქართლის ფეოდალურ სამეფოსთან მჭიდროდ დაკავშირებული ქართლის მაჰმადიანი მეფე-ვალი როსტომი თავისი უფლებრივი მდგომარეობით არა მარტო ირანელი ბეგლარბეგებისა და ხანებისაგან განსხვავდებოდა, არამედ ირანელი ვალიებსაგანაც. ამ უპირატესობას ჰქმნიდა ის გარემოება, რომ შაჰმა ქართლის მიწები ირანის დივანის (სახელმწიფოს) საკუთ-

რებად ვერ აქცია. ირანის შაჰმა ხელი ვერ დასდო ქართულ მიწის-მფლობელობას³².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როსტომის მეფობის ხანაში „ვალის“ სტატუსმა ტრანსფორმაცია განიცადა: თუ ქართლის ვალიები — სიმონ-ხანი (სიმონ II) და ბაგრატ-ხანი სპარსულ წყაროებში შაჰის „შვილებად“ იწოდებოდნენ, როსტომის თანადროულ სპარსულ საბუთებში იგი შაჰის ძმადაა გამოცხადებული („ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი“)³³. ყოველივე ეს კი იმის მანიშნებელია, რომ როსტომი „შაჰის უბრალო მოხელე ხანი არაა, პოლიტიკური ვითარების გამო შაჰი მას მეტი პატივისცემით ექცევა, ვიდრე მის წინამორბედ ხანებს. შაჰს საჭიროდ მიაჩნია და ატარებს კიდევ საქართველოს მიმართ კომპრომი-სულ პოლიტიკას“³⁴.

ზემოაღნიშნულს შემდეგი მონაცემებიც უჭერენ მხარს: როსტომ მეფეს შაჰისაგან მიცემული ჰქონდა მიწები არა საკუთრივ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, საკუთრივ ირანის ტერიტორიაზე³⁵. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ქართული წერილობითი წყაროები (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი და სხვ.), რომელთა მოწმობით როსტომს შაჰის ბრძანებით ექვემდებარებოდნენ ყაზახის, შამშადილოს და ლორის ხანები. საჭიროების შემთხვევაში მათ ქართლის ვალისათვის შემწეობა უნდა აღმოეჩინათ³⁶. საინტერესოა ისიც, რომ როსტომს ირანის შაჰისაგან დიდი მატერიალური დახმარება ეძლეოდა. ფარსადან გორგიჯანიძის მოწმობით, ქართლის მეფეს გილანის ქალაქიდან წლიურად სამასი თუმანი შემოსდიოდა. მასვე ეკუთვნოდა წილი ფუშტუქუსა და ხუინის შემოსავლიდან. ყმად ხუთასი ათასი კომლი თათარი ელი და ომიახი ჰყავდა. მდიდარი იყო და „მტერი არსით ჰყვანდა“³⁷. ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის გადმოცემითაც, როსტომი იყო „საქმით ხუანჯიანი, ჰკუიანი“, „...მორკმულ-მდიდარი“... „საქონლით სავსე“, „ყაენი აძლევდა ურიცხვსა“ და „უგზავნდა მრავალსა“³⁸.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, პარადოქსად აღარ გამოიყურება შაჰის ვალის, ირანის მეფის მოხელის — ქართლის მაჰმადიანი მეფის როსტომის ტიტულატურების ჩვენამდე შემონახული ვარიანტები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ რასაკვირველია ნომინალურ ხასიათს ატარებენ, უცვლელად იმეორებენ საქართველოს ქრისტიანი მეფეების წინანდელ ტიტულატურებს. ასე, ქართულ დოკუმენტებსა და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების ქართულ ტექსტებში როსტომი თავის თავს „მეფეთ-მეფეს, პატრონსა და ხელმწიფეს“ უწოდებს. ზოგჯერ კი, საქართველოს მეფის სრული ტიტულატურითაც სარგებლობს: („... აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხ-

თა შარვანზე და შანზე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კელმწიფე, მპყრობელ-მქონებელ მეფეთ-მეფე და პატრონი“)³⁹.

ქართლში შემოსელისთანავე თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, როსტომ მეფემ მთავარი ყურადღება ქართლის შუაგულში მდებარე დანგრეული ციხეების აღდგენა-მშენებლობას მიაქცია. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით, „გორის ნაციხვარი ზომით ლაშქართ დაუყვეს და ოცს დღეზედ ააშენეს“, ციხის მცველად „ნურის მინბაში მესხი მუსლიმბეგ მაზანდარის მეთოფებით შეაყენეს“⁴⁰. „პარიზის ქრონიკა“ იგივეს გადმოგვცემს⁴¹. იტალიელი მისიონერის ავითაბილეს მონათხრობის თანახმად კი, გორის ციხის მშენებლობა ყიზილბაშთა ჯარის მოშველიებით ორმოც დღეს მიმდინარეობდა. ამ საქმის დასრულება „საზეიმო სროლით“ აღუნიშნავთ⁴².

ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის მიხედვით, როსტომ მეფეს გორის გარდა სურამის ციხეც აუშენებია და შიგ „ყიზილბაში მცველნი“ ჩაუყენებია⁴³. ისქანდერ მუნშის მოწმობით, ქართლში გორისა, ხოლო კახეთში ალავერდის ციხეები შეაკეთეს და შიგ მცველნი და დარაჯები ჩააყენეს⁴⁴. (საყურადღებოა, რომ ქართულ წყაროებში ალავერდის ციხის მშენებლობაზე არაფერია თქმული)⁴⁵.

ქართული, ევროპული და აღმოსავლური ისტორიული წყაროების თანახმად, როსტომ მეფემ გორის, სურამისა და ალავერდის აღდგენილ ციხეებში ყიზილბაშთა გარნიზონები ჩააყენა⁴⁶.

ქართლ-კახეთის ციხეების გამაგრებამ, ამ ციხეებში ყიზილბაშთა გარნიზონის მოთავსებამ როსტომ მეფის ძალაუფლება მნიშვნელოვნად განამტკიცა. ფარსადან გორგიჯანიძე გვამცნობს: „... ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს“⁴⁷. (გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ ფარსადან ციციშვილი წარმოადგენდა, რომელსაც „... სარდალ-როსტომ ხან სააკაძესთან — ძველით მტერობა აქუნდა“)⁴⁸.

ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ „... ქართლში მოსვლისთანავე მასში (როსტომში — გ. ე.) ხელმწიფის ბატონ-პატრონის საღმა გრძნობამ გაიღვიძა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზუნველობას შეუღღა“⁴⁹.

ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრების სამართლიანობაში ადვილად დაერწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, რომ როდესაც როსტომ-ხან სააკაძემ, შურისძიების მიზნით, საციციანოზე „ლაშქარს გაუძახა, ეს მხარე დაარბია და ბევრი ტყვეც იგდო ხელთ“⁵⁰, ამ ფაქტით განაწყენებულმა ქართლის მეფემ როსტომმა მას შეუთვალა: „თავად საქართველო

აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთ, მაშინ მე რისლა ბატონი ვიქნებო“⁵¹. (ცნობილია, რომ ამ აზბის გამო ქართლის მეფესა და ირანის სარდალს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, „დამდურნეს“ და ორივემ ირანის შაჰს ერთმანეთის საწინააღმდეგო არხები მისწერეს: როსტომ მეფის თხოვნით, შაჰ სეთიმ როსტომ-ხან სააკაძე საქართველოდან გაიწვია და ვანის ციხეზე სალაშქროდ გაგზავნა. ხოლო შირვანის ბეგლარბეგი, ყარაბაღის ლაშქრით როსტომ მეფის მკველად — ქეშიკად დანიშნა)⁵².

როსტომ მეფემ გონივრული პოლიტიკით ქართლის მოსახლეობა დამშვიდა („...სარდარი საქართველოს გაეცალა ფარსადან ციცივილი და სხვა გახიზნული ქართველები ყველანი მოვიდნენ და ახალ მეფეს დაემორჩილნენ და დაიწყეს აშენება, ხენა, თესვა“) ⁵³.

როსტომი მმართველობის სისტემის მოწესრიგებას შეუდგა: ქართლის მეფემ და მისმა მომხრეებმა თეიმურაზის მიერ ქართლში დანიშნული „მოხელენი გამოსცვალეს“ და „თანმოყოლილ როსტომ მეფის ერთგულ ფეოდალებს გადასცეს“. ამასთანავე „თანმოყოლილ თავადთა და აზნაურთა“ მამულები უბოძეს⁵⁴.

1633—1634 წლებში როსტომ მეფის მიერ გაცემული სახელოები-სა და ყმა-მამულების ბოძების წიგნები მოწმობენ, რომ ქართლის მეფემ ირანიდან დაბრუნებულ ქართველ ფეოდალებს — ბეჟან ამილახორს, ჰასან-ბეგ ბარათაშვილს, სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილს, ზღრაბ ყაფარაშვილს, პაატა ჭავჭავიშვილს, გოსტაშაბ ბარათაშვილს, მერაბ ყორღანაშვილს და სხვებს სხვადასხვა სახელოები, სოფლები (ყმა-მამულითა და აზნაურებით) უწყალობა და უბოძა⁵⁵.

ქართლის სამეფო ტახტზე განმტკიცების შემდეგ, როსტომ მეფის მორიგ საზრუნავს მეზობელ სამეფო-სამთავროებთან კავშირის დამყარება და განსაკუთრებით იმერეთში, სიძესთან შეფარებული თეიმურაზ I-ის დამორჩილება წარმოადგენდა. ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთი საიმედო გზა იმერეთის დაუძინებელ მტერთან, ლევან დადიანთან მკიდრო ურთიერთობის დამყარება იყო. როსტომ-შა ლევან დადიანთან დამოყვრება გადაწყვიტა⁵⁶. ამ გადაწყვეტილების განხორციელების შემთხვევაში თეიმურაზსა და იმერეთში მის მოკავშირეებს — იმერეთის მეფე გიორგი III-ს, ამ უკანასკნელის ვაჟს, თეიმურაზის სიძეს, ალექსანდრე ბატონიშვილს — დაუპირისპირდებოდნენ ქართლის მეფე როსტომი და ოდიშის მთავარი ლევან დადიანი. როსტომი, რასაკვირველია, ითვალისწინებდა იმას, რომ დასავლეთ საქართველოში ლევან დადიანს ძლიერი პოზიციები გააჩნდა. ცნობილია, რომ ოდიშის მთავარი მთელი დასავლეთ საქართველოს ხელმწიფობას იჩემებდა⁵⁷; „თურქეთთან ტრადიციული ურთიერთობის შენარჩუნებასთან ერთად, იგი ირანის შაჰის ყმობასაც ახერხებდა“⁵⁸.

როსტომის თაოსნობითა და სამეფო კარის „საგანგებო ვეზირობის“ გადაწყვეტილებით, ლევან დადიანთან „სამოყვრო მოციქულები“ გაგზავნეს. ოდიშის მთავარს დას, მარიამს, „დედათა შიგან ნაქებს“⁵⁹, ქართლის დედოფლად თხოვდნენ⁶⁰. ქართლის მეფის „სამოყვრო მოციქულთა“ შორის ელისე თბილელის ყოფნა ოდიშის მთავარს ძლიერ „იამა“. წყაროს სიტყვებით, მან „დაწესებული ნიშანი მიიერთია“⁶¹. ქორწინებაზე თანხმობის ნიშნად, ლევან დადიანმა ქართლში ნიკიფორე ირბაქი გამოგზავნა⁶².

რადგან ქართლის ვალის, როგორც ირანის შაჰისადმი დამოკიდებულ პირს, უფლება არ ჰქონდა ქორწინების საკითხი (რომელიც საგარეო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული) სუზერენისაგან დამოუკიდებლად გადაეჭრა, მან დებულებისამებრ ირანს ჩათარი გაგზავნა და დადიანთან მომავალი დამოყვრება შაჰს „გააშინჯინა“⁶³.

ირანის მბრძანებელმა როსტომ მეფეს დადიანთან დაკავშირება მოუწონა. მან ისევე, როგორც როსტომმა, სწორად შეაფასა ამ კავშირის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ქართლისათვის. მას კარგად ესმოდა, რომ იმერეთს შეხიზნული თეიმურაზი ქართლის დაბრუნებაზე ნებით უარს არასოდეს იტყოდა. ოდიშთან ქართლის კავშირის საშუალებით კი ეს საკითხი (თეიმურაზის მიერ ქართლის დაბრუნება) შეიძლებოდა ქართლის სასარგებლოდ საბოლოოდ გადაწყვეტილიყო. შაჰი იმასაც იმედოვნებდა, რომ „იმერეთში მყოფ თეიმურაზთან ბრძოლის საბაბით იგი ქართლ-კახეთს იმერეთსაც შეუერთებდა და ამ გზით, რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში საიმედო დასაყრდენი უნდა გაეჩინა“⁶⁴.

ირანის შაჰმა პასუხი არ დააყოვნა: როსტომ მეფის ქორწინებაზე ნებართვასთან ერთად, ირანის დიდი მოხელის, შირვანის ბეგლარ-ბეგ ფარუხანის ხელით როსტომს საქორწილო საჩუქრები გამოუგზავნა⁶⁵.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით საგულისხმო ინფორმაციას შეიცავენ 1652 წელს თეიმურაზ I-ის მიერ რუსეთის ხელმწიფის კარზე გაგზავნილ ელჩობასთან დაკავშირებული მასალები. ამ მასალებში აღნიშნულია, რომ ლევან დადიანს თავისი ერთი და ირანის შაჰისათვის გაუგზავნია. მეორე კი თბილისში როსტომ-ხანისათვის მიუცია. სამაგიეროდ შაჰს მისთვის ერთდროული დახმარება გაუწევია და ჯამაგირიც დაუნიშნავს⁶⁶.

როსტომ მეფისა და ლევან დადიანის შეთანხმებით, მექორწილები იმერეთში, ბაღდადთან მდებარე კაკას ხიდზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს (წყაროს სიტყვებით, კაკას კიდი იმერეთშია)⁶⁷. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით. როსტომი „დიდი ლაშქრით“ იმერეთისაკენ დაიძრა და სურამში მივიდა. ხოლო ოდიშის მთავარი, ლევან დადიანი თავის დასთან, მარიამთან, ერთად „დიდის ლაშქრით“ საჩხეიძო-

ში დაბანაკდა⁶⁸. (მსგავს ცნობებს ვეაწედიან ბერი ეგნატაშვილი. ეახუშტი და „პარიზის ქრონიკის“ ავტორი)⁶⁹. ამასობაში გიორგი იმერთა მეფეც თავისი მომხრეებითა და დიდი ლაშქრით როსტომისა და ლევან დადიანის თავშეყრის ადგილისაკენ გაემართა. მასთან ერთად იყვნენ მეფე თეიმურაზი, ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილები, იმერეთისა და კახეთის სხვა დიდებულები⁷⁰. მათი მიზანი იყო ხელი შეეშალათ ქართლის მეფისა და ოდიშის მთავრის დამოუკრებისათვის, რადგან კარგად ესმოდათ, რომ ეს „დინასტიური ქორწილი“ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. ქორწინების ჩასაშლელად მეფე თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა სათანადო ზომებს მიმართეს: რაკი შეიტყვეს, რომ როსტომ მეფისა და ლევან დადიანის შეხვედრის ადგილი კაკას ხიდთან იყო, საქორწილოდ მიმავალ ქართლის მეფეს სურამში დათუნა ერისთავი აუშხედრეს. მაგრამ ამ ხერხმა არ გაჭრა. როსტომმა გზის მიმართულება შეიცვალა და ახალციხის ფაშა იუსუფის დახმარებით სამცხის გზით მივიდა საჩხვიძოში⁷¹. ამასობაში იმერეთში მოვლენები სწრაფად განვითარდა: გიორგი მეფემ და მისმა მომხრეებმა ბაღდაღში დაბანაკებულ ლევან დადიანს ბრძოლა გაუმართეს. ისქანდერ მუნშის ცნობით, „დიდი ზოცვა-ქლტის“ შემდეგ, იმერეთის მეფეს მისმა ყმებმა (მიქელაძეებმა) „უმუხანათეს“. იმერელ და კახელ აზნაურებთან ერთად იგი დადიანს ტყვედ ჩაუვარდა. განსაცდელში ჩაეარდნილმა თეიმურაზმა კი ქუთაისის ციხეს შეაფარა თავი⁷².

ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერის თანახმად, ოდიშის მთავარს, ამ ბრძოლაში ნადავლის სახით ხელთ უგდია თეიმურაზ კახთა მეფის „დროშის თავი, ბრძოლის ჭვარი, იმ დროშის ბუდე ოქრო-ქსოვილი“, რომელიც შემდგომში ილორის ტაძრისათვის შეუწირა⁷³.

ამგვარად, იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლა დადიანის გამარჯვებით დამთავრდა. როსტომის მონათხრობის თანახმად, დადიანთან მისმა შეხვედრამ დიდი „სიმხიარულე“ გამოიწვია. მარიამმა და როსტომმა ქორწილი ზეიმით გადაიხადეს და „კარგის წესითა და კელმწიფურის ზითვით ...მარიამ დედოფალი ქართლისაკენ წარმოაბრძანეს“⁷⁴. შემდეგ მარიამ დედოფალთან ერთად, ამაღისა და საპატრო პირთა თანხლებით როსტომ მეფე თბილისში ჩამოვიდა და „დიდ დიდებულო კელმწიფური ქორწილი“ გადაიხადა⁷⁵.

მარიამ დედოფალზე როსტომ მეფე ქრიატიანულ-მაჰმადიანური წესით დაქორწინდა⁷⁶. როსტომ მეფე ჭვრისწერის წინ კვლავ მოინათლა. მის სამეფო ბეჭედს ქრისტიანული ჭვრის გამოსახულება ამშვენებდა⁷⁷.

მაჰმადიანი ქართველი მეფის როსტომის ქრისტიანულ-მაჰმადიანური წესით დაქორწინება ცხადია, შპთან შეთანხმებით, მისგან ნებართვის აღებით უნდა განხორციელებულიყო (შემრიგებლობა ქრის-

ტიანული სარწმუნოების მიმართ, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის თავისებური „თანაცხოვრება“ შაჰის მიერ საქართველოს მიმართ შემუშავებული კომპრომისული პოლიტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, მაგრამ ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება უფრო დაწვრილებით საუბარი).

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, XVII, საუკუნის ევროპულ და აღმოსავლურ ისტორიულ წყაროებში მეტად მნიშვნელოვანი, ზოგჯერ ქართული წყაროებისაგან განსხვავებული, ინფორმაციაა შემონახული... ეს ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს „იმერეთის ოპერაციის“ მიზნები და მასშტაბები უფრო ღრმად და სრულად გავიზიაროთ. ასე მაგალითად, კათოლიკე მისიონერის ჯულიჩე მილანელის თვალსაზრისის თანახმად, როსტომისა და ლევან დადიანის მიერ სამხედრო ძალებით იმერეთში გადასვლა მიზნად ისახავდა იმერეთის დაპყრობას და შუაზე მის გაყოფას. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიბას მოწმობით, როსტომ-ხანი 30000 ყიზილბაშის მოშველიებით, დადიანისა და გურიელის სამხედრო ძალებთან ერთად, შეესია იმერეთის სამეფოს⁷⁶. ამავე ავტორის მონათხრობიდან ვგებულობთ, რომ ყიზილბაშები შავი ზღვის სანაპიროებამდე გასულან. გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრებისათვის საფრთხე შეუქმნიათ⁷⁷. მუსტაფა ნაიბასავე ცნობით, ოსმალეთს დადიანისა და ქართლის მეფის დამოყვრება თავის საწინააღმდეგოდ მიმართულ აქციად მიუღია. აჰის ვაჟო, ოსმალეთის მთავრობას ყიზილბაშთაგან თავის დასაცავად მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაუტარებია სანაპირო ზოლის სასაზღვრო რაიონებში⁸⁰. ისქანდერ მუნშის ცნობებითაც თითქმის იგივე დასტურდება, იმ განსხვავებით, რომ როსტომის მოკავშირეთა შორის ერთგულ ქართლებთან ერთად, სეფიანთა კარის მემკვიდრე შირვანისა და ყარაბაღის ამირებსაც იხსენიებს. გარდა ამისა იმასაც გვამცნობს, რომ ლაშქრის გარკვეული ნაწილი ქართლის მეფის დავალებით, გურიელის სამეფოებელოზე გავლით გაიგზავნა დადიანის დასახმარებლად⁸¹.

ამგვარად ჯულიჩე მილანელი, მუსტაფა ნიმა და ისქანდერ მუნში შემდეგ მონაცემებს გვაწვდიან: 1. როსტომ მეფის ლაშქარში ქართლებთან და კახელებთან ერთად 30000 ყიზილბაში მონაწილეობდა; 2. იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაში შირვანისა და ყარაბაღის ამირები როსტომის მოკავშირეები იყვნენ; 3. ლევან დადიანის მხარეზე გურიის მთავარი იბრძოდა; 4. როსტომ მეფის ლაშქარი შავი ზღვის სანაპირომდე მივიდა; 5. ამ ლაშქრობის მიზანი არა მხოლოდ მარიამზე როსტომის დაქორწინება და თეიმურაზის ნეიტრალიზაცია იყო, არამედ იმერეთის დაპყრობა, ქართლსა და სამეგრელოს შორის მისი განაწილება. ზემომოტანილი ზოგიერთი ცნობა არაპირდაპირი მონაცემებით მტკიცდება, ზოგის შემოწმება კი ჟერჯერობით არ ხერხდება.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებენ ის მითითებები, რომლებიც „იმერეთის ოპერაციაში“ დადიანთან ერთად, გურიის მთავრის მონაწილეობას გვაგარაუდინებენ. ასე მაგალითად, ავიტაბილეს რეალაციაში აღნიშნულია, რომ იმერეთიდან გორში მოსულ მარიამ დედოფალს დიდებულები და წარჩინებულები ოდიშიდან და გურიიდან ახლდნენ. ამ ინფორმაციას მნიშვნელოვნად ავსებს ფარსადან გორგიჯანიძის ის ცნობა, რომლის თანახმადაც მარიამს ქართლში სხვებთან ერთად მაყრად „გურიელი მეფეთ თქმული მეყვისი თავისის თავალებითა და აზნაურიშვილებითა“ გადმოჰყოლია⁸².

ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ქაიხოსრო გურიელი მარიამ დედოფლის დედით ძმა იყო, რომლის გურიელად დასწამში ლევან დადიანს აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებულ⁸³, ვფიქრობთ, რომ „იმერეთის ოპერაციაში“ გურიის მთავრის აქტიურ მონაწილეობას ვერ გამოვრიცხავთ.

ამგვარად, ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: „დიდი ლაშქარით“ (რომელშიც ქართველებთან ერთად შირვანისა და ყარაბაღის ამირები, 30000 ყიზილბაში მონაწილეობდა), იმერეთში როსტომის გადასვლა მხოლოდ ქართლში მარიამის — მომავალი დედოფლის — უვნებლად გადმოყვანას არ ითვალისწინებდა. ეს „ღინასტიური ქორწინება“ და მისი პრაქტიკულად განხორციელება ფართო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკურ ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული. მის მთავარ მიზანს თეიმურაზისა და იმერეთის მეფის კავშირის დარღვევა, ლევან დადიანთან, ქაიხოსრო გურიელთან ერთად იმერეთის დაპყრობა და აღმოსავლეთ საქართველოსთან მისი გაერთიანება შეადგენდა.

ოსმალეთის სულთნისაგან განსხვავებით, ირანის შაჰისათვის ლევან დადიანთან (და ამ უკანასკნელის საშუალებით ქაიხოსრო გურიელთან) როსტომ მეფის მიერ კავშირის დამყარება, ერთობლივი ბრძოლა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ. მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქციას წარმოადგენდა; ეს აქცია საშუალებას აძლევდა ირანის შაჰს ლევან დადიანიც თავის ხელდებულთა რიცხვში მოექცია (ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ლევან დადიანისათვის შაჰს „იმერეთის ოპერაციაში“ აქტიური მონაწილეობისათვის „50000 მარჩილი გამოეგზავნა და მისთვის წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა“; ლევან დადიანს „ყაენიც მწყალობელი და ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი ჰყავდა“; და ბოლოს, „რა ლევან დადიანი ცოცხალი იყო იმერელნი ამ საქმით დაჩაგრულნი იყვნენ“⁸⁴. იმავე ფარსადან გორგიჯანიძის, ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის მოწმობით, შაჰის წყალობის საპასუხოდ ლევან დადიანს ირანში ელჩი გაუგზავნია)⁸⁵.

რაც შეეხება „იმერეთის ოპერაციის“ შედეგს, შემდეგი უნდა აღინიშნოს: დადიანთან როსტომის დამოყვრებამ არსებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სამეფო-სამთავროთა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში. როსტომ მეფისა და ლევან დადიანის შეთანხმებამ, ერთობლივმა ბრძოლამ იმერეთის წინააღმდეგ მკვეთრი კონტრუბით შემოსაზღვრა ორი მოწინააღმდეგე ბანაკის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. ქრისტიანი მეფეები: თეიმურაზ I და იმერეთის მეფე გიორგი ქვეყნის გამოხსნისათვის ბრძოლაში ერთადერთ დასაყრდენს ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდნენ. როსტომ მეფე და ლევან დადიანი კი, საერთაშორისო ასპარეზზე ირანის შაჰის ფორმალური აღიარებით ცდილობდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს.

§ 4. როსტომის უინაოლიტიკური ღონისძიებები XVII საუკუნის 30—50-იან წლებში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანთან აღმოსავლეთ საქართველოს ვასალური დამოკიდებულება კომპრომისულ პოლიტიკურ ფორმას ემყარებოდა. ვ. გაბაშვილის სიტყვებით, „კომპრომისული პოლიტიკა ირან-ქართლის ურთიერთობის უშუალო ნაყოფი იყო“¹. ირანის ბატონობის პირობებში, ქართლს კვლავ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები მართავდნენ. ამასთანავე თბილისში შაჰის სამხედრო გარნიზონი იდგა და ფული შაჰის სახელით იჭრებოდა². ჩვენთვის საინტერესო ხანაში და შემდეგაც, ირანის ვასალური ქვეყნის — აღმოსავლეთ საქართველოს — მეფეები, ორი ტიტულის მატარებლები იყვნენ: ისინი „მეფედ“ და „ვალიად“ იწოდებოდნენ³.

აღმოსავლეთ საქართველოს გამგებელმა, გამაჰმადიანებულმა როსტომ ბაგრატიონმა „ქართლის ვალიმ“, შაჰის სუზერენობის ფორმალური აღიარებისა და მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ქვეყნისათვის მოპოვებულ მშვიდობიან პირობებში ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წყობის საფუძვლები შეინარჩუნა და დაიცვა. ირანის ვასალს როსტომს, შაჰის წინაშე გარკვეული ვალდებულებები ეკისრა⁴. ქართლის ვალის სამხედრო სამსახურის შესრულება ვეალებოდა და შაჰისაგან დამოუკიდებლად სხვა სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობის დამყარების უფლება არ ჰქონდა⁵. ირანის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქართლში, ქრისტიანობას არ დევნიდა და არც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას ხელყოფდა⁶.

ქვეყნის შიგნით, ირანის კომპრომისული პოლიტიკის დამკვიდრებამ სახელმწიფოებრივ სამმართველო აპარატში ყიზილბაშურ გავლენას გაუხსნა გზა, რის შედეგადაც, სამოხელეო ნომენკლატურაში ზოგიერთი თანამდებობის ქართული დასახელება სპარსულით შეიცვალა.

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სპეციალურად გამოყოფილი თავის დასახელება — „აწინდელთა კელისუფალთა შეცვლილთა სახელთათვის“ — თავისთავად ბევრის მოქმელია. იგი ერთ-ერთი მოწმობაა როსტომის დროს მომხდარი ცვლილებებისა. ვახუშტის გადმოცემით: „ხოლო როსტომ ხელისუფალთა უწოდა: მსახურთუეცესა — ყორჩიბაში, ჰპასპეტსა — სარდარი, მონათუხუეცესა — ყულარაღასი, მეკურკლეთუხუეცესა — მოლარეთუხუეცესი და მეკურკლეთუხუეცესი არღარა, არც იგი წინათი მოლარეთუხუეცესი ჩუნჩერახსა — სუფრაჯი, ჩაჩნაგირსა — სუფრაქეში, მანდატურთუხუეცესა — ეშიყალასი, მანდატურს — სოჰბათიასაული, ბოქაულს — ელიაღაჯი, მსაჯულთუხუეცესა — მღივანბეგი, ეზოსმოძღვარსა — ნაზირი, მესტუმრეთუხუეცესა — მეჰმანდარი, მწერალსა მუშირიბი, ხუროთმოძღვარსა — სარაიდარი და ეჯიბი არღარა, არამედ მსგავსი მისი მეითარი, ხოლო სხვანი ხელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე... კვალად შეკარესა ყაფიჩი და ასისთავსა უზბაში და კახთაცა განაწესეს ეგრეთვე“⁷.

როსტომ მეფემ გზა გაუხსნა „ყიზილბაშური რიგის“ გავლენას, შაგრამ ამის შედეგად არ შეცვლილა ქართულ სახელოთა ბუნება, ძირითადად უცვლელი დარჩა ქართული სახელმწიფო წყობის სტრუქტურა⁸. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს კიდევ, რომ „ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ესენი“ და სხვაგან: „ამან (როსტომმა — გ. ე.) განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა კარის გამგენი თვისნი და არც მოშალნა ქართულნი და დაადგინა ორნივე“⁹ (ასეთივე კვალიფიკაციას აძლევს სახელმწიფოებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებულ როსტომის ღონისძიებებს ბერი ეგნატაშვილიც)¹⁰.

აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში როსტომ მეფის მიერ ჩატარებული ყოველი ღონისძიება ირანის შაჰის მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ამ მიზნით, შაჰის ხელისუფლებამ ქართლის სამეფო კარზე წმინდა ყიზილბაშური თანამდებობანიც შემოიღო: ვეზირი (მრჩეველი), მუსტოუფი (მთავარი აღმწერელი, ფინანსების მოხელე) და მუნში (მწერალი). სამივე ეს თანამდებობა ქართლის სამეფო კარზე შაჰის სამეთვალყურო აპარატს ქმნიდა¹¹.

ჩატარებული რეფორმების მიუხედავად, ქართლის პოლიტიკური წყობა ირანულისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა, თუმცა კი, სამოხელეო აპარატის ნომენკლატურით მიმსგავსებული იყო მასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ყიზილბაშური რიგის“ რეფორმების მოთხოვნათა შესაბამისად მაღალ თანამდებობაზე ქართლ-კახეთის ფეოდალთა დამტკიცება ირანის შაჰის მიერ მაჰმადიანობის მიღების აუცილებელი პირობით სრულდებოდა¹².

როსტომ მეფის მიერ შაჰისადმი დათმობის ასეთი პოლიტიკური კურსის გატარება, რომელიც ქვეყნის გადარჩენას ისახავდა მიზნად, ზოგჯერ იმჟღებითი აუცილებლობა იყო და სავალდებულოც.

XVII, საუკუნის 30-იანი წლებიდან როსტომის მეფობაში და შემდეგაც სამეფო კარის, ქალაქებისა და სოფლების გამგებლობაშიც არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. აღნიშნული ხანისათვის, როგორც ითქვა, არსებითად ხელუხლებელი და უცვლელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობა.

„ყიზილბაშური რიგზე“ გამართული ქართლის სამეფო კარის სახელთა დეტალურ დახასიათებას ჩვენ აქ არ შეუდგებით, რადგან აღნიშნული საკითხი საფუძვლიანადაა შესწავლილი ვ. გაბაშვილის, ი. სურგულაძის, ვ. ფუთურძის, შ. მესხიას, დ. კაციტაძის, ვ. გუჩუას, გ. ჭამბურიას და სხვათა შრომებში.

ირანის კომპრომისული პოლიტიკის პირობებში, შაჰი ენერგიულად ცდილობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელთა — თავადების, მღვდელთმთავრების, აზნაურების, ხელოსან-ვაჭრების და სხვების თავის მხარეზე გადაბირებას და ირანის სამსახურში მათ გამოყენებას. ამის საილუსტრაციოდ მაგალითები ქართლის სამეფოს ისტორიაში მრავლადაა¹³.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებით, შაჰის ხელისუფლება ცდილობდა გაეძლიერებინა სპარსოფილური განწყობილება ფეოდალურ საზოგადოებაში და ქართლი ყიზილბაშურ სახანოდ გადაექცია. მაგრამ, შაჰის არც ამ ცდებს მოჰყოლია სასურველი შედეგი. აღნიშნული დროისათვის და შემდეგაც, საქართველოში ყიზილბაშური ირანის წეს-წყობილების დამკვიდრების რეალური საფუძველი არ არსებობდა. საქართველო ირანის მიერ დაპყრობილ ქვეყანას არ წარმოადგენდა. არც აღწერილი იყო და არც დივანში გატარებული¹⁴.

XVII საუკუნის 30—50-იან წლებში, ისე როგორც მის წინა პერიოდში და შემდეგაც, საქართველოს სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემა საუკუნეთა მანძილზე შემუსრავებულ და განმტკიცებულ მემკვიდრეობითობის პრინციპს ემყარებოდა¹⁵.

ქართლის სამეფოს სახელმწიფო საკითხების განხილვა-გადაწყვეტა (ომი, ზავი, დიპლომატიური კონტაქტები, კანონმდებლობა და სხვ.) სახელმწიფო საბჭოს — დარბაზის სხდომებზე წყდებოდა. დარბაზს მეფე ხელმძღვანელობდა, დარბაზი უმაღლესი სასულიერო და საერო ფეოდალებისაგან შედგებოდა¹⁶.

ქვეყნის მართვა-გამგებლობაში დიდ როლს თამაშობდა როსტომის ქრისტიანი მეუღლე მარიამი. წყაროების ჩვენებით. თავის ქვეყანაში ქრისტიანობის თანმიმდევრულად დამკველი და მზუნველი დედოფალი. ქრისტიანული ეკლესიის საპირბოროტო საკითხებს ხშირად დამოუკიდებლად სწყვეტდა¹⁷.

ჩვენს ზელთ არსებული ისტორიული დოკუმენტები იმასაც გვაშეცნობენ, რომ მარიამ დედოფლის ინტერესები მხოლოდ საეკლესიო პრობლემებით არ იფარგლებოდა. როსტომ მეფესთან ერთად და მისგან დამოუკიდებლადაც ის აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მეფესთან ერთად. საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას იგი ღიდ როლს თამაშობდა. ცნობილია მარიამის შემდეგი სიტყვები: „როსტომის დროსაც ყაენის საქმესა და ერთგულებას მე მკითხავდა და ახლაც მოველი, რომე ჩემი უკითხავი არა იქნეს რა“, რაც საკმაოდ ააოარაზროვნად მიუთითებს სახელმწიფო მმართველობის ამ სფეროში დედოფლის აქტიურ პოზიციასზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ურთიერთობებში და საერთოდ ქვეყნის მმართველობაში ასეთივე მაღალი პრეროგატივით სარგებლობდა მარიამი უფრო გვიანაც, ვახტანგ V-ზე დაქორწინების შემდეგ¹⁸.

ბერი ეგნატაშვილი მარიამ დედოფლის მოღვაწეობას ასე აფასებს: „ყველაფერს ამას ქართლის დედოფალი იმით ახერხებდა, რომ ედვა ამა დედოფალსა ზატივი დიდი ყაენისაგან და ყოველსა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან. იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა რომლის მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ“¹⁹.

ქართლის სამეფოს მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელეებს „დარბაზის რიგის მოხელენი“ ანუ „ქარის გამრიგენი“ ეწოდებოდათ. ადგილობრივი მმართველობის მოხელეებს კი — „საქვეყნოდ გამრიგენი“²⁰.

მმართველობის ცენტრალური აპარატი სამეურნეო-საფინანსო, პოლიციური სამსახურის, მეფის დაცვისა და მართლმსაჯულების დარგებს მოიცავდა. ცენტრალური აპარატის მოხელეთა შორის პირველი ადგილი სახლთუხუცესს ეკავა. სახლთუხუცესს სამეურნეო-საფინანსო საკითხებზე ზრუნვა ევალებოდა, სახლთუხუცესი მეფის სასახლის გამგე და სასახლის ყველა დაწესებულებათა ხელმძღვანელი იყო. მის კომპეტენციაში აღმინისტრაციული ფუნქციებიც შედიოდა. სახლთუხუცესის, როგორც უპირველესი მოხელის, სარგოც („ჯამაგარი“) ყველა სხვა მოხელის შემოსავალზე მეტი იყო. ამ სახელოსათვის კერძო და საჯარო უფლებრივ საწყისთა შეერთება იყო დამახასიათებელი²¹.

როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, „სახლთუხუცესი პირველად როსტომ მეფის მიერ გაცემულ სიგელებშია ფიქსირებული. სახლთუხუცესი ადრე მეფის „საკუთართაგანი“ ანუ „ხელშინაური“ მოხელე უნდა ყოფილიყო და შემდგომად განყოფისა მოხდა მისი დაწინაურება“²². სახლთუხუცესს ემორჩილებოდნენ სასახლის კარის შემდეგი მოხელეები: მოლარეთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, ხაბაზთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ფარემთუხუცესი, კარის მდივნები და სხვა, მოლარეთუხუცესის ხელქვეითი იყო ნაზირი, მოლარე, სალაროს თავლიდარი, მუშრები (მწერალი) და სხვ.²³

ცენტრალური მმართველობის პოლიციურ აპარატს და მეფის დაცვას ახორციელებდნენ მანდატურთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მსახურთუხუცესი და მონათუხუცესი.

ბოქაულთუხუცესი მანდატურთუხუცესის მოადგილედ ითვლებოდა. ბოქაულთუხუცესს, ბოქაულები, იასაულები და სხვები ემორჩილებოდნენ²⁴.

ქართლის სამეფოს უმაღლეს მსაჯულად მეფე ითვლებოდა, რომელიც მხოლოდ დიდ საქმეებს („მეფეთ ორგულობა“, „მეფის სალაროს გატეხვა“, „დიდებულთა შორის დავა“ და სხვ.) არჩევდა²⁵. სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს მეფის მითითებით, სამეფო კარის მსაჯულნი არჩევდნენ, მეფის კარის სასამართლოს „სამდივნო სახლი“, ან „დივანი“ ეწოდებოდა²⁶.

მთავარი მსაჯული მსაჯულთუხუცესი, ანუ მდივანბეგი იყო. სასამართლო სამი წევრისაგან შედგებოდა (მდივანბეგი, მსაჯულნი და მდივანი). XVII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში ერთდროულად ორი მდივანბეგი მოსამართლეობდა²⁷.

საკვლევი პერიოდის, მის წინა და შემდგომი ხანის, ქართლის მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელეთა კომპეტენციისა და მათი ფუნქციების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველმხრივია გაშუქებული. თანაც ჩვენს ხელთ არსებული მასალები რაიმე ახლის თქმის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ, ზემოაღნიშნულ საკითხზე უფრო ვრცლად აღარ შეგჩერდებით, შევეცდებით მხოლოდ, დასახელებული აპარატის ამა თუ იმ თანამდებობის პირთა ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილი სია წარმოვადგინოთ, მართალია, ეს სია შეიძლება სრული არ იყოს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის მაინც სასარგებლო იქნება საკვლევი საკითხით დაინტერესებული მკვლევარისათვის.

როსტომის დროინდელი ცენტრალური აპარატის მოხელეები იყვნენ:

ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ე ბ ი: 1. ქაიხოსრო ბარათაშვილი — 1633—1642 წწ.²⁸, 2. ყაფლან ბარათაშვილი — 1646—1657 წწ.²⁹, 3. ყაიბ ციციშვილი — 1653 წ.³⁰, 4. მანუჩარ ციციშვილი — 1633—1658 წწ.³¹,

5. ნოდარ ციციშვილი (ხორეშან დედოფლის სახლთუხუცესი — 1637—1642 წწ.³²

მ.ო.ლ.არ.ე.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: შიომ ხმალაძე — 1634—1643 წწ.³³

მ.ო.ლ.არ.ე: თამაზა ყაფარაშვილი — 1636—1641 წწ.³⁴

ს.ა.ლ.არ.ოს.მ.უ.შ.რ.ი.ბ.ი: ფირალ ყანდურალიშვილი — 1652 წ.³⁵

ს.ა.ლ.არ.ოს.თ.ა.ვ.ლ.ი.დ.არ.ი, ს.ა.ლ.არ.ოს.ქ.ი.ლი.ბ.დ.არ.ი: ყაიბულა — 1654 წ.³⁶

ფ.არ.ე.შ.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: პაატა ჯავახიშვილი — 1633—1651 წწ.³⁷

მ.ე.ლ.ვ.ი.ნ.ე.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: ბექან თულაშვილი — 1641—1646 წწ.³⁸

მ.ე.რ.ი.ქ.ი.ფ.ე.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: მანუჩარ თუმანიშვილი — 1646—1650 წწ.³⁹

მ.ე.შ.არ.ბ.ა.თ.ე.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: რამაზ თულაშვილი — 1642 წ.⁴⁰

მ.ე.ს.ტ.უ.მ.რ.ე.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: დონდარ ეჯიბისშვილი — 1651 წ.⁴¹

ბ.ა.ზ.ი.ე.რ.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: შამხალ თეგთურმანიძე — 1633 წ.⁴²

მ.ე.ჭ.ი.ნ.ი.ბ.ე.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: იარალ ბარათაშვილი — 1656 წ.⁴³

მ.ე.ჭ.ო.გ.ე.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: პაპუნა ყორღანაშვილი — 1635 წ.⁴⁴

როსტომის მეფობის პერიოდში რამდენიმე

მდივან მწიგნობარს ვხვდებით: 1. ბირთველ თუმანიშვილი; 2. შერმაზან ოქროაშვილი; 3. მერაბ და თაყა ყორღანაშვილები; 4. სულხან მარტიროზიშვილი⁴⁵ და სხვ.

მდივანთა უხუცესი ავთანდილ მარტიროზიშვილი⁴⁶.

ს.ა.მ.ე.ფ.ო.კ.არ.ის.მ.წ.ე.რ.ა.ლი.ფ.ირ.ალ.ყ.ან.დ.უ.რ.ა.ლი.შ.ვი.ლი — 1652 წ.⁴⁷

კ.არ.ის.ს.ა.ლ.არ.ოს.მ.უ.შ.რ.ი.ბ.ი.ფ.ირ.ალ.ყ.ან.დ.უ.რ.ა.ლი.შ.ვი.ლი⁴⁸.

კ.არ.ის.მ.ო.რ.დ.არ.ი.მ.ან.უ.ჩ.არ.თ.უ.მ.ან.ი.შ.ვი.ლი — 1638—1658 წწ.⁴⁹

ო.ხ.ი.ა.ყ.ო.რ.ჩ.ი: ელიზბარ სოლოლაშვილი — 1637—1657 წწ.⁵⁰

ყ.ა.ფ.ი.ჩ.ბ.ა.შ.ი: დონმაზა გოგიბაშვილი — 1643—1646 წწ.⁵¹

ყ.ა.ფ.ი.ჩ.ი.ქ.ა.ინ.და.ვ.ლ.ე.ყ.ო.რ.ღ.ან.ა.შ.ვი.ლი — 1635 წ.⁵²

ვ.ე.ზ.ი.რ.ი: ვარდამა — 1633 წ.⁵³

ს.უ.ფ.რ.ა.ჯ.ი: 1. იშამყული თუმანიშვილი — 1546 წ.⁵⁵, 2. ქაიხოს-რო ბარათაშვილი — 1653 წ.⁵⁶

მ.ე.ი.თ.არ.ი: მანუჩარ თუმანიშვილი — 1654 წ.⁵⁶

ბ.ო.ქ.ა.უ.ლ.თ.უ.ხ.უ.ც.ეს.ი: 1. როინ ჯავახიშვილი — 1636 წ.⁵⁷,

2. ზურაბ სოლოლაშვილი — 1658 წ.⁵⁸

ს.ო.პ.ბ.ა.თ.ი.ს.ა.უ.ლ.ი.ზ.ურ.ა.ბ.ყ.ა.ფ.არ.ა.შ.ვი.ლი — 1641 წ.⁵⁹

ყ.ო.რ.ი.ვ.ი.ა.ს.ა.უ.ლ.ი.გ.ურ.გ.ენ.ყ.ო.რ.ღ.ან.ა.შ.ვი.ლი — 1635 წ.⁶⁰

კ.არ.ის.ი.ა.ს.ა.უ.ლ.ი.პ.ა.პ.უნ.ა.ა.ბ.რ.ა.მ.ი.შ.ვი.ლი — 1650 წ.⁶¹

ყ.ო.რ.ჩ.ი.ბ.ა.შ.ი.ბ.ა.ა.ღ.ურ.ციციშვილი — 1650 წ.⁶²

თ.უ.ლ.ბ.ა.შ.ი: დოღმაზა — 1650 წ.⁶³

ქალაქის მამასახლისი: 1. ამირა — 1635 წ.⁶⁴2. ასლაძე
წოენაშვილი — 1658 წ.⁶⁵

ქალაქის ნაცვალის შერმაზან თუმანიშვილი, — 1656 წ.⁶⁶

ქალაქის მელიქი ენლა⁶⁷,

ზარაბთუხუცესი ხოჯა ბეკბუთა — 1654—1657 წწ.⁶⁸

ყლიჯყორჩი პაპუნა ბარათაშვილი — 1655 წ.⁶⁹

მდივანბეგი ყაფლან ბარათაშვილი — 1634—1643 წწ.⁷⁰,
2. როინ ჯავახიშვილი⁷¹.

კახეთის „სარდალი“ ზაალ ერისთავი — 1654 წ.⁷²

სარდალი პაპუნა ციციშვილი — 1648 წ.⁷³

ამილახვარი: 1. ბეჟან ამილახორი — 1633 წ.⁷⁴, 2. იოთამ
ამილახორი — 1634 წ.⁷⁵, 3. ანდუყაფარ ამილახორი — 1656 წ.⁷⁶,
4. გივი ამილახორი⁷⁷.

როგორც როსტომამდე, ასევე როსტომის დროსაც ქართული
ეკლესიის კათალიკოსობა 1642 წლის ჩათვლით ევდემონ
დიასამიძეს ეპყრა, 1643—1662 წწ. ქრისტეფორე ურდობეგის ძე ამი-
ლახორს⁷⁸. ცნობილია სგრეთვე, რომ 1653—1658 წწ. თბილელ
მთავარეპისკოპოსის კათედრა ელისე საგინაშვილის ხელთ
იყო⁷⁹.

სათანადო მასალის უქონლობის გამო, ზემომოტანილ სიაში ვერ
აეხსახეთ ისეთი თანამდებობის პირები. როგორიცაა: იშოკალასბაში (მან-
დატურუხუცესი), ვეზირი, ჭუფრაქეში, ფეშქაშვიისი, საქარბაში,
სარაიდარი (ხუროთმოძღვარი და სხვ.).

ჩვენს ხელთ არსებული მასალების თანახმად. როსტომის მეფო-
ბის დროს (ისევე როგორც ადრეულ და გვიანდელ ხანებშიც) საქარ-
თველოს სახელმწიფო ენა მშობლიური ქართული იყო. ამასთანავე, სა-
ხელმწიფო მმართველობის სისტემაში (ისევე, როგორც ადრეულ და
გვიანდელ ხანებში) ქართულ ენასთან ერთად სპარსულიც ფუნქციონი-
რებდა ამის საუკეთესო მოწმობას XVII საუკუნის 30—50-იანი წლებ-
ით დათარიღებული ქართული სიგელ-გუჯრები და ორენოვანი (ქარ-
თულ-სპარსული) ისტორიული დოკუმენტები წარმოადგენდნენ.

ქართლ-კახეთის სამეფო კარზე დაბადებული, აღზრდილი და
დავაჟიკებული როსტომი ქართულის გარდა. რომელიც შესანიშნა-
ვად იცოდა, კარგად იყო დაუფლებული სპარსულსა და თურქულ
ენებს (საინტერესოა, რომ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, მეფე სი-
ამონებით ისმენდა მის მიერ წაკითხულ ლექსებს, რომლებიც ქართუ-
ლი კლესია-მონასტრებისა და სასახლეებისადმი იყო მიძღვნილი)⁸⁰.

ყოველივე ზემოაღნიშნულს, ბერი ეგნატაშვილის შემდეგი, სავ-
სებით სამართლიანი სიტყვებით შევჯამებთ: როსტომ მეფე იყო

კაცი კერჯიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა... და იქცეოდა დიდ-
ბულად“⁸¹.

როსტომ მეფის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი მხარეების წარმოსაჩენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანული და მაკმადიანური რელიგიების მიმართ მისი პოზიციის ჩვენებას.

ამ თვალსაზრისით წერილობითი წყაროების შესწავლა ვეჩვენებს, რომ გამაჰმადიანების მიუხედავად როსტომ მეფე ქრისტიანი მარიამ დედოფლის მხარდამხარ დიდ ზრუნვასა და დახმარებას უწევდა ქრისტიანულ სარწმუნოებას — მართლმადიდებლობას, კათალიკობას და გრიგორიანობას. მეფის ამგვარი დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სიტუაციაში არაერთგზის გამოემყვანდა⁸² ზემოთ აღნიშნული გვაქვს, რომ როსტომის ორივე ქორწინება ქრისტიანულ-მაკმადიანური წესების დაცვით შედგა. იმასაც გაუუსვით ხაზი, რომ მარიამთან ქორწინების დროს როსტომი კვლავ მონათლა (ავიტაბილეს სიტყვებით, მეფეს „თავი დაბანეს“) ⁸³, რომ მის სამეფო ბეჭედზე ქრისტიანული ჯვარი იყო გამოსახული და სხვ. გამაჰმადიანებული მეფის პოზიტიური დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიისადმი სხვა არანაკლებ საგულისხმო ფაქტებითაც დასტურდება. ამ თვალსაზრისით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წერილობითი წყაროების იმ მონაცემებს, რომლებიც (მეფის, ან მეფისა და დედოფლის) თაოსნობით ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზე, აღდგენაზე და მოვლა-პატრონობაზე მოგვითხრობენ. ასე მაგალითად. ქართულ-სპარსული ისტორიული დოკუმენტებიდან ვგებულობთ, რომ 1650 წელს როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის მხარდაჭერით, ელისე თბილელმა სიონის ეკლესიის „გუმბათი და სამხროები განაახლა და გამართა. ყოვლისა საეკლესიო სამკაულითა“⁸⁴. იმავე წელს, მათივე თაოსნობით. „შეუმკიათ „მცხეთის (სვეტიცხოვლის — გ. ე.) ჩამოქცეული გუმბათი“, აღუდგენიათ „დაქცეული წმინდა მონასტერი ალავერდისა“⁸⁵. ქ. თბილისში განუახლებიათ „თემურლენგისაგან შემუსრვილი“ კვირაცხოვლის საყდარი“⁸⁶, ბოლნისის სიონი⁸⁷, როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის დროს ერთაწმინდაში აღდგენილ და მოხატულ იქნა წმ. ევსტატეს ტაძარი⁸⁸. 1651 წელს მეფის მითითების შესაბამისად, გარეჯის უდაბნოში არაერთი დანგრეული შენობა შეუკეთებიათ. მეფისავე დახმარებითა და ხელშეწყობით, მარიამმა თეძამის პირს ალაშენა საყდარნი და მონასტერი“⁸⁹. „კვალად განაახლა და შეამკო რუისის ტაძარი“⁹⁰ და სხვა. ქართლის მეფე როსტომი ყურადღებას არც საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტრებს აკლებდა. ამ მხრივ, ნიშანდობლივი უნდა იყოს ის, რომ 1650 წელს, როსტომის ბრძანებით, სოფ. ღირბი გაათარხნეს, მაგ-

რამ ამის სანაცვლოდ ყოველ წელიწადს „საიერუსალიმოდ“ 6000 თეთრის გაღება დააქისრეს⁹¹. იერუსალიმში გაუგზავნიათ მეფე-დედოფალს მარიამ დედოფლის გარდაცვლილი ვაჟის — ოტია ბატონიშვილის ქონების ერთი ნაწილიც⁹².

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, სხვა არანაკლებ საგულისხმო ფაქტებიც არსებობს. ირკვევა, რომ მეფე არა მხოლოდ ეკლესი-მონასტრების აშენებასა და აღდგენაზე ზრუნავდა, არამედ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა მათ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი ეკლესიებს საგადასახადო შეღავათებს ანიჭებდა, სოფლებსა და ყმა-შაშულებს სწირავდა. ასე მაგალითად, 1634 წლის ქართული ერთი დოკუმენტის მოწმობით, თბილელი მთავარეპისკოპოსი და მისი ყმები გათარხნებული იქნენ სადედოფლო და სამეფო გადასახადებისაგან⁹³. 1635 წლის საბუთი გვამცნობს, რომ როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა წინარების საყდრის ყმებს სამეფო სამუშაო „გუთნის ქენა და თივა“ ამოუკვეთეს და ისინი სიონის ღვთისმშობლის ტაძარს შესწირეს⁹⁴. 1645 წელს როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა ზემოთ მოხსენიებული ოტია ბატონიშვილის სულის მოსახსენებლად სოფ. დარბაზი სვეტიცხოვლის ეკლესიას შესწირეს, ხოლო ამ სოფელში მცხოვრები გლეხები სახელმწიფო გამოსაღებისაგან გაანთავისუფლეს, გარდა „სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობისა“: ისიც ირკვევა, რომ მეფე-დედოფალს სვეტიცხოვლის ეკლესიისათვის ოტია ბატონიშვილის ქონების ნაწილი „საყდართა და მონასტერთა“ შეუწირავთ⁹⁵; 1647 წელს როსტომ მეფესა და მარიამ დედოფალს, არაგვის პირს მდებარე სოფ. ლურაო კვლავ სვეტიცხოვლისათვის უბოძებიათ⁹⁶. 1650 წელს მეფემ და დედოფალმა „ყამთა ვითარებისაგან“ „მოშლილი და დაქცეული“ სიონის ტაძარი არა მხოლოდ „მეორედ აღაშენეს“, არამედ იქვე მდებარე ქარვასლის შემოსავლიდან ასი მარჩილი ყოველწლიურად სიონის ტაძრის „შესაწირავად დაადგინეს“⁹⁷, 1648 წლის საბუთის თანახმად, როსტომმა და მარიამმა შუამთის „მსახლობელთა ბაჟი და დამლა“ ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირეს⁹⁸. იმერეთში თეიმურაზის განიხვნის შემდეგ „ნასისხლად დადებული“ სოფ. კისისხევი, რომელიც როსტომ მეფემ სახასოდ დაიჭირა“, 1649 წელს დედოფალმა სიონის ღვთისმშობლის ტაძარს გადასცა⁹⁹ და სხვ.

ქრისტიანებისადმი როსტომ მეფის დამოკიდებულების დასახასიათებლად კიდევ რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ცნობას მოვიტანთ. ერთ-ერთი ქართული დოკუმენტის მოწმობით, 1645 წელს მტრის შემოსევებისაგან შევიწროებული აწყურის ღვთისმშობლის ეკლესიის გლეხები მასიურად აყრილან და ქართლისათვის შეუფარებიათ თავი; როსტომ მეფეს საგანგებო პირობები შეუქმნია და „ბრძანებით“ და-

უცავს მათი ხელშეუხებლობა. როსტომ მეფე ამბობს: „... ვინ იცის და სოფლის საქმე ასრე მოკდეს, რომ საათაბაგოსშვილოს ქრისტიანი მეპატრონე გაუჩნდეს და აწყურის ღვთისმშობლის ჭუარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მოასვენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერაჲინ დაუჭიროს, თუ არა და სხუას კაცს ხელი არა ჰქონდეს“¹⁰⁰. ამ დოკუმენტში, ჩვენი აზრით, ისაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ მასში ხაზგასმულია არა მხოლოდ აწყურის ღვთისმშობლის ეკლესიაზე მის კუთვნილ ჭვარსა და ხატზე მეფის დიდი ზრუნვა (რაც თავისთავად მნიშვნელოვანია), არამედ მისი დიდი ოცნება — მაჰმადიანთაგან სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლებისა („ვინ იცის და სოფლის საქმე ასრე მოკდეს, რომ საათაბაგის შვილოს ქრისტიანი მეპატრონე გაუჩნდეს“...). არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ქართლის მაჰმადიანი მეფე სამცხედან მოსული გლეხების ერთადერთ კანონიერ „მეპატრონედ“ სარწმუნოებით ქრისტიანს მიიჩნევს და არა მაჰმადიანს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხში როსტომ მეფის პოზიცია კარგად ჩანს შემდეგიდანაც. როდესაც 1657 წელს ქრისტიან სახლთუხუცეს ყაფლან ბარათაშვილსა და შაჰის მოხელე, ლორის ხან ბოსჩაღა ისა-ზან სულთანს შორის მამულის გამო უთანხმოება ჩამოვარდა, ქართლის მეფემ სასამართლოს სხდომა მოიწვია, მოდავე პირთა ოქმები შეამოწმა და სადავო საკითხი მიუკერძოებლად გადაწყვიტა: შაჰის მაჰმადიანი მოხელე გაამტყუნა და მამულები სახლთუხუცეს ქრისტიან ყაფლან ბარათაშვილს უბოძა.

ზემომოტანილ ცნობებთან ერთად, ჩვენი აზრით, ისიცაა საგულისხმო, რომ 1648 წელს თეიმურაზთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ, თიანეთს მიმავალი მეფე მცხეთაში შეჩერდა და სვეტიცხოვლისაგან „შეწევნა ითხოვა“. (როსტომისავე სიტყვებით: კახი ბატონი თიანეთს მისულიყო და ჩუენ იქით წავედით. შემოგვიარეთ სუტტო ცხოველო ღვთივ-ალმართებულო, მოვედით კარსა თქუქსნა და ლალადებით შენგან შეწევნა ვითხოეთ)¹⁰¹.

ნიშანდობლივია ისიც, რომ როსტომის გარდაცვალების შემდეგ (1672 წელს) საქართველოში ჩამოსული ფრანგი მოგზაურის, ე. შარდენის თანახმად, საქართველოს შენარჩუნებული ჰქონდა ქრისტიანული რელიგიის ყველა გარეგნული ნიშანი. „ყველა ეკლესიის სამრეკლოს — ამბობს ფრანგი ავტორი — ზემოთ გაკეთებული აქვს ჭვრები და მრავალრიცხოვანი ზარები, რომლებსაც რეკავენ“¹⁰².

ქრისტიანული რელიგიისადმი როსტომ მეფის შემწყნარებლური პოლიტიკა გორში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების მიმართ დამოკიდებულებაშიც ვლინდება. ავიტაბილეს რელაციაში დაცული ცნობის თანახმად, როსტომმა კათოლიკე მისიონერებს ყოველგვარი უპირატე-

სობა მიანიჭა. ამავე ავტორის მოწმობით, ქართლის მაჰმადიანი მეფე კათოლიკების ღვთისმსახურებასა და საეკლესიო სხვა ცერემონიალს ხშირად თვით ესწრებოდა. მაგრამ, როდესაც პატრ ამბროზიომ მიახვედრა, რომ მას, ვითარცა მაჰმადიანს, ნება არ ჰქონდა კათოლიკურ წირვაზე დასწრებისა, მეფე ეკლესიაში აღარ შედიოდა, მაგრამ თავისსავე თხოვნით ზარების რეკვას მონასტრის ეზოდან უსმენდა¹⁰³. კათოლიკე მისიონერებისადმი როსტომის კეთილგანწყობამ ავიტაბილეს სურვილიც კი აღუძრა კათოლიკობაში მეფის მოქცევისა. იტალიელი მისიონერის სიტყვებით რომ ვთქვათ „საამისო ნიშნები მან (როსტომ მეფემ — გ. ე.) არაერთხელ გამოამჟღავნა“¹⁰⁴; „იგი მაჰმადიანია, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს“¹⁰⁵. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, უმართებულოდ გვეჩვენება ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისი, რომ თითქოს „... როსტომ მეფემ კათოლიკე მისიონერებს სასწრაფოდ ზურგი აჩვენა. ქართველებს კი სიკვდილის მუქარით აუკრძალა „სჯულის გამოცლა“ (კათოლიკობაში მოქცევა — გ. ე.), რაც. რასაკვირველია, გამაჰმადიანებას არ ენებოდა“¹⁰⁶.

როგორც ირკვევა, როსტომ მეფე ასეთივე შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა გრიგორიანელების მიმართაც¹⁰⁷.

ამგვარად, მოტანილი მონაცემების შუქზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამაჰმადიანებულ ქართლის მეფეს ქრისტიანული რელიგიისადმი საკმაოდ ლოიალური პოზიცია ეკავა. (რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ მოსაზრებიდან, რომ ქრისტიანული რელიგიის სასარგებლოდ მეფის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლური, კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიის სიყვარულით იყო ნაკარნახევი. ამ „სიყვარულს“, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მიზან-დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ამაში არც განსაკუთრებულია რაიმე და არც მოულოდნელი. როსტომი თავის დროის დიდი პოლიტიკოსი იყო და ბუნებრივია, რომ რელიგიის საკითხში იგი „დიდი პოლიტიკის შესაბამისად მოქმედებდა).

აქვე ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ლოიალური პოზიციის შესატყვისი მოღვაწეობის განხორციელება ქართლის მეფეს საკმაოდ რთულ პირობებში უხდებოდა. საქმე ისაა, რომ ქართლის მეფის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების კეთილდღეობისათვის მიღებული ყოველი გადაწყვეტილება, შაჰის მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა (ცნობილია, რომ კონტროლს თბილისში მოქმედი შაჰის სამეთვალყურეო აპარატი ასრულებდა, რომელიც საქართველოში ოპერატიულად აგროვებდა სათანადო ინფორმაციას და ასევე ოპერატიულად აგზავნიდა მას შაჰის კარზე. ირანიდან სიტუაციის შესაბამისი რეაქცია არ აყოვნებდა). ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მეფეს კომპრომისული პოლიტიკის პირობებში უხდე-

ბოლა ქვეყნის ნართვა-გამგებლობა, მას ყოველთვის არ შეეძლო ქრისტიანული რელიგიისადმი თავისი ნამდვილი დამოკიდებულების გამოვლენება¹⁰⁸. როგორც ჩანს, ამით აიხსნება, კერძოდ ავიტაბილეს რელატივაში შემონახული საინტერესო ფაქტი, რომლის თანახმადაც, ქართლის გამაჰმადიანებულმა მეფემ ქრისტიან მარიამზე დაქორწინების ქრისტიანული რიტუალი (მიუხედავად იმისა, რომ იგი შაჰთან წინასწარ „გასინჯული“ იყო), ისე ჩაატარა, რომ იგი „თვალში საცემი არ ყოფილიყო“ გორში მყოფი ყიზილბაშთა გარნიზონისათვის. ავიტაბილეს ცნობით, აღნიშნული ჯვრისწერა. ისევე როგორც მეფის მონათლაც („თავის დაბანვა“), გორში, თეათინელთა ეკლესიაში, საღამო უამს (5 საათზე), ჩატარდა, მას შემდეგ, რაც მეფესთან გორში მოსული ყიზილბაშთა გარნიზონი გორის ციხეში დაბანაკდა¹⁰⁹. ზემოაღნიშნული გარემოებითვე იყო შეპირობებული ისიც, რომ ქრისტიანულ ეკლესიაზე მზრუნველის როლში ზოგჯერ მხოლოდ ქრისტიანი დედოფალი გვევლინება, რომელიც სამეფო კარზე დიდი უფლებების მიუხედავად, რასაკვირველია, მეფესთან შეუთანხმებლად ვერ იმოქმედებდა¹¹⁰.

რაც შეეხება მუსლიმანური რელიგიისადმი როსტომ მეფის დამოკიდებულებას, შემდეგი შეიძლება ითქვას: თუ თვით როსტომისა და ქართული ფეოდალური საზოგადოების ცალკეული წევრების გამაჰმადიანების ფაქტებს კვლავ როსტომისეული „დიდი პოლიტიკის“ თვალსაზრისით შევხედავთ, თანაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის პოლიტიკურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ მეფისა და ცალკეული ფეოდალების მიერ მაჰმადიანობის მიღება ფორმალური, დროებითი, იძულებითი საშუალება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას. ქვეყნის სოკიალ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, გაუთავებელი ომებით სისხლგამოცლილი ხალხის დროებით შესვენებას და საბოლოო ჯამში მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადებას.

ახლა თუ წერილობითი წყაროების მონაცემებიდან ამოვალთ, დავინახავთ, რომ როსტომის მეფობის ხანაში, გამაჰმადიანება, ძირითადად, ქართული ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენას შეეხო და იგი გამონაკლისს, საგანგებო შემთხვევების გარდა. ძალდატანებითი არ ყოფილა (იხ. ქვემოთ), მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საკვლევი ეპოქაში მაჰმადიანურ რელიგიას საკმაოდ შეზღუდული სამოქმედო ასპარეზი გააჩნდა, რაც თავისი მხრით იმის მანიშნებელია, რომ ირანის მისწრაფება საქართველოს გამაჰმადიანებისა ფაქტიურად მარტობით დამთავრდა.

ზემოხილულ დასკვნებს, ჩვენი აზრით, შემდეგიც უკერს მხარს: ქართული და უცხოური წყაროების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ დროს, როდესაც ქართლის ყოველ კუთხეში არაერთი ეკლესია-მონასტრის აღშენება-აღდგენაზე, ეკლესიებისათვის და მონასტრებისათვის სოფლებისა და ყმა-მამულების შეწირვაზე, საგადასახადო შეღავათების მათთვის მინიჭებაზე. საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა მეტყველებს, მაჰმადიანური საკულტო ძეგლების — მეჩეთების — მშენებლობის შესახებ იმავე წყაროებში თითქმის არაფერია ნათქვამი. ჩვენთვის საინტერესო მონაცემებს შორის ამგვარი თანაფარდობა როგორც ჩანს, რეალურად არსებული ვითარების თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს. გამორიცხული არ არის ვარაუდი, რომ ეს გარემოება ამ ორი სარწმუნოებისადმი (ქრისტიანობისა და მაჰმადიანობისადმი) მეფის მიერ გატარებულ ღონისძიებებში არსებული დისპროპორციით და საბოლოო ჯამში, ამ ორი სარწმუნოებისადმი მეფის რეალური დამოკიდებულებითაც იხსნებოდეს.

შართალია, XVIII საუკუნის ისტორიკოსები, ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი როსტომს სამი მეჩეთის მშენებლობას მიაწერენ¹¹¹ (ვახუშტის მოწმობით, ეს მეჩეთებია: „ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა თ(ვი)სსა ერთი და განჯის კართან ერთი“)¹¹², მაგრამ არც როსტომ მეფის სახელით შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტებში და სამეფო კანცელარიის საქმიან ქალაქებში და არც ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებასში არაფერია ნათქვამი აღნიშნულ ხანაში მეჩეთების მშენებლობის შესახებ (როსტომ მეფის თანამედროვე ისტორიკოსს, ფარსადან გორგიჯანიძეს, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდა თბილისში, არამც თუ რამდენიმე, არამედ ერთი მეჩეთის აღმართვაც კი). როსტომის თანამედროვე ევროპელ მოგზაურთაგან, მხოლოდ იტალიელი ავითაბილე აღნიშნავს გორის ციხე-სიმაგრეში (და არა ქალაქში) ყიზილბაშების მიერ (და არა მეფის მიერ) ქართული ეკლესიის მეჩეთად გადაკეთების ფაქტს¹¹³, რაც სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონი იყო განლაგებული და იმასაც არ დავივიწყებთ, რომ ყიზილბაშები ფუნატიკურად მისდევდნენ ისლამს. საგულისხმოა ისიც, რომ როსტომის მემკვიდრის ვახტანგ V-ის თანამედროვე ფრანგი მოგზაურის ე. შარდენის მოწმობით, „თბილისში არცერთი მეჩეთი არ არის“¹¹⁴, გარდა თბილისის ციხეში ყიზილბაშების მიერ აშენებული „პატარა მეჩეთისა“ („ამ რამდენიმე წლის წინათ, სპარსელებს ციხეში აუშენებიათ ერთი პატარა მეჩეთი იმ კედელთან, რომელიც ციხეს თბილისის დიდი მოედნისაგან გამოჰყოფს“)¹¹⁵, კიდევ უფრო ნიშანდობლივია ფრანგი მოგზაურის ის ცნობა, რომლის თანახმადაც, სპარსელები ვერ ბედავდნენ თბილისში მეჩეთების აგებას („სპარსელები არაფერს იშურებდნენ იმი-

სათვის, რომ აქ მეჩეთი აეშენებინათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიუყვანიათ. ხალხი მაშინვე აღდგებოდა ხოლმე იარაღით ხელში, ანგრევდა ნაგებობას და სასტიკად უსწორდებოდა მშენებლებს“¹¹⁶.

ქართველების განწყობას ყიზილბაშების მიერ მაჰმადიანური საკულტო ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით, შესანიშნავად გადმოგვცემს ე. შარდენის მიერ აღწერილი ის კონკრეტული ეპიზოდებიც, რომლებიც „პატარა მეჩეთის“ მშენებლობის დროს მომხდარა („ქართველებმა ვერ მოახერხეს ამ მეჩეთის მშენებლობისათვის ხელი შეეშალათ. რადგანაც ვერ გაბედეს იარაღით ხელში ციხეში შეჭრა, რომელიც კარგად იყო გამაგრებული; მაგრამ ავიდა თუ არა ზემოთ მოლა სარწმუნოებრივი აღსარების შესასრულებლად და მათი ჩეულების მიხედვით ხალხის მოსახმობად, ხალხი მოედანზე მოგროვდა, ქვები დაუშინეს მეჩეთს და მოლა იძულებული შეიქმნა სასწრაფოდ ძირს ჩამოსულიყო. ამ ჯანყის შემდეგ მოლა აღარ აუშვიათ ზევით“¹¹⁷.

და ბოლოს, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით უალრესად საყურადღებოა ე. შარდენის ის მითითებებიც, რომ „საქართველოს მთავრები გულის სიღრმეში მეტად კმაყოფილნი იყვნენ ხალხის ამბოხებებით, თუმცა გარეგნულად საწინააღმდეგოს გამოხატავდნენ. ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ ფორმალურად განუდგნენ იმისათვის, რომ მეფისნაცვლობა მიეღოთ და მოქმედებდნენ თავიანთი სურვილის წინააღმდეგ“¹¹⁸.

ახლა, თუ ზემომოტანილ მონაცემებს ერთად გავიზარებთ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: 1. ჩვენთვის საინტერესო ხანაში საქართველოში და კერძოდ, ქართლში მაჰმადიანურ სარწმუნოებას საკმაოდ არამყარი მდგომარეობა ჰქონდა; 2. მისი აქტიური ფუნქციონირების არეალი თბილისისა და გორის ციხეებში განლაგებულ ყიზილბაშთა გარნიზონებით იფარგლებოდა; 3. გამაჰმადიანებული მეფისა და ზოგი ქართველი გამაჰმადიანებული ფეოდალისათვის ეს სარწმუნოება ფორმალურ, დროებით ხასიათს ატარებდა¹¹⁹; 4. გამაჰმადიანებული მეფე არავითარ ღონისძიებებს არ ატარებდა მეჩეთების მშენებლობის მიზნით; 5. ქვეყნის მოსახლეობა გააფთრებით ებრძოდა მაჰმადიანობას.

და ბოლოს, რელიგიის საკითხში როსტომის მთელ მოღვაწეობას სხვა სიტუაციაში, სხვა პიროვნების მიმართ წარმოქმულ დოსითეოს პატრიარქის სიტყვებით შევაფასებთ: „... გარემოებამ გაიძულა გამოგვეცალა მამაპაპური წმინდა რჯული... შენი მიზანი იყო გარეგნულად გვანებოდი უცხო რჯულის ადამიანს, გულში კი ქრისტიანი ყოფილიყავი. რაც შეეხება ურჯულოებს — მოატყუე ისინი, გაუციენე მათ, იცრუე, თუ საჭირო იქნება, დაუფიცე კიდეცაც, ოღონდ ქრისტიანებს სიკეთე მოუტანე“¹²⁰.

როგორც აღინიშნა, როსტომ მეფესა და თეიმურაზს შორის დაპირისპირებამ ქართული ფეოდალური საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფა გამოიწვია.

დაულალავი თეიმურაზი როსტომისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას წლების მანძილზე იმერეთიდან განაგრძობდა. მის მთავარ ამოცანას ქართლიდან როსტომის გაძევება, ირანის ბატონობის დამხობა და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება შეადგენდა. ამავე დროს, ყიზილბაშთა ძალაზე დაყრდნობით, როსტომი ენერგიულად ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლების გააღვივებას და ქვეყნის აღორძინებას. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ქართლში როსტომის მოღვაწეობის პირველმა 15 წელმა სხვადასხვა ბრძოლებით, აჯანყებებითა და შეთქმულებებით დამძიმებულ სიტუაციაში განვლო. ქართლში როსტომის მოსვლისთანავე ქართველების ერთი ნაწილი მამულდანი მეფის მმართველობას არ დაემორჩილა, მათ ქრისტიანობის რჯულისათვის „ბატონი თეიმურაზ ერჩივნათ“. ზემოთ აღინიშნა, რომ თეიმურაზის მომხრე ფეოდალებმა ქვეყნის არევა მონღოლმეს და ამ მიზნით, დათუნა არაგვის ერისთავი როსტომ მეფესთან დააპირისპირეს¹²¹. საქორწილოდ მიმავალ მეფეს, როგორც ზემოთ ითქვა, სურამში დათუნა ერისთავი აუმხედრეს¹²². რაკი დათუნა ერისთავი ზურაბ არაგვის ერისთავის ძმა იყო, რომელმაც როსტომის ძმისწული სიმონ 11 მოკლა, თავადებმა დათუნა შეაშინეს, რომ მას მეფისაგან „სისხლის მოკითხვა და სიკვდილი მოელოდა“¹²³. დათუნა ერისთავი არაგვის ხეობაში შევიდა, გამაგრდა, თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და ქართლში გაბატონება შესთავაზა. 1634 წელს როსტომ მეფემ ურჩი ფეოდალის დასაქორჩილებლად დიდი ლაშქარი დაძრა და მუხრანში შევიდა, დათუნა ერისთავი „ფიცით“ თავისთან გადმოიყვანა. მეფის პირობა ასეთი იყო: თუ დათუნა შაჰის კარზე წავიდოდა, უკან დაბრუნებისას ქართლის მეფე დანაშაულს აბატებდა. დათუნამ არ ისმინა როსტომის სიტყვები, რისთვისაც მკაცრად დაისაჯა. მეფის ბრძანების შესაბამისად, იგი მუხრანშივე ლალატით მოაკვლევინეს (მკვლელები გაბაშვილი და თურქისტანიშვილი იყვნენ)¹²⁴. დათუნას მოკვეთილი თავი „მეფემ ყაენს გაუგზავნა და ისიც შეუთვალა: „იყო მამფოთებელი ქუეყნისა და მჩხუბევდა ბატონ თეიმურაზთანა“¹²⁵. დ. გვრიტიშვილის მოსაზრებით, დათუნამ თეიმურაზი როსტომს ვერ დაუპირისპირა, ხოლო როსტომი კი გადიმტერა“¹²⁶. დათუნას დასჯის შემდეგ, ქართლის მეფე არაგვის საერისთავოს შეესია. დუმეთი, ბაზალეთი, საშაბურო. არაგვის პირი დაარბია და რვა დღის განმავლობაში დუმეთს დაჰყო¹²⁷.

დათუნას სიკვდილისთანავე, „უფროსი კაცნი“ შეიკრიბნენ და მისი ძნა, ზაალი „გააერისთავეს“¹²⁸. ზაალ ერისთავმაც არ დააყოვნა და იმერეთში შეფარებული თეიმურაზი „საფიცრის წიგნებით“ ქართლში გასამეფებლად მიიწვია¹²⁹. თეიმურაზი იმერეთიდან დიღოეთის გზით ანანურს სასწრაფოდ მივიდა¹³⁰. რადგან როსტომ მეფის ლაშქარში თეიმურაზის სასარგებლო განწყობილება სუფევდა, ამიტომ ერთგულ პირთა რჩევით, როსტომი იქაურობას გაეცალა და ტინთის გზით გაძლიერდა. მაგრამ ბაზალეთთან ზაალ ერისთავმა გზა გადაუჭრა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. თეიმურაზმა ქართლისა (ქსნის და არაგვის ერისთავების) და კახეთის თავადების დახმარებით როსტომთან შებრძოლებისას რამდენიმე წარმატებაც მოიპოვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა¹³¹.

როსტომ მეფისაგან ძლეული თეიმურაზი ქართლს გაეცალა. ქსნისა და არაგვის ერისთავთა დახმარებით კახეთში ჩავიდა. შემდეგ მოსაბრუნში (ყარაღაჯის ახლოს, ქარის პირდაპირ, ლაგოდუხის რაიონში)¹³² აგებულ სასახლეში მდგარ სელიმ-ხანს თავს დაესხა, გააძევა და 1634 წელს კვლავ კახეთში გაბატონდა¹³³. მტრის ხშირი შემოსევებისაგან აოხრებულ კახეთში თეიმურაზი როსტომ მეფის შიშით ველარ გაჩერდა. სამი წელი ანანურთან იდგა და როსტომზე ხშირი თავდასხმებით ქართლის დაბრუნებას ყველანაირი ხერხით ცდილობდა¹³⁴.

შინაფეოდალური ომები ისევ გრძელდებოდა. თეიმურაზთან ბრძოლაში უპირატესობის მიღწევის შემდეგ, როსტომი გაძლიერდა, განდიდდა. მას ერთგულებდნენ „რომელნიმე წვრილნი კაცნი ქართველნი“, რომელთა თანადგომით და ყიზილბაშთა ძალის დახმარებით იგი ფეოდალთა შემოტევებს იგერიებდა და მტრებიც ვერაფერს აკლებდნენ¹³⁵.

შეუპოვარი თეიმურაზი კახეთიდან ხან სამუხრანოს და ხან არაგვის საერისთავოს არბევდა. 1635 წელს იგი იოთამ ამილახორის, ქსნისა და არაგვის ერისთავებისა და კახელების დახმარებით იკორთის გზით, არცევს მივიდა და გორში მყოფ როსტომზე თავდასასხმელად გაემზადა. ქართლის მეფემ გორიდან ლაშქარს გაუძახა. არცევთან „თავგამეტებით ომი გარდინადეს და გამარჯვება მეფის როსტომის ჯარს დარჩა“¹³⁶. აღნიშნულის შესახებ არჩილიც დაახლოებით იგივეს გადმოგვცემს¹³⁷. ძმათაშორის ბრძოლამ მთელი ქართლი ააოხრა.

როსტომ მეფემ ქართლში მომხდარი ამბები სასწრაფოდ შაჰს შეატყობინა. მალე შაჰ სეფის ბრძანებით, აზერბაიჯანიდან ყიზილბაშთა დამხმარე ძალები მოუვიდა¹³⁸. რომელთაც დავალებული ჰქონდათ თეიმურაზის „ურჩობის უკუგდება და მოსპობა“¹³⁹. როსტომ მეფემ ქართლს და ყიზილბაშთა ჯარით კახეთზე გაილაშქრა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა თეიმურაზმა ამ სიტუაციაში, შაჰისადმი მორჩი-

ლება არჩია და როსტომისაგან პატიება ითხოვა. თეიმურაზი აცხადებდა: „ყიზილბაშთაგან მრავალი ძალი და უსამართლობა მკირსო. თუ რამ კიდევ დამეშავებინოს რამეო, შიშით მიქნია და თქვენი (იგულისხმება როსტომი — გ. უ.¹⁴⁰) თავადები, რომლებიც ჩვენთან არიან, ფიციით შემოგარიგებთო და ჩემს თინათინს თქვენის ბრძანებით შაჰ სეფი უყენს ვაახლებო... ჩემს აოჯრებულს სამკვიდროს მამულზედ დაგვაყენოსო“⁴¹. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, თეიმურაზის შემორიგება როსტომ მეფეს „ნამეტნავად იამა“, ლაშქრობა მოიშალა, ორივე მხარემ დათქმული პირობა შეასრულა⁴². თეიმურაზთან შერიგება როსტომმა შაჰს აცნობა.

ოსმალეთთან განახლებულ საომარ მოქმედებაში მყოფმა შაჰმა ქართველი მეფეების შერიგება მოიწონა. შაჰის სურვილისამებრ როსტომმა თეიმურაზის ასული თინათინი „ვითაც თავისი ასული“, „სახელმწიფოს მორთულობით“, ვეზირ ალა მოინასა და კახეთის მდიდარ თავადთა თანხლებით შაჰ სეფის გაუგზავნა⁴³. შაჰმა თინათინი ცოლად შეირთო. მოგვიანებით მთერალი შაჰის ბრძანებით, თინათინი დაუხრჩვიათ⁴⁴ (აღნიშნულ ფაქტს ქართულთან ერთად იტალიური და სპარსული წყაროებიც გვაწვდიან)⁴⁵.

როსტომთან შერიგებისათვის თეიმურაზს ირანიდან „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ჯალათი გამოუგზავნეს“. შაჰმა თეიმურაზს, ყველა ჩადენილი დანაშაული შეუწდო და იგი კვლავ კახეთის ქრისტიან მეფედ აღიარა⁴⁶.

ქართლისა და კახეთის მეფეთა შერიგებამ, შინაფეოდალური ომებით მოქანცული მოსახლეობა დროებით შეასვენა. გამჭვრიახი გონების პოლიტიკოსს, როსტომ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ქართლის ძალების შემოსაკრებად და გასაერთიანებლად აუცილებელი იყო თეიმურაზის ოპოზიციის შესუსტება, მისი ძალების დაქსაქსვა და მტრულად განწყობილი თავადების შემორიგება. ქართული ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ როსტომმა ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწია: სამეფო კარის სახლთუხუცესის ქაიხოსრო ბარათაშვილის დახმარებით, როსტომ მეფემ ქსნისა და არაგვის ერისთავები შემორიგა და ამის აღსანიშნავად სახლთუხუცესს ვერეს ქევში სოფ. ნახშირისგორი უბოძა⁴⁷. ამავე ხანებში, ქართლის გამგებელმა უცნებლობის ფიციით იოთამ ამილახორი შემორიგა. ყაფლან ბარათაშვილი მიიმხრო, რომელსაც აზნაურები და ყმა-მამულებიც უბოძა⁴⁸ და ა. შ.

სამუშუალოდ, თეიმურაზისა და როსტომის შერიგება ხანმოკლე აღმოჩნდა. თეიმურაზი ქართველ ფეოდალთა დახმარებით, ძალღონეს არ ზოგავდა, ყოველნაირად ცდილობდა როსტომის ძალაუფლების დამხობასა და ქართლის ტახტის დაუფლებას.

როსტომ მეფე უშვილო იყო და თავადების ინიციატივით, ქართლის ტახტის მემკვიდრის შერჩევა დაიწყო. ქართლის თავადებმა მეფეს მოახსენეს: საქართველო იმიტომ არ წყნარდება, რომ „თქვენს საბოლოს ვერ კედვენო“. შფოთავენ და „სხვა ბატონს ეძებენო“. დაახლოებით 1636 წელს მეფეს ურჩიეს, რომ მას იმერეთის მეფის გიორგი III-ის ძე მამუკა ბაგრატიონი ახალციხიდან ჩამოეყვანა და „შვილად ეკურთხებინა“¹⁴⁹. როსტომ მეფემ ქართლის ტახტის მემკვიდრის შერჩეულ კანდიდატურაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ თეიმურაზის მომხრე თავადებმა კვლავ ორგულობა გამოიჩინეს. სასახლის აბნანაში (აბანოში) როსტომ მეფის ღალატით მოკვლა განიზრახეს და მის აღგილზე მამუკა ბატონიშვილის გამეფება გადაწყვიტეს. მაგრამ საქმიანი დამთავრდა, რომ მეფის ნაცვლად აბანოში შემთხვევით შესული შერიქიფეთუხუცესის ყმა დაქრეს. „დაკოდილი კაცი როსტომის მომხრეებმა მასვე მიჰგვარეს“¹⁵⁰.

მეფემ მის წინააღმდეგ გამომყდვენებულ შეთქმულებას ღუმილით აუარა გვერდი. ძმათაშორის სისხლის ღვრას მოერიდა და შეეცადა მომხდარი კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა. მან, სომანეთის ჰალაში მყოფ მამუკა ბატონიშვილს „ათი ათასი მარჩილის საჩუქარი გაუგზავნა“ და თან წერილით შეატყობინა: „ყაენისაგან მერიდებისო, არამც კარზედ გიხმონო, ჩემგან საფიცარი გაქვთო, რომ უნებლრი არ გადროო რაო. თქვენც მოგეხსენების, ყაენის უარის თქმა არ შეგვიძლიაო“. ურჩია, ისევ ახალციხეს წასულიყო და ქართლიდან ხელის მომართვასაც შეპირდა¹⁵¹. ამ შემთხვევაში, ქართლის მეფის სიფრთხილეს განაპირობებდა ისიც, რომ მას შაჰის კარის ვალიზიანებაც არ სურდა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, „ჩხეიძეები და სხვა საბატონოს კაცის შვილები“ „ზოგი ნოდარ ციციშვილთან“ და „ზოგნი სხვაგან მივიდნენ“¹⁵².

ახლა რაც შეეხება ამ ინციდენტისადმი როსტომ მეფის დამოკიდებულებას, შემდეგი უნდა აღინიშნოს:

ფარსადან გორგიჯანიძე, როსტომ მეფის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს მის გულუბრყვილობას მიაწერს. მისი სიტყვებით, „მოატყუეს როსტომ მეფე, მამუკა ბატონიშვილი ჭარით ჩამოიყვანეს და მისი ქართლში გამეფება მოინდომეს“¹⁵³.

ჩვენი აზრით, „მემკვიდრის საკითხში“ ქართლის მეფის თანხმობა მისი გულუბრყვილობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით. როსტომის თანხმობას ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრედ იმერეთის ბატონიშვილის გამოცხადების შესახებ, პოლიტიკური მიზანდასახულობა ჰქონდა. იგი ითვალისწინებდა თეიმურაზისა და ალექსანდრე იმერთა მეფის ოპოზიციასთან იმერეთის ბატონიშვილის დაპირისპირებას, ამასთანავე შემდგომში

მოკავშირე ლევან დადიანისა და ყიზილბაშთა დამხმარე ძალით, აღმოსავლეთ საქართველოსთან იმერეთის შემოერთებას. მაგრამ, შეთქმულების გამოაშკარაებამ ჩაშალა როგორც ქართლის ტახტის მემკვიდრის საყიბნის გადაჭრა, ასევე აღმოსავლეთ საქართველოსთან იმერეთის გაერთიანებისათვის როსტომ ბაგრატიონის პოლიტიკური ჩანაფიქრიც¹⁵⁴.

1635 წელს, ახალი ძალით განახლებულ ირან-ოსმალეთის ომის ასპარეზს ძირითადად საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ქურთისტანი წარმოადგენდა.

მუსტაფა ნაიმას ცნობებით, ამჟვე წლის ივლისში ოსმალეთის ლაშქარი ერევნის მიმართულებით გაემართა. მურად IV-ს ყარსთან ჩილდირის ბეგლარბეგი საფარ-ფაშა შეუერთდა, რომელმაც ერევნის აღებაში მიიღო მონაწილეობა. ერევნის ბრძოლას პირადად მურად IV ხელმძღვანელობდა. 8 აგვისტოს ერევანი ოსმალთ დანებდა. ერევნის დაკავების შემდეგ მურადი ანისიჩაკენ გაემართა. ანისი აიღო, აზერბაიჯანში შევიდა და იქაურობა ნაცარტუტად აქცია¹⁵⁵.

ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს მურად IV-მ ჭარის ერთი ნაწილი სამცხეში გაგზავნა და ახალციხე აიღო¹⁵⁶. ახალციხის დაპყრობის შესახებ ცნობას მუსტაფა ნაიმასთან ერთად ოსმალთ ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევიც გვაწვდის¹⁵⁷.

ყიზილბაშური ირანი ერევნის და ახალციხის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და ყველანაირად ცდილობდა მათ უკან დაბრუნებას. მაგრამ ეს სურვილი განუხორციელებელი რჩებოდა. ერევნის აღებით, ოსმალეთი ირანს გზას უჭრიდა ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნებისაკენ, ხოლო ახალციხე გზას უხსნიდა ოსმალეთს ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ, რომელთა დაპყრობას „თვითონ ირანი დაჟინებით ცდილობდა“¹⁵⁸.

ირანის მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა ერევნის გასამაგრებლად. შაჰის წინაშე სამხედრო სამსახურის შესრულება ქართლის ვალისაც ევალებოდა, მაგრამ ვინაიდან ახალციხიდან შიდა ქართლში ოსმალთა შეჭრის საშიშროება იყო მოსალოდნელი, როსტომმა თავისი მოვალეობა ერევნის ალყისათვის თბილისიდან ორი ზარბაზნის გაგზავნით შემოფარგლა¹⁵⁹.

1636 წლის გაზაფხულზე ყიზილბაშებმა ერევანი დაიბრუნეს. ამჟვე ხანებში, შაჰ სეფის განკარგულებით როსტომ მეფემ ლაშქარს გაუძახა და „სამცხე და ჭავჭავთი დაარბევინა“¹⁶⁰. ირანის მთავრობის სურვილი, რომ ახალციხე ოსმალეთის წინააღმდეგ აემხედრებიათ

უშედეგოდ დამთავრდა. ამიერკავკასიის ქვეყნების რბევა 1638 წლამდე გაგრძელდა. ამ ომმა მურად IV-ს დიდი სახელი მოუპოვა, სარგებლობა კი უმნიშვნელო¹⁶¹, ორივე მუსლიმანურ დაპყრობელ ქვეყანას შიშვე მდგომარეობა შეუქმნა.

1639 წელს სოფ. ზოპაზში დადებული ზავით აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი კი ოსმალეთს. რაც შეეხება სამეცხე-საათაბაგოს, 1555 წლის ზავისაგან განსხვავებით (როდესაც იგი შუაზე გაიყო), ახლა მთლიანად ოსმალეთის კუთვნილებად გამოცხადდა. ვ. ჩოჩიევის სიტყვებით, 1639 წლის საზავო შეთანხმება „არის ირან-ოსმალეთის პირველი საზავო ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია ოსმალეთის აგრესიის შედეგი საქართველოს მიმართ მის მიერ სამეცხე-საათაბაგოს დაპყრობა“¹⁶². ამ ზავის პირობით, ოსმალეთმა ირანს საბოლოოდ ააღებინა ხელი საქართველოს ამ რეგიონზე. ამგვარად, საქართველოს უძველესი კულტურის დიდი კერა ოსმალეთის აღმინისტრაციულ ერთეულად — ახალციხის საფაშოდ იქცა. ამიერიდან სამეცხე-საათაბაგოში ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური წყობა დაამკვიდრა. 1639 წელს დადებული ზავი 1723 წლამდე არ დარღვეულა. მან თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე დააკანონა საქართველოს სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური გათიშულობა.

შპ სეფისაგან შეწყნარებული თეიმურაზი კახეთში იმყოფებოდა და კვლავ ენერგიულად განაგრძობდა ბრძოლას როსტომისა და ყიზილბაშთა ბატონობის წინააღმდეგ, ქართლ-კახეთის გასაერთიანებლად. ამ საქმის წარმატებით განხორციელებაში მას ყველაზე რეალურ დამხმარე ძალად რუსეთი მიაჩნდა.

ამ მიზნით, ირან-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე, 1635 წლის შემოდგომაზე თეიმურაზ I-მა ელჩები მიავლინა რუსეთში და ხელმწიფისაგან არა ერთი დიდი მნიშვნელობის ღონისძიების ჩატარება ითხოვა. სახელდობრ, ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობა, რუსეთში გადახვეწილი კახელების დაბრუნება, ელჩების გამოგზავნა და სხვ. მაგრამ დასავლეთთან გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო რუსეთს იმეამად თეიმურაზის თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო. რუსეთის მესვეურები კახეთის სამეფო კარზე ელჩობის გამოგზავნით დაკმაყოფილდნენ (თავად თევდორე ვოლკონსკისა და არტემი ხვატოვის მეთაურობით)¹⁶³. კახთ მეფის თხოვნის შესაბამისად, რუსებს კახეთის საზღვართან იმიერკავკასიაში ციხე-ქალაქი უნდა ჩაედგათ და შიგ ორი ათასი მეომარი ჩაეყენებინათ. გარდა ამისა, რუსეთის ხელმწიფეს შპთან უნდა ეშუამდგომლა თეიმურაზისათვის ქართლის დაბრუნების შესახებ¹⁶⁴. ამგვარად, რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა ირანისა და ოსმალეთის მტრად გადაკიდება და მათ წინააღმდეგ ომის დაწყება. ამიტომ, ელჩებმა აშკარა დაპირებებისაგან თავი შეიკა-

ვეს. რუსი პოლიტიკოსები კახეთის მესვეურებს ირანის შაჰის წინაშე მხოლოდ დიპლომატიურ შეამდგომლობას აღუთქვამდნენ. სამაგიეროდ, ელჩებმა თეიმურაზისაგან რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცის მიღება მოითხოვეს. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 1639 წლის 23 აპრილს თეიმურაზ მეფემ დაეთმო ბატონიშვილთან და ქართველ დიდებულებთან ერთად რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცს ხელი მოაწერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი შედეგი არც ამ აქტს მოჰყოლია¹⁶⁵.

ისარგებლა რა ირან-ოსმალეთის ომის განახლებით, თეიმურაზ მეფემ, დიდოელებზე ლაშქრობა და მათი დაპყრობა განიზრახა. თეიმურაზის ვარაუდით, ოსმალეთთან ომში ირანის დამარცხება როსტომის პოზიციებს ძალას გამოაცლიდა, ხოლო ჩრდილოეთის გზის გახსნის შემთხვევაში, რუსეთისაგან დალესტანში გამოგზავნილი ჯარი თეიმურაზს ზურგს გაუმაგრებდა. ამ საქმეში რუსეთის ჩარევა ამ უკანასკნელს საქართველოში გადმოსვლისა და ყიზილბაშთა დამარცხების საშუალებას მისცემდა. (ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს, „... თეიმურაზ იზრახა და განიგულა დაპყრობა დიდოეთისა და სწადლა იქიღამე რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობმა რუსეთის ხელმწიფისაგან და მუნითგან რუსეთის ჯარის მოსვლა“)¹⁶⁶. დიდოეთის დაპყრობით, თეიმურაზი მათ მოქცევადაც ცდილობდა, მაგრამ დიდოელებს „ლეკნი წარმოეშველნენ“, თეიმურაზი დაამარცხეს და „ამოუწყვიტეს გამოჩენილი ეპისკოპოსდარბაისელნი“¹⁶⁷.

ამგვარად, ირან-ოსმალეთის ომის დროს თეიმურაზის მიერ წამოწყებული ყველა ოპერაცია უშედეგოდ დასრულდა, მისი პოლიტიკური გეგმები განუხორციელებელი დარჩა.

თეიმურაზმა მოკავშირე იმერთა მეფისაგანაც ვერ მიიღო დახმარება. ლევან დადიანი იმერეთზე იმდენად „მძლავრობდა“, რომ ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით, „ესრეთ გაუჭირა საქმე ალექსანდრეს, რომე ქუთაის(ს) გალავანი შემოივლო და იჯდა მას შინა და ვერა წინააღმდეგებოდა დადიანს“¹⁶⁸. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი თეიმურაზი შინაც არ ცხრებოდა. ქართლ-კახეთის ფეოდალთა გარკვეულ ჯგუფზე დაყრდნობით იგი ენერგიულად ცდილობდა გამაჰმადიანებული როსტომის დამარცხებასა და ქართლის შემომტკიცებას. სანამ თეიმურაზი კახეთში იყო, დასასრული არ უჩანდა მისი ინიციატივით მოწყობილ შეთქმულება-აჯანყებებს.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, 1637 წელს ქართლის დიდმა თავადებმა — ნოდარ ციციშვილმა, იოთამ ამილახორმა, იასე და ზაალ ერისთავებმა როსტომის წინააღმდეგ მორიგი აჯანყება მოაწყვეს. ამაზე განრისხებულმა როსტომ მეფემ, იასე ქსნის ერისთავისა და იოთამ ამილახორის შეპყრობა განიზრახა. მეფემ მათი ცოლ-შვილი გორის

ციხეში მოათავსა¹⁶⁹. მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა. მაშინ ქართლის მეფემ შემდეგ ღონისძიებებს მიმართა: კარაღეთი ნოდარს უბოძა, აპილახორად ისევ ბეჟანი დანიშნა და ქსნის ერისთავობა ელიზბა⁴ს უწყალობა. მაღალი თანამდებობიდან გადაყენებულ თავადთა ყმები „ახლად დანიშნულთ მიუვიდნენ“. როსტომ მეფემ ორგულ თავადთა წინააღმდეგ გაილაშქრა, ცხვილოსის ციხე დაარბია და ისევ გორში დაბრუნდა. ამის შემდეგ, იასე ქსნის ერისთავი და იოთამ ამილახორი იქაურობას გაეცალნენ და კახეთს მიაშურეს. აქედან, ქართლის დედოფლის მარიამის შუამდგომლობით, როსტომ მეფისაგან ცოლ-შვილის დაბრუნება და პატიება ითხოვეს. ქართლის გამგებელი, რომელიც დათმობის ყველანაირი ხერხებით ცდილობდა თეიმურაზის მომხრე თავადების შემორიგებას და მომრავლებას, მათი თხოვნა შეიწყნარა¹⁷⁰. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, ორივე თავადი თეიმურაზს „ერთგულებდნენ“ და მათ „დიდის პატივით და კელშეწყობით ინახევდეს“. მალე იოთამ ამილახორის დედა, რომელიც მეფის ბიძის „ვანტანგის ქალი იყო“, იმერეთიდან „კარგის ფეშქაშით“ როსტომ მეფეს ეახლა და შვილის „შემორიგებას შემოეხვეწა“. მეფემ იოთამ ამილახორს დანაშაული აპატია და საამილახოროც დაუბრუნა. იასე ქსნის ერისთავს კი, საკუთარი ძმის შანშესა და პაპუნა ამილახორის მკვლელობა არ შეუხდო. იასე იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა და შაჰის კარს ხლებოდა¹⁷¹ (ამ ამბავს, ძალზე სქემატურად, ორიოდ წინადადებით, ბერი ეგნატაშვილიც გადმოგვცემს. მეფის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების თარიღად იგი 1636—1637 წლებს მიიჩნევს)¹⁷².

როსტომთან თეიმურაზის მომხრე თავადების შემორიგება ხანმოკლე აღმოჩნდა. შინაფეოდალური ომი კვლავ მქვინეარებდა. 1637 წელს მან სერიოზული ხასიათი მიიღო. ნოდარ ციციშვილმა როსტომ მეფეზე „სამართო“ გამარჯვება მოინდომა. არც თეიმურაზი, არც არაგვის ერისთავი და არც ამილახორი ამ საქმეში არ ჩარია. იმერეთის „საბატოს კაცის შვილები ჩხეიძენი“, რომლებიც „ომნაცაღნი კაცნი იყვნენ გვერდს იახლა“, საციციანოს ლაშქრით საჯავახიანოში შეიქრა, „ხოვლეთს ჩამოვდა“ და ვინც ლაშქრით არ შემოეყარა ყველას მამულები დაურბია¹⁷³. როსტომის ერთგულმა იორამ მოურავის-შვილმა (გიორგი სააკაძის შვილმა) აჯანყების დაწყება დაუყოვნებლოც მეფეს აცნობა. მეფის მკაცრი ბრძანებით, ქალაქის მოურავმა¹⁷⁴, თბილისის მცხოვრებთა სრული მობილიზაცია გამოაცხადა და „თათართა, ქართველთა და სომეხთა“ დიდი ლაშქარი შეკყარა. როსტომის განკარგულების შესაბამისად ვინც ცხენით არ გამოვიდოდა, თავს მოპკვეთდნენ. შუალამისას, კავთისხევს მისულ როსტომ მეფეს იორამ მოურავისშვილი „გარეშემოს ლაშქრით“ წინ მოეგება¹⁷⁵. ელიზბარ

ბოქაულთუხუცესმა ყველა, ვისაც „ცხენთ შვილებმა ჰქონდა“ სალამ-
ქროდ გამოიყვანა. როსტომ მეფე საბარათიანოსა და ყიზილბაშთა ლაშ-
ქრის მოშველიებით ნოდარს ხოვლეში შეება¹⁷⁶. ნოდარ ციციშვილმა
ჩხეიძეებს „ზურგი არ მოაბა“, თავიდანვე ვერის ციხეში გამაგრდა და
საომრად არ გამოვიდა. ჩხეიძეები მამაცურად იბრძოდნენ. ზოგი მოკ-
ლეს და ბევრიც დაატყვევეს: ბეჟია ჩხეიძე იორამ მოურავისშვილმა
იგრო ხელთ¹⁷⁷. ხუცია ჩხეიძე ფარეშთუხუცეს პაატა ჭავჭავაძის ხელს
წილად¹⁷⁸, „ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს და ზოგი ელიზბარ ბოქა-
ულთუხუცესის ყმებთან დაატყვევეს“. მეფის ბრძანებით, დატყვევებულ,
„მხარწაქრულ“ ჩხეიძეებს პატივით მოექცნენ. ვინც მამაცობა გამო-
იჩინა, ყველას „ქალათი“ და ჭილდოდ მამულები უბოძეს. მალე ჩხე-
იძეები, ბოქაულთუხუცესის ყმებთან დაატყვევეს“. მეფის ბრძანებით,
დატყვევებულ, „მხარწაქრულ“ ჩხეიძეებს პატივით მოექცნენ. ვინც
მამაცობა გამოიჩინა, ყველას „ქალათი“ და ჭილდოდ მამულები უბოძეს.
მალე ჩხეიძეები, ბოქაულთუხუცესის ელიზბარ დავითისშვილის ხე-
ლით როსტომმა ყაენთან გაგზავნა და არზა მისწერა: „ქართველნი ჩე-
მის უშვილობისათვის და უნათესაობისათვის ურჩობენ“... „რადგან
ჩემს საბოლოს ვერა კედვენო“. მეფე ქართლის ტახტის მემკვიდრედ
გამოცხადების მიზნით შაჰს თავისი ბიძაშვილის, თეიმურაზ მირზას
სამი შვილიდან ერთ-ერთის (მას პაპის — ლუარსაბის სახელი ერქვა)
შვილად ბოძებას თხოვდა¹⁷⁹.

გამარჯვებულ როსტომს ნოდარ ციციშვილი დანებდა. მან პატიე-
ბის სათხოვნელად მეფესთან თავისი დედა, კახეთის ბატონიშვილი მიგ-
ზავნა მეფემ „უვნებლობის ფიცით“ ნოდარს დანაშაული აპატია.
„ცხენ-ჯორი ათხოვა“ და ზოვრეთიდან ახალციხეში გადასვლის ნება
დართო¹⁸⁰.

აჯანყებულთა დასასჯელად და ურჩი ფეოდალების დასათრგუნა-
ვად როსტომ მეფემ სათანადო ზომები მიიღო. დედოფლის სახლთუხუ-
ცესი ბარათაშვილი მეფის ლალატისათვის დაიჭირეს, ჯერ ციხეში დაამ-
წყვდიეს, ხოლო შემდეგ, ღამით კოშკიდან გადმოაგდეს. თქვეს — „დამ-
თვრალა და თვითონ გადმოვარდნილა“¹⁸¹. მალე მისი შვილებიც დაატ-
ყვეს და გორის ციხეში მოათავსეს. ზოგმა თავადმა გაქცევით უშველა
თავს. ასე მაგალითად. სახლთუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილის სიძე,
ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი, რომელიც ბაგრატიონთა გვარის წარმო-
მადგენელი იყო და პრეტენზია ჰქონდა სამეფო გვირგვინზე, კახეთში გა-
დაიხვეწა. იოთამ ამილახორმაც თავისი ჯალაბით კახეთს შეაფარა თავი.

ამ აჯანყების დროს ქართლის მნიშვნელოვანი მხარეები — საჭავჭავაძე-
ნი და საციციანო საშინლად აოხრდა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვე-
ბით, არაგვის ერისთავი ზაალ და იოთამ ამილახორი ხან თეიმურაზს
და ხან როსტომ მეფეს ემხრობოდნენ და „ამათის საქმით ქართლი და

კახეთი მოუსვენებელ და არეულ აოჯრებული იყო¹⁸². ბერი ეგნატაშვილი და ეახუშტი ბაგრატიონი საჯავახიანოში როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება-აჯანყებისა და მისი შედეგების შესახებ თითქმის იგივეს გვიამბობენ, იმ განსხვავებით, რომ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია საკმაოდ ძუნწია¹⁸³.

1638 წელს როსტომის წინააღმდეგ კვლავ შეთქმულება მოეწყო. შეთქმულების მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ შობა დღეს ახალგორში იოთამ ამილახორი და „ორნივ ერისთავი“ ერთმანეთს შეხვდებოდნენ და საფურცლეში თეიმურაზს შეუერთდებოდნენ. შემდეგ მცხეთაში მისულები პირობას დასდებდნენ, რომ როსტომის წინააღმდეგ მოქმედებას სისრულეში მოიყვანდნენ¹⁸⁴. როსტომ მეფემ თეიმურაზისა და თავადთა შეთქმულების შეტყობინებისთანავე კონტრზომები სასწრაფოდ მიიღო. მრავალრიცხოვანი ლაშქრით მეფე მუხრანში მივიდა. იქ „კარგი ჯარით ბახუტა (ვახტანგ მუხრანბატონი) შემოეყარა. ახალგორში განლაგებულ შეთქმულებს შობა დილას მოულოდნელად თავს დაესხნენ და დაამარცხეს. ვახტანგ მუხრანბატონმა მამაცობით გამოიჩინა თავი. ცხირეთს მყოფი როსტომ მეფე ხიფათისაგან იხსნა. მეფე სასწრაფოდ დაბრუნდა გორის ციხეში. თეიმურაზ მეფემ უკან დაიხია. ვახტანგ მუხრანბატონი „მიეწია და ავნო დიდი“.

შაჰის ნებართვით, ისფაჰანიდან ქართლის ტახტის მემკვიდრედ შაჰმადიანი ლუარსაბ ბაგრატიონის ჩამოყვანამ თეიმურაზისა და ქართლის ფეოდალების განაწყენება გამოიწვია¹⁸⁵.

1642 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ კვლავ დიდი შეთქმულება მოაწყვეს. შაჰ აბას II-ის ისტორიკოსის მოჰამედ თაჰერის ინფორმაციით: „თეიმურაზი შეუთანხმდა ზაალ ერისთავს — ყარა-ყალბანს, ნოდარ და იოთამ ამილახვრებს... რათა როგორმე მოსპონ მეფობის საფარველი როსტომ მეფე“¹⁸⁶. როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ ამ ახალ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე. გიორგი გოჩაშვილი (რომელიც მეფობას თვითონვე მოელოდა)¹⁸⁷. სომხითის შელიქი ყორხმაზბეგ ათაბეგისშვილი და სხვა ქართველნი¹⁸⁸. შეთქმულთა შორის ყველაზე აქტიურად ქართლის კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე მოქმედებდა. (მისი ძმის ასული თეიმურაზის შვილის. დავით ბატონიშვილის ცოლი იყო)¹⁸⁹. დადებული პირობის თანახმად, შეთქმულთა მიზანს „ცოტას კაცით“ ცხირეთს მყოფი როსტომ მეფის მოკვლა და მის ადგილზე თეიმურაზის გაბატონება წარმოადგენდა¹⁹⁰. შეთქმულებმა გადმოსაბირებლად „ქართველთა და ბარათიანთ წიგნები მიწერეს“¹⁹¹.

სომხითის შელიქმა. რომელიც „სახალიფო სასახლის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“, „შაჰის შიშით ფიცი გატეხა, მათი (შეთქმულ-

თა — გ. უ.) საწადელი და მონაწერი წიგნები მეფეს მიართვა¹⁹². შეთქმულების გამოძევებისთანავე როსტომი გორში დაბრუნდა, თეიმურაზი კი კახეთში ჩავიდა.

ზედიზედ მოწყობილმა შეთქმულება-აჯანყებებმა როსტომს რადიკალური ზომების მიღება გადააწყვეტინა. მეფის ბრძანებით შეთქმულების მონაწილენი: კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩაშვილი, ერისთვიშვილი ლარგველი დაატყვევეს. გიორგი გოჩაშვილსა და ზურაბ სააკაძეს თვალები დასთხარეს. კათალიკოსი ქალაქის ციხეში დაამწყვდიეს, შემდეგ „და(ა)რჩევს და ციხიდან გარდმოავდეს“¹⁹³. რევაზ ბარათაშვილი და ივანე სააკაძე „კახეთს გადაიხვეწნეს“¹⁹⁴. ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობის თანახმად, „ორგულნი ზოგნი გაახეიბრა, ზოგნი უმკვ(ი)დრო ჰყვნა, ზოგი მამულით გაალარიბა და განძოთვისისა ქვეყნიდამე, თვინიერ ზაალ ერისთვისა და იოთამ ამილახორისა“¹⁹⁵.

როსტომ მეფემ ქართლში მოწყობილი შეთქმულების შესახებ მელიქის საშუალებით შაჰის კარს აცნობა¹⁹⁶. ირანის განრისხებულმა მბრძანებელმა სულთს მმართველი „ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, როსტომ მეფის დისწული“, აზერბაიჯანის, შირვანის, ყარაბაღისა და ერევნის ბეგლარბეგებთან ერთად საქართველოში გამოგზავნა¹⁹⁷. მათ შაჰისაგან დავალებული ჰქონდათ, „ვინც როსტომ მეფის ურჩია და მაწყინარი, შეიდან ამოიღონ და ბატონ თეიმურაზ გაგდონ და მის ალაგზედ კახეთში ადამ სულთან გააბატონონ“¹⁹⁸.

როგორც კი თეიმურაზმა ირანის ლაშქრის საქართველოში შემოსვლა შეიტყო, ისევე მორჩილება ითხოვა. ქართლის თავადებმაც — ზაალ ერისთავმა და იოთამ ამილახორმა, დარწმუნდნენ რა როსტომის უძლეველობაში, ხეწნა დაუწყეს: „შეგვირიგე და გვიმსახურეო“¹⁹⁹. მალე თეიმურაზის მომხრე თავადებმა: „ნოდარ ციციშვილმა (რომელიც როსტომისაგან გაძევებული სამცხეში იმყოფებოდა) და არაგვის ერისთავმა ზაალმაც როსტომთან შერიგება არჩიეს. პატიების სათხოვნელად მეფესთან ნოდარის და, ზაალის სიდედრი „ბატონი ანახანუმ“ მიავგზავნეს. როსტომ მეფემ მათი თხოვნა შეიწყნარა, სამაგიეროდ, ზაალ ერისთავს ირანის შაჰის კარზე წასვლა მოსთხოვა და შეპირდა: „თუ ერისთავი ყაენის კარს წავა, შემოვირიგებო და ყაე(ნი)ს კარით ისრეფ მალ მოვიყვანო, მაზღსა და შვილებსაც მოგისმხვეინებო და საციციანოსაც ნოდარს მივსცემო, ერისთავსაც რაც ქართლში მამული ჰქონია იმასაც მივსცემო და ყაენისაგან კარგს სოფლებსაც უშ(ო)ვნო“. ერისთავი მეფესთან გამოცხადდა „ფეხს აკოცა“ და მისგან მრავალი საჩუქარი მიიღო. „რაც ქალაქში ვაჭრები ჰყოლებია ისიც როსტომმა მას უბოძა და საერისთოს გაისტუმრა“. მალე მეფემ, ნოდარ ციციშვილიც შეიწყალა და საციციანო დაუბრუნა²⁰⁰. როგორც ჩანს, როსტომმა თე-

იმურაზიც შეიწყნარა, რადგან შაჰის ბრძანებით, 1644 წელს კახეთში „ლაშქრობა მოშალეს“ და ადამ სულთანი ყიზილბაშთა ლაშქრით ირანში დააბრუნეს²⁰¹.

ამგვარად, 1642 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება მარცხით დამთავრდა. ქართლის მეფემ ენერგიული და მოქნილი პოლიტიკით შეძლო (1633, 1634, 1636, 1637, 1638, 1642 წლებში) თეიმურაზისა და ქართლის ძლიერ თავადთა შეთქმულებებისა და შინაფეოდალური ომების მოგერიება. ამის შედეგად ქართლის მეფემ თეიმურაზის მომხრე ბევრი თავადი გადმოიბირა, მიიმხრო და თეიმურაზის ოპოზიციას ძალა გამოაცალა.

ურჩი ფეოდალების დამორჩილების ერთ-ერთ საშუალებას როსტომი შაჰის კარზე მათ გაგზავნაში ხედავდა. ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობით, „... ზაალ ერისთავი ევედრა როსტომ მეფესა, რათა შეიწყალოს და განუტევოს თეიმურაზ“. როსტომი დათანხმდა, ზაალ ერისთავი შაჰის კარზე გაგზავნა²⁰².

მალე ზაალ ერისთავთან ერთად შაჰის კარზე თეიმურაზისაგან გადგარი გავლენიანი დიდი თავადი, იოთამ ამილახორიც (სხვათა შორის, თავისი ნებით) იქნა გასტუმრებული. როსტომმა ამით „პამზაბეგ სუფრაჯი წინ წაუძღვანა და გზებზე ყველგან სამასპინძლო დაახვედრეს“. შაჰის კარზე ჩასული თავადები დიდი პატივით მიიღეს. ზაალ ერისთავს და იოთამ ამილახორს დღეში „შვიდი თუმანი და სამოცი ლიტრა ღვინო გაუჩინეს“. ხელმწიფემ თითოეულ მათგანს სამასი თუმანი თეთრი და ფარჩა, ოქროთი შეკაზმული ბედაური ცხენები უბოძა. ამასთან მათ (ერისთავსა და ამილახორს) „ხუთასი თუმნის თეთრი და ხალათი“... „ხუთმეტი სოფელი ყაზმინის სიახლეს უწყალობეს“ და „ორმ(ო)ცდათი თუმანი“ ჯამაგირიც გაუჩინეს და რაც „საქართველოს კაცნი, იმერელებნი, ქართველებნი და კახნი ტყვეთ იყვნენ“ ყველა გამოაყოლეს²⁰³. გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები საქართველოში გამოისტუმრეს. მაგრამ როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, „გათათრება ფეოდალებისათვის მხოლოდ პოლიტიკური სანდოობის მოწმობა იყო, სინამდვილეში ისინი ქრისტიანებადვე რჩებოდნენ“²⁰⁴.

ირანის სამეფო კარზე როსტომის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ შაჰმა ამილახორსა და ერისთავს უბრძანა: „რასაც როსტომ მეფეს აამებთ და ერთგულად ემსახურებითო, ჩვენც გვიამებთისო და ამისის მოწერილობით ჩვენგან წყალობა დაგემართებთისო და ისრევე მისი მოწერილობითაო ჩვენგან რისხვასაც ელოდეთო“²⁰⁵.

1642 წლიდან ხანმოკლე დროის მანძილზე საქართველოში დროებითი მშვიდობიანობა ჩამოყარდა. თეიმურაზთან როსტომის შერიგებას ირანის შაჰი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1639 წელს თეიმურაზისა—

გან რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცის მიღებამ და როსტომის მმართველობის წინააღმდეგ ზედიზედ მოწყობილმა შეთქმულება-აჯანყებებმა შაჰს მოსვენება დაუქარგა. ამიტომაც თეიმურაზის მიმართ შაჰი გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდა. დ. კაციტაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თავისი მიზნის მისაღწევად არც მისი (თეიმურაზის — გ. ე.) გულის მონადირებას თაკილობდა“. ამიტომაც, რომ შაჰი თეიმურაზის სახელზე გაცემულ ფირმანებში მას ასეთი სიტყვებით ამკობს: „ხელმწიფისა და მმართველობის საფარველი, ზეალმატებისა და ბრწყინვალეების ძალა უწარჩინებულეს მეფეთა შთამომავალი... კახეთის ვალი თეიმურაზ“²⁰⁶ და ა. შ. მაგრამ ირანის შაჰის არც ამ ხერხმა გასჭრა. თეიმურაზი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის თითქმის დასასრულამდე რჩებოდა მართლმადიდებლური რუსეთის ერთგული და ირანის აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი.

საგარეო და საშინაო პოლიტიკაში თეიმურაზის წარუმატებლობამ მისგან ზოგი ერთგული თავადის ჩამოშორება და განდგომა გამოიწვია, ზოგსაც მისდამი უნდობლობის გრძობა გაუჩინა. მ. თამარაშვილის მიერ მოხმობილი კათოლიკე მისიონერის ცნობით, „ის (თეიმურაზი — გ. ე.) სულ სხვა კაცად შეიცვალა. ყველას მტრულად გადაეკიდა, თავის ქვეშევდრომებს სასტიკად ეპყრობოდა. ახალი ხარჯი გააწერა და ყველაფერს ძალით ართმევდა, მისთვის სამართალი აღარ იყო. თავის კანონად თავის სიხარბე და უინი გაეხადა“²⁰⁷.

ზაალ ერისთავის განდგომით განრისხებულ თეიმურაზს თიანეთსა და კახეთში ზაალისათვის ადრე ნაბოძები მამულები წაურთმევია. არაგვის ერისთავს თეიმურაზის მიერ წართმეული მამულების უკან დაბრუნება როსტომისათვის უთხოვია: როსტომ მეფე. ამ შემთხვევაშიც გონივრულად მოქცეულა. „ქვეყნის აშლასა და ყრმათა დაფრთხობას მორიდებია, აღნიშნული მამულები ზაალისათვის ქართლში უბოძებია“²⁰⁸.

დ რ ო ის ფ ა ქ ტ ო რ ი რ ო ს ტ ო მ ის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ შ ო ქ მ ე დ ე ბ დ ა. საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მოვლენების განვითარებამ როსტომის პოზიციები გაამაგრა. მის მიერ გონივრულად გადადგმულმა ნაბიჯებმა თეიმურაზის შომხრე თავადები — ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, ბარათაშვილები, ჭავჭავაძეები, მუხრანბატონები და სხვები — როსტომის თავგანზრახველებად აქციეს.

1648 წელს თეიმურაზსა და როსტომს შორის შინაფეოდალური ომი კვლავ განახლდა.

ქართველი ისტორიკოსები: ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი და „პარიზის ქრონიკის“ ავტორი 1648 წლის შინაფეოდალური ომის დაწყებად თეიმურაზ I მიიჩნევენ²⁰⁹. შაჰ აბას II-ის ისტორიკოსი მოჰამედ თაპერის ცნობითაც, „კახეთის

ვალიმ თეიმურაზ-ხანმა... ამ დღეებში აჯანყების მტვერი ააყენა და ქართლის დასარბევად წავიდაო²¹⁰.

თვით როსტომი ამ ომის დაწყების მიზეზად თეიმურაზის მტრულ მოქმედებას ასახელებს. იგი ამბობს: „იყო კახი ბატონი იმერეთს, ჩხუბისა და ავის საქმისაგან თავი არ აიღო და არც დაწყნარდა“. იმერეთიდან „კახეთში ჩამოვიდა, მთის გზიდან. მრავალს ადგილას ჩ(ვე)ნი თავს დასაშა და ლალატი მოინდომა და ჩ(ვე)ნ განალამცა ბატონის სისხლსა ესთხოვდით და ქუეყანას ურბევდით და ბევრი ავი საქმე უყავით“²¹¹.

როგორც აქ მოტანილი სიტყვებიდან და სხვა მასალებიდან ჩანს, ქართლის მეფე თეიმურაზს თავისი ძმისწულის სიმონ II-ის სისხლს ედავებოდა. შუაქაცების ჩარევის შედეგად, გასამართლებამდის, თეიმურაზს სოფლები „გავაზი და კისის ხევი“, „სანდოდ და საფიცრად“ როსტომისათვის „დაუღვია“. ამასთანავე, ქართლიდან კახეთში გახიზნული თავადიშვილებისა და გლეხების მიცემასაც შეპირებია. მაგრამ, თეიმურაზს დადებული ფიცის არც ერთი პირობა არ შეუსრულებია, რის შედეგადაც ურთიერთობა მათ შორის კიდევ უფრო მეტად დაძაბულა. საქმის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით, როსტომს თეიმურაზისათვის საქართველოს თავკაცების („თეიმურაზის სიძის ალექსანდრეს, ლევან დადიანის, გურიელისა და ახალციხის ფაშას“) ჩარევა უიხოვია და ისიც მოუხსენებია: „გავიბრძნეთ და შევრიგდეთო, ჩვენც მოვისვენოთ და ჩვენი ქვეყანაც მოვასვენოთ“²¹². თეიმურაზი ამაზე გაჯავრებულა, სიმონ II-ის მკვლელობაში იგი თავს დამნაშავედ არ გრძნობდა. ყოველივე ამაში ზურაბ არაგვის ერისთავს სდებდა ბრალს, სისხლის მოკითხვასაც მისი ძმებისაგან და სახლის კაცებისაგან მოითხოვდა²¹³. (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, სიმონ II-ისა და ზურაბ ერისთავის მკვლელობა თეიმურაზის უშუალო ჩარევით განხორციელდა).

მოლაპარაკება თეიმურაზსა და როსტომს შორის „მეორე წლამდისინ გაგრძელებულა“, მაგრამ საქმე მაინც ვერ გადაუწყვეტიათ. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, ამაზე განაწყენებულ თეიმურაზს „ის სოფლები რომ გაბრჭობამდისინ მეფისათვის (როსტომისათვის — გ. უ.) დაედვა, ისრევე წაერთვა და მოკვლეები გამოუყარა“²¹⁴. პირობის შეუსრულებლობა ახალი ომის დაწყების საბაბი გახდა. ამას თავის სიგელში როსტომ მეფეც ადასტურებს. „ამაზე ავიშალენითო“ — ამბობს იგი²¹⁵. მართალია, ომის დაწყების საბაბს „ბატონის (სვიმონის) სისხლის მოკითხვა“ წარმოადგენდა, მაგრამ მისი მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, სამეფო გვირგვინის დაუფლებისათვის ბრძოლაში მდგომარეობდა.

1648 წელს თეიმურაზ I უკანასკნელად შეებრძოლა ქართლის გამამადიანებულ როსტომ მეფეს. ქართლის მეფეს ზურაბს უმაგრებდა

სეფიანთა ირანის ყიზილბაშთა ჯარი და ქართლის დიდ თავადთაგან გამოყვანილი ლაშქარი.

როსტომ მეფე ქართლელთა და ყიზილბაშთა ლაშქრით ჯერ მცხეთას მივიდა და სვეტიცხოვლისაგან „ლაღადებით“ შეწევნა ითხოვა. იქედან არაგვის პირს შეიარა და თიანეთთან მდგარ თეიმურაზისაკენ შესაბრძოლებლად გაემართა. როსტომმა ქართველთა ლაშქარს ვახტანგ მუხრანბატონი და ზაალ ერისთავი „სარდლად უთავა“. თიანეთთან, უღლისს გადამწყვეტ ბრძოლაში თეიმურაზი დამარცხდა²¹⁶. როსტომ მეფის სიტყვით, „შევიბენით და გავიშარჯვეთ, დროშა, ქანარა და ნალარა გავადგდევინეთ, სახლისუხუცესი რევაზ და მრავალი საბატოს კაცისშვილი და სხუა მოუკალით და გავაქცივეთ, უკან მივდევით და გრემს მივედით“²¹⁷. როსტომმა ყიზილბაშთა ლაშქრის მეორე ნაწილი ქიზიყისაკენ გაგზავნა, სადაც ბიძინა სუფრაჯის რჩევით. თეიმურაზისაგან გაგზავნილი მისი შვილი დავით (დათუნა) ბატონიშვილი როსტომთან შესაბრძოლებლად იყო გამზადებული²¹⁸. ქიზიყის ბოლოს, ძველ ანაგს, ჯამალ-ხანის ყიზილბაშურ რაზმთან შებმისას დავით ბატონიშვილი მოკლეს და მრავალი კახელი თავადი დახოცეს²¹⁹. მოჰამედ თაპერის თანახმად, „დავუდ-მირზა... (დათუნა — გ. ე.) განთქმული იყო თავისი სიმამაცით და გამბედაობით, რომელზედაც ამყარებდნენ იმედს თეიმურაზ-ხანი და ურწმუნონი“²²⁰. თეიმურაზის ერთადერთი ვაჟის დავით ბატონიშვილის სიკვდილმა კახელებს თავზარი დასცა, „შეშინდნენ და უკუნიქცნენ და წარვიდნენ“²²¹. დათუნას მოკვეთილი თავი „მოართუეს როსტომს“ და შემდეგ მან „ყაენს წარუვლინა“²²².

1648 წელს თეიმურაზსა და როსტომს შორის მომხდარი შინაფეოდალური ომი თეიმურაზისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. როსტომისა და თეიმურაზის მრავალგზის შეტაკებამ დიდი ზიანი მიაყენა ქართლ-კახეთის სამეფოებს. ბოლო ომის დროს, განსაკუთრებით კახეთის სამეფო დაზიანდა და აოხრდა. შექმნილმა ვითარებამ, კახეთის მეფის მდგომარეობა უკიდურესობამდე დაამძიმა, მისმა დამარცხებამ ერთგულ თავადებს გული გაუტუნა, თეიმურაზისაგან ჰირი იბრუნეს. თითქმის მართოდ დარჩენილ მეფეს აღარა ჰქონდა ღონე „დადგომისა და შემაგრებისა“²²³. როგორც გ. ჯამბურია შენიშნავს, ამაში უთუოდ კახეთის ტახტის მემკვიდრის დაღუპვამაც შეასრულა გარკვეული როლი²²⁴.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ „ბატონს თეიმურაზს ყოველგნით ღონე მოელო აღარც სითმე მშველი და აღარც სახიზარი ალაგი, აღარც წასასვლელი გზა, არც ასაყრელად ცხენი და ჯორი, აღარც მოკელე და მოსამსახურენი. კახნცე ქართველთ მოსვლოდეს და მეფეს როსტომს ბატონის თეიმურაზის დაჭირვას ეპატიებოდნენ“. როსტომმა ტყვედ ჩავარდნის წინაშე მდგარი თეიმურაზის „დაჭირვა შორს დაიჭი-

რა“²²⁵. მან კახთ თავადებს, თავისი ბატონისადმი ასეთი ვერაგობა „უწყინა, ავად ჩამოართვა და ბრძანა: „რა ქვეყანა დაარსებულაო, ამრიგი მუხანათობა კახთ თავის ბატონზედ არ უქნიათ, რომ ახლა ბატონს თეიმურაზსზედ ქნესო“²²⁶. ამ სიტყვებით იმედმოცემულმა თეიმურაზ მეფემ თავისი თანამეცხედრე ხორეშან დედოფალი²²⁷, როსტომ მეფესთან შერიგების სათხოვნელად მიაგზავნა.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ვიდრე დედოფალი როსტომ მეფეს მისგან დახმარების მიღების საწინდელს გაუმხელდა, ქართლის მეფეს („ლორე ფანბაკისა და აღჯაყალის ბატონ ბოშჩალუ ისახანთან შეთანხმებით“) ჯერ თავის სამეფოში თეიმურაზის დატოვება გადაუწყვეტია. მაგრამ შემდეგ ეს გადაწყვეტილება შეუცვლია. იმავე წყაროს მოწმობით, „ვინც ბატონის თეიმურაზის წახდენაში ერივნეს“, მეფეს ასე მოახსენეს: „თეიმურაზი შვილის მოკვლის გამო მაინც აღარ მოვასვენებსო“ და „ეგების შერიგება ყაენმაც გიწყინოსო“. ფარსადანის სიტყვებით: „მეფის მოწყალე გუნება ამ სიტყვებით შეშალეს“²²⁸.

როსტომ მეფესთან შეხვედრის დროს კახეთის დედოფალი ასეთი თხოვნით წარმდგარა მის წინაშე: „...თუ ამ სიბერის დროსაო ჩვენს საფლავს არ მოგვაშორებთო, ნაპირის ალაგი თქვენ იქონიეთო და აღავერდლის გარე შემოთაო ჩვენც დაგვარჩინოთ... მერმეო ქვეყანა მოგიწონებსო“. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, როსტომ მეფემ ასე უპასუხა: „... თქვენი ამრიგი დამარცხება აქამდისინ ყაენს მოეხსენებოდაო“, შეიძლება შაჰის ბრძანებით „... თქვენცა და ბატონი თეიმურა(ზი)ც კარზედ გითხოვონო“, და სამუდამოდ „მოითხრებითო“²²⁹. იმედგაცრუებულმა დედოფალმა როსტომ მეფეს იმერეთს გადასასვლელად რამდენიმე ცხენი და ჯორი სთხოვა. როსტომი „გულმოწყალედ“ მოიქცა: „ხუთასი თუმნის ფეშქაში მიართვა და ხუთასი ცხენი და ჯორი ათხოვა და ქათალიკოზი (ქრისტეფორე — გ. ე.) თავისის ჯარით თან გაატანა და კახთ უბრძანა: ვისაც გინდათ ჯალაბობრივ თან გაჰყევითო და ვისაც გინდათ თავკაცათ თან გაჰყევითო, ჩვენ კიდევ გვიამებძსო და დაგმადლებთო“. მეფისაგან წასვლაზე თანხმობის მიღების შემდეგ 1648 წ. „ბატონი თეიმურაზ კახეთით აიყარა... ქართლი შეიარა და იმერეთს გადავიდა“²³⁰.

ამგვარად, თეიმურაზმა საკუთარი ძალებით როსტომისა და ყიზილბაშების წინააღმდეგობის გატეხვა ვერ შეძლო. მომხრეთაგან მიტოვებულს, მარტოდ დარჩენილს საკუთარი სიძის ალექსანდრე იმერთა მეფის დახმარების იმედიც გადაეწურა (ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით, „თუ მეფე ალექსანდრე იმერეთით დაიძვროდა, დადიანი იმერეთს ჩამოუღებოდა“). თეიმურაზზე გამარჯვების ნიშნად როსტომ მეფემ, თეიმურაზის ძის, „ბატონიშვილის დათუნასი და მასთან ერთად

დახოცილის კახელ თავად აზნაურთ თავები და ბატონის თეიმურაზის დროშა“ „ელიზბარ ბოქაულთუხუცესის კელით ყაენს გაუგზავნა“²³¹.

შაჰის ბრძანებით, კახეთიე ქართლის მეფეს დაუმტკიცეს. ამასთან ერთად, „თაჯი თომარი და მურასა კმალი, ყაენის ფუში და კალათი და ოქროს იარაღით შეკაზმული ბედაური ცხენი“ როსტომს გამოუგზავნეს. ამასთან, შაჰმა „სამი სოფელი განჯაში ელიზბარს უბოძა და ზუთასი კალათი ქართველთ (ქართლელებს — გ. უ.) გაუგზავნეს“²³².

დასავლეთ საქართველოში თეიმურაზის გადასვლის შემდეგ, მრავალწლიანი შინაფეოდალური ომებით დაღლილმა ქვეყანამ შვეებით ამოისუნთქა. მოსახლეობა დამშვიდდა, ეკონომიკურად და კულტურულად მომძლავრდა, რის შედეგადაც აღმავლობის გზას დაადგა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით, „... რა ბატონი თეიმურაზი იმერეთს გარდევია, ქართლმან და კახეთმან მოისვენეს“²³³, და „იწყეს ზრუნვა ქვეყნის აღმშენებლობისა და მიღონიერებისათვის“.

იმერეთს გახიზნული, დამარცხებული თეიმურაზი ფარხმალს მაინც არ ყრიდა. ქართლის ვალის, როსტომის წინააღმდეგ და ირანის ბატონობის დასამხოზლად კვლავ ენერგიულად განაგრძობდა ზომების მიღებას. ამ მიზნით თეიმურაზმა, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შერიგება და გაერთიანება სცადა.

ოდიშის მთავართან იმერეთის მეფის შერიგებაზე თეიმურაზი დიდ იმედებს ამყარებდა. ქართლ-კახეთის ყიზილბაშთაგან გამოხსნას იგი ოდიშისა და იმერეთის ლაშქარზე დაყრდნობით ფიქრობდა. არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს „თუ ისინი შემერიგა, რაც მინდოდა მას ვიქმოდო“²³⁴.

1647 წელს ლევან დადიანის მიერ დატყვევებული მამუკა ბატონიშვილის გამოხსნისა და ოდიშის მთავართან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების მიზნით, 1648 წელს იმერეთის მეფემ ზუგდიდს მოსალაპარაკებლად თეიმურაზ I. გაგზავნა. სამწუხაროდ, ოდიშის მთავართან გამართულ დიპლომატიურ მოლაპარაკებას იმერეთის მეფისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია²³⁵.

თეიმურაზს კარგად ესმოდა, რომ ირანთან დაზავებული ოსმალეთიდანაც გამორიცხული იყო დახმარების მიღება²³⁶. ამისა და სხვა მოსაზრებების გამო საქართველოს ხსნის რეალურ გზას იგი ისევ რუსეთთან კავშირში ხედავდა. რუსეთისაგან შემწეობის მიღების მიზნით, თეიმურაზმა და იმერეთის მეფემ მოსკოვში ელჩები მიავლინეს, რომლებიც რუსეთის ხელმწიფის კარზე 1649 წლის 13 აგვისტოს ჩავიდნენ.

თეიმურაზი რუსეთს 20000-იანი ჯარით დახმარებას და თავის შვილიშვილისათვის (ლუარსაბ დავითის ძისათვის) საცოლედ ხელმწიფის დის გამოგზავნას სთხოვდა. ამასთანავე რუსთ ხელმწიფეს საქართვე-

ლოში მის გადედოფლებასაც სთავაზობდა. თეიმურაზს სათანადო სახსრების მიღებაც სურდა. ხელმწიფისაგან შაჰის კარზე დიპლომატიური ზემოქმედებით, კახეთის დაბრუნებასაც ელოდა²³⁷. მაგრამ რუსეთმა ვერც ამჯერად შეძლო თეიმურაზის თხოვნის დაკმაყოფილება. შეუწყნარებელი დარჩა იმერეთის მეფის თხოვნაც. ამ დროს რუსეთის მთელი ყურადღება დასავლეთის და ჩრდილოეთის საზღვრების მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული. ამასთანავე რუსეთი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების გამო, ირანთან ურთიერთობის დაძაბვასაც ერიდებოდა და მასთან „ძმობისა და მეგობრობის“ კავშირს იცავდა²³⁸. რუსეთის მთავრობა იმით დაკმაყოფილდა, რომ 1650 წლის 10 ივნისს იმერეთში ალექსანდრე III-თან და თეიმურაზთან საპასუხო ელჩობა გამოგზავნა. მათ შორის მოლაპარაკების შედეგი კი ის იყო, რომ ალექსანდრე მეფემ და მისმა დიდებულებმა 1651 წლის 9 ოქტომბერს რუსეთის ხელმწიფის მფარველობის ფიცს ხელი მოაწერეს²³⁹.

როგორც ვხედავთ, თეიმურაზისა და იმერეთის მეფის მიერ ზემომითითებულ მიღებულ ზომებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამავე დროს ლევან დადიანიც არ ცხრებოდა. იგი დაუნდობლად განაგრძობდა იმერეთის რბევა-თარეშს. ოდიშის მთავარმა ქუთაისი გადაწვა, იგი მთლად მოაოხრა და დიდი ნადავლაც იგლო ხელთ²⁴⁰.

ალექსანდრე მეფემ ვერაფრით ვერ შეძლო ოდიშის მთავრის ტყვეობიდან თავისი ძმის მამუკას დახსნა. უფრო მეტიც, მალე მისი ბრძანებით იმერეთის ბატონიშვილს თვალები დათხარეს. 1654 წელს მამუკა დადიანის ტყვეობაში გარდაიცვალა²⁴¹.

იმერეთის მეფემ მამუკა ბატონიშვილის შემზარავი სიკვდილის ამბავი როსტომ მეფეს („გასამჟღავნებლად“) წერილით აცნობა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, მამუკა ბატონიშვილი „ქართლის დედოფალმა როგორც თავისი შვილი ოტია მოთქმით და... შავის ჩაცმით... იგლოვა და თავის ძმას ლევან დადიანს სწყყევიდეს“²⁴². ქართლის ფეოდალური წრის ყველა „თავადმა, დედამ და მანდილოსანმა,... ამასთან როსტომ მეფემ ქართლის და კახეთის ჯარით მამუკა გულმწუხარედ გამოიტირეს და ყველანი ლევან დადიანს სძრახვიდეს“²⁴³. ლევან დადიანის დაუნდობელი საქციელით მთელი საქართველო შემფოთებულა და „მისი სიმკაცრის საერთო გაკიცხვა გამოუწვევია“²⁴⁴.

ტახტის მემკვიდრის საკითხის მოუგვარებლობა ქართლის ფეოდალური საზოგადოების შემფოთებას იწვევდა. ამჯერად როსტომ მეფემ ტახტის მემკვიდრის კანდიდატად ბაგრატიონების გვერდითი შტოს — მუხრანბატონების წარმომადგენელი — ვახტანგი წამოაყენა²⁴⁵.

1654 წელს იგი ირანში გაგზავნეს, შაჰთან, გაამაჰმადიანეს, მემკვიდრედ დაამტკიცეს, ქართლის ჯანიშინად დანიშნეს და შაჰნავაზის სახელით საქართველოში დააბრუნეს²⁴⁶.

მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, როსტომ მეფე მთელ აზიერ-კავკასიაში მნიშვნელოვან და გავლენიან ფიგურად იქცა. ამიტომ იყო რომ შაჰ აბას II: ყოველმხრივ შეეცადა ფართო სახელმწიფოებრივ ასპარეზზე ქართლის ვალის გამოყენასა და მის გამოყენებას.

ამგვარად, წინამდებარე თავში როსტომ მეფის, შაჰის ვალის, შინაპოლიტიკური მოღვაწეობის ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარეს შეეხებთ და დაეინახეთ, რომ ქართლის მიმართ ირანის მიერ გატარებული კომპრომისული პოლიტიკის პირობებში, როსტომმა ირანთან დამოკიდებულების საშუალო ზომიერი გზის გამოძებნით, რაც ძირითადად, მაჰმადიანობისა და შაჰის სუზერენობის ფორმალურ აღიარებაში გამოიხატებოდა, ქვეყანას უცვლელად შეუნარჩუნა სახელმწიფოებრივი წყობა, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა და რაც მთავარია, სარწმუნოება — ქრისტიანობა.

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით, საესებით სამართლიანად შენიშნავს ინგლისელი მეცნიერი დ. ლანგი, რომ „როსტომი საინტერესო ფიგურას წარმოადგენს და ერთ-ერთი ზრულყოფილი მეფეა გვიანდელ ქართველ მეფეთაგან. შაჰთან ურთიერთდამოკიდებულებაში ქვეყანას სჭირდებოდა როსტომის ყაიდის მმართველი... როსტომმა თავისი პოლიტიკური მოქნილობა გამოიყენა ქვეყნის ჭრილობების მოსაშუშებლად“²⁴⁷.

როსტომის პოლიტიკურმა ალლომ და გეზმა, სხვა მთელ რიგ ობიექტურ მიზეზებთან ერთად განაპირობა ისიც, რომ მან სძლია ქრისტიან თეიმურაზს²⁴⁸ და შემოირიგა მოწინააღმდეგე ფეოდალები.

ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა თეიმურაზ I-სა და ურჩი ფეოდალებისადმი როსტომის დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელი ე. წ. „ღმობიერებისა“ და „ყოვლისმომტევებლობის“ ფენომენი. თუ როსტომის წინააღმდეგ თეიმურაზის გაუთავებელი ბრძოლების ზემოთ შოთხრობილ ისტორიას თვალს უბრალოდ გადავავლებთ, დაეინახათ: მიუხედავად იმისა, რომ როსტომს არაერთგზის ჰქონდა თეიმურაზის საბოლოო განადგურების რეალური შესაძლებლობა, იგი არც ერთხელ არ ცდილა ამ აქციის განხორციელებას. როსტომი, როგორც წესი, თეიმურაზს ყოველთვის უტოვებდა გადარჩენის შანსს და ასევე, როგორც წესი, მის მიმართ, ყოვლისმომტევებლის როლში გამოდიოდა (ზემოაღნიშნულთან ერთად, ამ მხრივ საინტერესოა არჩილის შემდეგი სიტყვები, რომლებიც როსტომ მეფესა და ხორეშანს შორის გამართულ დი-

ალოგს გადმოგვცემს: „ახლა რა გიყო მის მეტი, გზას მთხოვ და მომირთმევია, ქართველნი წამოაყენა და შეაფიცა მტკიცეთა: „ჩემგან ალარა ევენოს რა“ თქვენ ასრე დაუფიცეთა“²⁴⁹.

ჯერ კიდევ არჩილმა, ხოლო შემდეგ ვახუშტიმ სავსებით სწორად განსაზღვრეს როსტომის „ლმობიერებისა“ და „ყოვლისმიმტვევებლობის“ არსი. ასე, არჩილი თეიმურაზს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „საბოლოოდაც იხედავს (როსტომი — გ. უ.) ... თუ ჩემთვის ბოლო მოელო. კპოეებდა ვერ მოსვენებას“²⁵⁰. თითქმის იგივეს იმეორებს ვახუშტიც: „ერთ ბრძოლაში როსტომ მეფეს თეიმურაზის დატყვევება შეეძლო, მაგრამ განზრახ გზა გაუხსნა და გაქცევის საშუალება მისცა. აქაო და ირანის შაჰის კარზე ფასი დამედებაო, თეიმურაზის დატყვევების შემდეგ რუსეთს საქართველოში დასაყრდენი აღარ ეყოლება; დათმობები საკირო აღარ იქნებაო“²⁵¹.

არჩილმა და ვახუშტიმ სავსებით სწორად განსაზღვრეს „თეიმურაზის ფაქტორის“ მნიშვნელობა ირანის შაჰთან ქართლის საშეფოს ურთიერთობის კონტექსტში. როსტომის, ე. წ. „ლმობიერება“ და „ყოვლისმიმტვევებლობა“ მისი პოლიტიკის განუყოფელ მხარედ წარმოგვიდგინეს. ქართველი მოღვაწეების ამ სწორ თვალსაზრისს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. გ. ჯამბურიას სიტყვებით: „...თეიმურაზის ენერგიული ბრძოლა ირანის წინააღმდეგ რამდენადმე განაპირობებდა შაჰის შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ქართლისა და თვით როსტომისადმი“²⁵².

§ 5. რუსეთში როსტომ მეფის 1652 წლის ელჩობა

ქართლის მეფის, როსტომის მოღვაწეობის ერთ-ერთ საინტერესო, მაგრამ მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუხსნელ მომენტს, რუსეთში მის მიერ 1652 წელს საქართველოდან გაგზავნილი ელჩობა წარმოადგენს. ამ ელჩობის ამსახველი მასალა, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა ხასიათისა და მნიშვნელობის დოკუმენტს აერთიანებს, პირველად 1940 წელს გამოქვეყნდა მ. პოლიევქტოვის მიერ¹. ამ დროიდან მოყოლებული, მკვლევართა შორის არ ცხრება კამათი ამ ელჩობის მიზეზებისა და საბაბის, მიზნებისა და შედეგების და, რასაკვირველია, ამ ელჩობაში ქართლის გამაჰმადიანებელი მეფის — როსტომის — როლის შესახებ. ეს საკვებით ბუნებრივია. ერთი, რომ აღნიშნული ელჩობა საყოფრადღებო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. მეორეც, ამ ელჩობასთან დაკავშირებული მასალები ძალზე მწირია: არც მ. პოლიევქტოვის მიერ გამოქვეყნებული ელჩობის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტები, არც XVII საუკუნის ცნობილი რუსი მოღვაწის, არსენ სუხანოვის საქართველოში ყოფნის დროს

შესრულებული ჩანაწერები², 1652 წლის აგვისტოს თვით რომ თარიღდება და არც ამ ელჩობის საპასუხოდ რუსეთის ხელმწიფის მიერ როსტომ მეფისათვის გამოგზავნილი, 1653 წლის 7 მაისს შედგენილი საჩუქრების სია³, არ შეიცავენ საკმარის ინფორმაციას ზემომითთებულ საკითხებზე ყოველმხრივ არგუმენტირებული პასუხის გასაცემად.

სანამ ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ძირითად თვალსაზრისებს შევეხებოდეთ, მოკლედ გადმოვცემთ ჩვენთვის საინტერესო ელჩობასთან დაკავშირებით სადღეისოდ ცნობილ მონაცემებს.

პირველი, რაც ამ ელჩობასთან დაკავშირებით საუბრის დროსაა გათვალისწინებული, ბუნებრივია, XVII საუკუნის 50-იანი წლების დამდეგის პოლიტიკური სიტუაციაა. ამ თვალსაზრისით, ორი ძირითადი მომენტი იმსახურებს ყურადღებას.

როსტომ მეფის რუსეთში 1652 წლის ელჩობას წინ უსწრებდა რუსეთ-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ამჟერადაც ბრძოლა ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის რუსეთიდან ამიერკავკასიისაკენ მიმავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზების ხელში ჩაგდების საკითხით იყო შეპირობებული.

XVII საუკუნის 50-იანი წლების დამდეგიდან ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ შაჰ აბას II საშუალება მისცა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ერთეულები — დერბენტის სახანო, კაიხალის საუცშიო, საშამხლო და სხვ.⁴ ამავე დროს, საგრძნობლად გაიზარდა ყაბარდოსთან, დაღესტანთან და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან რუსეთის მთავარი დამაკავშირებელი პუნქტის — თერგ-ქალაქის მნიშვნელობა. ნ. სმირონოვის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მდ. თერგი ფაქტიურად რუსეთის ოფიციალურ საზღვრად იქცა“⁵. აქედან გამომდინარე, ირანის მთავრობის მორიგ გადაუდებელ საზრუნავს თერგ-ქალაქის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. იმ საბაბით, რომ კაზაკებმა შემახის ვაჭრები გაძარცვეს⁶, 1652 წელს შაჰის ბრძანების შესაბამისად, დაღესტნისა და შემახის ჯარებმა ხელთ იგდეს და დაანგრის მდ. სუნჯაზე მდებარე ციხე-სიმაგრე და ამ სამხედრო აქციით, თერგ-ქალაქს რეალური საფრთხე შეუქმნეს. ირან-რუსეთის ამ კონფლიქტის გამო, დიპლომატიური ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის ფაქტიურად შეწყდა (ცნობილია, რომ ეს კონფლიქტური სიტუაცია მხოლოდ 1662 წელს იქნა დაძლეული)⁷.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ასევე წინ უსწრებდა ჩვენთვის საინტერესო ელჩობას, ის იყო, რომ 1651 წლის ოქტომბერში იმერეთში ჩასული რუსეთის ელჩის ნ. ტოლოჩანოვისა და თეიმურაზ I-ის ერთობლივი შეთანხმებით, რუსეთის სამეფო კარზე თეიმურაზის

შვილიშვილის ერეკლეს გაგზავნის საკითხი იქნა გადაწყვეტილი⁸, რაც უდავოდ, არც შაჰს უნდა მოსწონებოდა და არც გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფეს⁹.

აი, ამგვარ სიტუაციაში იყო, რომ 1652 წელს ქართლის გამაჰმადიანებულმა მეფემ რუსეთის სამეფო ტახტზე საჩუქრებით ხელდამშვენებული ელჩობა გაგზავნა. მ. პოლიევქტოვის მიერ გამოქვეყნებული ზემომითითებული მასალების მოწმობით, ეს დელეგაცია 12 კაცისაგან შედგებოდა. სათავეში მას მაჰმად-ხან ბეგი ედგა¹⁰.

ახლა ვნახოთ, კიდევ რას გვამცნობენ ამ ელჩობასთან დაკავშირებით მ. პოლიევქტოვის მიერ გამოქვეყნებული მასალები?

უპირველეს ყოვლისა, ირკვევა, რომ რუსულ დოკუმენტებში (და მაშასადამე, რუსეთშიც) 1652 წელს როსტომის ელჩობა შაჰის ვასალური ქვეყნებიდან გამოგზავნილ დიპლომატიურ მისიად იყო კვალიფიცირებული. ტექსტში არაერთგზისაა ნათქვამი, რომ როსტომის ელჩი შაჰის კუთვნილი მხრიდანაა მოსული. მაგალითად, «...Шах Аббасовы области тефлисского Арастан-ханова посланник Магомет-хан бек», «И тот шах-Аббасовы области тефлисского Арастаханов посланник Магомет»¹¹. მაგრამ მოტანილი ამონაწერიდან ისიც ჩანს, რომ თვით ელჩი მაჰმად-ხან ბეგი როსტომის მიერაა გაგზავნილი («... Арастан-ханова поссланник Магомет-хан-бек», «Арастаханов поссланник Магомет»). ეს რომ მართლაც ასეა, შემდეგიც ადასტურებს. იმავე დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ ელჩობამდე, ე. ი. 1652 წლამდე, როსტომის (და არა შაჰის)¹² ელჩები რუსეთში არ ყოფილან: «А наперед сего тефлисского Урустоп-хановы ж посланники к Москве не приходили»¹³.

ამგვარად, ზემომოტანილი ცნობები შემდეგ მონაცემებს შეიცავენ: 1. 1652 წლის ელჩობა რუსეთში შაჰის ვასალური ქვეყნიდან იყო გაგზავნილი, 2. ელჩი პირადად როსტომ-ხანის წარგზავნილი იყო; 3. 1652 წლამდე ამგვარ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

1652 წლის ელჩობასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების შესწავლისას მკვლევრებმა (მ. პოლიევქტოვმა, ი. ცინცაძემ, დ. კაკარავამ და სხვებმა) დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს შემდეგსაც: რუსეთში როსტომის წარგზავნილი ელჩის მიმართ, პირველ რუსულ პუნქტში ჩასვლისთანავე, რუსი მასპინძლები დიდ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენდნენ. ელჩები მოსკოვშიც განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ¹⁴. ამ მონაცემების შუქზე, ი. ცინცაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როსტომი არ არის გათანაბრებული არც თეიმურაზთან და არც ალექსანდრე იმერთა მეფესთან. ამათი პატივი რუსეთის კარზე სხვა იყო“¹⁵.

რაც შეეხება არსენ სუხანოვის ჩანაწერებში შემონახულ ინფორმაციას, რომელიც ასევე არაერთგზის ყოფილა მკვლევართა განხილვის საგანი, შემდეგი შეიძლება ითქვას. არსენ სუხანოვი, მართლაც, რამდენიმე ძალზე ნიშანდობლივ ცნობას გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით (გარდა იმისა, რომ მისი ჩანაწერები თავისთავად პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენდნენ იმდროინდელი საქართველოს ისტორიის წარმოსაჩენად).

არსენ სუხანოვის ჩანაწერების ის ნაწილი, რომელსაც ამჟამად განსახილველ საკითხში გარკვეული სინათლე შეაქვს, 1652 წლის 29/VI II—4/X თარიღდება¹⁶.

არსენ სუხანოვის პირველი საყურადღებო მითითება იმაში მდგომარეობს, რომ იგი რუსეთში გაგზავნილ ელჩობას როსტომ-ხანს მიაწერს („გავიგე მე როსტომ-ხანმა სრულიად რუსეთის ხელმწიფეს და მეფეს, დიდმთავარს ალექსი მიხეილის ძეს, თავისი ელჩი გაუგზავნა“...)¹⁷. მეორე საგულისხმო ცნობას წარმოადგენს ის, რომ ა. სუხანოვი ადასტურებს რუსული დოკუმენტების მონაცემებს იმის თაობაზე, რომ როსტომის ელჩი რუსეთში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა („...ხელმწიფის ბრძანებულებით ყოველგან მას (როსტომ ხანის ელჩს¹⁸) ქალაქიდან ქალაქამდე საბარგულები, სანოვანე და მხლებლები რამდენიც დაჰირდებოდა იმდენი ეძლევა...“)¹⁹. ამავე ავტორის ჩანაწერებიდან იმასაც ვგებულობთ, რომ რუსეთში როსტომის ელჩობა, შაჰისაგან დაუკითხავად, ქართლის მეფის მიერ მოწყობილ ღონისძიებად იქნა გაგებული კავკასიის მთელ რიგ მხარეებში. („...თბილისიდან განჯამდე და განჯიდან შემახამდე, მიმავალ არსენს სხვადასხვა ხალხისაგან გზაზე ასეთი სიტყვები ესმოდა: როცა ჩვენ გვკითხავდნენ თბილისის ამბავს, რა ამბავია თბილისში, ჩვენ ასე გავიგეთ თითქოს როსტომ-ხანი (სპარსეთის) შაჰს განუდგაო, ნუთუ ეს მართალიაო და როცა ვუპასუხებდით, რომ როსტომ-ხანი ძველებურად ცხოვრობს და ამისი მსგავსი არაფერი გაგვიგონიაო“²⁰. და უფრო ქვემოთ: „მდივანმა (შემახაში — გ. ე.) არსენის გამოკითხა: მშვიდობით იმოგზაურე თუ არაო, ამასთანავე გამოკითხა როსტომ-ხანის შესახებ, ჯარი შეყრილი ყავს თუ არა და ახლა სად იმყოფებაო, იკითხა კათალიკოსის ადგილსამყოფელი და თეიმურაზი სად არის ახლაო? არსენმა მოახსენა: როსტომ-ხანი და კათალიკოსი ახლა გორში არიან. თეიმურაზის შესახებ არაფერი ვიციო. ეს მან (მდივანმა) იმისათვის იკითხა, რომ ხმა დარბეულიყო, თითქოს როსტომ-ხანი შაჰს განდგომოდეს“²¹.

ჩვენთვის საინტერესო წყარო მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართლის მეფისა და ქრისტიანული ეკლესიის იმდროინდელი მესვეურების (საქართველოს კათალიკოსის, თბილელი ეპისკოპოსის) როლისა და ადგილის შესახებ, რაც

თავისი მხრით, დიდ დახმარებას გეიწევს განსახილველ საკითხში გასარკვევად. ამ თვალსაზრისით დიდი ხანია ყურადღება ექცევა ა. სუხანოვის ჩანაწერების იმ ადგილს, სადაც როსტომ მეფის საქართველოს კათალიკოსისეული დახასიათებაა გადმოცემული და აგრეთვე, იმასაც, თბილელეპისკოპოსისა და ა. სუხანოვის კონფიდენციალურ საუბარზე რომ მოგვითხრობს. რუსი მოღვაწის მოწმობით საქართველოს კათალიკოსმა, როსტომი ამგვარად დაახასიათა: „ჩვენი მეფე (ხანი) თუმცა მაჰმადიანი არის, მაგრამ ჩვენს მიმართ მოწყალეა, მისგან არავითარი საწყენი არ შეგვხვდენია. თქვენი ხელმწიფე რომ ჩვენს ქვეყანას დაიკავებდეს ჩვენს ხანს ეს გაუხარდებოდა კიდევ“²². ა. სუხანოვის ჩანაწერებიდან ისიც ირკვევა, რომ თბილელეპისკოპოსთან საუბრის დროსაც რუსეთ-საქართველოს მომავალი ურთიერთობის თვალსაზრისით ძალზე საინტერესო საკითხები დაისვა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო რუსეთის სახელმწიფოს საზღვარზე მცხოვრები ყუმუხების საკითხი, რომლის მოგვარება ორივე მხარისათვის (რუსეთისა და საქართველოსათვის) ძალზე მნიშვნელოვანი იყო. „ეპისკოპოსი აგრეთვე ამბობდა: გავიგეთ ჩვენ, რომ ყუმუხები რუსეთის ხალხს ემტერებიან. განა რუსეთის ხელმწიფეს არ შეუძლია ყუმუხებს (სამაგიერო მიუზღოს)? რათ უთმენს ამდენს მათ. ბრძანოს და მათი მურზები დააქერინოს და ჩამოახრჩობინოს, იმათ ადგილზე თავისი დასვას და ამ გზით ყველა მისი, ხელმწიფის, მორჩილი იქნებიან“²³. წყაროდან ირკვევა, რომ თბილელეპისკოპოსი რუსეთის მიერ ყუმუხების საკითხის გადაჭრას ორგანულად უკავშირებდა შაჰის ბატონობისაგან ქართლ-კახეთის მომავალ გამოხსნას („ეპისკოპოსმა თქვა: ხელმწიფე რომ როგორმე ყუმუხებს დაიპყრობდეს, მაშინ კახეთიც მისი სახელმწიფო შეიქმნება, ხოლო როგორც კი კახეთს დაიჭერს თბილისიც მისი, ხელმწიფესავე, გახდება“)²⁴. ისიც ნათელია, რომ ა. სუხანოვთან შეხვედრაზე თბილელეპისკოპოსი სრულიად გარკვეული, წინასწარ მოფიქრებული პროგრამით მოვიდა. ამის უდავო მოწმობას შემდეგი ნაწყვეტი წარმოადგენს: „არსენმა იკითხა: რამდენი კაცი იქნება საჭირო, რომ შაჰს წინ აღუდგეთ და შაჰის ბატონობისაგან გამოვიხსნათ და შემდეგ დაგიცვათ, ოცი ათასი საკმარისი იქნება თუ არა? ეპისკოპოსმა თქვა — ცოტა იქნებაო, ალებას და კარგად დაუფლებას, ისე რომ ხელმწიფის სახელის ხსენებაზე შიში ატრწოლებდეს, ორმოცდათი ათასი კაცი დასჭირდებო“²⁵. ჩანაწერების ეს ადგილი იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ თბილელეპისკოპოსი ა. სუხანოვისათვის ქართლ-კახეთის სამხედრო პოტენციალის გამოყენებისას, მაინცდამაინც ქართლის მეფის, როსტომ-ხანის „სააღწერო დავთარს“ იმოწმებს. ა. სუხანოვი გვამცნობს: „არსენი შეეკითხა: თქვენი რამდენი კაცი იქნება. ეპისკოპოსმა თქვა: როსტომ-ხანს სააღწერო დავთარში შეტანილი ქართველები ოცდაოთხი ათასი ჰყავს, კახეთის

გარდა, თეიმურაზს რომ წაერთვა, ხოლო კახეთში თორმეტი ათასი იქნება“. და ბოლოს, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამავე ა. სუხანოვის თანახმად. თბილელეპისკოპოსმა კიდევ ერთი სახელმწიფო საილუმლო გაანდო მას. კახეთში არსებული წმინდა ვერცხლის საბადოების შესახებ²⁵ („ეპისკოპოსმა მომითხრო აგრეთვე, რომ კახეთში თითქოს ერთი მთა არის, რომელშიაც სუფთა ვერცხლის მადანია თითქოს, მაგრამ ამ მადანს ჩვენ ვმალავთ და არ ვაცხადებთ, რადგანაც შაჰმა რომ ეს გაიგოს, ჩვენში ქრისტიანობის ფესუს ამოაგდებს, როგორც კი მადნის დამუშავებას დაიწყებს... ხოლო ეპისკოპოსი იქ წავიდა კახეთში, უნდოდა თბილისში არსენისათვის ამ მადნის ნიმუში გამოეგზავნა, მაგრამ არსენი ვერ დაელოდა და წამოვიდა, რადგანაც მას ამხანაგები დაემგზავრა შემახისაკენ“)²⁷.

ქვემოთ დავინახავთ, რომ ა. სუხანოვის ჩანაწერებში შემონახული ინფორმაცია არაერთი თვალსაზრისის საფუძველი გახდა.

და ბოლოს, რაც შეეხება ქართლის მეფე როსტომთან რუსეთის მეფის მიერ გამოგზავნილ საჩუქრებთან დაკავშირებულ დოკუმენტს²⁸, შემდეგი უნდა ითქვას: ჩვენი აზრით, აღნიშნული ისტორიული წყარო რამდენიმე ანგარიშგასაწევ მომენტს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, იგი ადასტურებს როსტომის ელჩობის ფაქტსა და თარიღს — 1653 წლის 30 იანვარს (ირკვევა. რომ 1653 წლის 7 მაისს როსტომის ელჩი ჭერ კიდე რუსეთში იმყოფება²⁹). დოკუმენტი იმასაც გვამცნობს, რომ რუსეთის მეფის მიერ საჩუქრების გაგზავნა საპასუხო აქტს წარმოადგენდა („...სრულიად რუსეთის ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ ბრძანა თავისი მეფური ჯამაგირის გაგზავნა თბილისის ურუსტოპ ხანთან მისი საჩუქრების სა მ ა გ ი ე რ ო დ...“)³⁰. განსაკუთრებით საინტერესო კი, მაინც ისაა, რომ რუსეთის მეფის ამ ბრძანებაში ხაზგასმითაა აღნიშნული: მაჰმად ხან ბეგი როსტომ ხანის ელჩიაო. ასე: „...სრულიად რუსეთის ხელმწიფემ... ბრძანა თავისი მეფური ჯამაგირის გაგზავნა თბილისის ურუსტოპ ხანთან მისი საჩუქრების სამაგეიროდ ოთხასი მანტის სიასამურით მ ი ს ი ე ლ ჩ ი ს მაჰმად ხან ბეგის მეშვეობით“ — უფრო ქვემოთ: „თუ რა ფასის სიასამური გავგზავნოთ ხანთან (როსტომთან — გ. ე.) და რა ფასის სიასამური მიეცეს მ ი ს ე ლ ჩ ი ს. ამის სია ამ სამახსოვროს თან ერთვის“. და ბოლოს, „თ ბ ი ლ ი ს ი ს უ რ ო ს ტ ო პ ხ ა ნ ი ს ე ლ ჩ ი ს მაჰმად ხან ბეგს ერთი შეკვრა 40 მანეთიანი, ორი შეკვრა სიასამური 30 მანეთიანი“³¹.

ზემოაღნიშნულთან ერთად. ეს დოკუმენტი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მასში სხვა რუსული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, მაგრამ ა. სუხანოვის ჩანაწერების მსგავსად, არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ როსტომი ირანის შაჰის ვასალური მხარის ხანი იყო.

1652 წლის ელჩობის რუსული დოკუმენტების პუბლიკაციის პირველი ავტორი. მ. პოლიევქტოვი, მიზნად არ ისახავდა ელჩობის ისტორიის ყოველმხრივ შესწავლას. ალბათ ამიტომაც, რომ მან ფაქტიურად არ შეათვსა ეს ელჩობა, არც მის მიზნებზე და მიზეზებზე გამოუთქვამს თავისი თვალსაზრისი, თუმცა კი მისი მსჯელობიდან ნათელი ხდება, რომ ამ ელჩობის პოლიტიკურ მიზანდასახულობაში მკვლევარს ეჭვი არ ეპარებოდა. ამ თვალსაზრისით. საგულისხმოა განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით მ. პოლიევქტოვის მიერ დასმული კითხვები, რომლებიც. ჩვენი აზრით, არაორაზროვნად მიგვანიშნებენ საკითხთა იმ წრეზე. რომელიც ამ ელჩობასთან დაკავშირებით მკვლევრის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ეს კითხვები შემდეგია: „რითი ხელმძღვანელობს როსტომი, როდესაც იგი 1652 წელს მოსკოვში თავის ელჩს აგზავნის?“, „რამდენად გულწრფელი იყო იგი?“, „რამდენად შორს იყო გამიზნული მისი გეგმები?“, „იყო თუ არა როსტომის პროგრამა თეიმურაზისეულის განმეორება, თუ იგი შაჰის მიერ ინსპირირებულ დიპლომატიურ პროვოკაციას წარმოადგენდა?“³². 40-იან წლებში დასმული ეს კითხვები დღესაც ცხოველ ინტერესს აღძრავენ.

ი. ცინცაძე ჩვენთვის საინტერესო საკითხს არაერთგზის შეეხო³³. მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი დეტალების გათვალისწინებით, მკვლევარმა 1652 წლის ელჩობასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. უპირველეს ყოვლისა, მან საესებით სამართლიანად შენიშნა, რომ თუ როსტომის ძირითადი პოლიტიკური მიმართულებით ვიზუალებთ, მაშინ რუსეთის სამეფო კარზე ქართლიდან წარგზავნილი ელჩობა „ჩვეულებრივ მოვლენად არ ჩაითვლება“³⁴. ი. ცინცაძის კონცეფციის მიხედვით, როსტომს, ვითარცა შაჰის ვასალს, „ირანის შაჰისაგან დამოუკიდებლად და მასთან შეთანხმების გარეშე, ან თვით შაჰის დავალების გარეშე... ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო მაშინდელ პირობებში, თუ ირანთან დამოკიდებულებას ისე არ გაწყვეტდა, როგორც ეს თეიმურაზმა მოიმოქმედა“³⁵. მკვლევარი არ გამოირიცხავდა გამაჰმადიანებული როსტომის „რუსეთზე ორიენტირების შესაძლებლობასაც“, მაგრამ ეს „იმ შემთხვევაში თუ კი რუსეთს (როსტომი — გ. ე.) ისე ძლევამოსილად მიიჩნევდა ამიერკავკასიაში, რომ მასზე დაყრდნობით ქართლის სამეფოს არსებობას ისეთი საფრთხე არ დაემუქრებოდა, როგორც კახეთს შეემთხვა“³⁶. ი. ცინცაძის ისიც აინტერესებდა, თუ „რა აწუხებდა გამაჰმადიანებულ როსტომს და ან მის ხელქვეით მყოფ მოწინავე ქართველების წრეებს იმის შემდეგ, როცა ირანის შაჰმა ქართლ-კახეთი ერთი ხელისუფალის სამფლობელოდ აქცია და, რაც მთავარია, ქართული საქმის ხელისშემშლელი თითქოს ირანი აღარ ჩანდა“³⁷. მკვლევრისავე

თვალსაზრისის თანახმად, როსტომს ყველაზე უკეთ უნდა სცოდნოდა თუ რა სიძნელებთან იყო დაკავშირებული „ირანის ფრთებ ქვეშ ქართული საქმის კეთება“, ამიტომაც მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, კავკასიაზე რუსეთის გადმოსვლა შეიძლება გახარებოდა კიდევ. ამგვარ ვარაუდში ი. ცინცაძე არც საკვირველს ჰხედავდა რაიმეს და არც მოულოდნელს³⁸. 1652 წლის ელჩობის მიზნის განსაზღვრისას მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თეიმურაზ I-ის გადაწყვეტილებას რუსეთის სამეფო კარზე თავისი ვაჟის — ერეკლე ბატონიშვილის — გაგზავნის თაობაზე, რადგან ფიქრობდა, რომ ამ აქტში, როსტომსაც და ირანის შაჰსაც ამიერკავკასიის საკითხებით რუსეთის დაინტერესება უნდა დაენახა³⁹. თავისი: „ამ თვალსაზრისს: ი. ცინცაძე ამგვარად ავითარებდა: „კავკასიონზე რუსეთის გადმოსვლა პრინციპულად როსტომისათვის საშიშროებად არ ითვლებოდა თუკი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი რუსეთის სამეფო კარს თავისი არ ეყოლებოდა, ამ შემთხვევაში ერეკლეს სახით, ირანის შაჰს კი კავკასიონზე რუსეთის გადმოსვლის შემთხვევაში, პირველ რიგში საქართველო ეცლებოდა სამუდამოდ ხელიდან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აქ ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრებას“⁴⁰.

დ. კაქარავამ, რომელმაც გაითვალისწინა ი. ცინცაძის ზემომოტანილი მსჯელობა, ახალი, საინტერესო თვალსაზრისი წამოაყენა 1652 წლის ელჩობასთან დაკავშირებით. მკვლევრის აზრით, როსტომსა და მის ელჩს შუამავლის როლი ეკისრებოდა ირანსა და რუსეთს შორის⁴¹. როსტომი შაჰის ბრძანებით მოქმედებდა. რუსეთში მის მიერ გაგზავნილი ელჩობა 1652 წელს ირან-რუსეთს შორის მომხდარი კონფლიქტის მოგვარებას ისახავდა მიზნად. ეს იყო 1652 წლის ელჩობის „ერთი, ოფიციალური მხარე“. რაც შეეხება ამ დიპლომატიური მისიის მეორე, არაოფიციალური მხარეს, რომელიც მკვლევრის აზრით როსტომის ელჩს უნდა შეესრულებინა, მისივე „საიდუმლო დავალება“ იყო. „ეს დავალება, — დ. კაქარავას აზრით, — მიმართული უნდა ყოფილიყო არა იმდენად ერეკლეს წინააღმდეგ, არამედ თვით თეიმურაზის წინააღმდეგ“⁴². ა. სუხანოვის ჩანაწერების დეტალური ანალიზის გზით დასახელებული ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ როსტომი რუსეთისაკენ იხედებოდა, „მაგრამ, თეიმურაზისაგან განსხვავებით, ის რეალური პოლიტიკოსი ჩანს... იგი რუსეთის მეფეს მოუწოდებდა ჯერ დაეკავებინა ტერიტორია საქართველოსა და რუსეთს შორის და შემდეგ კისრულობდა მის ქვეშევრდომობას. როგორც ჩანს აღორძინებას იწყებდა ალექსანდრე კახთა მეფის მიერ შემუშავებული რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის მოგვარების გეგმა-პროგნოზი“⁴³.

საინტერესოა შემდეგიც. დ. კაპარავას აზრით, „არსენ სუხანოვის ეპისკოპოსის პირით როსტომმა თავისი პოლიტიკური პროგრამა გადაუშალა და ეს პროგრამა საკმაოდ დეტალურადაც იქნა გარჩეული“⁴⁴, რაც მკვლევრის აზრით, „ამჟამად მიუთითებს როსტომის გადაწყვეტილებაზე დაამყაროს კავშირი რუსეთთან“⁴⁵. ამავე ავტორის თანახმად, ა. სუხანოვთან თბილელეპისკოპოსის მოლაპარაკება და რუსეთში მაჰმად ხან ბეგის 1652 წლის ელჩობა „ერთსა და იგივე მიზანს უნდა ემსახურებოდეს“⁴⁶.

თ. ბოცვაძე შეუძლებლად მიიჩნევს „როსტომის რუსეთზე ორიენტაციის დაშვებას“⁴⁷. ისევე როგორც ი. ცინცაძე, თ. ბოცვაძეც თვლის, რომ 1652 წლის ელჩობით როსტომი თეიმურაზისა და მისი შვილიშვილის გზიდან ჩამოცილებას ცდილობდა. ამ აქციით ქართლის მეფე თავის ინტერესებსაც იცავდა და შაჰისაც. თ. ბოცვაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მოჩვენებითი ქვეშევრდომობით, როსტომი ალბათ რუსეთს თავის თავს სთავაზობდა, ამასთან მას თითქოს ის პრიორიტეტი უნდა მისცემოდა თეიმურაზთან შედარებით, რომ იგი ქართლ-კახეთის ტახტზე მკვდრად მჯდომი იყო, ხოლო თეიმურაზი კი ტახტაცურებული და მაძიებელი... მეორე მხრივ, როსტომი, თავისთავად ცხადია, რომ შაჰის საქმეს აკეთებდა“⁴⁸.

1958 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს მაკეტის ავტორების თანახმად: „... თვით როსტომსაც, რომელიც შაჰის ერთგულ მოხელედ იყო მიჩნეული, ფარულად თვალი რუსეთისაკენ ეჭირა“⁴⁹.

ნ. ნაკაშიძის მიერ გამოთქმული ერთი მოსაზრების მიხედვით: „რუსეთის გავლენის ქვეშ მაჰმადიანი როსტომ მეფეც კი მოხვდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ლევან დადიანზე, რომელსაც საერთო-ქართული ინტერესები დიდად არ აწუხებდა“⁵⁰.

თ. ტივაძის აზრით, მაჰმადიანი როსტომ ხანისაგან გაგზავნილ მაჰმად ხან ბეგს უპირველეს ყოვლისა... შაჰის ძლიერების დემონსტრირება უნდა მოეხდინა და ეჩვენებინა, რომ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ირანის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ დიპლომატიური ნაბიჯით განსაზღვრული იყო თეიმურაზის და ერეკლეს პოლიტიკური პრესტიჟის შერყევა“⁵¹. ამასთანავე მკვლევარი, ისევე როგორც სხვა ავტორებიც, უდავოდ მიიჩნევენ იმასაც, რომ რუსეთში მაჰმად ხან ბეგის ჩასვლის ფაქტში მოსკოვის მთავრობამ „ირანის მხრიდან კონფლიქტის მოგვარების სურვილი დაინახა“⁵².

როგორც ვხედავთ, რუსეთში როსტომ მეფის 1652 წლის ელჩობის საკითხის შესახებ ერთიანი, ყველას მიერ გააზრებული, თვალსაზრისი არ არსებობს. ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორია ჩვენი საკუთარი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

ზემოთ განხილული წერილობითი წყაროებისა და ჩვენს წინაპორბედ მკვლევართა მიერ ჩატარებული ძიების შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი დასკვნების გათვალისწინებით, ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ როსტომის ელჩობა მოსკოვში შაჰის მიერ იყო სანქციონირებული. ირანის ვასალური ქვეყანა ქართლ-კახეთი გარკვეული დამოუკიდებლობის, მიუხედავად, შაჰის დაუკითხავად მოსკოვის სამეფო კარზე ოფიციალურად ელჩს ვერ მიავლენდა.

ჩვენ ასევე სავსებით ვეთანხმებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ როსტომის ელჩობის ძირითად მიზანს რუსეთ-ირანის 1652 წლის კონფლიქტის მოგვარება წარმოადგენდა, მაგრამ ისევე, როგორც დ. კაჭარავა და ჭხვა მკვლევრები, ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ ამ დიპლომატიურ მისიას მეორე არაოფიციალური მხარეც ჰქონდა.

ჩვენი აზრით, ქართლის სამეფო კარიდან რუსეთში მივლინებულ ამ ელჩობას, გამაჰმადიანებული როსტომ მეფის კონფიდენციალური დავალებაც უნდა შეესრულებინა. მას სათანადო ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა რუსეთის ხელმწიფისათვის აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ, ამასთანავე რუსეთისადმი ქართლ-კახეთის მეფის კეთილგანწყობილებაც ეჩვენებინა, რათა ერთმორწმუნე რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს მომავალი მკიდრო დაკავშირებისათვის საიმედო და მყარი ნიადაგი მოეზაღებინა. ა. სუხანოვთან საუბარში თბილელეპისკოპოსის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომელიც, უდავოდ, ქართლ-კახეთის სამეფო კარის იმდროინდელ პოზიციას ასახავდა, ქრისტიანულ რუსეთზე დაყრდნობით მაჰმადიანებისაგან აღმოსავლეთ საქართველოს გამოხსნის შესახებ მომავლის პოლიტიკურ კურსს წარმოადგენდა და არა 50-იანი წლების დამდეგისა. ქართლის მეფეს კარგად ესმოდა, რომ იმხანად არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთის მხარეზე გამოსვლა რეალურ საფუძველს მოკლებული იყო. ამგვარ დაუფიქრებელ ნაბიჯს არა მხოლოდ ბრძოლებით მოპოვებული მშვიდობიანობის დაკარგვა მოჰყვებოდა, არამედ ქვეყნის დაღუპვამდე მიყვანაც შეეძლო. გამჭრიახ პოლიტიკოსს — როსტომ მეფეს — ისიც კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ბარიერის გარღვევა რუსეთის მხრიდან, აღმოსავლეთში შექმნილ საერთაშორისო სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რომ ამ საკითხის ბოლომდე მიყვანას დიდი დროც სჭირდებოდა⁵³.

ქართლის სამეფო კარს მოსკოვში ამ ელჩობის გამგზავრებისას შაჰის დავალების შესრულების გარდა თავისი საკუთარი ინტერესებიც რომ ამოძრავებდა, შემდეგიდანაც ჩანს: წყაროებიდან ირკვევა, რომ როსტომის მიერ რუსეთში ელჩობის გაგზავნას, თეიმურაზის დიდი შეშფოთება გამოუწვევია. ამ ღონისძიების ჩასაშლელად მას რადიკალური ზომებიც ნიუღია, მაგრამ უნაყოფოდ. ზემოთ აღინიშნა, რომ როსტომის

ელჩნა, მაჰმად ხან ბეგმა, მოსკოვისაკენ მიმავალი გზა დაუბრკოლებლად გაიარა და რუსეთის მეფისათვის როსტომის მიერ გაგზავნილი ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებულმა 1653 წლის 30 იანვარს, მოსკოვს მი-
აღწია⁵⁴.

წყაროების მიმოხილვიდან დავინახეთ, რომ სერიოზული, ყოველ-
მხრივ კარგად ორგანიზებული დიპლომატიური მისიის განხორციელება-
ში როსტომ მეფის ადგილისა და როლის საჩვენებლად არაერთი პირდა-
პირი, თუ არაპირდაპირი ხასიათის მონაცემი არსებობს. 1652 წლის
ელჩობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებშიც, ა. სუხანოვის ჩანაწერებ-
შიც და როსტომისათვის რუსეთის მეფის მიერ გამოგზავნილი საჩუქრე-
ბის ანსახველ ისტორიულ საბუთშიც, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ
ელჩობის მთავარ ფიგურას მაინცდამაინც როსტომი წარმოადგენდა და
არა შაჰი (იხ. ზემოთ). უკვე ითქვა, მაგრამ აქაც გავიმეორებთ: ჩვენ შორ-
სა ვართ იმ მოსაზრებიდან, რომ მრავალჭირგადახდილი როსტომ მეფე,
ფრთხილი, მოქნილი, გამოცდილი და დიდი პოლიტიკოსი, ამგვარ სერი-
ოზულ ნაბიჯს, რუსეთში თავის ელჩის გაგზავნას, შაჰის ნებართვის, ან ამ
საქმით შაჰის დაინტერესების გარეშე გადადგამდა. მას ხომ ყველაზე
კარგად ესმოდა, რომ საამისო სიტუაცია იმდონდელ საქართველოში
ჯერ მომწიფებული არ იყო, მაგრამ ის, რომ მეფე და ქართლ-კახეთის
მმართველი საზოგადოების გარკვეული ფენა ამ ნაბიჯის გადასადგამად
ემზადებოდა და ამ დიდი ეროვნული საქმის მოთავე ქართლის გამაჰმა-
დიანებული მეფე იყო, ვფიქრობთ, ეჭვს არ ბადებს. ამგვარი დასკვნის
საფუძველს როსტომის მთელი მოღვაწეობა. განსაკუთრებით კი. ქრის-
ტიანული რელიგიისადმი მისი კეთილგანწყობის დამადასტურებელი
ფაქტები გვაძლევენ (იხ. ზემოთ). ჩვენი აზრით ისიც არ უნდა დავივიწყ-
ოთ. რომ ქართლში, სამეფო კარზე დაბადებული და აღზრდილი როს-
ტომი, დაბადებიდანვე ქრისტიანი, ფაქტიურად მთელი თავისი მოღვაწე-
ობით ქართულ საქმეს ემსახურებოდა. ფრთხილი და მოქნილი საგარეო
პოლიტიკის საშუალებით აღადგენდა და აშენებდა მტრისაგან დანგრე-
ულ ქვეყანას, ზრდიდა მის ეკონომიკურ და სამხედრო პოტენციალს,
ხელს უწყობდა ქართული კულტურის შემდგომ აღმავლობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ისიცაა საგულისხმო, რომ საქართვე-
ლოს მეზობელ მხარეში (თბილისიდან განჯამდე და განჯიდან შემახამ-
დე⁵⁵), როსტომის მიერ რუსულს ელჩობის გაგზავნა ირანის შაჰისაგან
ქართველი მეფის განდგომის ნიშნად იქნა გაგებული და შაჰის ერთგული
მოხელეების წუხილის საგანი შეიქმნა. ა. სუხანოვი გვაძენობს: „შემ-
დეგ ვკითხავდი მათ, რა გეფიქრებათ (რამ შეგაშინათ). ისინი გვეუბნე-
ბოდნენ: ამის წინათ ერთი თეიმურაზ-ხანი იყო. მრავალი წელი ვმტრობ-
დით და შაჰმა ძლივს-ძლივობით აჯობა. მთელი თავისი ქვეყნის ძალე-

ბით ებრძოდა მასო, ახლა როცა როსტომ ხანი საქართველოს სამ ნაწილს ფლობს და მასთან თუ ბაშიაჩუკების (იმერლების) მეფეც იქნება, მაგათთან ბრძოლა არავის შეეძლება, ისინი, ორმოცდაათი ათასი რომ იქნენ, ჩვენ კი ასი ათასი, მაშინაც ვერ შევძლებთ მათთან ბრძოლას, ჩვენს ქვეყანას მდინარე მტკვრამდე ცარიელს გახდიან, კარავის გამართვის საშუალებასაც არ მოგვცემენო“⁵⁶.

არანაკლებ საინტერესოა რუსეთის ხელმწიფის ცნობილი მოხელის, რუსული პოლიტიკის ერთგული კაცი, სასულიერო პირის, საქართველოში და კერძოდ, კახეთში ადრევე (1637—1640 წწ.) ნამყოფის, 1652 წელს იერუსალიმიდან მოსკოვში მიმავალი ა. სუხანოვის თბილისში გამოჩენის ფაქტიც (1652 წლის 4 სექტემბერს)⁵⁷. მისივე სიტყვებით: „... შემახაში მისვლისას, არსენმა რუსი ვაჟრები მოძებნა და ამბავი გამოკითხა. მათ თქვეს, რომ რუსეთში არ გვიშვებენო. არსენი არ გამოცხადებულა შემახის ხანთან (საშუამდგომლოდ) იმიტომ რომ (შეეშინდა) ისიც ვაჟრათ არ ჩეთვალათ: (არსენმა) თავისი ბარგი-ბარხანა და პური რუს ვაჟრებს მიაბარა და კაცი იქირავა. აგვისტოს მე-18 დღეს საქართველოში გავემგზავრეთ თბილისში როსტომ-ხანთან“⁵⁸. თუ მხოლოდ ამ ნაწყვეტში მოთხრობილი ამბიდან ამოვალთ, გაუგებარი იქნება, თუ რამ გადაწყვეტიდა რუს მოღვაწეს, სასულიერო პირს. ქრისტიანული ქვეყნის წარმომადგენელს, მაინცდამაინც ქართლის გამაჰმადიანებულ მეფესთან. თანაც შაჰის მოხელესთან, შემახადან გამგზავრება? რამ განაპირობა, რომ ა. სუხანოვი შემწეობას მაინცდამაინც როსტომისაგან ელოდა?⁵⁹ (თანაც მაშინ, როდესაც მას უკვე საკმაოდ დამაჯერებელი ინფორმაცია გააჩნდა ირან-რუსეთის გართულებული დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ!). პასუხს ამ კითხვაზე მისსავე ჩანაწერებში ვპოულობთ, საიდანაც ჩანს, რომ ა. სუხანოვს თბილისში ჩასვლამდე ჰქონია უკვე გაგებული, არა მხოლოდ რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოდან ელჩობის გამგზავრების შესახებ, არამედ ისიც, თუ რაოდენი პატივითა და ყურადღებით შეხვდა რუსეთი ამ ელჩობას. ამავე ჩანაწერებიდან ისიც ირკვევა, რომ რუსეთში ამ დიპლომატიური მისიის გამგზავრებას რუსი მოღვაწე როსტომის ინიციატივად თვლიდა და იმიტომ იყო, რომ სამშობლოში დაბრუნებისათვის დახმარებას მისგან ელოდა. („იმავ დღეს (1652 წლის 18 სექტემბერს — გ. ე.) როსტომ-ხანმა არსენს თარჯიმანი გამოუგზავნა გასაგებად, თუ რისთვის ჩამოვიდა (თბილისში) და არსენმა უპასუხა: „გავიგე მე, რომ როსტომ-ხანმა სრულიად რუსეთის ხელმწიფეს და მეფეს დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს თავი ელჩი გაუგზავნა და ხელმწიფის ბრძანებულებით ყოველგან მას (როსტომ-ხანის ელჩს) ქალაქიდან ქალაქამდე საბარგულები, სანოვანე და მხლებლები რამდენადაც დაჭირდება იმდენი ეძლევა, ზოლო მე არაფერს ამის მსგავს არ ვთხოვ, მხოლოდ ამას ვეაჩები, რომ როსტომ-ხანმა ჩემი თერ-

ვამდე გადაყვანა-გაცილება ბრძანოს. იმიტომ რომ, შემახადან რუსებს არ უშვებენ მოსკოვისაკენ“)⁶⁰.

გასათვალისწინებელია საქართველოში ა. სუხანოვის ჩასვლის ფაქტისადმი ქართლის მეფის რეაქცია⁶¹. მართალია, იგი პირადად არ შეხვედრია ა. სუხანოვს, მაგრამ მისი თხოვნა საესეებით დააკმაყოფილა და მომავალშიც დახმარების გარანტია აღუთქვა („როსტომ-ხანმა არსენის ერთი წერილი გამოუგზავნა და ბრძანა იგი შემახის ხანისათვის მიერთ-მია; ხოლო (მეორე) მდივნისათვის გადასაცემად და ეთქვა: თუ გაგატაროს შემახის ხანმა შენც წადი, თუ არ გაგატაროს, დაბრუნდი ჩემთან და მე შენ მთების გზით გაგისტუმრებო“)⁶².

არანაკლებ საყურადღებოა, როსტომის 1652 წლის ელჩობაზე თვით რუსეთის სამეფო კარისა და რუსეთის სამოხელეო აპარატის რეაქციაც. ზემოთ დავინახეთ, რომ ამ დიპლომატიური მისიისადმი რუსეთში განსაკუთრებული მზრუნველობა და პატივისცემა გამოიჩინეს (ამასთან დაკავშირებით ი. ცინცაძე, მ. პოლიევქტოვზე დაყრდნობით წერდა: „როსტომის ელჩებს სხვა ქართველი მეფეების მაგვარად კი არ სცეს პატივი. არამედ საგარეო საქმეთა საგანგის არქივში მოძებნის შემახის მფლობელის მიერ რუსეთში გამოგზავნილ ელჩებზე გაწეული ხარჯების და ულუფის ნუსხა და ამის მიხედვით გამოუწერეს კუთვნილი“)⁶³. როსტომის ელჩობა, რომ რუსეთის სამეფო კარის ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა, იქედანაც ჩანს, რომ ამ დიპლომატიურმა მისიამ რუსეთის საზღვარი მოკლე დროში და დაუბრკოლებლივ გადალახა (სხვა ელჩებისაგან განსხვავებით, რომლებიც თვეობით ელოდნენ ამაზე ნებართვას). გამორიცხული არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ის ვარაუდი⁶⁴, რომლის თანახმადაც, მაჰმად-ხან ბეგის და მისი თანმხლები პირების ამგვარი შეუფერხებელი მგზავრობა, იმერეთიდან რუსეთში მიმავალი რუსი დიპლომატის, საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედული პიროვნების, ნ. ტოლოჩანოვის დახმარებითაც ხორციელდებოდა, რომელსაც თუ გზაზე გადაადგილების იმდროინდელ ტემპებს მივიღებთ მხედველობაში, როსტომის ელჩობა, მართლაც „ფეხდაფეხ“ მისდევდა.

არანაკლებ ანგარიშგასაწვეია რუსეთის ხელმწიფის მიერ როსტომ მეფისა და მისი ელჩისათვის ძვირფასი სიასამურის ბეწვის საჩუქრად ბოძების ფაქტიც⁶⁵.

რუსეთის მეფისა და მისი მოხელეების ამგვარი დამოკიდებულება როსტომ მეფის ელჩობისადმი, რასაკვირველია, პირველ რიგში იმით უნდა ყოფილიყო შეპირობებული, რომ ამ ელჩობის უკან ირანის შაჰი იდგა⁶⁶. თანაც რუსეთ-ირანის შორის დიპლომატიურ კონფლიქტამდე მი-სულ სიტუაციაში ეს ელჩობა მოწინააღმდეგე მხარეთა მომავალი შე-რიგების საუკეთესო საწინააღმდეგე შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ყო-

ველივე ამასთან ერთად, იმასაც ვერ გამოვიციხავთ, რომ რუსეთის ხელმწიფე ამ ელჩობით საგანგებოდ იმიტომაც იყო დაინტერესებული, რომ მას პირველად ეძლეოდა საშუალება გამაჰმადიანებული როსტომ მეფის წარმომადგენელი მიეღო, რაც რეალურ წინაპირობას წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს ძლიერ განმგებელთან მომავალი დიპლომატიური, თუ სხვა ხასიათის ურთიერთობისათვის.

საინტერესოა შემდეგიც: რუსეთში როსტომის 1652 წლის ელჩობა ირანის შაჰისათვის ფაქტიურად უშედეგო აღმოჩნდა: ელჩობამ ვერც ირან-რუსეთის კონფლიქტის საკითხი მოაგვარა და ვერც რუსეთში თეიმურაზის შვილიშვილის, ერეკლეს, ჩასვლას შეუშალა ხელი. მაგრამ საქართველოსათვის ამ დიპლომატიურმა მისიამ, ვფიქრობთ, მაინც სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. სავარაუდოა, რომ მან ხელი შეუწყო ამ ორ ქვეყანას (რუსეთსა და საქართველოს) შორის სავაჭრო (და შესაძლოა, პოლიტიკური) ურთიერთობების გაცხოველებას. ამის საუკეთესო ილუსტრაციას, როგორც ჩანს, 1656 წელს შედგენილი ერთი ქართული დოკუმენტი წარმოადგენს, საიდანაც ვგებულობთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოსა და იერუსალიმის უმადლესი რანგის სასულიერო პირები („იერუსალიმის არქიმანდრიტი“, „ალავერდელი“, „საქართველოს დიდი მონასტრის მცხეთის პატრიარქი“, „სიონის მთავარეპისკოპოსი“, „საქართველოს ეპისკოპოსი“ და „მღვდელმთავრები“) დიდი მასშტაბის სავაჭრო ღონისძიების ორგანიზატორები და წარმმართველები იყვნენ. ეს სავაჭრო ღონისძიება მოსკოვში საქართველოდან ჩამოტანილი საქონლის რეალიზაციას ისახავდა მიზნად (იხ. ქვემოთ). გამოვიცხული არ არის, რომ ეს დიდმასშტაბური სავაჭრო (და შესაძლოა, პოლიტიკური) ოპერაცია როსტომის საქმიანობით შაჰის გაღიზიანებისა და უკმაყოფილების იმ უკანასკნელ წვეთს წარმოადგენდა, რომელმაც 1656 წელს როსტომისათვის შაჰის მიერ კახეთის ჩამორთმევა განაპირობა.

ახლა, თუ 1652 წლის ელჩობის ყველა მონაწილე მხარის (რუსეთის, ირანის, ქართლ-კახეთის) ინტერესებს გავითვალისწინებთ, და ზემოთხსენებულ უკლებლივ ყველა მონაცემს ერთობლიობაში გავიაზრებთ, ვარაუდის სახით, ისიც შესაძლოა დავუშვათ, რომ რუსეთში ელჩობის გაგზავნის საკმაოდ პერსპექტიული იდეა გამაჰმადიანებულმა ქართლ-კახეთის მეფემ თვით შესთავაზა შაჰს, რომელიც შემდეგ შაჰისავე სანქციით თვითონვე განახორციელა.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ მთელს ჩვენს მსჯელობას, შემდეგ ძირითად დაკვებაზე მივალთ: 1. რუსეთში როსტომის 1652 წლის ელჩობა ირანის შაჰის მიერ იყო სანქციონირებული; 2. ამ ელჩობის იდეა როსტომ მეფეს ეკუთვნოდა; 3. რუსეთში 1652 წლის ელჩობა ქართლ-კახეთის სამეფო კარმა განახორციელა; 4. ამ ელჩობასთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროებში ცენტრალურ ფიგურად როსტომ მეფეა წარ-

მოდგენილი; 5. ამ ელჩობის ძირითად მიზეზს ირან-რუსეთის 1652 წლის კონფლიქტის მოგვარება შეადგენდა; 6. როსტომ მეფის მიზანს არ შეადგენდა ქართლ-კახეთის საგარეო ორიენტაციის შეცვლა; დიდ პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოღვაწეს — როსტომ მეფეს, კარგად ესმოდა, რომ საამისო სიტუაცია ჭერჭერობით არ არსებობდა; ამ ეტაპზე მას სამი სურვილი ამოძრავებდა: ეჩვენებინა რუსეთის ხელმწიფისადმი თავისი კეთილგანწყობილება, გაეძლიერებინა საქართველოსადმი რუსეთის ინტერესი და ყოველივე ამის საფუძველზე უზრუნველყო რუსეთთან საქართველოს მომავალი ურთიერთობა.

აღნიშნულის შუქზე, ვერ გავიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო ელჩობასთან დაკავშირებით გამოთქმულ ზოგიერთ თვალსაზრისს, უპირველეს ყოვლისა (ისევე, როგორც დ. კაქარავა) ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას. რომ 1652 წლის ელჩობა მაინცდამაინც რუსეთის სამეფო კარზე თეიმურაზ მეფის შეილიშვილის, ერეკლეს გამგზავრების ჩაშლის საკითხს უკავშირდებოდა⁶⁷.

განხილული მონაცემების გათვალისწინებით, ვერც იმ თვალსაზრისს მივიჩნევთ მართებულად, რომ თითქოს როსტომ მეფე რუსეთთან კავშირის დამყარებას და მამასაღამე, საგარეო ორიენტაციის შეცვლას აპირებდა⁶⁸. ვერ დავეთანხმებით თ. ტიუაძის ზემომოტანილ თვალსაზრისს. რომ „შაჰის პროვინციის ქალაქ თბილისის „მაჰმადიან როსტომ ხანისაგან გაგზავნილ მაჰმად-ხან ბეგს უპირველეს ყოვლისა,... შაჰის ძლიერების დემონსტრირება უნდა მოეხდინა და ეჩვენებინა, რომ მთელი აღმოსავლეთ საქართველო ირანის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ დიპლომატიური ნაბიჯით განსაზღვრული იყო თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკური პრესტიჟის შერყევა“⁶⁹. დავიწყებთ იმით, რომ როსტომის 1652 წლის ელჩობასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ მასალებში როსტომის სამფლობელოს აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინის — «область» («... шах Аббасовы области тифлисского Арстан-ханова...» ან «И тот шах-Аббасовы области тифлисского Арстанханов...») „პროვინციად“ თარგმნა შეცდომას წარმოადგენს. „პროვინცია“ (ლათ. provincia) — დაპყრობილ, დამორჩილებულ მხარეს. ოლქს აღნიშნავს, ხოლო „შაჰის მხარე“ — როსტომის სამეფო ქართლი — ირანის „პროვინციას“ კი არ წარმოადგენდა, არამედ ირანის „ვასალურ მხარეს“, უკეთ კი — „ქვეყანას“. ქართლი მხოლოდ მაშინ იქნებოდა ირანის „პროვინცია“ თუკი მას ყიზილბაშები დაიპყრობდნენ და აქ თავს წეს-წყობილებას დაამყარებდნენ (მსგავსად, განჯა-ყარაბაღისა და ერევნის სახანოებისა). ცნობილია, რომ სწორედ ირანის მიმართ ვასალურმა დამოკიდებულებამ მისცა საშუალება ქართლს შეენარჩუნებინა ქართული სახელმწიფოებრივი წყობა, ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, ქრისტიანული სარწმუნოება, მშობლიური ენა, დამწერლობა, კულტურა, ყოფა,

წეს-ჩვეულება. სარწმუნოდ ვერ მივიჩნევთ 1652 წლის ელჩობის ძირითადი მიზნის ავტორისეულ ინტერპრეტაციასაც. საყოველთაოდ ცნობილია. და რასაკვირველია, თ. ტივაძისთვისაც, რომ რუსეთის სამეფო კარი საკმაოდ კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში და საერთოდ. კავკასიაში არსებული ძალთა რეალური თანაფარდობის, ირანის და ოსმალეთის გავლენის სფეროების, ამ სფეროებში მოქცეული პოლიტიკური ერთეულების, ქალაქების, საზღვრებისა და გზების მდგომარეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ რუსეთის ხელმწიფეს და პირველ რიგში, მის სადაზვერვო აპარატს ისიც არ სცოდნოდა, თუ ვინ იყო ღინამდეილეში ქართლის გამაჰმადიანებული მეფე როსტომი⁷⁰, როგორი იყო შაჰისადმი მისი დამოკიდებულების ხასიათი. ან რამდენად მყარი იყო ქართლ-კახეთში შაჰის პოზიციები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე აღნიშნული ირანის შაჰის კარზეც იყო კარგად ცნობილი. ასე, რომ 1652 წლის კონფლიქტურ სიტუაციაში. ვერც რუსეთის ხელმწიფე მოტყუებდებოდა „შაჰის ძლიერების დემონსტრირებით“ და არც შაჰი წავეილოდა ამგვარ იაფფასიან „დიპლომატიურ ფანდზე“.

და ბოლოს, ვერ გავიზიარებთ დ. კაჭარავას მოსაზრებების კრიტიკული განხილვის დროს, თ. ტივაძის მიერ გამოთქმულ იმ ვარაუდსაც, რომ თითქოს თბილელეპისკოპოსი ელისე როსტომის სამეფო კარზე თენიურაზისათვის იღვწოდა და სუხანოვთან საუბრისას, ფაქტიურად ამ უკანასკნელის სასარგებლო საქმეს აკეთებდა⁷¹. ჩვენი აზრით. სადღეისოდ არ არსებობს არცერთი სერიოზული ფაქტი, რომელიც თბილელეპისკოპოსის მოღვაწეობის ამგვარი შეფასების საფუძველს მოგვცემდა. პირიქით, ამ სასულიერო პირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ყველა ცნობა სწორედ იმის მანიშნებელია, რომ იგი ქართლის მეფისა და დედოფლის მხარდამხარ აშენებდა დაქცეულ ქვეყანას, ზრუნავდა მის სულიერ და მატერიალურ კულტურაზე. როსტომისადმი თბილელეპისკოპოსის ერთგულების დამამტკიცებელ ერთ-ერთ დამატებით არგუმენტს ამ სასულიერო პირის იმავე სუხანოვისეულ დახასიათებაში ვპოულობთ. ა. სუხანოვი გვამცნობს: „თბილელეპისკოპოსი როსტომ-ხანის მეუღლის სულიერი მამაა, კაცი მშვიდი და კეთილმომქმედი“⁷². ამ დახასიათებიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ თვით ა. სუხანოვს. რომელიც ამგვარ საუბრებში საკმაოდ გამოცდილ და დახელოვნებულ პიროვნებას წარმოადგენდა და თავის ჩანაწერებს, რასაკვირველია. რუსეთის სამეფო კარისათვის ამზადებდა, ეჭვი არ შეჰპარავია როსტომისადმი თბილელეპისკოპოსის ერთგულებაში. პირიქით, მის ინტერესს თბილელეპისკოპოსისადმი პირველ რიგში სწორედ ის აპირობებდა, რომ იგი როსტომის მეუღლის „სულიერი მამა“ იყო და მამასადამე,

მეფესთან დაახლოებული პირი. ალბათ ანგარიშგასაწვევია ისიც. თუ ვის გამოაგზავნიდა ქართლის მეფე რუს მოღვაწესთან შეხვედრაზე, თუ არა თავის ერთგულ კაცს. და ბოლოს, თუ თბილელეებისკოპოსის „სულეირ მამობას“, როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის ერთობლივი თანმომდევრული, ფრთხილი, შორსმჭკრეტელური, წინდახედული სახელმწიფო მოღვაწეობის კონტექსტში განვიხილავთ, ვფიქრობთ რომ თ. ტივაძის ზემომითითებული ვარაუდისათვის ვერავითარ გამართლებას ვერ ვიპოვით.

XVII საუკუნის 50-იან წლებში გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფის პრესტიჟის ზრდა, მისი როგორც მმართველის სიძლიერე, მისი გონივრული მმართველობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს აღმავლობა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა შაჰ აბას II-სათვის. ამ მიზეზით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1656 წელს, ირანის შაჰის ბრძანებით, როსტომს კახეთი ჩამოერთვა და იქ ყიზილბაში სელიმ-ხანი დაინიშნა⁷³. შაჰმა სელიმ-ხანს განსაკუთრებული მისია დააკისრა. იგი კახეთის გაყიზილბაშებასა და სახანოდ გადაქცევაში გამოიხატებოდა. მაგრამ ცნობილია, რომ ირანის შაჰის ამ მზაკვრულ გეგმას განხორციელება არ ეწერა. ბახტრიონის აჯანყებამ (1659 წ.) აიძულა ირანის მპყრობელი უარი ეთქვა კახეთის მიმართ თავის განზრახვებზე.

1657 წელს იმერეთის დაუძინებელი მტერი ლევან დადიანი, გარდაიცვალა. ალექსანდრე იმერთა მეფემ შემთხვევით ისარგებლა, ოდიში დალაშქრა და დადიანად ვამიყ ლიპარტიანი დასვა. „ამ დროს ბატონი თეიმურაზ რაქას იდგა“ და „რუსეთს გასამგზავრებლად გამზადებულიყო“⁷⁴. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ალექსანდრე იმერთა მეფემ, ოდიშში მომხდარი ცვლილებების შესახებ თეიმურაზს შეატყობინა და შესთავაზა: „გინდ ოდისშიგ გაბატონდიო, თუ გინდა ქართლის და კახეთის მეფედ დაგსვაო“⁷⁵. მაგრამ თეიმურაზმა რუსეთს გამგზავრება ამჯობინა. სამწუხაროდ, თეიმურაზის ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა⁷⁶.

იმედგაცრუებული თეიმურაზი იმერეთში დაბრუნდა. ხორეშან დედოფალი გარდაცვლილი დახვდა (ხორეშანი 1659 წელს მიიცვალა). შვილიშვილი. ლუარსაბ ბატონიშვილიც, ცოცხალი აღარ იყო. 1660 წელს თეიმურაზის ერთგული მოკავშირე ალექსანდრე იმერთა მეფეც გარდაიცვალა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა თეიმურაზმა პოლიტიკური ასპარეზი დატოვა. 1661 წელს იგი ბერად აღიკვეცა და „ფრიად უპოვარმა“ სკანდის ციხეს შეაფარა თავი. მალე თეიმურაზი ვახტანგ შაჰნავაზის საპატიო ტყვე შეიქმნა და თავისივე სურვილით ირანში შაჰს ეახლა⁷⁷. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, „ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო, ... ეს იყო ამიერკავკასიაში მოსკოვის მეფის საგარეო პოლიტიკის მარცხი“⁷⁸, შაჰის მიერ ასტრაბადის ციხეში დამწყვდეული

თეიმურაზ I 74 წლის ასაკში, 1663 წელს გარდაიცვალა. იგი საქართველოში ჩამოსვენეს და ალავერდის მეფეთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

„სიბერით დაუძლურებული“ როსტომი კი ავადმყოფობდა. ქართლის საქმეებს ჯანიშინად (ანუ მოადგილედ) დანიშნული ვახტანგი განაგებდა⁷⁹.

1658 წელს როსტომ მეფეც გარდაიცვალა. მარიამ დედოფალი თბილისის „ციხეში შეიყვანეს“, „ხოლო საგანძურსა როსტომისასა დაადგინეს დარაჯნი“⁸⁰. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ქართველებმა გარდაცვლილი როსტომი „ერთი ორი დღე იტირეს, თათრებმა ციხეში შეიტანეს და ყუმს გაუგზავნეს დასამარხავად“⁸¹. ამასობაში ჯამალ-ხანმა მარიამ დედოფალს შაჰის ბრძანება გადასცა, საიდანაც გაირკვა, რომ მარიამს შაჰის კარზე იბარებდნენ⁸². ქართლის დედოფალმა სარდალ პაპუნა ციციშვილს შაჰთან თავისი თეთრი თმა გაატანა მოხუცებულობის ნიშნად და ქართლში დარჩენაზე ნებართვა ითხოვა. ე. შარდენის ცნობით, მარიამმა შაჰს „ძღვენი გაუგზავნა უამრავი ოქრო-ვერცხლი და ოთხი უტურფესი ყმაწვილი ქალი“⁸³. შაჰის ბრძანებით, როსტომ მეფის ქვრივი მარიამ დედოფალი ვახტანგ V-ზე დააქორწინეს⁸⁴, რამაც საშუალება მისცა დედოფალს კვლავაც აქტიურად განეგრძო სახელმწიფოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა.

ამგვარად, წინამდებარე ნაშრომის II თავში შეძლებისდაგვარად თანმიმდევრულად განვიხილეთ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია XVII სუკუნის 30—50-იან წლებში, რაც საშუალებას გვაძლევს ირანთან ქართლის სამეფოს ურთიერთობა, მისთვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით ოთხ ძირითად პერიოდად დავყოთ:

I (1629—1631 წწ.) — თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკის წარმატებით დავეირვებინება, შაჰის მიერ გაერთიანებული ვასალური ქართლ-კახეთის მეფედ ქრისტიანი თეიმურაზის დამტკიცება.

II (1632—1633 წწ.) — განჯა-ყარაბაღის ლაშქრობა (1632 წ.), თეიმურაზ I-ის დამარცხება; ქართლის მეფედ (ვალის ტიტულით) გამაჰმადიანებული როსტომ ბაგრატიონის შაჰის მიერ დამტკიცება და ქართლში წარგზავნა.

III (1634—1656 წწ.) — კომპრომისული პოლიტიკის ახალი ფორმის პირობებში ქართლში როსტომ მეფის (ვალის) მოღვაწეობის პირველი ეტაპი; აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ქართველ ფეოდალთა ორი ერთიმეორისადმი დაპირისპირებული ბანაკის წარმოქმნა; შინაფეოდალური ომები თეიმურაზ I-სა და როსტომს შორის; როსტომის

გამარჯვება; როსტომის ხელისუფლების ქვეშ ქართლ-კახეთის გაერთიანება (1648 წ.); რუსეთში როსტომის 1652 წლის ელჩობა.

IV (1657—1659 წწ.) — ქართლისადმი ირანის დამოკიდებულების კურსის შეცვლა. როსტომისათვის კახეთის ჩამორთმევა; შაჰის განზრახვა ყიზილბაშურ სახანოდ კახეთის გადაქცევისა. ბახტრიონის აჯანყება (1659 წელი).

ქართლის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობა XVII
საუკუნის 30—50-იან წლებში

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართლის სამეფო თანდათანობით ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა. ირანის კომპრომისულმა პოლიტიკამ, რომელმაც ქართლ-კახეთს შედარებით მშვიდობიანი განვითარების საფუძველი შეუქმნა, დასაბამი მისცა ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა-გამოცოცხლებას.

ეკონომიკური ღონისძიებები სოფლად: ისტორიულმა წერილობითმა წყაროებმა მეტად მწირი ცნობები შემოგვინახეს ჩვენთვის საინტერესო ხანაში ქართლის სამეფოს მეურნეობის დარგების განვითარების შესახებ, რაც საკმაოდ ართულებს ამ თვალსაზრისით სრული სურათის წარმოჩენას. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ არსებული მასალის საფუძველზე, მაინც შევეცდებით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას, რაც წარმოდგენას შეგვიქმნის ამდროინდელი ქართლის სოფლის მეურნეობაში მომხდარ ძვრებზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამეფო ხელისუფლების მიერ ჩატარებული საგანგებო ღონისძიებები ავბედობისაგან აყრილ-დაცლილი და დანგრეული სოფლების („ნასოფლარი“, „ნაოხარი“, „პარტახტი“, „უშენი“) აღვილების აღდგენა-დასახლებას, სარწყავი სისტემის მოწესრიგებას (ძველის აღდგენას და ახლის გაყვანას) და ამის საფუძველზე სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას რომ ისახავდნენ მიზნად.

აღნიშნულ პერიოდში ქვემო ქართლში როსტომ მეფის ხელის შეწყობით კარის მდივანმწიგნობარმა მერაბ ყორღანაშვილმა „ნაოხრად“ და „ნასოფლარად“ ქცეული სოფ. ზემო შავნი აღადგინა და აქ გლეხები დაასახლა. „არას კაცს არც შენად ენახა და არც გაგონებოდა იმა ალავის შენობა“ და „ტყედაც ქცეულიყო“, — ნათქვამია საბუთში¹. ამავე მერაბ ყორღანაშვილს 1644 წელს მეფე წყალობის წიგნით უმტკიცებს ენაგეთის ახალშენს:—გერმანოზიშვილების ნაოხარ მამულს, სადაც მდივანმწიგნობარი ყმა გლეხებს ასახელებს. მეფე ათავისუფლებს კიდევ მის გლეხებს სახელმწიფო გადასახადებისაგან: „...ახალშენს შენს

ნასყიდის მამულზე გლეხები დაასახლეთ (გვი)თარხნებია ყოვლის ჩუენის სათხოვარის გამოსაღებისაგან“, — აღნიშნულია საბუთში².

ამავე ხანებში, ზურაბ ყაფარაშვილი ქვემო ქართლში აშენებს სოფ. ყუზნას³. იმავე საუკუნის 50-იან წლებში როსტომ მეფის ხელშეწყობით პაპუნა არეშიშვილი დანგრეულ სოფ. ვაძას აღადგენს (საბუთის სპარსულ ნაწილში ხაზგასმულია: „ხსენებულ პაპუნას და მის შვილებს დავუმტკიცეთ და ვუბოძეთ, რათა აყვავენის სამკაულით შეამკონ ის“)⁴.

XVII საუკუნის 50-იან წლებშივე, სახლთუხუცესი ყაფლან ორბელიშვილი ენერგიულ ზომებს მიმართავდა სოფ. მუხნარას ფეხზე დაყენების მიზნით. საბუთიდან ირკვევა, რომ მას ეს სოფელი ასაშენებლად დროებით აღიადასა და მისი შვილებისათვის გადაუცია. პირობის წიგნში აღნიშნულია: „სოფელი მუხნარა სამი კომლის გლეხითა გვიბოძეთ და ასაშენებლად ჩვენ მოგვაბარეთ, ჩუენ ეს პირობა დაგიდევთ და მოგახსენეთ, რომ ავაშენოთ და თქვენ გამსახუროთ და როგორც თქუენ ჩვენთვის მოსაბარებლად აღარ გეპრიანება თქუენი სამკუიდრო მამული სოფ. მუხნარა, ისრევე თქუენ დაიჭიროთ“⁵. დიდი აღშენებლობითი საქმიანობა ჩატარებია ქართლში ყაფლან ორბელიანსა. 1627—1671 წლებში მას 61 სოფელი აუშენებია⁶.

ამავე პერიოდში ბიძინა სოლოლაშვილის თაოსნობით ქვემო ქართლში ნასოფლარ მასრუტის აღდგენა-გაშენება მიმდინარეობს: „... ვუწყალობეთ, ვუბოძეთ.. რათა გააშენოს და გაამშვენიეროს“, — ნათქვამია საბუთში⁷.

ქართლში ფართოდ გაშლილი აღდგენით სამუშაოებზე მცხეთის სახლთუხუცესის პაპუა მაღალაძის აღშენებლობითი საქმიანობაც ლაპარაკობს. ქართლსა და კახეთში მას უკაცრიელი 12 სოფელი აუშენებია და დაუსახლებია: გაუყვანია რუები, აუშენებია წისქვილები, ვენახები, მარნები, სასახლეები და სხვ.⁸ ამავე ხანებში, მეფის ხელშეწყობით ნასოფლარ ოროზმანის ხელახალ აშენებას, გლეხებით დასახლებას და გათარხნებას აქვს ადგილი⁹. კიდევ მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რაც ქვემო ქართლის აოხრებული სოფლების აღდგენასა და გლეხებით დასახლებაზე მეტყველებს¹⁰. მაგრამ მოტანილიც, ვფიქრობთ, საკმარისად თვალნათლივ მიუთითებს ქვეყანაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებზე.

ხშირი ომიანობის შედეგები მძიმე დაღს ასვამდა შიდა ქართლსაც. აქაც, ისევე როგორც ქვემო ქართლში, ბევრი იყო აყრილი და უკაცრიელი სოფელი. მშვიდობიან პირობებში ცენტრალური ხელისუფლება და ცალკეული ფეოდალები აქაც აქტიურად ამოქმედდნენ დანგრეულის აღსადგენად. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა 1637 წელს ვახტანგ მუხრანბატონის (შემდეგში შაჰნაეზად წოდებულის) და მისი ძმების

მიერ სამუხრანოში დიდი ხნის მანძილზე აოხრებული სოფლების — მი-საქციელისა და თეკენას აღშენება, გლეხებით დასახლება და გათარხნება. საბუთში ნათქვამია: დიდი ხნის ნაოხარი ყოფილიყო და ასაშენებ-ლად მოინდომეთ და ასე იქნა დადგენილი, რომ ორი ნასოფლარი, რო-მელიც აქ ნაყოფიერად და დაუმუშავებელ ადგილად არის დაწერი-ლი... ვახტანგ ბეგმა, არჩილმა და სხვა ძმებმა გააშენონ და გადასახადე-ბისაგან თავისუფალი და შეუვალნი იყოს... გადასახადის ამკრებებმა არაფერი მოსთხოვეს იმ გლეხებს, რომლებიც ამჟამად (იქ) მოგროვდე-ბიან (დასახლდებიან)¹¹. 1654 წელს, როსტომ მეფის ბრძანებით, ქრის-ტიანთა კათალიკოსმა აღადგინა სოფ. ბეშქენაშენი და იგი გლეხებით დაასახლა¹².

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისა და აღ-მავლობის მიზნით, დიდი ყურადღება ექცევა ქართლში „ნაოხარ“ და პარტახტად“, ქცეული მიწების დამუშავებას. მაგალითად, 1633 წლის წყალობის წიგნით, როსტომ მეფე კავთისხეველ მეჯინიბე იმედა ინა-ძეს დასამუშავებლად აძლევს: „მოშლილ პეტრაულის მიწას“. საბუთ-ში ნათქვამია: „... ჩუენ ვუწყალობეთ მეჯინიბე იმედას, რათა დაამუშა-ვებს რა მათ, მის (იმედას) საცხოვრებელ სახსრად გახდეს, არავინ შე-ავიწროვოს ზემოხსენებული პირი“¹³. ამავე მიზნით, სალაროს მუშრობს, ფირალის მიერ ლიახვის პირას, სოფ. ბოდაბეთში ნაოხრად ქცეული მი-წების დამუშავება მიმდინარეობდა¹⁴.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აღდგე-ნა-მოშენების ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული ცენტრალური ხე-ლისუფლების მიერ სახელმწიფო გადასახადებისაგან ამა თუ იმ მამუ-ლის დროებით განთავისუფლებაც. ასე მაგალითად, 1654 წლის ერთი საბუთის თანახმად, როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი დოლმაზა გო-ვიბაშვილს ცხრა წლით უთარხნებენ ტანძუტის მამულს¹⁵. იმავე ხა-ნებში, მარიამ დედოფალი უამთა სიავისაგან აოხრებულ სოფ. ირვას მცხოვრებთ შვიდი წლით ათავისუფლებს სახელმწიფო გამოსაღები-საგან¹⁶.

ქართლის სამეფოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების გან-ვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საირიგაციო მშენებლობას, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება დიდ ყურად-ღებას აქცევდა. როსტომ მეფის აქტიური ჩარევით აღდგენილ იქნა XII საუკუნის არხი, დიდსა და პატარა ლიახეს რომ აერთებდა. საბუთიდან ირკვევა, რომ როსტომ მეფე „... თვითონ მიბრძანებულებიყო, რუ და სა-თავე მოესაზრა, ქვეყნისათვის მუშა შეეწერა, დიდის ლიახვიდამ და პატარა ლიახვიდამ ორითგანვე სათავე აეღო და წყალი წამოეყვანა და რუდ შეეყარა“¹⁷. სამეფო ხელისუფლების მითითებით, გორელი გი-ორგი გორგიჯანიშვილისა და მისი შვილების მიერ ფშანის არხი იქნა

აღდგენილი¹⁸. საბუთში აღნიშნულია: „... უცილებლად წყალს სამათ გაიყოფდეთ. ერთი წილი ფარყუას რუ რასაც შეიტანს, იქ ამირალას რუ რასაც ჩამოიტანს ფშანამდის და მესამე წილი თვით გორელ გორგიჯანაშვილს ჰკუთვნებოდეს“¹⁹. კიდევ ერთი დოკუმენტიდან ვკვებულობთ, რომ შაბადინის არხი, რომელიც ადრე მდ. მტკვრიდან მოედინებოდა, ეამთა სიავისაგან დანგრეულა და მიწები დაუშუშავებელი დარჩენილა. როსტომ მეფეს ვინმე ალი-ალასათვის დაუვალებია ამ არხის აღდგენა და მის ახლომდებარე მიწების დამუშაება (ტექსტში აღნიშნულია: „... დავადგინეთ. რომ პატივცემული ალი-ალა გამოიყვანს რა ხსენებულ არხს ძველებურად აღნიშნული მდინარიდან, დამუშავებით და ვამენებით შეამკობს მის მიწებს“) ²⁰.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი სარწყავი არხების მშენებლობასაც. როსტომ მეფის ინიციატივით და დახმარებით გიორგი გორგიჯანაშვილმა ნეკის წყაროდან ახალი არხი გამოიყვანა²¹. ამავე ხანებში აშენდა ძვერის, ტყეშრეთის, კარალეთის, ვარეჯერისა და თორტიზის ახალი სარწყავი სისტემები²².

XVII საუკუნის 50-იან წლებში თბილისის ზარაბის ხოჯა ბეჰბუთას მიერ ავლაზრის მიდამოებში მახათას ხევიდან ახალი არხი იქნა გაყვანილი. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ავლაზრის ახლომდებარე მიწებისა და ბალჯუნახების მორწყვისათვის²³.

ამავე ხანებში დიდი ყურადღება ექცეოდა ძველი წიხქვილების აღდგენას და ახლის აშენებას, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის²⁴. ცენტრალური ხელი-სუფლების მთერ ჩატარებულმა აღდგენითმა სამუშაოებმა (დანგრეული სოფლების აღდგენა-აშენება, გლეხების დასახლება, „ნაოხარი“, „უღვაწი“ მიწების დამუშაება. სარწყავი არხების, წიხქვილების მოწესრიგება-მშენებლობა და სხვ.) დიდად განაპირობა სოფლის მეურნეობის დარგების ინტენსიური განვითარება²⁵. რამაც თავის მხრით. განამტკიცა ქართლის ეკონომიკური შესაძლებლობანი და ხელი შეუწყო აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქის გამოცოცხლებას.

ქ ა ლ ა ქ ე ბ ი. XVI საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე XVII საუკუნის 30-იან წლებამდე ქართლის სამეფოში არ არსებობდა სათანადო პირობები ქალაქის მნიშვნელოვანი განვითარებისათვის. უარყოფითად მოქმედი შინაგანი და გარეგანი პოლიტიკური ფაქტორები მწარმოებლური მოსახლეობის შემცირებას და გადატაცებას იწვევდნენ. ხშირი ომიანობის შედეგად ქართლის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრები განსაკუთრებით დაზარალდნენ. ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააყენა შაჰ აბას I-ის მიერ ათა-

სობით ტყვე ვაჭარ-ხელოსნის ირანში გადასახლებამ, რაც ი. პეტრუშევსკის სამართლიანი შენიშვნით, „გამარჯვებული ქვეყნის ხელ-
ლოსნობისა და ვაჭრობის აყვავებას ხმარდებოდა“²⁶.

შავ ზღვაზე თურქეთის გაბატონების შედეგად საქართველოს და ირანის ქალაქები ოსმალეთის ტერიტორიაზე გავლით უკავშირდებოდნენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს, ხოლო ალექსის საშუალებით — დასავლეთ ევროპის ბაზრებს. აღნიშნული სავაჭრო მაგისტრალი დიდ საბაჟო შემოსავალს აძლევდა თურქეთის ხაზინას და მყარ საფუძველს უქმნიდა მის ეკონომიკას.

XVI საუკუნის II ნახევარში მოსკოვის სახელმწიფოს მიერ ყაზანისა და ასტრახანის შემომტკიცების შემდეგ, ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალი ირანის, რუსეთისა და ევროპის სავაჭრო ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდა. ამ გზით ირანი მჭიდრო კავშირს ამყარებდა რუსეთისა და ევროპის ქვეყნებთან. კერძოდ, ინგლისთან. ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზა გამორიცხავდა თურქეთის შუამავლობას ევროპასთან ირანის ვაჭრობაში, რის გამოც თურქეთი კარგავდა საბაჟო შემოსავლის დიდ ნაწილს. ამიტომ იყო რომ ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზის პარალიზებისათვის თურქეთი რადიკალურ ზომებს მიმართავდა. მაგრამ 1569 წელს თურქეთის მიერ წამოწყებული სამხედრო ექსპედიცია, გამიზნული ასტრახანის წინააღმდეგ, მარცხით დამთავრდა.

აღნიშნული სავაჭრო მაგისტრალი რუსეთს შუამავლის როლს ანიჭებდა დასავლეთის აღმოსავლეთთან ვაჭრობაში, რაც საგრძნობლად ზრდიდა რუსეთის სახელმწიფოს შემოსავალს და აფართოებდა მის საგარეო ვაჭრობას. „ევროპის დაინტერესებამ აღმოსავლური ბაზრებით და მოსკოვის სახელმწიფოს ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს რუსეთის საგარეო ვაჭრობაზე“²⁷.

ვოლგა-ასტრახანის გზა რუსეთს საშუალებას უქმნიდა ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებინა საქართველოში შემავალ სამეფო სამთავროებთან, ჯერ კახეთთან და ცოტა მოგვიანებით, ქართლის სამეფოსთან, რაც ოსმალეთის და ირანის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე ახალი საზღვაო გზის აღმოჩენამ (ევროპიდან ინდოეთში, აფრიკის შემოვლით) ევროპა-აზიის სავაჭრო გზების გადანაცვლება გამოიწვია ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეში²⁸.

ახალი საზღვაო გზის ამოქმედების შედეგად შპ აპას I ცდილობდა ცენტრალური და სამხრეთ ირანის ქალაქების დაწინაურე-

ბას. ამ მიზნის მისაღწევად მის გადაუღებელ ამოცანას წარმოადგენდა რუსეთისა და ოსმალეთის პოზიციების შესუსტება ამიერკავკასიაში და ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების (ქართლის, კახეთის), თავის სახანოებად გადაქცევა. შაჰის მიერ ამ მიზნით წარმოებული გამანადგურებელი ბრძოლები კახეთისა და ქართლის ტერიტორიებზე განსაკუთრებით საბედისწერო კახეთის ქალაქებისათვის აღმოჩნდა. გრემი და ზაგემი ნანგრევებად იქცნენ. აოხრდნენ ქართლის ქალაქები და სოფლებიც. შაჰის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა წარმატებას კიდევ უფრო ზრდიდა 1622 წელს სპარსეთის ყურეში ჰორმუზის დაპყრობა და იქ ბენდერ-აბასის დაარსება. ამ გზით ნედლი აბრეშუმი ევროპაში ინდოეთის ოკეანით უნდა გაეტანათ. ჩამოთვლილი ღონისძიებების შედეგად, ოსმალეთთან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების დამაკავშირებელი სავაჭრო გზების: თავრიზი-ერევანი-ერზრუმი-სტამბოლი, თბილისი-ახალქალაქი-ახალციხე-სტამბოლი მნიშვნელობა მცირდებოდა. სამაგიეროდ. აქტიურდებოდა და ძლიერდებოდა ახალი სავაჭრო გზა. ისფაჰანი-შირაზი-ბენდერ-აბასი. ამ ახალი გზით, როგორც პროფ. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, „აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები ისეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, როგორშიც აღმოჩნდნენ შავი ზღვის სანაპიროს ქალაქები XV საუკუნეში“²⁹. მაგრამ შაჰ აბას I-ის ცდები მარცხით დამთავრდა. შაჰის ეკონომიკური და სამხედრო ტექნიკური პროტენციალის იმდროინდელი დონე შესაძლებლობას არ იძლეოდა, რომ შაჰს ინდოეთის ოკეანეში ისეთი ძლიერი საზღვაო ფლოტი ჰყოლოდა, რომელიც ევროპის ქვეყნებს წინააღმდეგობას გაუწევდა. ამიტომ იყო რომ ძველმა სავაჭრო მაგისტრალმა აღიდგინა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა და თითქმის XVII საუკუნის მიწურულამდე დადებითი როლი შეასრულა დასავლეთთან აღმოსავლეთის ვაჭრობაში. ყოველივე ამან გამოიწვია ქართლის ქალაქების (თბილისის, გორის) ეკონომიკური დაწინაურება და აღმავლობა, რომლებიც უშუალოდ სავაჭრო მაგისტრალის გასწვრივ მდებარეობდნენ³⁰.

1639 წელს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ზავი. რომელიც 90 წლის მანძილზე არ დარღვეულა, ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა აღმოსავლეთისა (თურქეთი, ირანი) და საქართველოს ქალაქების ეკონომიკური წინსვლისათვის, საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

ქვეყნის შიგნით შექმნილი მშვიდობიანი მდგომარეობა საშუალებას აძლევდა ქართლის ქალაქებს საგარეო ვაჭრობა ეწარმოებინათ. თურქეთის, ირანის, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

ასეთი იყო ის ობიექტური მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ქართლის სამეფოს საქალაქო ცხოვრების, ხელოსნური წარმოებისა

და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა-განვითარება XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან.

ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელოსნური წარმოების ზრდა-განვითარებას, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოებას. ყოველივე ამის შედეგად ქართლის ქალაქებში ვითარება მკვეთრად შეიცვალა და თბილისმაც დაიბრუნა აღმოსავლეთ საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ქართული ისტორიული საბუთები არ შეიცავენ რამდენადმე საგულისხმო ცნობებს XVII საუკუნის 40—50-იანი წლების ქართლის სამეფოს ქალაქების, ხელოსნებისა და ვაჭრობის განვითარების შესახებ. მაგრამ ამ ხარვეზის შევსება შესაძლებელი ხდება ევროპელ და აღმოსავლელ მოგზაურთა ჩანაწერებში დაცული ცნობებით. უცხოური წყაროების, დოკუმენტური მასალებისა და ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის მოშველიებით, შევეცდებით ქართლის ქალაქების ეკონომიკური ცხოვრების სურათის მეტნაკლებად სრული სურათის წარმოდგენას.

ქართლის ქალაქებს შორის ყველაზე მეტად მისი დედაქალაქი — თბილისი დაწინაურდა. თბილისზე გამავალმა სავაჭრო-სატრანზიტო გზამ (შემახა-განჯა-თბილისი-ახალქალაქი-ახალციხე-ერზერუმის-ტამბოლი) განსაზღვრა თბილისში ხელოსნობა-ვაჭრობის და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება. აღნიშნული მაგისტრალის საშუალებით ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები, ალუპოზზე გავლით, უკავშირდებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს³¹. თბილისის ხელსაყრელი მდებარეობის შესახებ ტავერნიეც მიუთითებს: („თბილისს, რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია, კარგი მდებარეობა აქვს. საკმაოდ დიდია და კარგად გაშენებული, იქ აბრეშუშით დიდი ვაჭრობა წარმოებს“)³².

თბილისის აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი ცენტრალური ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა საგანგებო ღონისძიებებმა. როსტომმა, პირველ რიგში, ქალაქის განაშენიანებას მიაქცია ყურადღება, რამაც შემდეგში თბილისის მოსახლეობის მომრავლება და საერთოდ, საქალაქო ცხოვრების წინსვლა განსაზღვრა.

როსტომ მეფემ ქრისტიანებით დასახლებულ უბანში — აწიხხატსა და სიონს შორის — შესანიშნავი სასახლე ააშენა, რომელიც ადრე „დიდ ციხეში“ მდებარეობდა. მანვე შემოავლო ზღუდე „ქალა ციხიდან ხიდს ყურემდე“³³. როსტომ მეფის მიერ აშენებული სასახლე არქიტექტურული გადაწყვეტილებითა და მდიდრული მორთულობით უცხოელ მოგზაურთა ყურადღებას იქცევდა. ფრანგი მოგ-

„ზაურის ე. შარდენის სიტყვებით: „მთავრის სასახლე, (იგულისხმება როსტომ მეფის სასახლე — გ. ე.) უდავოდ თბილისის ერთ-ერთი მშვე-
ნებაა. მას აქვს დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და სასახლის
უზარმაზარ ბაღებს გადასცქერიან... ამ სასახლის წინ კვადრატული
მოედანია, სადაც ათასამდე ცხენი დაეტევა. მას გარს არტყია დუქ-
ნები და ბოლოვდება გრძელი ბაზრით, რომელიც სასახლის კარიბჭის
პირდაპირაა. ბაზრის ზემოდან საუცხოო სანახავია მოედანი და სა-
სახლის ფასადი“³⁴. მისივე აღწერილობით. „თბილისს რამდენიმე საკ-
რებულო შენობა ამშვენებდა თავისი ბაზრებითურთ“ („სავაჭრო ად-
გილები, არის დიდი, ქვით ნაშენი და კარგად მოვლილი... დუქნები
კიდევ უფრო უკეთესად არის ნაგები და კარგად მოვლილი. ისინი
განლაგებულია დიდი მოედნის ახლოს, გორაკზე“)“³⁵.

ამავე ხანებში თბილისის მახლობლად, კოჯორში როსტომის მიერ
ამშენებულ იქნა მეფის სასახლე, „რომელი აღაშენა მეფემან როსტომ
ზაფხულისათვის“³⁶.

ქალაქში სახლებისა და სასახლეების მაშენებელნი და მფლო-
ბელნი თავადაზნაურები³⁷ და მოქალაქე ვაჭრები³⁸ იყვნენ. ჩვენთვის
საინტერესო ხანის თბილისის შესახებ ევლია ჩელები გვაძეცნობს:
„თბილისი ძალიან აყვავებული და გაშენებულია“³⁹.

როგორც ისტორიული წყაროები გვიდასტურებენ, იმდროინდელი
თბილისის ცენტრს მეფის სასახლის წინ მდებარე მოედანი და ბაზარი
წარმოადგენდა, სადაც სავაჭრო-სახელოსნო დუქნები იყო გაშენებუ-
ლი⁴⁰. დუქნების რიგი „დიდი ციხის“ მოედანზე იყო ჩამწყკრივებული
და ბაზრის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა⁴¹.

თბილისში, როგორც სატრანზიტო მნიშვნელობის ქალაქში, ცენ-
ტრალური ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა ახალი ბაზრების,
სავაჭრო-სახელოსნო დუქნებისა და ქარვასლა-ფუნდუკების მშენებლო-
ბას. უცხო მგზავრთა გასაჩერებლად სიონის ეკლესიის მახლობლად
1650 წელს როსტომ მეფემ ქვის ქარვასლა ააგო, რომლის შემოსავ-
ლიდან 100 მარჩილი თეთრი ყოველწლიურად სიონის ეკლესიისათ-
ვის უნდა შეეწირათ. ერთ საბუთში როსტომ მეფე აღნიშნავს: „... გა-
ვუჩინეთ... ექვსი თავრიზული თუმანი, რაც ას ცალ ყურღმისაგან
შედგება, იმ ქარვასლის იჯარიდან, რომელიც ჩვენ ხსენებულ ქალაქ-
ში ავაშენეთ. იმ ადგილის (ე. ი. სიონის ეკლესიის) გასამშენიერებ-
ლად და სხვა საჭირო ხარჯებისათვის“⁴².

ე. შარდენის გადმოცემით, თბილისში რამდენიმე საზოგადო კარ-
გი შენობა არსებობდა. კერძოდ, ქვისაგან ამშენებული განიერი ბაზ-
რები, სუფთად შენახული დუქნები და ქვით ნაშენი ქარვასლა, რო-
მელშიც უცხოელები დროებით ბინავდებოდნენ⁴³.

საქალაქო ცხოვრებისა, თავისუფალი მიმოსვლისათვის და ვაჭრობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხილების მშენებლობას. ისტორიული წყაროების მიხედვით, აღნიშნულ ხანაში, ობილიში მტკვარზე „დიდი ხილი“ იყო გადებული⁴⁴ (ახლანდელი მეტეხის ხიდის ადგილას). სხვა საბუთების მოშველებით დგინდება, რომ ობილიში მოქმედებდა სხვა ხილიც, რომელიც დიდ ვაჭარს, მოქალაქეს, თბილისის ზარაბთუხუცესს ხოჯა ბეჭბუთას აუშენებია. პირველწყაროს მოწმობით, ამ ხიდს „ხოჯაბეჭბუთას ხიდს“ ეძახდნენ⁴⁵. იმავე ხოჯა ბეჭბუთას თაოსნობით თბილისში აბანოები⁴⁶, სახლები, ბაღები, არხები⁴⁷ აუშენებიათ.

თბილისი, როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო ცენტრი და სატრანზიტო ქალაქი. ეკონომიკურად ოსმალეთის და განსაკუთრებით, ირანის ქალაქებთან იყო დაკავშირებული. თბილისიდან სპარსეთისაკენ სავაჭრო გზა ყაზახ-განჯა და ლორე-ბამბაკის მიმართულებით მიდიოდა. ყაზახის გზა ერთი მთავარი არტერიათაგანი იყო, რომელიც თბილისს და საერთოდ, ქართლ-კახეთს ირანის ჩრდილო პროვინციებთან აკავშირებდა⁴⁸. სწორედ თბილისის ასეთი მნიშვნელობით იყო გამოწვეული ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქართლისა და განჯის სახანოს საზღვრებთან მდებარე ხრამზე ქარვასლითურთ ხიდის აგება. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, „როსტომ მეფემ განჯის გზაზე გატეხილს ზევით დებედაზე გუმბათით ხილი ააგო. სოფელი და ქარვანსარა ააშენა, რომ მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საკმელი მზათ დახვდეს“⁴⁹. ამ ხიდის არქიტექტურას უცხო მოგზაურები აღფრთოვანებაში მოჰყავდა. ხიდის ვრცელი აღწერილობა ე. შარდენს აქვს მოცემული. იგი წერს: „მთელს ქართლში მე არ შევხვედრივარ არც ასეთ ლამაზ ხიდს და არც ასეთ ქარვასლას“⁵⁰. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებითაც: „ალაშენა მეფემან როსტომ ხილი ქვითკირისა, დიდი მშვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი მშვენიერი, მკვრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისა მზარა აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუქნი დიდნი და კეთილნი. თლილის ქვისანი“⁵¹.

დავით ბაგრატიონი თავის ნაშრომში „საქართველოს ვრცელი ისტორია“ ეხება რა როსტომის აღმშენებლობით მოღვაწეობას, აღნიშნავს: „როსტომ მეფემ თავისი შესაძლებლობა გამოიყენა სამფლობელოთა შიგნით წესრიგის დასამყარებლად, განაახლა ტფილისის გალავანი. მდინარე ქციანზე ააგო აზიანში უიშვიათესი ხილი დღემდე გატეხილის სახელწოდებით ცნობილი, რომელსაც აზიელები და რუსები წითელს უწოდებენ“⁵².

3. იოსელიანის ცნობით, როსტომ მეფეს შაჰ აბასის შემოსევების შედეგად დანგრეული კახეთის ხიდის აღდგენაც ჰქონია განზრახული⁵³.

სამწუხაროდ, ამ ცნობის დამადასტურებელ მონაცემებს ისტორიულ წყაროებში ჭერჭერობით ვერ მივაკვლიეთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალურ ქართლში ხიდები სახელმწიფოს ეკონომიკური შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ხიდებზე გადასვლისათვის საბაჟო გადასახადი დადგენილი იყო, რომელსაც „მეხიდურები“⁵⁴ კრებდნენ. ამ მხრივ თბილისი, როგორც სატრანზიტო მნიშვნელობის ქალაქი, დიდ შემოსავალს აძლევდა მეფის ხაზინას.

ცნობილია, რომ საქართველოში, კერძოდ ქართლში, საზოგადოებრივ, თუ კერძო დანიშნულების ნაგებობათა შენება გარკვეული გეგმის მიხედვით ხდებოდა. ჩვენთვის საინტერესო ხანაში ქართლში ხუროთმოძღვრის თანამდებობა არსებობდა (ზემოთ აღინიშნა, რომ როსტომ მეფის მიერ სამოხელეო აპარატი ჩატარებული რეფორმების შედეგად ამ თანამდებობის სახელწოდება „ხუროთმოძღვარი“ სპარსული ტერმინით „სარაიდარი“ შეიცვალა). ვახუშტის თანახმად, ხუროთმოძღვრის „ხელისა იყო... სრულიად შენება სასახლეთა და ეკლესიათა, ხიდთა, ფუნდუკთა“⁵⁵. ხუროთმოძღვრის როლი განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო ქვეყნის აღმავლობის ხანაში, როდესაც სააღმშენებლო საქმეს სამეფო ხელისუფლებისაგან დიდი ყურადღება მიექცა. აღმშენებლობითი საქმიანობის განვითარებას საქართველოში, სააღმშენებლო მასალის სიუხვე დიდად უწყობდა ხელს. ე. შარდენის მოწმობით „მშენებლობა იაფი ჯდება. რადგან იქ (საქართველოში — გ. ე.) უხვად შოიპოვება ხე-ტყე. ქვა, თაბაშირი, გაჯი და სხვა სააღმშენებლო მასალა“⁵⁶.

უიზილბაშურ სამყაროსთან კონტაქტებმა ქართლ-კახეთის ხუროთმოძღვრებაზე, ბუნებრივია, გარკვეული გავლენა მოახდინა, რაც პირველ რიგში ქალაქურ არქიტექტურას და განსაკუთრებით, თბილისსა და გორში აღმართულ სასახლეებს, ქარვასლებსა და ხიდებს დაეტყო⁵⁷.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მთავარ საზრუნავს ქართული ქრისტიანული ძეგლების მოვლა-პატრონობა, აღდგენა-განახლება შეადგენდა. ამ საქმეში მეფე-დედოფალი მთავარ ფიგურას წარმოადგენდნენ. ზემოთ ისიც დავინახეთ, თუ რა მასშტაბის სამუშაოები ტარდებოდა ამდროინდელ საქართველოში მეფე-დედოფლის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით.

როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის თაოსნობით იყო რომ განახლდა, დამშენდა სიონი და ჭერ კიდევ თემურლენგის დროს „შემუსრვილი კვირაცხოვლის საყდარი“, „დაქცეული წმინდა მონასტერი ალავერდისა“ და ალრე შემუსრვილი ბოლნისის სიონი, დანგრეული რუისის ტაძარი და დავით გარეჯში მდებარე დაქცეული ნა-

გებობები. მათივე ინიციატივით ქართლის სხვადასხვა კუთხეში არაერთი ახალი ეკლესია აშენდა და სხვ.⁵⁸

აღდგენითი სამუშაოების დროს მეფე-დედოფალი დიდ ყურადღებას აქცევდნენ ეკლესია-მონასტრების შიდა ინტერიერის განახლებასაც. ამ მხრივ კი, შემდეგია საინტერესო.

ვახუშტის გადმოცემით, ბოლნისის სიონი „შემუსრვილი აღაშენა დედოფალმან მარიამ „და სწორედ მარიამის დროს უნდა იყოს ბოლნისის სიონი ხელახლად გადახურული“⁵⁹.

როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის თაოსნობით აღადგინეს და მოხატეს ერთაწმინდას წმ. ევსტატეს ტაძარი⁶⁰. თეიმურაზ I-მა შაპაბასის შემოსევებისაგან დარბეული დავით გარეჯის აღდგენა-შენებლობას დიდი ყურადღება მიაქცია⁶¹. 1651 წელს, როსტომ მეფის თაოსნობით, გარეჯის უდაბნოში ბევრი დანგრეული შენობა აღადგინეს⁶². იმავე ხანებში, როსტომ მეფის ხელშეწყობით და დახმარებით, მარიამ დედოფალმა თეძამის პირს „... აღაშენა საყდარნი და მონასტერი“⁶³, რუისის ტაძარი, „კვალად განაახლა და შეამკო დედოფალმან მარიამ“⁶⁴ და სხვა.

აღნიშნულ ხანაში ეკონომიკური საფუძვლების მომტკიცებასთან ერთად, როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი დიდ ზრუნვას და გულმოდგინებას იჩენენ საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობის საქმეში. ამ მიზნით, 1650 წელს როსტომ მეფის ბრძანებით, სოფ. „ღირბი გაათარხნეს, სამაგიეროდ ყოველ წელიწადს „საიერუსალიმოდ“ ექვსი ათასი თეთრის გამოღება დააკისრეს“⁶⁵.

ჩერ კიდევ 1637 წელს თეიმურაზ I-ის თაოსნობით საქართველოში ჩამოსულმა მოსკოველმა მხატვარ-ოსტატებმა მტრისაგან დანგრეულ ძეგლებზე: გრემში და ზაგემში, მარტყოფში, ზედაზენში, სამებაში, ბახტალოსა და ნინოწმინდაში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარეს. 1650 წელს მარიამ დედოფალმა მხატვარ ივანე დანილოვს თბილისში სიონის ეკლესიის კედლები მოახატინა. ასეთი სამუშაოები ჩაუტარებია აგრეთვე მცხეთაში და სხვაგან⁶⁶. მოსკოველ მხატვარ-ოსტატებს საქართველოში იმდენად დიდი წარმატება ჰქონიათ, რომ სამეფო კარის მესვეურები (როსტომ მეფე და მარიამ დედოფალი, შეიძლება პოლიტიკური მოსაზრებითაც) ცდილობდნენ დიდი ვადით გადაეწიათ მათი მოსკოვში დაბრუნება, რის გამოც, მხატვარ-ოსტატებს უკრძალავდნენ მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნილ ახალ დიპლომატიურ მისიასთან შეხვედრას⁶⁷.

სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა ბაღების გაშენებასაც. ცნობილია, რომ როსტომ მეფის სასახლეს კაკლის ხეებით

გარემორტყმული დიდი ბალი ამშვენებდა. იმხანად თბილისში საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა მარიამ დედოფლის მიერ „სოლოლაკში“ გაშენებული ბაღიც, რომელიც განთქმული იყო შადრევნებიანი „ვეეებერთელა აუზით“⁶⁸.

თბილისის ნორმალური განვითარებისა და წინსვლისათვის ჩატარებული საგანგებო ღონისძიებები დიდად უწყობდა ხელს ქალაქის მოსახლეობის რიცხოვრივ ზრდასაც. XVII საუკუნის 30—50-იანი წლების თბილისის მოსახლეობის სტატისტიკური აღწერილობის მასალები ჭერჯერობით არ არსებობს. ამ ხარვეზს ნაწილობრივ საქართველოში იმ დროს მყოფ მოგზაურთა ჩანაწერები ავსებენ. ევროპელი მოგზაურები შარდენი და ტავერნიე, კონკრეტული რიცხოვრივი მონაცემების მიუთითებლად, ერთხმად აღნიშნავენ თბილისის მოსახლეობის ზრდას. თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელების ცნობით კი. რომელიც 1646—1648 წწ-ს განეკუთვნება, „თბილისის დიდი ციხის გალავანში ექვსასი მიწით დახურული სახლი იყო. მეორე ციხეში (იგულისხმება მეტეხის ციხე — გ. უ.) სამასი სახლი“⁶⁹. ევლია ჩელების ამ ცნობის საფუძველზე, ვ. გაბაშვილის გამოანგარიშებით, როსტომის დროინდელ თბილისში დაახლოებით 50000 ან 60000 მოსახლეა საგულისხმებელი; მ. თამარაშვილის თხზულებაში შემონახული ერთი ცნობის მიხედვით, ქართლში მყოფი კაფუციანები მოწმობენ, რომ „... მთელი საქართველოს უმთავრესი ქალაქი ტფილისია, რომელშიც 70—80 ათასი სული ცხოვრობს“⁷⁰. თბილისის მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდაზე, რასაკვირველია სამეფო ხელისუფლების მიერ აგებული სახლების, სასახლეების, სასტუმროების, აბანოების, ქარვასლების, დუქნების, ხიდების, გზების და სხვ. სიმრავლეც ლაპარაკობს.

XVII საუკუნის 30—50-იან წლებში ქართლის მეორე თვალსაჩინო სავაჭრო სახელოსნო ქალაქს გორი წარმოადგენდა. გორის. როგორც ქალაქისა და სავაჭრო პუნქტის, განვითარებას დიდად უწყობდა ხელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალთან ახლო მდებარეობა. გორზე გამავალმა სავაჭრო გზამ შემახანა-განჯა-თბილისი-გორი-ახალქალაქი-ახალციხე-ერზერუმის-სტამბოლი-გორის ხელოსნობა-ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება გამოიწვია. ზემოთ აღინიშნა, რომ როსტომმა გამეფებისთანავე აღადგინა მტრისაგან აოხრებული და დანგრეული გორის ციხე⁷¹. ქართული და ევროპული წყაროები საინტერესო მონაცემებს გვაწვდიან როსტომის მიერ გორის აღდგენასა და მისივე თხოვნით. კათოლიკე მისიონერის მიერ გორის ციხის რუკის შედგენის შესახებ⁷².

როსტომის აღმშენებლობით საქმიანობას მიეკუთვნება აგრეთვე გორში დიდებული სასახლის ქარვასლითურთ, სავაჭრო-სახელოსნო დუქნებითა და ქულბაქებით გამართვა⁷³. გორში ვაჭრები მოსახლეობ-

დნენ უმეტესად. ე. შარდენის გადმოცემით, გორში უხვად მოიპოვებოდა ყოველგვარი პროდუქტი, რომელიც საკმაოდ იაფად იყიდებოდა⁷⁵.

ე. შარდენის აღწერილობის მიხედვით, იმდროინდელ ქართლში სულ არსებობდა ოთხი ქალაქი: თბილისი, გორი, ალი და სურამი⁷⁵. როგორც ირკვევა, ფრანგი მოგზაური აღნიშნულ ქალაქებს სიდიდისა და მნიშვნელობის შესაბამისად ჩამოთვლის. ზემოდასახელებული ქალაქებსა გარდა, ისტორიულ დოკუმენტებში ქართლის ქალაქების რიცხვში ორი ქალაქი — ცხინვალი და ახალდაბა იხსენიებიან⁷⁶. ე. შარდენი აღს „პატარა ქალაქს“ ეძახის⁷⁷. რაც შეეხება სურამს, ის უფრო ციხე იყო, ვიდრე ქალაქი. იგი გორის ნახევარს შეადგენდა⁷⁸. ვახუშტი ბატონიშვილიც სურამს, ცხინვალს, ახალდაბას და აღს მცირე ქალაქებად მიიჩნევს⁷⁹.

აქ დასახელებული მცირე ქალაქების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ისტორიულ საბუთებში არაფერია ნათქვამი. ვახუშტის თანახმად, სურამში, ალში და ცხინვალში ქართველები, სომხები და ებრაელები ცხოვრობდნენ⁸⁰.

XVII საუკუნის 30-იან წლებში ქართლის სამეფოს ეკონომიკურმა წინსვლამ, ვაჭრობა-ხელოსნობისა და ქალაქების გამოცოცხლებამ როსტომის მიერ მდ. თეძამზე ახალი ქალაქის „მეფის ქალაქის“ დაარსება განაპირობა. როსტომმა ეს ახალი ქალაქი ვაჭრებით დაასახლა⁸¹.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის ცნობებით, როსტომისდროინდელი ქართლისათვის უარყოფითი მოვლენებიც იყო დამახასიათებელი.

ბერი ეგნატაშვილის თანახმად, „და მას ყამსა იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება... იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ზოლო სულისათვის არარას ზრუნვიდენ. მოიყვანა მეჩანგენი და მუტრიბნი და აქებდნენ ქართველნი დარბაისელნი და მათცა ეგრეთე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი მკვეალნი და არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და მეძაობისა“. ვახუშტის მოწმობითაც, როსტომის დროს „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჟამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, კორც-განსუენება, აბანო კეკლუცობა უგვანო, მეჩანგე, მგოსანი“⁸² და სხვა.

დასახელებული ავტორებისავე თანახმად, ყიზილბაშური ყოფისა და ზნეობის ზემომითითებული უარყოფითი ელემენტები სამეფო კარისა და ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენისათვის იყო დამახასიათებელი. საფიქრებელია, რომ მოტანილ ცნობებში რეალურად არსებული ვითარება საკმაოდ გაზვიადებულად და მუქ ფერებშია წარმოდგენილი. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ როსტომის თანადროულ სხვა ქართულ და უცხოურ წყაროებში ამგვარი მოვლენების შესახებ არაფერია ნათქვამი.

თუ შეეჯამებთ ყოველივე ზეოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართლის ქალაქებში ფართო მასშტაბით დაიწყო აღდგენითი სამუშაოები. ამასთანავე დიდი ყურადღება ექცეოდა საზოგადოებრივი დანიშნულების ახალი ნაგებობის (სასაბუდეების, ქარვასლების, ბაზრების, სახელოსნოების, ღუმლების, აბანოების, სახლების, ხიდების, წისქვილების, გზების, ბაღების) მშენებლობას.

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ე. XVII საუკუნის 30-იანი წლების წინარე პერიოდში, ქვეყნის საერთო ეკონომიკურ დაცემა-დაქვეითებასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა ნატურალური მეურნეობის ხედრითი წონა, შემცირდა ხელოსნობა და ვაჭრობა, სასაქონლო წარმოების მოცულობა და მასშტაბი. ჩვენთვის საინტერესო ხანაში სოფლის მეურნეობის და ქალაქების გამოცოცხლებასთან ერთად, აღმავლობა დაეტყო ხელოსნობის დარგებსაც. ქალაქის მოსახლეობის ხელოსანთა ფენა ვაჭართა ფენასთან ერთად შესამჩნევად სქარბობდა სხვა ფენებს. მართალია, ქალაქში მცხოვრები ხელოსანი სოფლის მეურნეობასაც მისდევდა, მაგრამ მისთვის საარსებო წყარო მაინც ხელოსნური ნაწარმის დამზადება და მისი რეალიზაცია იყო. ყოველივე ამან განამტკიცა ეკონომიკური კავშირი როგორც ქართლის სამეფოს ცალკეულ რაიონებს შორის, ასევე საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან. ამის შესაბამისად განისაზღვრა საშინაო ბაზრის შემდგომი გაფართოებაც.

ქართლის ქალაქების ხელოსნური წარმოების. ხელოსნური დარგების, მათი ორგანიზაციის და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შესახებ მეტად მწირი მასალა გავვაჩნია, რაც, ბუნებრივია, მეტად ართულებს იმდროინდელი ქალაქების ხელოსნური წარმოების განვითარების დონის დადგენას. მიუხედავად ამისა, ეს მწირი მონაცემები მაინც გვაძლევს საშუალებას ხელოსნური წარმოების ზოგი, ნაკლებად ცნობილი მხარე გავარკვიოთ.

ქართლის ქალაქებს შორის, როგორც აღნიშნული იყო, ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. თბილისის ხელოსნური წარმოების შესახებ შ. მესხია აღნიშნავდა: „აქ განვითარებული იყო იმ დროისათვის ცნობილი ხელოსნური წარმოების თითქმის ყველა დარგი“⁸³. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, საყურადღებო მონაცემებს შეიცავს ერთი ქართული დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ ამ საბუთისა და სხვა ცნობების მიხედვით, თბილისში ჩვენთვის საინტერესო ხანაში მრავლად იყვნენ: ოქრომჭედლები, ფეიქრები, კალატოზები, მექუდეები, მკერავები, ქვისმთლელები, მესანთლელები, დალაქები, ხარაზები, მუჭურჭლეები, მეკონდახეები, დურგლები, მჩითავეები, მექვაბეები, მეშარბათენი, მზარეულები, მესა-

ათები და სხვ.⁸⁴ ზემოთ მოხსენებული მკვლევარის თანახმადვე, „XVII—XVIII სს-ის ხელოსნები თბილისში ამზადებდნენ ხელოსნური ნაწარმის 57-ზე მეტ სახეობას“⁸⁵. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამავე ხანებში თბილისში ხელოსნობის ახალი დარგების განვითარებაც ხდებოდა. მაგალითად. მესაათე ხელოსანი თბილისში პირველად XVII საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა⁸⁶.

თბილისის სახელოსნოები ამზადებდნენ აგრეთვე აბრეშუმის. ბამბის და მატყლის ქსოვილებს, რასაც, ერთი მხრით. 1639 წელს თბილისის ციხის კარით შემოტანილ და გასატან საქონელთა სია გვიდასტურებს⁸⁷ და, მეორე მხრით, ევლია ჩელების ის ცნობაც, თბილისური ბამბის მალახარისხოვნებაზე რომ მეტყველებს⁸⁸. რადგან ხელოსნობა იმდროინდელ თბილისში წარმოების ძირითადი დარგი იყო, ამდენად, ხელოსანთა ნაწარმს გასავალი უნდა ჰქონოდა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ქვეყნის გარეთაც⁸⁹.

თბილისის შემდეგ ხელოსნური წარმოების დაწინაურებულ ცენტრს, ალბათ, გორი წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ საბუთებში აღნიშნული ხანის გორში არსებული ხელოსნური დარგების შესახებ არაფერია ნათქვამი. მეტად მწირი მასალა შემოინახა ცხინვალის ხელოსანთა შესახებაც: ვიცით მხოლოდ, რომ საკვლევი ხანის ცხინვალში მრავლად იყვნენ მკედლეები, მექვაბეები, მესავარცხლები და სხვ.⁹⁰

ქართლის სხვა ქალაქების — სურამის, ალის, ახალდაბის და „მეფის ქალაქის“ ხელოსნური წარმოების შესახებ ისტორიულ საბუთებში არაფერია ნათქვამი.

ვაჭრობა. ქართლის სამეფოს ქალაქების ეკონომიკაში ვაჭრობას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. XVII საუკუნის 30—50-იან წლებში ხელოსნური წარმოების განვითარებამ გამოიწვია ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცება როგორც ქალაქებს, ასევე სოფლებსა და ქალაქებს შორის.

თბილისის საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებას განაპირობებდა საქართველოსაკენ მომავალი ხუთი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალი, რომელიც თავს იყრიდა ქართლის დედაქალაქ თბილისში და აერთიანებდა ქართლის რაიონებს და ამასთანავე ქართლს გარეშე სამყაროსთან აკავშირებდა⁹¹. ვახუშტის ცნობების მიხედვით, თბილისს ექვსი კარი ჰქონდა. ამ ექვსი კარის საშუალებით თბილისში სხვადასხვა სახის საქონელი შემოჰქონდათ როგორც საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროებიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდანაც. დასავლეთით თბილისის ორი კარი ჰქონდა — კოჯრისა და დიღმის, ჩრდილოეთით — მეიღნისა და ქვემო კარი, სამხრეთით — განჯისა და აბანოს კარი⁹². თბილისის ბაზარზე საპალნობით შემოდის: აბრეშუმი, ფარჩა, ფარ-

თალი, ბაშბა. მატყლი: ენდრო, თაფლი, ყველი, ერბო, ბრინჯი, მარლი, თევზეული, თამბაქო. ზეთი, რკინა, ფქვილი, ფეტვი, ასლი. წაბლი, ზეთისხილი. ღვინო, ბოსტნეული და სხვ.⁹³ ერთ ქართულ-სპარსულ საბუთში ნათქვამია: „მოუდიოდათ ცხვარი და საქონელი“⁹⁴.

აღნიშნულ ხანაში თბილისში სავაჭრო ქულბაქები მოქმედებდნენ: მირიმანას ქულბაქი, თალრუას ქულბაქი⁹⁵, სულადას ქულბაქი⁹⁶ და სხვა. სამწუხაროდ, არ გავაჩინია ისეთი საბუთი, სადაც ასახული იქნებოდა სავაჭრო საქონლის დასახელება. მაგრამ მეფის სასახლისა და ციხის მოედნებზე მრავალრიცხოვანი დუქნების არსებობა იმდროინდელ თბილისში სხვადასხვა საქონლის არსებობის მაჩვენებელიც უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ თბილისის ხელოსნები: მექვაბეები, მკედლეები, ოქრომკედლეები და სხვა, ამავე დროს ვაჭრობდნენ კიდევ⁹⁷, რაც სავსებით ბუნებრივია. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ გვიანფეოდალური ხანის ქალაქებში ხელოსნები, როგორც წესი, ამავე დროს ვაჭრებიც იყვნენ და მათი სახელოსნოები სავაჭრო დუქნებს წარმოადგენდა⁹⁸.

ქართლის მეორე სავაჭრო ცენტრს გორი წარმოადგენდა, რომელიც სავაჭრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული ქართლის სოფლებთან და ქალაქებთან. 1666 წლის საბუთებიდან ირკვევა, რომ გორი გაცხოველებით ვაჭრობდა თბილისთან, თრიალეთთან, კახეთთან, სამცხე-საათაბაგოსთან და იმერეთთან. საბუთში ნათქვამია: „... რაც ქალაქიდან განა სომხით-საბარათიანდამე ანუ თრიალეთიდან და ან კახეთიდან ქართლით გაღმა და გამოღმა მგზავრმან შეიაროს და ანუ მზოვრეთსა და მას ქუეშეთ თრიალეთიდან ჩამოიაროს, რაც გორის მებაყემ ბაყი აილოს, მესამედის ბატონის კათალიკოზის მებაყეს ნუ დააკლებს. მებაყენი გორისა და ბატონის კათალიკოზისა ერთად უნდა იარონ ვინცა ვინ სამცხიდან და იმერეთიდან მგზავრი ჩამოვიდეს და გორს მოვიდეს და გორს იბაზროს, იქიდან გამობრუნდეს, იმასთან კათალიკოზის მებაყეს ხელი არ აქუს და რომელმანც გორიდან ჩაიაროს, იმისიც აილონ. რომელმანც მგზავრმა თრიალეთიდან მზოვრეთსა ზედათ და ან ქუეშეთ ჩამოიაროს, იმისაც ბაყის მესამელი კათალიკოზისა არის“⁹⁹.

მოტანილი ამონაწერი ორმხრივია საყურადღებო. იგი გორის სავაჭრო კონტაქტებზეც მიუთითებს და ამასთანავე იმასაც გვამცნობს, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანაში, საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის მკვიდრო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა არსებობდა.

იტალიელი მოგზაურის არქანჯელო ლამბერტის ცნობით. XVII საუკუნის 30—50-იან წლებში ქართლი ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობებს აწარმოებდა იმერეთის სამეფოსთან¹⁰⁰. ვაჭრობა გაცხოვე-

ლებული უნდა ყოფილიყო ქართლის დანარჩენ ქალაქებში — სურამში, ცხინვალში, ახალდაბაში. აღში და მეფის ქალაქში (ახალქალაქი), რასაც იქ მოვაკრე სომხებისა და ებრაელების სიმრავლე უნდა მოწმობდეს. აღნიშნულ პერიოდში ქართლის სამეფო ხელისუფლება სხვადასხვა შეღავათების მინიჭებითა და წესრიგის დაცვით მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ცალკეულ ვაჭართა დაინტერესებას და აქედან გამომდინარე ვაჭრობის გაფართოებას. ასე მაგალითად, 1646 წლის სიგელით, როსტომ მეფე მამუკა თუმანიშვილის კუთვნილ გორელ ვაჭარ-მოქალაქე ხუდადა აშანჰანაშვილს ათარხებს 60 თუმნის ფარგლებში საბაჟო გადასახადისაგან¹⁰¹.

სხვადასხვა შეღავათების მინიჭებით სამეფო ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას საეკლესიო დაწესებულებების მიმართ იჩენდა, რაც საგრძნობლად ზრდიდა ეკლესია-მონასტრების შემოხაავალს. როგორც აღინიშნა, 1650 წელს როსტომ მეფე ქარვასლის შემოსავლიდან სიონის ეკლესიას წელიწადში 100 მარჩილ თეთრს სწირავს¹⁰². ამავე მიზნით, როსტომი „ბაჟის ამოკვეთის“ წიგნს აძლევს ქართლის კათალიკოზის ყმა ვაჭრებს: ფარსადანას, ხიზანას და შავერდას¹⁰³.

ზემოგანხილული მასალა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის წლებში ქალაქები სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით დაკავშირებული იყვნენ როგორც სოფელთან, ისე ერთმეორესთან. მართალია, ეს კავშირი სათავადოთა სისტემისა და ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში ჯერ კიდევ სუსტი იყო, მაგრამ ეკონომიკაში მომხდარი ძვრები სოფელსა და ქალაქში აღრმავებდა შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. ამავე დროს ცალკეულ ქალაქებში ხელოსნობის გარკვეული დარგების განვითარება და სპეციალიზაცია საფუძველს ქმნიდა ქართლის სამეფოში საშინაო ვაჭრობის განვითარებისათვის.

XVII საუკუნის 30—50-იანი წლების ქართლის ეკონომიკურ პოლიტიკაში სავარაუდო ვაჭრობას საგანგებო ყურადღება ექცეოდა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ხუთი სავაჭრო-საქარავენო მაგისტრალი საქართველოს ტერიტორიაზე გავლით თბილისში იყრიდა თავს. ამ გზებით თბილისი სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდა როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის და ირანის ქალაქებთან, ასევე, ერზურუმზე გავლით, კონსტანტინეპოლთან, ხოლო ალექსოს საშუალებით. ევროპის ქვეყნებთან. ასეთი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა თბილისს დიდი სავაჭრო-სატრანსპორტო ქალაქის მნიშვნელობას ანიჭებდა.

სერაფინო მელიკოკანელის ცნობით, „თბილისში განუწყვეტლივ ერთმანეთს ხვდებიან ყოველი მხრის ვაჭრები სპარსეთიდან, ალუბოდან,

სმირნიდან, კონსტანტინეპოლიდან და მთელი საქართველოდან. თუმცა აქ ყველაფერი უხვად არის, აუარებელი ვაჭრებიც არიან და ყოველდღე დატვირთული ქარავნებიც შემოდის, მაგრამ მაინც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირია¹⁰⁴.

ჟ. შარდენის მოწმობით, თბილისში ვაჭრობდნენ სომხები, ბერძენები, ოსმალები, სპარსელები, ინდოელები, მოსკოველები და ევროპელები¹⁰⁵.

ამრიგად, XVII საუკუნის 30—50-იან წლებში თბილისი წარმოადგენდა დიდ სატრანზიტო და ამავე დროს საქონლის მიმღებ-გამანაწილებელ ქალაქს, რის გამოც იგი იზიდავდა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ვაჭრებს. კონკრეტულ ცნობებს ქართლის საგარეო ვაჭრობის შესახებ 1639 წელს როსტომის მიერ შედგენილი თბილისის ციხის კარის გარიგების წიგნი გვაწვდის, სადაც აღნიშნულია, თუ რა სახის საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ თბილისიდან. ამ დოკუმენტში დაცულ ინფორმაციას რამდენადმე ავსებს ევროპელ და აღმოსავლელ მოგზაურთა ჩანაწერებში შემონახული მასალაც.

ჩვენთვის საინტერესო ხანაში მახლობელი ქვეყნების ვაჭრობაში პირველობა ირანს ეპყრა ხელთ. ირანის ქალაქებში დამზადებული საფეიქრო ნაწარმი — ძვირფასი ქსოვილები დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ირანიდან შემოტანილი დასახელებული ნაწარმით, ძირითადად, ქართლის მოსახლეობის ზედა ფენა სარგებლობდა. მოგვიანო ხანის ქართული მშითვის წიგნებში¹⁰⁶ ირანიდან შემოტანილი ქსოვილებია დასახელებული. მაგალითად, ქსნის ერისთავის დავითის ასულის მშითვის წიგნში დასახელებულია „ქირმანის შალი“, „ყაშანის ყირმიზი“, „იეზდის ფარჩა“ და სხვ. თბილისში შემოდოდა თავრიზის ფარჩეულობა, ორდუბადის აბრეშუმი, „საყათის საქონელი“ (სანელებლები), მარილი, შაბი, ზეთუნის ზეთი, გელაქნური თევზი და სხვ.¹⁰⁷ შემოჰქონდათ აგრეთვე ტყავი „ისპანის ქარხნის დიბისა“¹⁰⁸. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, თბილისში იმპორტის სახით შემოჰქონდათ: ძვირფასი ირანული შალი, ინდოეთის ფერადი ქსოვილები, კასპიის ზღვიდან დამარილებული თევზი, ხიზილა და სანელებლები¹⁰⁹. იმავე ავტორის მიხედვით, „თურქები სამცხის მხრიდან აწარმოებდნენ უნაგირების, ცხენის საკაზმავეების, ხანჯლებისა და თურქული ზანდუკების შემოტანას“¹¹⁰.

თბილისი, როგორც სატრანზიტო მნიშვნელობის ქალაქი, მარტო უცხოური საქონლის მიმღებ-გამანაწილებლის როლს კი არ ასრულებდა, არამედ ის თავისი ხელოსნური ნაწარმით აქტიურ მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან წარმოებულ საგარეო ვაჭრობაში. ქართლის სამეფოს ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ საგანს აბრეშუმის ნედლეული წარმოადგენდა. ჟ. შარდენის ცნობით, „ნედლი აბრეშუ-

მი" ერზერუმში გაქონდათ, რომელიც აბრეშუმით ვაჭრობის გაცხოველებულ ცენტრს წარმოადგენდა¹¹¹.

მაგრამ ქართლის ექსპორტი მარტო „ნედლი აბრეშუმის“ გატანით არ შემოიფარგლებოდა. თბილისიდან გაქონდათ შალისა და ბამბის ქსოვილებიც¹¹². თბილისიდან სომხეთში, მიდიასა და ისპაანში სპარსეთის შაჰის კარის საქ-როებიანათვის ქართული ღვინოებიც მიდიოდა¹¹³. ე. შარდენი ქართულ ღვინოს საუკეთესოდ მიიჩნევდა მთელს სეფიანთა ირანში¹¹⁴. ქართული ღვინოს სასაქონლო ფუნქციის შესახებ ვ. ბელიოს ნაშრომიც გვაწვდის საგულისხმო ცნობას¹¹⁵.

აღნიშნული საქონლის გარდა, თბილისიდან ერზერუმისაკენ 2 ათასი საპალნე ენდრო გაქონდათ. აქედან იგი საღებავ მასალად დიურბერკის ქარხნებში ხვდებოდა, სადაც პოლონეთისათვის ტილოს ამზადებდნენ. ენდრო ქართლ-კახეთიდან ინდოეთშიც მიდიოდა, სადაც მას სხვადასხვა ქსოვილის შეღებვის მიზნით იყენებდნენ¹¹⁶. გარდა ამისა, ქართლის ექსპორტის საგანი იყო ხილი და კაკალი. თბილისიდან გადიოდა აგრეთვე მატყლი, ერბო, თაფლი და ყველი.

ქვემოთაღნიშნულ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნის 50-იან წლებში ქართლის სამეფო ირანთან ვასალური დამოკიდებულების მიუხედავად, რუსეთთანაც ახერხებდა ეკონომიკური კავშირის დამყარებას. 1656 წლით დათარიღებულ დოკუმენტში¹¹⁷, რომელიც თბილისელი ვაჭრის, იოსებ ზურაბოვის (ზურაბაშვილის) სახელითაა შედგენილი, ვკითხულობთ:

„ხელმწიფე ბატონიშვილის ნიკოლოზ დავითის ძეს შენი ყმა საქართველოს ქვეყნის თბილისად იოსებ ზურაბოვი თავს გიკრავ. ხელმწიფეო. გასულ წელს შენი ბრძანებით გამოგზავნეს შენი ყმა თბილისიდან მოსკოვში... და უწმინდეს პატრიარქ ნიკონთან და შენთან ხელმწიფე ბატონიშვილთან წერილებითა და საჩუქრებით. შენთან საჩუქრად გამომატანეს მე, შენს ყმას ცხენი და კარავი და ხალიჩა და სხვა საჩუქრები. მე შენს ყმას გამომატანეს აგრეთვე იერუსალიმის არქიმანდრიტის... სხვადასხვა საქონელი და მიბრძანეს... საქონლის გაყიდვა და მოსკოვში ყიდვა, რაც შემხვდება არქიმანდრიტის საქიროებისათვის. მე, შენ ყმას ალავერდელმა შენთან გამომატანა სხვადასხვა საქონელი და მიბრძანა გავყიდო ეკლესიების ასაშენებლად. საქართველოს ქვეყნის დიდი მონასტრის მცხეთის პატრიარქისაგან გამოტანებული მაქვს საქონელი და ნაბრძანები მაქვს გავყიდო მონასტრის საქიროებისათვის. სიონის ეკლესიისაგან გამოტანებული მაქვს სხვადასხვა საქონელი და ნაბრძანები მაქვს გავყიდო ეკლესიის ასაშენებლად. საქართველოს ეპისკოპოსისაგან გამოტანებული მაქვს, ხელმწიფე, სხვადასხვა საქონელი და ნაბრძანები მაქვს გაყიდვა. რაც

შეეხება, ხელმწიფე, ქვეყნის მღვდელ-მთავრებსა და ბერებს, ისინი ლოცულობენ შენთვის და მათაც გამომატანეს სხვადასხვა საქონელი და მიბრძანეს გავეილო ეკლესიების ასაშენებლად. მე, შენი ყმა შენი ბრძანებით საქართველოში მუდმივად ვარ... და მის კუბოზე დღენი-აღაღ სანთლებს ვანთებ. როცა მე, შენი ყმა, მოსკოვში მოვდიოდი და თერგზე და ასტრახანში, ხელმწიფის ბრძანებით ყოველთვიურად დღიური სარჩო მეძლეოდა განუწყვეტლად. ახლა... ბრძანებით გავჩერდი სიმბირსკში ყამიანობის გამო უკვე მეცხრე თვეა და სიმბირსკიდან მოსკოვში ხელმწიფის ბრძანების გარეშე არ მიშვებენ. ეხლა, ხელმწიფე, ღვთის წყალობით დეკემბრის 16 თვის ყამიანობა დაცხრა, მე და ჩემი ზალხი ცოცხლები და ჭანმრთელები ვართ, ხოლო ვინც იყო სიმბირსკში.. თეზიკები და სხვადასხვა ვაჭრები, ზოგი ერთი თვე. ზოგი კი ორი თვე; ყველანი გაუშვეს სიმბირსკიდან. მე კი, შენს ყმას. სიმბირსკიდან მოსკოვში არ მიშვებენ დღემდე, მოწყალეო ხელმწიფე ბატონიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე... (სთხოვე)... (ტ) რომ მე სიმბირსკიდან მოსკოვში გამოშვან¹¹⁸. მოტანილი დოკუმენტი მრავალმხრივ საგულისხმო ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. იგი, უპირველეს ყოვლისა. იმ თვალსაზრისითაა საყურადღებო, რომ რუსეთთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის უდავო ფაქტზე მიუთითებს¹¹⁹. საბუთი საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ერთი კონკრეტული სავაჭრო ოპერაციის მიზნებისა და ამ ოპერაციაში მონაწილე პირთა შესახებ.

ირკვევა, რომ ი. ზურაბოვისა და „მისი ხალხის“ საქართველოდან მოსკოვში გამგზავრება მიზნად ისახავდა საბუთში ჩამოთვლილი ეკლესიების კუთვნილი სავაჭრო საქონლის რუსეთში რეალიზაციას. ამ სავაჭრო ოპერაციის შედეგად აღებული თანხა საქართველოს ეკლესიამონასტრებისათვის აუცილებელი საქონლის შეძენისა და საქართველოში ახალი საეკლესიო მშენებლობისათვის იყო განკუთვნილი. გარდა ამ ძირითადი მისიის შესრულებისა, ი. ზურაბოვს დავალებული ჰქონდა აგრეთვე, იმ დროს მოსკოვში მყოფი ნიკოლოზ ბატონიშვილისათვის (შემდგომში ერეკლე I ნაზარალიხანად წოდებულისათვის) სხვა საჩუქრებთან ერთად ცხენის, კარვისა და ხალიჩის გადაცემა.

დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ამ სავაჭრო ოპერაციაში იმდროინდელი საქართველოს უმაღლესი რანგის სასულიერო პირები მონაწილეობდნენ. კერძოდ. „ალავერდელი“; „საქართველოს ქვეყნის დიდი მონასტრის მცხეთის პატრიარქი“, „სიონის მთავარეპისკოპოსი“ და „საქართველოს ეპისკოპოსი“. უფრო მეტიც, რუსეთში საქონლის გაყიდვით დაინტერესებულ პირთა შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე, უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული კერის — „ირუსალიმის — არქიმანდრიტიც“ იყო. არანაკლებ საყურადღებოა

ისიც, რომ ამ დოკუმენტში ქართველი ვაჭრის მოსკოველ მასპინძლებად ნიკოლოზ ბატონიშვილთან ერთად, რუსეთის „უწმინდესი პატრიარქი ნიკონიც“ იხსენიება.

დოკუმენტში აღწერილ სავაჭრო ოპერაციის მნიშვნელობასა და მასშტაბებზე, აღნიშნულთან ერთად, ისიც ლაპარაკობს, რომ ქართველ ვაჭარს მოსკოვში რეალიზაციისათვის „საქართველოს ქვეყნის“ სხვა მლედელ-მთავრებისა და ბერების კუთვნილი საქონელიც მიჰქონდა.

თუ ყოველივე ზემოთქმულს რუსეთში საქართველოს მეფის 1652 წლის ელჩობისა და ამავე წელს ქართლში არსენ სუნანოვის ყოფნასთან დაკავშირებით არსებული მასალების შუქზე გავიზიარებთ, ვერ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ „მალალი რანგის“ ეს სავაჭრო ოპერაცია თვით ქართლის მეფის მიერ იყო მოწონებული და სანქციონირებული¹²⁰.

ამგვარად, ქართლი და მისი ქალაქები აქტიურად იყვნენ ჩაბმული საშინაო და საგარეო ვაჭრობაში.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ სათანადო ყურადღება მიაქცია საბაჟო სისტემის მოწესრიგებას. საქმე ისაა, რომ ქართლის ქალაქებისა და სათავადოების საზღვრებზე მრავალი საბაჟოს არსებობა უკანონობისა და ზოგჯერ ბოროტმოქმედების წყაროს წარმოადგენდა¹²¹, რაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებდა ვაჭრებს და აქედან გამომდინარე, აფერხებდა სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

როსტომ მეფემ თბილისის მეზაყეთა თვითნებობის ასალაგმავად სპეციალური ზომები მიიღო. 1639 წელს მეფის მიერ შედგენილ „ციხის კარის გარიგების წიგნში“ (რომელიც მცირე ცვლილებებით 1734 წლამდე მოქმედებდა)¹²², თბილისის ციხის კართან არსებულ საბაჟოსთან დაკავშირებით მეფე შემდეგს ბრძანებდა: „... ჩვენ მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ, ესე ყანუნლამა და ციხის კარის ფული (ს) საქმე ასრე გავარიგეთ და გავაჩინეთ... ვითაჲ შაჰ-მირ მინბაშის დროს ცული-მადი კაცი ვინც მოხუდებოდა ყაფი(ს) ფულზედ, უდიერს საქმეს იქმოდეს და ნიადაგ მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცთ ირჯებოდა... ზოგჯერ ნოქრები ძალადობას იჩენდნენ გამვლელებზე... (ამიტომ) ვაჭრებმა, მომსვლელებმა და გამვლელებმა ქალაქ თბილისის და საქართველოს ოლქის მოსახლეობამ ითხოვეს დასტურლამალის (მოცემა) ამის შესახებ. რათა ამიერიდან ხსენებული ციხის კარის მცველებმა მის საფუძველზე იმოქმედონ და ძალმომრეობა არ გამოიჩინონ... რათა ამიერიდან ერთი დინარი და ერთი ბათმანი პურიც კი არ აიღონ ზედმეტი. ეს უნდა გახდეს ვაჭრების, გამვლელთა და გლეხთა დამშვიდების მიზეზი“¹²³. ამავე დოკუმენტში მეფე ხაზგასმით მიუთითებდა სხვადასხვა საქონელზე სახელმწიფოს მიერ დადგენილ საბაჟო გადასახადის თანხასაც. „ციხის კარის გარიგების წიგნში ვკით-

ხულობთ: „აბრეშუმის საპალნეზე — ერთი შაური, ფართლის საპალნეზე — ნახევარი შაური, ბამბის საპალნეზედ — ბისტი, საყათის საპალნეზე — ფული ორი, თუთუნის საპალნეზედ — ნახევარი შაური, მარილის საპალნეზედ — ფული, ნალ-ლურსმნისა და რკინის საპალნეზედ — ორი ფული, მატყლის საპალნეზედ — ერთი ფული, თევზის საპალნეზედ — ერთი ბისტი, ვინც გასაყიდლად ცხუარი გამოატაროს — ასზედ შაური ორი, თუ დიდმა ცხუარმან გაიაროს სამოვრეზედა — ერთი ცხუარი აიყუანონ და ცოტა პირმან გაიაროს ერთი ბატკანი აიყუანონ და ყუელის საპალნეზედ აიღონ ფული ერთი“¹²⁴.

ამრიგად, სხვადასხვა ხასიათის წერილობითი წყაროები საშუალებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ XVII საუკუნის 30—50-იან წლებში სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა უკაცური ადგილების დასახლებას, დაქცეული სოფლების აღდგენას, საირიგაციო სისტემის მოწესრიგებას, წისქვილების, ხიდების, გზების, კერძო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას, რაც აღნიშნულ ხანაში ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საწინდარი გახდა.

სამწუხაროდ, წიგნის მოცულობამ საშუალება არ მოგვცა XVII საუკუნის 30—50-იანი წლების კულტურა ცალკე ნარკვევის სახით წარმოგვედგინა. ამიტომ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ერთი მოვლენის აღნიშვნით შემოვიფარგლებით მხოლოდ. ქართლის მეფე და დედოფალი დიდ მონაწილეობას ლებულობდნენ ძველი ქართული წერილობითი ძეგლების გადაწერის, რესტავრაციისა და დაუნჯების საქმეში.

ფასდაუღებელია ქართლის დედოფლის მარიამის თაოსნობითა და „მისივე საფასით“ 1633—1646 წლებში ჩატარებული დიდი სამუშაო ქართველთა „წმინდა წიგნის“ — „ქართლის ცხოვრების“ შევსება-გადაწერასთან დაკავშირებით. ამ ეროვნული მნიშვნელობის დიდი საქმით მარიამ დედოფალმა სამუდამო ძეგლი დაუდგა ქართლში თავის მრავალმხრივ მოღვაწეობას. „ქართლის ცხოვრების“ ეს ნუსხა დღემდე მარიამ დედოფლის სახელს ატარებს. იგი „მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრების“ სახელითაა ცნობილი¹²⁵.

ნაშრომში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად შემდეგ დასკვნებამდე მივდით:

1. სიმონ II-ის მკვლელობა თეიმურაზის წაქეზებითა და თაოსნობით ზურაბ არაგვის ერისთავმა 1630 წელს განახორციელა.

2. როსტომი 1566—1567 წლებში ქართლში დაიბადა და არა ირანში, 1566—1567 წლებიდან 1587—1600 წლებამდე (1585—1587 წლების გამოკლებით, როდესაც იგი დაუთხანს ახლდა სტამბოლში) საქართველოში იმყოფებოდა; 1587 წლამდე (და შესაძლოა, 1600 წლამდეც) ქრისტიანი იყო: სწავლა-განათლება, პოლიტიკური და სამხედრო წრეობა საქართველოში მიიღო; ირანის კარზე როსტომი არაუადრეს 1587 წლისა უნდა ჩასულიყო; ამავე პერიოდში მიიღო მან მაჰმადიანობა; ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე როსტომის გამოჩენა 1618 წლით თარიღდება. როდესაც შაჰ აბას I-მა მას ისთაჰანის ტარუდას (მოურავის) თანამდებობა უბოძა.

3. განჯა-ყარაბაღის 1632 წლის აჯანყება, უპირველეს ყოვლისა, შაჰ სეფის კარზე არსებულ ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა. თავდაპირველად, თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მიზანს, როგორც ჩანს, არა იმდენად განჯა-ყარაბაღის დარბევა და ნადავლის შოვნა შეადგენდა, არამედ შაჰ სეფის ადგილზე იმამყული-ხანის შვილობილის შაჰ აბას I-ის შვილის დასმა. ამ გზით თეიმურაზს შესაძლებლობა ეძლეოდა ქართლ-კახეთის ტახტზე თავისი პოზიციები მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა. ამ ტახტის კანონიერი მემკვიდრე და პრეტენდენტი, შაჰ სეფის მიერ „მამად“ წოდებული ხოსრო-მირზა ბაგრატიონი საბოლოოდ ჩამოეშორებინა.

დაუდ-ხან უნდილაძისათვის ეს აჯანყება შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის დაკმაყოფილებასა და ყოფილი ძლიერების დაბრუნებასაც ნიშნავდა. მაგრამ რაკი შაჰის საწინააღმდეგო ეს აჯანყება ვერც თეიმურაზმა და ვერც დაუდ-ხანმა სათანადოდ ვერ მოამზადეს და რაც მთავარია, ვერც იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია შეაფასეს, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების მეორე ეტაპზე მან საერთოკავკასიური ინტერესი გამოიწვია, როგორც პირველ, ასევე მეორე ეტაპზე, განჯა-ყარაბაღის დარბევითა და ნადავლის შოვნით შემოიფარგლა, თეიმურაზს ქართლ-კახეთის სამეფო გვირგვინი დააკარგვინა და უნდილაძეების ფეოდალური სახლის ყველაზე მეტად დაწინაურებული იმამყული-ხანისა და მისი სამი ვაჟის სიცოცხლე შეიწირა. თეიმურაზმა ამ აჯანყების მოთავეობითა და მის მთელ მსვლელობაში აქტიურობით (განსაკუთრებით ამ აქციის მეორე ეტაპზე), თავის თავს განაჩენი თვითვე გამოუტანა. სამეფო გვირგვინი დაკარგა და ქართლის სამეფო ტახტისაკენ გზა გაუხსნა ამ გვირგვინის კანონიერ პრეტენდენტს, მაჰმადიანებულ, 67 წლის ხოსრო-მირზა ბაგრატიონს.

4. „დიდი ლაშქრით (რომელშიც ქართველებთან ერთად შირვანისა და ყარაბაღის ამირები, 30000 ყიზილბაში მონაწილეობდა), იმერეთში როსტომის გადასვლა მხოლოდ ქართლში მარიამის — მომავა-

ლო დედოფლის — უვნებლად გამოყვანას არ ითვალისწინებდა. ეს „დინასტიური ქორწინება“ და მისი პრაქტიკულად განხორციელება ფართო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკურ ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული. მის მთავარ მიზანს თემურაზისა და იმერეთის მეფის კავშირის დარღვევა, ლევან დადიანთან, ქაიხოსრო გურიელთან ერთად იმერეთის დაპყრობა და აღმოსავლეთ საქართველოსთან მისი გაერთიანება შეადგენდა.

5. გამაჰმადიანებულ როსტომ მეფეს ქრისტიანული რელიგიისადმი საკმაოდ ლოიალური პოზიცია ეკავა. იგი დიდ ზრუნვას იჩენდა შართლმადიდებლური, კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიების მიმართ: აღადგენდა და აღაშენებდა ეკლესია-მონასტრებს. წირავდა მათ სოფლებსა და ყმა-მამულებს, ანიჭებდა საგადასახადო შეღავათებს.

XVII საუკუნის 30—50-იანი წლების ქართლში მაჰმადიანურ სარწმუნოებას საკმაოდ არამყარი მდგომარეობა ჰქონდა. მისი აქტიური ფუნქციონირების არეალი თბილისისა და გორის ციხეებში განლაგებული ყიზილბაშთა გარნიზონებით იფარგლებოდა; გამაჰმადიანებულ მეფისა და ზოგი ქართველი გამაჰმადიანებული ფეოდალისათვის ეს სარწმუნოება ფორმალურ, დროებით ხასიათს ატარებდა; გამაჰმადიანებული მეფე როსტომი არავითარ ღონისძიებებს არ მიმართავდა მეჩეთების მშენებლობის მიზნით; ქვეყნის მოსახლეობა გაათფრებით ებრძოდა გამაჰმადიანებას.

6. როსტომ მეფის მიერ გატარებული შინაპოლიტიკური ღონისძიებების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქართლის მიმართ ირანის მიერ განხორციელებული კომპრომისული პოლიტიკის პირობებში. როსტომმა ირანთან დამოკიდებულების საშუალო ზომიერი გზის არჩევით, რაც ძირითადად მაჰმადიანობისა და შაჰის სუზერენობის ფორმალურ აღიარებაში გამოიხატებოდა, ქვეყანას უცვლელად შეუნარჩუნა სახელმწიფოებრივი წყობა, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა, სარწმუნოება-ქრისტიანობა და რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი ენა — შშობლიური ქართული.

7. რუსეთში როსტომ მეფის 1652 წლის ელჩობა ირანის შაჰის მიერ იყო სანქციონირებული; ამ ელჩობის იდეა როსტომ მეფეს ეკუთვნოდა: რუსეთში 1652 წლის ელჩობა ქართლ-კახეთის სამეფო კარმა განახორციელა; ამ ელჩობასთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროებში ცენტრალურ ფიგურად როსტომ მეფეა წარმოდგენილი. ამ ელჩობის ძირითად მიზეზს ირან-რუსეთის 1652 წლის კონფლიქტის მოგვარება შეადგენდა. როსტომ მეფის მიზანს არ შეადგენდა ქართლ-კახეთის საგარეო ორიენტაციის შეცვლა; დიდ პოლიტიკოსს. სახელმწიფო მოღვაწეს — როსტომ მეფეს კარგად ესმოდა, რომ საამისო სიტუაცია ჯერჯერობით არ არსებობდა; ამ ეტაპზე მას სამი სურვილი

ამოძრავებდა: ეჩვენებინა რუსეთის ხელმწიფისადმი თავისი კეთილგანწყობილება, გაეძლიერებინა საქართველოსადმი რუსეთის ინტერესი და ყოველივე ამის საფუძველზე უზრუნველეყო რუსეთთან საქართველოს მომავალი ურთიერთობა.

8. თეიმურაზ I-სა და როსტომის შედარებითი დახასიათების დროს ჩანს, რომ სხვადასხვა საგარეო ორიენტაციის მატარებელი ამ პოლიტიკოსების — ქრისტიანი თეიმურაზ I-ისა და გამაჰმადიანებული როსტომ ბაგრატიონის მოღვაწეობა ერთიმეორეს ავსებდა ყიზილბაშთაგან საქართველოს გადარჩენის საქმეში.

9. XVII საუკუნის 30—50-იან წლებში სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა უკაცური ადგილების დასახლებას, დაქცეული სოფლების აღდგენას, საირიგაციო სისტემის მოწესრიგებას, წისქვილების, ხიდების, გზების, კერძო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის მშენებლობას, რაც აღნიშნულ ხანაში ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საწინდარი გახდა.

ЖОРЖОЛИАНИ Г. А.

ГРУЗИЯ В 30—50 гг. XVII в.

(Картли—Кахети)

Резюме

Предлагаемая монография посвящена комплексному изучению круга вопросов, органически связанных с историей Грузии (Картли, Кахети) 30—50-х годов XVII века. На основе критического анализа грузинских, русских, армянских, персидских, турецких, западноевропейских письменных первоисточников грузинских и русских архивных документов и грузинских рукописей XVII века, с учетом богатой научной специальной литературой по проблеме исследования, автор пришел к следующим выводам: внешне- и внутривосточное положение Восточной Грузии, определяемое стратегическими целями двух великих держав — Ирана и Османской империи, в первой трети XVII в. оказалось критическим. Иран и Османская империя, не довольствуясь вассальной зависимостью Картлийского и Кахетинского царства, всеми средствами боролись за полное порабощение Восточной Грузии, превращение ее царств и княжеств в свои ханства и насаждение там ислама. За непродолжительными, относительно спокойными периодами следовали длительные кровопролитные войны. Несмотря на политическую слабость царской власти, нескончаемые внутривосточные распри, раздробленность, экономическую и хозяйственную разруху, страна вновь и вновь героически восставала против захватнической политики шахского Ирана. Однако при существующем неравенстве сил каждая ответная акция кызылбашей, их опустошительные нашествия, подвергали страну в более тяжелое положение.

В поисках путей к освобождению от мусульманского ига грузинское феодальное общество разделилось на два основных лагеря: одни считали необходимым продолжать по мере сил активную борьбу против агрессоров и одновременно искать помощь у единственного российского государства; другие, принимая во внимание реально сложившееся внешнее и внутреннее положение, склонялись к принятию «компромиссной» политики, проводимой шахом, и формальным признанием сюзеренства Ирана, а в случае необходимости и Ислама, обеспечить стране

сравнительно мирные условия жизни, чтоб подняв экономикку и хозяйство, торговлю и ремесленное производства, восстановив города и деревни накопить силы для победоносной борьбы против мусульманских агрессоров. Во главе первой группы стоял царь Кахети — христианин Теймураз I, а вторую возглавлял царь Картли — Ростом, принявший мусульманство и получивший престол из рук шаха.

Характер событий в 30—50-е гг. XVII в. в Восточной Грузии находили объяснение не только в объективно сложившейся в стране ситуации, но и в противоборство этих двух группировок крупных феодалов различной политической ориентации, в столкновении интересов возглавляющих эти группировки правителей Картли и Кахети, в непримиримость их позиций. И если личность царя Теймураза и его деятельность в научной литературе освещены с достаточной полнотой, то целый ряд важнейших фактов биографии царя Ростом, сформировавших его как личность и определивших его жизненные установки, до настоящего времени оставались вне поля зрения специалистов и, поскольку, деятельность картлийского царя не получила объективной оценки. А это со своей стороны обусловило определенную тенденциозность во взглядах на происходившие в изучаемый нами период события мешало увидеть в истинном свете и беспристрастно осмыслить явления, которые вне всякого сомнения, оказали влияние на направление политической истории Восточной Грузии (в частности Картлийского царства) не только XVII века, но и последующих времен.

Бытующее в специальной литературе мнение, что царь Ростом, с младенческих лет воспитывавшийся при шахском дворе в мусульманской вере, был совершенно чужд интересам и заботам своей родины; что будучи послушным исполнителем воли своего господства и залучив с его помощью отцовскую корону, он неуклонно проводил угодную шаху политику, ревностно защищая интересы кызылбашского Ирана в своей наследственной стране — Картли, убедительно опровергает уточненный нами целый ряд фактов и дает биографии царя Ростом (в частности: Ростом родился в Картли, а не в Иране, в 1566 или 1567 г. С 1566—1567 по 1587—1600 гг., за исключением двух лет (1585—1587), проведенных в Стамбуле вместе с отцом — царем Картли, жил, воспитывался и учился в Грузии; здесь изучал военное дело, впервые столкнулся с суровой действительностью и был вовлечен в политические коллизии картлийского царского двора; отсюда, не ранее 1587 г., был отправлен отцом в Иран и шаху в качестве заложника. Именно тогда он перешел в мусульманство. Его появление на политической арене Ирана датируется 1618 г., когда шах Аббас I пожаловал ему должность моурава Исфагана), лучше понять побудительные причины и истоки направленности всей его деятельности как правителя Картли и Кахети.

Ганджа-Карабахский поход 1632 г. выявил истинные позиции и намерения, с одной стороны, Теймураза I и его приверженцев (прежде всего прославленного в Иране, ранее приближенного к шаху грузинского феодального дома Уддиладзе), а с другой — шаха Сефи и Ростом-хана Багратиони. Затеянное Теймуразом I в неблагоприятное для этого времени восстание, без учета реальной политической ситуации и соотношения сил (особенно на первом его этапе) было заранее обречено на провал. И хотя второй этап Ганджа-Карабахского похода принял характер общегрузинский, более того, общекавказской акции против кызылбашей, и первый и второй этапы восстания свелись, по существу, к разорению Ганджи и Карабаха, захвату больших богатств и, частично, сведению личных счетов между крупными феодалами. А в результате Теймураз не только потерял корону объединенной Картли-Кахети и, что также важно, доверие и поддержку многих преданных ему влиятельных вельмож и дворян, но и открыл путь к картлийскому престолу 67-летнему Хосро-Мирзе (Ростому) Багратиони.

Решение царя Ростомом заключить «династический брак» с Марнам, сестрой Левана Дадлиани, было вызвано стремлением укрепить свои позиции, противопоставив союзу Теймураза с царем Имеретии союз с заклятым врагом последнего — правителем Одшского княжества.

Внушительность эскорта Ростомом («Многочисленное войско», состоявшее из грузин, 30 тысяч кызылбашей и крупных отрядов эмиров Ширвана и Карабаха), отправившегося в Западную Грузию навстречу свадебному кортежу, никак нельзя объяснить лишь заботой о безопасности будущей царицы. Размах этой, так называемой имеретинской операции, в которой помимо Ростомом и Левана Дадлиани принял участие Канхосро Гуриели с многочисленной свитой, свидетельствует о том, что речь идет о военно-политическом мероприятии крупного масштаба, целью которого было разрыв союза Теймураза и царя Имеретии, завоевание, а затем раздел Имеретинского царства между Картлийским и Одшским княжеством.

Этот «династический брак» резко изменил соотношение сил между противоборствующими группировками Теймураза и Ростомом в пользу последнего и оказал значительное влияние на дальнейшее развитие внутренней и внешней политики царств и княжеств как Восточной, так и Западной Грузии.

Внутриполитические мероприятия царя Ростомом в условиях компромиссной политики Ирана по отношению к Картли в конечном итоге служили сохранению и дальнейшему укреплению национального государственного строя Грузии, поскольку реформы «кызылбашского ряда», проведенные Ростомом в государственном аппарате, фактически свелись к переименованию чиновничьих должностей на персидский лад. Неприкосновенной осталась социальная и экономическая структура страны. Влия-

ние этих реформ в основном распространилось на высшие слои общества на высокие должности утверждались лишь те феодалы Картли и Кахети, которые соглашались принять ислам.

Ростом проявляя толерантность ко всем вероисповеданиям (православию, католицизму, григорианству, мусульманству и др.). В период его правления население страны не принуждалось к принятию мусульманства. Отсутствие в Картли благоприятной почвы для широкого распространения ислама ограничил ареал его активного функционирования кызылбашской средой Тбилисской и Горийской крепостей.

Для царя Ростом и части грузинской знати, принявших мусульманство, отход от христианской религии был вынужденным и формальным актом.

Ростом сумел наладить контакты с христианской церковью. По инициативе или при содействии царя Ростом в стране осуществляются широкого масштаба работы по восстановлению и реставрации разрушенных и строительству новых церквей и монастырей. Христианским храмам царская власть жалует деревни, поместья, освобождает церковные угодья от налогов и т. д. В то же время со стороны царской власти не было проведено никаких мероприятий по возведению мусульманских религиозных сооружений.

Формально признавая сюзеренство шахского Ирана и ислам, царь Ростом, благодаря своей гибкой политике, смог сохранить грузинскому народу национальную самобытность, религию их отцов и что самое важное — родной язык, государственный язык страны.

Новая форма компромиссной политики способствовала установлению в стране с 50-х гг. XVII в. сравнительно мирной обстановки и тем самым были созданы условия для восстановления и подъема экономики Картлийского царства. Целый комплекс восстановительных (политических, организационных и экономических) мероприятий, проведенный царем Ростомом, способствовал застройке и заселению опустошенных деревень, быстрому подъему сельского хозяйства, оживлению и дальнейшему развитию городов и городской жизни, возрождению и быстрому развитию ремесленного производства и торговли.

Экономический подъем страны был одной из важнейших (если не самой важной) задач царской власти Картли означенного периода.

Посольство 1652 г. в Россию было санкционировано иранским шахом. Идея этого посольства принадлежала Ростому, в осуществлении идеи принимал участие царский двор Картли и Кахети. Целью этого важного политического мероприятия было урегулирование ирано-российского конфликта, имевшего место в 1652 г. Реально мыслящий, опытный государственный деятель и дипломат Ростом понимал, что благоприятной ситуации для изменения курса внешней политики Картли и Кахети все

еще не существовало и на данном этапе ставил перед собой единственную задачу: доказать России свое доброе расположение, вызвать интерес России к своей стране и обеспечить в будущем дружеские отношения Грузии с Россией.

Неоднократные заговоры теймуразовской группировки и междоусобные войны (1633—1648 гг.) выявили как отрицательные, так и положительные стороны политических программ царя Ростома и Теймураза I.

Несгибаемость и непреклонность позиции христианина Теймураза в борьбе против кызылбашства и шахского Ирана за царский престол, за упрочение и чистоту христианской религии, игнорирование объективно сложившейся ситуации и пренебрежение реальным соотношением сил, противопоставлялись гибкой, расчетливой, дальновидной политике царя Ростома, принявшего мусульманство и компромиссную политику шаха, с помощью которой он стремился не только сохранить наследственный престол, но и дать возможность обескровленной стране вернуться к мирной, созидательной жизни, отвести от Грузии реальную угрозу физического уничтожения, даже ценой риска увидеть страну «омусульманенной».
